ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ
და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მედეა ბადაშვილი

“ტერიტორიული სხვაობები ოჯახის გენდერულ ურთიერთობებში პოსტსაბჭოთა საქართველოში”

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად
სამეცნიერო ხელმძღვანელი
სრული პროფესორი იოსებ სალუქვაძე

თბილისი
2015

სარჩევი:

შესავალი …….....1

- კვლევის მიზნები და ამოცანები..... 2
- თემის ინტერდისციპლინურობა..... 3
- კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები..... 5
- კვლევის მეცნიერული სიახლე 6
- შრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა..... 6
- ნაშრომის სტრუქტურა 7

თავი I: ოჯახის დეფინიციის თეორიული საფუძვლები და ოჯახის კვლევის ისტორიული მიმოხილვა ……..... 8

1.1. ოჯახის განსაზღვრება: ოჯახის კვლევა (Family studies), როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერება 8

1.2 ოჯახის დეფინიციის თეორიული საფუძვლები ……..... 13

1.2.1. სოციოლოგიური მიდგომა 20

- ევოლუციოური თეორია 20
- მარქსის და ენგელსის როლი ოჯახის თეორიის განვითარებაში 22
- სტრუქტურალიზმ-ფუნქციონალიზმი ……. 24
- სოციალური კონფლიქტების თეორია ……. 24

1.2.2. ფუნქციონალური მიდგომა …… 25

- სტრუქტურალისტურ-ფუნქციონალისტური თეორია 25
- სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორია ……..... 26
- სოციალური გაცვლის თეორია 28
- სისტემური თეორია 32
- კონტექსტუალური გავლენა და კულტურული თეორიები 34

1.3. ოჯახის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში .....

- უძველესი ოჯახის თავისებურებანი ……. 34
- შუასაუკუნეების ოჯახი …… . 42
- ოჯახი რენესანსის პერიოდში ……... 44

➢ ქრისტიანობის ზეგავლენა ქართულ ოჯახზე ……... 44
➢ საბჭოთა ოჯახი …… 50
თავი II: ოჯახის განვითარების დემოგრაფიული ასპექტები საქართველოში 54
2.1. დემოგრაფიული ტრანზიცია 54
➢ დემოგრაფიული ტრანზიციის I ფაზა 56
➢ დემოგრაფიული ტრანზიციის II ფაზა 64
➢ დემოგრაფიული ტრანზიციის III ფაზა 71
➢ დემოგრაფიული ტრანზიციის IV ფაზა 82
თავი III: ოჯახის განვითარების სოციალურ - ფსიქოლოგიური ასპექტები საქართველოში ……..... 97
3.1 გენდერული ურთიერთობები ოჯახში 97
3.1.1. ოჯახთან დაკავშირებული ღირებულებები, წარმოდგენები და დამოკიდებულებები ……... 103
3.1.2. ოჯახის შექმნის თავისებურებანი ……. 108
3.1.3. როგორ შეიცვალა ქალის როლი ოჯახსა და საზოგადოებაში …… 111
3.1.4. რელიგიური და ეთნიკური იდენტობის როლი ოჯახის შექმნის პროცესში ……. 114
3.2. ოჯახის ფსიქოლოგია 115
3.2.1 ოჯახი და ემოცია 116
➢ სტრესი, დაძაბულობა და ქორწინებითი ტრანზიცია 117
➢ ოჯახი და სოციალური გარემო 123
➢ განქორწინების და მეორედ ქორწინების ფსიქოლოგიური დახასიათება 126
➢ ოჯახი და დეპრესია 128
➢ ოჯახი, მიგრაცია და დეპრესია 130
თავი IV: ცვლილებები საქართველოს ეკონომიკურ სისტემასა და ოჯახში 134
➢ მაკროეკონომიკური მიმოხილვა 135
➢ სიღარიბე 137
➢ შრომის ბაზრის განვითარების თავისებურებანი 141

➢ შრომის ბაზრის გენდერული უთანასწორობა 147
➢ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება 151
➢ საგარეო მიგრაციის შედეგები 152
თავი V: ოჯახის განვითარების რეგიონული თავისებურებანი და ძირითადი ასპექტები (ემპირიული კვლევის მასალების საფუძველზე) 161
5.1. კვლევის მეთოდოლოგია 161
5.1.1. შერჩევის მახასიათებლები 162
5.1.2. კვლევის ინსტრუმენტი 164
5.2. კვლევის შედეგები 167
5.3. რეგიონალური თავისებურებანი 183
თავი VI: რეკომენდაციები ოჯახის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარებისათვის საქართველოში ……..... 211

დასკვნა 215
გამოყენებული ლიტერატურა 218
დანართები:

შესავალი

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ოჯახის, როგორც საზოგადოების მცირე სოციალური ერთეულის შესწავლა, მეცნიერების მრავალი დარგის ყურადღების საგანი გახდა. ეს იმით აიხსნება, რომ საზოგადოებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროცესი და ცვლილება ოჯახში პოულობს ასახვას.

ოჯახში სრულიად სხვადასხვა არხებით, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, თავს იყრის და ერთიანდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითადი ასპექტი - სამართლებრივი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური, სოციალური თუ ბიოლოგიური, პროფესიული თუ აღმზრდელობითი, ზნეობრივი თუ ეთიკური, კოლექტიური თუ ინდივიდუალური, ფსიქოლოგიური თუ იდეოლოგიური და ა.შ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გარემოებები ოჯახზე ზემოქმედებენ არა ცალ-ცალკე და დამოუკიდებლად, არამედ კომპლექსურად, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ოჯახს, როგორც საზოგადოების ქვესისტემას, სოციალურ ინსტიტუტს, მის ცვლილებებსა და განვითარებას.

1994 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) მიერ პირველად აღინიშნა ოჯახის საერთაშორისო წელი. ათი წლის შემდეგ, 2004-ში კი შედგა ამ თარიღის საიუბილეო აღნიშვნა. ამგვარი შეხვედრების და ღონისძიებების ძირითად მიზანს შეადგენდა ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედებების და აქტივობების გაძლიერება; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ოჯახის მრავალსახეობა და მისი აუცილებლობა, ოჯახის შიგნით გენდერული უთანასწორობის არსებობა და მისი აღმოფხვრის საშუალებები.

საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებიც გლობალურ სივრცეში მიმდინარე პროცესებში ჩაერთო დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის გარდაქმნებით.

ამ დინამიურმა ცვლილებებმა საქართველოს ოჯახებზე პირდაპირი ასახვა ჰპოვა. ეს პროცესები ქართველ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოექცა და მათი ანალიზის საგანი გახდა. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოს ოჯახის განვითარების

მრავალი ასპექტია შესწავლილი, ძირითადად, ისტორიკოსების (ი. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. ანთაძე, ვ. გამრეკელი, ნ. ბერძენიშვილი), ეთნოგრაფების (ნ. აბაზაძე, ვ. ითონიშვილი, თ.იველაშვილი, ვ. ბარდაველიძე, თ. აჩუგბა), გეოგრაფების (ვ. ჯაოშვილი, ვ. გუჯაბიძე, ვ. ნეიძე, რ. გაჩეჩილაძე, ფ. ზურიკაშვილი), დემოგრაფების (პ. გუგუშვილი, მ. ბექაია, ა. სულაბერიძე, გ. წულაძე, ა. თოთაძე, ი. ბადურაშვილი, ზ. გოქაძე, ა. ლეჟავა, გ. მელაძე), სოციოლოგების (ი. კაჭკაჭიშვილი, ნ. დურგლიშვილი), ფსიქოლოგების (ნ. სუმბაძე, ე. ფირცხალავა) ნაშრომებში.

სამწუხაროდ, საქართველოს ოჯახების სპეციალური, კომპლექსური, საზოგადოებრივ-გეოგრაფიული კვლევა დღემდე არ ჩატარებულა, სადაც გაანალიზებული იქნებოდა ოჯახების განვითარების სივრცობრივ-დროითი თავისებურებანი არა მარტო სოციალური ერთობების (ერი, კლასი, კომუნა და სხვა), არამედ გეოგრაფიული (რეგიონების, მთის, ბარის, ქალაქის, სოფლის და სხვა) ნიშნების მიხედვით. ამ მხრივ წარმოდგენილი ნაშრომი პიონერულ ხასიათს ატარებს და შერჩეული საკვლევი თემის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

- **კვლევის მიზნები და ამოცანები**

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა: პოსტსაბჭოთა საქართველოს ოჯახში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების შესწავლა: ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, ადგილის და როლის განსაზღვრა ქვეყნის რეგიონული განვითარების სტრატეგიებში.

ამ მიზნის მისაღწევად დასახული იქნა შემდეგი ამოცანები: შეგვესწავლა

- ოჯახის დეფინიციის საფუძვლები;
- ოჯახის ფორმირებისა და ისტორიული განვითარების თავისებურებანი;
- ოჯახი, როგორც ინტერდისციპლინარული კვლევის ობიექტი;
- ოჯახის კრიზისი საქართველოში დემოგრაფიული ტრანზიციის თანამედროვე ეტაპზე;
- ოჯახის განვითარების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები;
- ოჯახის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი და მასზე მოქმედი ფაქტორები;

- ოჯახის ემპირიული მასალის მოპოვება და რეგიონული ანალიზი;
- ოჯახის თემაზე არსებული საკანონმდებლო ბაზა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები;
- სათანადო რეკომენდაციების მომზადება ოჯახის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის.

ჩვენი მიზნის მისაღწევად, შევეცადეთ კომპლექსურად შეგვესწავლა და განგვეხილა სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა, გავცნობოდით ქვეყანაში ოჯახის შესახებ არსებულ სახელმწიფო პოლიტიკას.

ჩვენს ერთ-ერთ ძირითად ინტერესს წარმოადგენდა, შეგვესწავლა თუ როგორ ფუნქციონირებს ოჯახი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან მიმართებაში. როგორ შეეგუა ოჯახი დემოკრატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის სიახლეებს, რა გავლენა მოახდინა ამ გარემოებებმა სტატუს-როლურ განაწილებაზე ოჯახის წევრებს შორის, მათ ღირებულებით ორიენტაციაზე, ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის კავშირზე უფრო ფართო სოციალურ სისტემებთან.

კვლევის ობიექტი: პოსტსაბჭოთა საქართველოს ოჯახი

კვლევის საგანი: ოჯახის, როგორც სისტემის შესწავლა და იმ პროცესების და მექანიზმების კვლევა, რითაც ოჯახმა, როგორც სისტემამ განიცადა ცვლილებები საქართველოს რთულ გეოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოში.

- **თემის ინტერდისციპლინურობა**

ოჯახის შესწავლა მეცნიერების მრავალი დარგის კვლევის ინტერესებში შედის.

გეოგრაფები ოჯახების ფუნქციონირებას სწავლობენ, როგორც გეოგრაფიულ, ასევე სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში, მაკრო და მიკრომასშტაბის დონეზე, სივრცისა და დროის ასპექტების გათვალისწინებით.

ისტორიკოსები ფოკუსირდებიან ხალხებზე გარკვეული დროის პერიოდში და გარკვეულ საზოგადოებაში. უფრო ხშირად ისინი ინტერესდებიან მათთვის

საყურადღებო ინდივიდებით და არამთლიანად ოჯახით, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციით (მაგალითად, პრივილეგირებული და გამოჩენილი ადამიანებით), ამ მიდგომას ისტორიკოსები უწოდებენ სოციალურ ისტორიას.

ფსიქოლოგები კი შეისწავლიან ოჯახის წევრებს, ინდივიდებს და არა მთლიანად საზოგადოებას, ან საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს. ისინი სწავლობენ მოტივაციას, აღქმას, ემოციებს, აზროვნებას, განათლებასა და ინდივიდთა განვითარებას; აგრეთვე, ადამიანთა არანორმალურ საქციელს (დევიალურ ქცევას), თუ როგორ ვითარდება და ვრცელდება სხვადასხვა სახის მენტალური დაავადებები, როგორ არიან პიროვნებები დაკავშირებულნი ოჯახებთან და სხვა ადამიანებთან საკუთარი ცხოვრების მანძილზე.

კულტურული ანთროპოლოგები იხილავენ კულტურათაშორის შედარებით სწავლებას, ისინი სწავლობენ საზოგადოებათა ყველა სახეობას და ფოკუსირდებიან კულტურებზე, როლებზე, ღირებულებებზე, კონფლიქტებზე და ძალაუფლებაზე ოჯახსა და საზოგადოებაში.

სოციოლოგია ფოკუსირებულია ჯგუფებზე და ხალხთა დიდ კატეგორიებზე, ის იხილავს სოციალურ მდგომარეობას დროსა და სივრცეში: სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებს, ერებს, საუკუნეებს, თაობებს, საზოგადოების ტიპებს, კულტურებსა და სუბკულტურებს.

ეკონომიკა ეფუძნება ეკონომიკურ სხვაობას, რაოდენობას, საქონლისა და მომსახურების განაწილებას საზოგადოებებში. ოჯახის შესწავლისას, ეკონომიკური მეცნიერების ძირითადი მიზანია ოჯახის ბიუჯეტის, საოჯახო წარმოების და მოხმარების, ოჯახის წევრებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლა.

პოლიტიკური მეცნიერება ფოკუსირებულია ძალაუფლებაზე და პოლიტიკაზე სხვადასხვა საზოგადოებაში, სახელმწიფო სტრუქტურაზე და ფუნქციონირებაზე, პოლიტიკური კურსის მოსამზადებელ პროცედურებზე.

სტატისტიკა და დემოგრაფია შეისწავლის ოჯახის რეპროდუქციულ ფუნქციას, ადგენს ქორწინების, განქორწინების, შობადობის, მოკვდაობის და ა.შ. კოეფიციენტებს, მათ ურთიერთკავშირს და ურთიერთგანპირობებულობას.

მედიცინა ყურადღებას ამახვილებს ქორწინების ფიზიოლოგიურ მხარეზე, სქესობრივი ურთიერთობის საკითხებზე და მათ გავლენაზე ოჯახის წევრთა

ურთიერთობებზე.

პედაგოგიკა სწავლობს ოჯახის როლს ბავშვთა აღზრდაში და მის შემდგომ სოციალიზაციაში, მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, ეძებს ოჯახური აღზრდის ოპტიმალურ გზებს.

ოჯახის ცნობილი მკვლევარი, ამერიკელი სოციოლოგი რუბენ ჰილი[1] (Reuben Hill, 1958) წერდა: „არ არსებობს ფენომენი ისეთი „ნაცნობი", როგორიც ოჯახია... ოჯახის ფენომენი ყურადღების საგანია მსჯელობის ყველა დონეზე, ყოველდღიური ცხოვრების კონკრეტული სიტუაციებით დაწყებული და ოჯახთან, კულტურასთან და საზოგადოებასთან, საქმის მქონე დიდი თეორეტიკოსების მიერ ფორმულირებული, ყველაზე დახვეწილი აბსტრაქციებით დამთავრებული".[2]

ნაშრომში გამოყენებული თეორიები:

ნაშრომის თეორიულ ნაწილში განხილულია შემდეგი თეორიები: (ევოლუციური, მარქსისტული, სტრუქტურალიზმ-ფუნქციონალიზმის, სოციალური კონფლიქტის, სიმბოლური ინტერაქციონიზმის, ასევე სოციალური გაცვლის, სისტემური, კულტურული და სხვა თეორიები, რომელთა მოკლე დახასიათებაც წარმოდგენილია წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში.

- **კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები**

კვლევითი პროექტი განხორციელდა სამ ძირითად ეტაპად: საკაბინეტო კვლევა, რაოდენობრივი კვლევა და თვისებრივი კვლევა. გამოკითხულ იქნა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური პროფილის მქონე 448 რესპონდენტი, მათ შორის 307 ქალი და 141 კაცი 18-დან 76-წლამდე თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონს შორის.

კვლევა ჩატარდა 2009 წლის 2 აგვისტოდან 2013 წლის 25 აგვისტომდე. ჯამში გამოკითხულ იქნა 280 ოჯახი. მათ შორის 67 არაქართული: 35 - აზერბაიჯანული, 8 -

[1] რუბენ ჰილი გახლდათ ერთერთი პირველთაგანი, რომელმაც დაამუშავა ოჯახში სტრესის თეორია. ის ამტკიცებდა, რომ ოჯახში ნებისმიერი სტრესი იწვევს ოჯახში კრიზისს, რომელიც შესაძლოა იყოს ემოციური, ფიზიკური და წევრებს შორის ურთიერთკავშირის დამანგრეველი, ის ასევე ამტკიცებს, რომ სტრესი ხშირად იწვევს ოჯახურ ძალადობას.

[2] Р.Хилл, Семейные решения и общественные мероприятия,Социологический аспект, Динамика изменения положения женщин и семья, Москва, 1972, გვ. 1-2

რუსული, 2 - ქურთული, 3 - ბერძნული, 4 - ოსური, 15 - სომხური. სამიზნე ჯგუფის შერჩევა მოხდა ე.წ. snow ball – ზვავისებური მეთოდით.

მეცნიერული სიახლე:

- მოხდა საქართველოს ოჯახების კომპლექსური გეოგრაფიული შესწავლა;
- ოჯახის შესახებ არსებული ლიტერატურის ანალიზის და საკუთარი კვლევის საფუძველზე დადგინდა საქართველოს ოჯახების შეფასების პარამეტრები (პირველად იქნა შეტანილი გენდერული და სხვა ფსიქო-სოციალური პარამეტრები);
- შეიქმნა ოჯახების კლასიფიკაციის სოციალურ-გეოგრაფიული მოდელი;
- შემუშავდა კვლევის კომპლექსური მიდგომის მეთოდოლოგია და შესაბამისი პროცედურები, რომლის მეშვეობითაც პირველად მოხდა საქართველოს ოჯახების კომპლექსური დახასიათება რეგიონული ასპექტების გათვალისწინებით;
- მომზადდა რეკომენდაციები ოჯახის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის.

შრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:

- სამამულო მეცნიერებაში ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ საორიენტაციო, კომპლექსურ სოციალურ-გეოგრაფიულ გამოკვლევას, რომელიც მკითხველს აცნობს ემპირიული კვლევის შედეგებს და სპეციალიზირებულ ბიბლიოგრაფიულ მასალას;
- თეორიული თვალსაზრისით ნაშრომის ღირსებას წარმოადგენს ფემილისტიკაში არსებული თეორიებისა და კვლევების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული ოჯახის შესწავლის კონცეპტუალური (კომპლექსური, სოციალურ-გეოგრაფიული) მოდელი;
- ნაშრომში გაანალიზებული თეორიული და მეთოდოლოგიური მასალა შეიძლება გამოყენებული იქნას სასწავლო პროცესში;
- ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევარებს ოჯახის მსხვილმასშტაბიანი კვლევის პროცესში, როგორც მაკრო, ისე მიკრო სოციალურ დონეზე;
- ნაშრომი დაეხმარება სახელისუფლებო სტრუქტურებს და ექსპერტებს,

როგორც სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის, ასევე ქვეყნის განვითარების ტენდენციების განსაზღვრაში;

- ნაშრომში მოტანილი კვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებული იქნას ქვეყნის მასშტაბით, ადმინისტრაციულ დონეზე, რეგიონული პროგრამების განხორციელებისათვის;
- ნაშრომი შეიძლება გამოყენებული იქნას სახელმძღვანელოდ სამოქალაქო საზოგადოებაში მომუშავე ორგანიზაციების ან პირთა მიერ სპეციალური პროგრამების განხორციელების საქმეში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:

სადისერტაციო ნაშრომი შედგება: შესავლის, ექვსი თავის, დასკვნის, ბიბლიოგრაფიისა და დანართისაგან. ტექსტი წარმოდგენილია 224 ნაბეჭდ გვერდზე. ტექსტს თან ახლავს 3 დანართი, 8 რუკა, 25 ცხრილი, 5 გრაფიკი. გამოყენებული ლიტერატურის სია შეიცავს 103 ნაშრომს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ჰიპოთეზა

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეონომიკური ცხოვრების სიახლეების ფონზე, უმთავრესად პრაგმატული მოსაზრებებით, მოხდა მოსახლეობის "სიტუაციასთან" შეგუება. სავარაუდოა, რომ ამან გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ოჯახურ ურთიერთობებში, თუმცა ოჯახის ტრადიციული სტრუქტურა ძირითადად იგივე დარჩა. დასავლურ-ქართულ სუბკულტურულ რეგიონში ტრადიციულობის უფრო მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება.

თავი I: ოჯახის დეფინიციის თეორიული საფუძვლები და ოჯახის კვლევის ისტორიული მიმოხილვა

ოჯახები გლობალურ და მრავალკულტურულ გარემოებებში წარმოიშობიან და ვითარდებიან, კვეთენ როგორც გეოგრაფიულ, ასევე, კულტურულ და ისტორიულ საზღვრებს. მათი მრავალსახეობა გამოიხატება ოჯახურ სტრუქტურაში, პროცესებში, ისტორიაში, სოციალურ და ბუნებრივ კონტექსტებში.

ოჯახი მნიშვნელოვანია ყველგან. მთელ მსოფლიოში ოჯახებს ახასიათებთ ბევრი მსგავსებები და განიცდიან ცვლილებებს და სირთულეებს, როდესაც ისინი ცდილობენ მოერგონ თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებსა და პირობებს.

მსოფლიოში არსებობს ოჯახების მრავალი სახეობა მათი ქორწინების, ოჯახის შექმნის და ოჯახის შემადგენლობის მიხედვით, რომელიც დამოკიდებულია კულტურულ თავისებურებებზე, რელიგიურ აღმსარებლობაზე, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მთავრობის პოლიტიკაზე და საოჯახო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე.

1.1. ოჯახის განსაზღვრება: სწავლება ოჯახის შესახებ, როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერება

ოჯახს სხვადასხვა მეცნიერება განსხვავებულად განსაზღვრავს, წინ წამოსწევს მისთვის პირველ რიგში საინტერესო საკითხებს. ბევრმა მკვლევარმა და მეცნიერმა სცადა თავისებურად განესაზღვრა ოჯახი, ქვემოთ რამდენიმე მათგანის განსაზღვრებაა მოცემული.

მარქსი და ენგელსი შემდეგნაირად განსაზღვრავენ ოჯახს: “ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად ახლად აწარმოებენ თავიანთ ცხოვრებას, იწყებენ სხვა ადამიანების წარმოებას, გამრავლებას: ეს არის ურთიერთობა ქმარსა და ცოლს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის...“[3]

ოჯახის საბჭოთა სპეციალისტები და სოციოლოგები ა. ხარჩევი და მ. მაცკოვსკი ორ

[3] კ.მარქსი, ფ.ენგელსი - რჩეული ნაწერები, ტომი 1, 1974, გვ. 25

მომენტს გამოყოფენ - *ფაქტოლოგიურს და ლოგიკურს.*[4]

ფაქტოლოგიური განსაზღვრა აფიქსირებს მოსახლეობის ჯგუფებად დანაწილების ემპირიულად შესასწავლ სურათს, რომლის მიხედვითაც ოჯახი წარმოადგენს ერთად, ერთჭერქვეშ მცხოვრებ პირთა გაერთიანებას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ნათესაობით და აქვთ საერთო ბიუჯეტი.

ლოგიკური განსაზღვრის შემთხვევაში ოჯახის ბირთვად იგულისხმება საქორწინო წყვილი. იმისდამიხედვით, თუ რამდენი საქორწინო წყვილი ცხოვრობს ერთად, ოჯახს ყოფენ პატარა, მარტივ, ანუ ბირთვულ, ნუკლეარულ ოჯახებად (მხოლოდ მშობლები და შვილები) და განუყოფელ, ანუ რთულ, დიდ ოჯახებად (მშობლები და მათი დაოჯახებული შვილები).

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მარტო ოჯახის წევრთა რაოდენობა და ბიუჯეტის ერთიანობა, არამედ ურთიერთობა ცოლსა და ქმარს, დედასა და შვილებს, მამასა და შვილებს შორის. ა. ხარჩევი და მ. მაცკოვსკი, ამავდროულად, აღნიშნავდნენ: „მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის შექმნის ფაქტორად სოციალური ნორმა გვევლინება, მის უკან ყოველთვის დგას საზოგადოების ობიექტური მოთხოვნების გარკვეული ერთობლიობა“.[5]

ნ. სოლოვიოვი შემდეგნაირად განსაზღვრავდა საბჭოთა ოჯახს: „ესაა სოციალისტური საზოგადოების მცირე სოციალური ჯგუფი (უჯრედი, ერთეული), პირადი ყოფაცხოვრების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომელიც დამყარებულია ნებაყოფლობით და თანასწორუფლებიან საქორწინო კავშირზე და ნათესაურ ურთიერთობაზე, ე.ი. ერთად მაცხოვრებელი და საერთო ბიუჯეტით გაერთიანებული ქმრისა და ცოლის, მშობლებისა და შვილების, დებისა და ძმების ურთიერთობებზე; იგი უზრუნველყოფს მისი სოციალურ-ბიოლოგიური და კულტურული ფუნქციების განხორციელებას: მოდგმის კვლავწარმოებას, სამეურნეო-მომხმარებლურს და ზნეობრივ-აღმზრდელობითს; მისი ყოფიერება ხასიათდება, როგორც მატერიალური, ასევე სულიერი პროცესებით. პირველს მიეკუთვნებიან: სოციალურ-ბიოლოგიური და სამეურნეო-მომხმარებლური ურთიერთობანი; მეორეს-

---

[4] А.Г.Харчев, М.С. Мацковский, Современная семья и ее проблемы, Москва, 1979, გვ. 24-25

[5] А.Г.Харчев, М.С. Мацковский, Современная семья и ее проблемы, Москва, 1979, გვ. 24-25

უფლებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფსიქოლოგიური“.[6]

საბჭოთა ოჯახის მკვლევარი ზ. იანკოვა შემდეგნაირად განსაზღვრავდა ოჯახს: „საბჭოთა, ისევე, როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნების სოციოლოგთა მიერ, ოჯახი განიხილება: ჯერ ერთი, როგორც საზოგადოების სპეციფიური ქვესისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია პირველ რიგში საზოგადოების სხვა ქვესისტემებთან კავშირი და მხოლოდ შემდეგ გარკვეული ავტონომიურობა და თვითკმაყოფილება, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას მასში განსაკუთრებული ქვესისტემა დავინახოთ; მეორეც, როგორც ერთ-ერთი ძირითადი სოციალური უჯრედი, რადგან იგი უნივერსალურია და უშუალოდ მონაწილეობს საზოგადოების ბიოლოგიურ და სოციალურ კვლავწარმოებაში; მესამეც, როგორც მცირე სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფი, რომლის წევრები დაკავშირებული არიან პიროვნული ურთიერთობებით, და ამასთანავე, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტი, რომელსაც კანონები, სოციალური ნორმები, ტრადიციები მართავს“.[7]

ქართველი სოციოლოგი გ. ლოგუა შემდეგნაირად განსაზღვრავს ოჯახს - „ტერმინი „ოჯახი“ გამოხატავს ადამიანთა ჯგუფის, კოლექტივის ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც ემყარება ქორწინებასა და ნათესაობას; უფრო ვიწრო მნიშვნელობით კი ამ ცნებით აღინიშნება მხოლოდ მეუღლეობრივი“ წყვილი და მათი შვილები“.[8]

1990-იან წლებში ლონდონში გამოცემული სოციოლოგიის სახელმძღვანელო გვამცნობს, რომ ოჯახი არის დაქორწინებული მეუღლეები შვილებით თუ უშვილოდ, ან მარტოხელა მშობელი შვილით.

ზემოთ მოყვანილ განმარტებებში სჭარბობს ყოფით-აღწერილობითი ელფერი. მ. ბექაიას აზრით, ოჯახის განმარტებაში სასურველია ჩანდეს მისი არა მარტო შემადგენლობითი აღწერილობა და წევრთა ურთიერთობის ხასიათი, არამედ მისი არსისა და არსებობის ძირითადი საფუძვლებიცა და კავშირიც საზოგადოებასთან.

მ. ბექაიას განმარტებით: ოჯახი არის ქორწინებით თუ ნათესაურ ურთიერთობაში

---

[6] Н.Соловьев, Об определении понятия современной советской семьи, Проблема семьи, Тарту, 1972, გვ. 47

[7] А.Янкова, Городская семья, Москва, 1979, გვ. 20

[8] გ. ლოგუა - ოჯახის სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის საკითხებისათვის. კრებულში - სოციოლოგიური გამოკვლევები, II, თბილისი, 1976, გვ. 226

მყოფი პიროვნებებისაგან შემდგარი, ისტორიულად განსაზღვრული ორგანიზაციის მქონე მცირე ჯგუფი, რომლის თავდაპირველი შექმნა და შემდგომი არსებობა განპირობებულია მთელი საზოგადოებისა და ცალკეული პიროვნებების ფსიქო-ბიო-სოციალური მოთხოვნილებების განუყოფელი ერთიანობის ძალით. ასეთ განმარტებაში, მათი აზრით, ასახულია ოჯახის არსიც, შემადგენლობაც, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან კავშირიც და მომავლის პერსპექტივაც.[9]

ოჯახის ერთ-ერთი განსაზღვრება, რომელიც ანთროპოლოგებს ათწლეულების მანძილზე ემსახურებოდა, მარდოკს (Murdock, 1949: 2) ეკუთვნის და ის შემდეგი სახისაა: "ოჯახი წარმოადგენს სოციალურ ჯგუფს, რომელსაც გააჩნია საერთო საცხოვრებელი და ახასიათებს ეკონომიკური ურთიერთგაცვლა და რეპროდუქციულობა. ის შეიცავს ორივე სქესის უფროსს, რომელთა შორის, ორს მაინც სოციალურად ნებადართული სექსუალური ურთიერთობა აკავშირებს და ერთ, ან მეტ ბავშვს; ნაშვილებს, ან საკუთარს, რომლებიც უფროსებთან ერთად ცხოვრობენ".

სოციოლოგებისათვის ოჯახი არის ადგილი, სადაც ინდივიდუალური ქცევა საზოგადოებრივ ნორმებს და სტრუქტურებს უკავშირდება, მას ხშირად უწოდებენ საზოგადოების ძირითად ბირთვს (ბირთვულ უჯრედს). სოციოლოგიური კუთხით მკვლევარები დაინტერესებულნი არიან, თუ რამდენად ინარჩუნებს ან იცვლება ოჯახში საზოგადოებრივი ნორმები, წესები, როგორ ხორციელდება მათი მიღება და როგორ ფუნქციონირებს (N. Berardo, 1973; N. Bell &E. Vogel, 1968).

ზემოთ მოცემულ განსაზღვრებებზე დაყრდნობით ერთხმად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ოჯახი ადამიანთა ერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფორმაა. ცნობილია, რომ ადამიანებზე და ადამიანთა ერთობებზე გავლენას ახდენს სოციალური გარემო, ოჯახში სრულიად სხვადასხვა არხებით, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, თავს იყრის და ერთიანდება საზოგადოების ცხოვრების ყველა ძირითადი მომენტი – უფლებრივი, ეკონომიკური, სოციალური, პროფესიული, ზნეობრივი და ა.შ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მომენტები ოჯახზე ზემოქმედებენ არა ცალ-ცალკე და დამოუკიდებლად, არამედ კომპლექსურად, რაც

[9] მ. ბექაია, გ. წულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე - ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები, თბილისი, 1996, გვ. 11

მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ოჯახს, როგორც საზოგადოების ქვესისტემას, სოციალურ ინსტიტუტს, მის ცვლილებებსა და განვითარებას.

ოჯახით დაინტერესებული ყველა მეცნიერი ერთხმად აღნიშნავს, რომ ოჯახს საფუძველი ქორწინებით ეყრება. ქორწინება და შობადობა ოჯახის ბიოლოგიურ საწყისებს წარმოადგენენ. ოჯახში ყალიბდება და ხორციელდება მეუღლეების, მშობლებისა და შვილების, და-ძმებისა და სხვათა მრავალმხრივი ურთიერთობა და ურთიერთდამოკიდებულებანი.

ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უჯრედს, მცირე სოციალურ ჯგუფს, რომელშიც წარმოიშობა და ხორციელდება "ოჯახის სხვადასხვა სქესისა და ასაკის წევრთა განსხვავებული და მრავალმხრივი პიროვნული ურთიერთობა, ცალკეული ინდივიდების ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზება, პიროვნების ღირებულებათა ორიენტაციებისა და მოთხოვნების მთელი სისტემის ჩამოყალიბება". [10] ოჯახი აგრეთვე წარმოადგენს შემაკავშირებელ რგოლს, პიროვნებებს შორის დიდ სოციალურ ერთობებს (ერი, კლასი და ა.შ.). მასში ერთიანდება პიროვნებისა და საზოგადოების ცხოვრების სოციალური და ბიოლოგიური, კოლექტიური და ინდივიდუალური საწყისები.

XX საუკუნეში წარმოიშვა ოჯახის კვლევა (family studies), როგორც სოციალური მეცნიერებების ვიწრო ინტერდისციპლინარული სფერო. ოჯახის კვლევის თეორიაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დროის ფილოსოფოსების თეორიები. დასავლეთში მეცნიერები ფართოდ იყენებენ XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფილოსოფოსის - კარლ პოპერის (Karl Popper) მიერ წარმოდგენილ მოდელებს და მის მიერ შემოთავაზებულ ტიპოლოგიას:

- *ცოდნის პოზიტივისტური ხედვა (positivistic view of knowledge) – არსებობს ობიექტური სინამდვილე, პროცესები და რეალობები ოჯახის შესახებ, რომელთა შესწავლაც არის საჭირო;*
- *ცოდნის ინტერპრეტირებული ხედვა (interpretative view of knowledge) – სინამდვილე სუბიექტურია და ყველანაირი არსებული ცოდნა ოჯახის შესახებ მოგროვებულია იმ პირთა მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ ერთმანეთთან*

[10] მ. ბექაია, გ. წულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე - ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები, თბილისი, 1996, გვ. 7-8

დიალოგში;

• ცოდნის კრიტიკული ხედვა (critical view of knowledge) – სინამდვილე, შექმნილია მათ მიერ, ვისაც ძალუძს ცოდნის შეცვლა.[11]

1.2. ოჯახის დეფინიციის თეორიული საფუძვლები

ოჯახის შესახებ თეორიათა დღეს არსებული უმრავლესობა იყენებს სხვა სოციალური მეცნიერებების მიერ დამუშავებულ თეორიებს. ოჯახის შესახებ არსებული თეორიები არ წარმოადგენს იზოლირებულ იდეათა ნაკრებს და, როგორც წესი, ოჯახის თეორეტიკოსები არ იხილავენ ვიწროდ, მხოლოდ იდეებს ოჯახის შესახებ, არამედ, ამასთან ერთად, აუცილებლობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ოჯახის შესახებ თეორიაში სულ მცირე ერთი კონცეპცია მაინც უნდა ეხებოდეს ოჯახს.

დასავლეთში მეცნიერთა თვალსაზრისით - ოჯახი წარმოადგენს სოციალურ ჯგუფს, რომელიც სხვა სოციალური ჯგუფებისგან განსხვავდება შემდეგი თვისებებით:

1. ოჯახები ბევრად უფრო დიდი ხნის მანძილზე არსებობენ, ვიდრე სხვა სოციალური ჯგუფები;

2. ოჯახები თაობათაშორისია

ახალი თაობების შობადობიდან გამომდინარე, ოჯახები მისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, შედგებიან მშობლებისა და შვილებისაგან, ხშირად ბებია-ბაბუებთან და მათ მშობლებთან ერთადაც ცხოვრობენ. ქართული ტრადიციული ოჯახისათვის ხშირად დამახასიათებელია რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრება და ოჯახების ასეთ ტიპს რთულ, გაფართოებულ ოჯახს ვუწოდებთ. ყველა მოზარდს ზრდასრულობის ასაკის მიღწევამდე სჭირდება მოვლა და ზრუნვა, ეს კი მას უფრო მჭიდროდ აკავშირებს ოჯახთან, იქნება ეს ბიოლოგიური მშობელი თუ აღმზრდელი და მომვლელი;

3. ოჯახისათვის დამახასიათებელია ბიოლოგიური და ქორწინებით გამოწვეული (ანუ, იურიდიულად რეგისტრირებული) წევრთა შორის ურთიერთობები.

ოჯახის იურიდიულ მხარეს წარმოადგენს ქორწინება. არსებობენ

[11] White, James M. & Klein, David M. "Family Theories", Understanding Families, London, 2002, p. 7

მატრიმონიალური ტიპის ოჯახები, სადაც ერთი ან მეტი ქორწინებითი კავშირია გაერთიანებული. ტრადიციულ საზოგადოებაში, ხშირად, დავის საგანს წარმოადგენს საკითხი, შეიძლება თუ არა ოჯახის არსებობა ქორწინების გარეშე.

4. ოჯახის ბიოლოგიური დაქორწინებითი ასპექტები მჭიდროდ აკავშირებენ მას უფრო ფართო ნათესაურ კავშირთან.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ოჯახი არ წარმოადგენს მხოლოდ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ინდივიდთა პატარა ჯგუფს, რომლის წევრებიც ერთად ცხოვრობენ ან ხშირად აქვთ ურთიერთობა ერთმანეთთან. ოჯახი უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს მათ, ვინც კი სისხლით, ქორწინებით ან შვილად აყვანის შედეგად არის დაკავშირებული ამა თუ იმ ოჯახთან. ნათესაური კავშირი ხშირად დიდ კლანსაც კი წარმოადგენს და ოჯახის ისტორიის, მისი ტრადიციების შემნახველია. ბევრ საზოგადოებაში ნათესაური კავშირები გამოხატავენ სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ლანდშაფტისათვის დამახასიათებელ მთავარ თვისებებს. სამსახურეობრივი და სამეგობრო კავშირები, როგორც წესი, მოკლევადიანია და სივრცობრივად შეზღუდული.

1993 წელს დოუერთიმ (Doherty, 1993) გამოყო 9 ძირითადი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ოჯახის შესახებ თეორიების განვითარებაზე:[12]

1. ფემინისტური და ეთნიკური უმცირესობების შესახებ არსებული თეორიების ზეგავლენა;

2. ოჯახის ფორმების სახეცვლილება;

3. ფართოპროფესიული მულტიდისციპლინარული ტენდენცია;

4. თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების მრავალფეროვნება;

5. ენის მნიშვნელობა;

6. კონსტრუქციული და კონტექსტუალური მიდგომების სიმრავლე;

7. მზარდი ინტერესი ეთიკის, ღირებულებებისა და რელიგიის მიმართ;

8. ოჯახის ცხოვრების პირად და საზოგადოებრივ სფეროებს შორის არსებული დიხოტომიის ნგრევა და ოჯახის ფართო ინტერვენცია სოციალურ მეცნიერებებში;

9. ოჯახის შესახებ თეორიის კონტექსტუალური შეზღუდვა და კვლევის სფეროს

[12] "Sourcebook of Family Theories and Methods", edited by Pauline G. Boss, William J. Doherty, Ralph LaRossa, Walter R. Schumm, Suzanne K. Steinmetz, 1993

გაფართოება ოჯახით დაინტერესებულ მეცნიერებათა მიერ.[13]

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ არ არსებობს რაიმე კონკრეტული საკითხის მიმართ ერთიანი აზრი მეცნიერებებს შორის. ამიტომაც, მართებულად მიგვაჩნია ქვემოთ განვიხილოთ სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელ მეცნიერთა მიერ ოჯახის შესახებ დამუშავებული და შემოთავაზებული სხვადასხვა თეორია და ოჯახის კვლევის ძირითადი მიდგომები.

ოჯახის სწავლების სფერო ძალიან სწრაფად იცვლება. წინა საუკუნეში 50 წელზე მეტი დასჭირდა, რომ დაგროვილიყო საკმარისი მასალა ოჯახსა და ოჯახურ ურთიერთობებზე. შეიქმნა მრავალი ნაშრომი ოჯახის სტრუქტურისა და მათი მზარდი კონფიგურაციის ნაირფეროვნების და ოჯახის წევრებს შორის რთული ურთიერთობებისა და მათი ცვალებადობის შესახებ, ასევე შესწავლილ იქნა ამ ურთიერთობების წარმოშობის გზები, მათ მიერ გამოწვეული შედეგები, და ოჯახურ ურთიერთობებში ნაირფეროვნების გამომწვევი პირობები.

ვერნ ბენგსტონი (Vern L. Bengston) წერს: "შეხედე საგანს ერთ ობიექტივში, დაინახავ ერთ რამეს; შეხედე იმავე საგანს მეორე ობიექტივში, დაინახავ სრულიად განსხვავებულს". ჩვენც გვრწამს, რომ "ოჯახის სწავლებაც არის მრავალპარადიგმული სფერო, რომელიც მოქმედებს მრავალი სხვადასხვა პარადიგმით და ყველა ერთდროულად იცვლება. საჭიროა მრავალი ობიექტივი, რომ დანახული იქნას ოჯახური პროცესების სირთულე და ნაირფეროვნება".[14]

დღესდღეობით არ არსებობს ერთიანი "პარადიგმა" ოჯახის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვდგავართ მრავალი თეორიული პერსპექტივის და უფრო მეტიც, მეთოდოლოგიური სტრატეგიისა და ტექნოლოგიის წინაშე.

გერმანელი სოციოლოგის - ულრიჰ ბეკის თანახმად (Ulrich Beck, 1992), "ინდივიდუალიზაციის" განვითარებამ გამოიწვია ოჯახისა და ოჯახური როლების შეცვლა.

1950 წლამდე ადგილი ჰქონდა ოჯახის თეორიების განვითარების სისტემურ

---

[13] "Family theories and methods: A contextual approach", edited by Doherty, W., Boss, P., LaRossa, R., Schumam, W., & Steinmetz, S., New York, 1993, pp. 15-16

[14] "Sourcebook of Family Theory & Research", edited by Vern L. Bengtson, Alan C. Acock, Katherine R. Allen, Peggy Dilworth-Anderson, David M. Klein, 2005, p. 5

მცდელობებს, თეორიათა უმრავლესობა წარმოადგენდა სხვა დისციპლინებიდან ნასესხები იდეების პირდაპირ გამოყენებას.

XX საუკუნის პირველ ნახევარში, მეცნიერებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს კვლევის მონაცემთა ბაზის შექნას, როგორც პრაქტიკული, ასევე მეცნიერული მიზნებისათვის[15] (Hill, 1980). ჰილის "კონცეპტუალური ჩარჩოების" მოდელი 1950-იანი წლებიდან იქცა მთავარ ნაშრომად სპეციალურ ლიტერატურაში და დიდი გავლენა იქონია შემგომი ორი ათწლეულის განმავლობაში.

დაახლოებით 1980-იანი წლებიდან, ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ოჯახის კვლევის ინტელექტუალურ სფეროში. ოჯახის კვლევის (family studies), როგორც მეცნიერების და ცალკეული დისციპლინის განვითარებამ და, ამავდროულად, ოჯახის ფსიქოლოგიის, როგორც სპეციალობის წარმოშობამ შემოიტანა ახალი აქტუალური პერსპექტივები. ახალმა მიმართულებებმა (მაგ. ფემინიზმმა და პოსტმოდერნიზმმა), ოჯახის მიმართ განსხვავებულ თვალსაზრისთა ეკლეკტიკურმა კომბინაციებმა სხვადასხვა დისციპლინაში (მაგ. ისტორია და ბიოლოგია) და მეცნიერთა შორის გაზრდილმა ინტერესმა ერთობლივად გაამდიდრა ოჯახის შესახებ მეცნიერული აზროვნება.

კლეინი და ვაითი (D. M. Klein & J.M. White, 1996) ამტკიცებდნენ, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს თითოეულ თეორიულ ტრადიციაში წარმოშობილ ისტორიულ ცვლილებებს.

სტივენ პეპერის (Stephen Pepper) მიერ წარმოდგენილი მსოფლიო ჰიპოთეზის მოდელი ნათელს ჰფენს და ხაზს უსვამს ოჯახის შესახებ არსებული თეორიების მნიშვნელობას. ეს მოდელი ეხმარება მეცნიერებს, პედაგოგ-მასწავლებლებსა და პრაქტიკოსებს, რათა: ა) დარწმუნდნენ ოჯახის შესახებ თეორიების მნიშვნელობაში; ბ) იპოვონ მსგავსებები ოჯახის შესახებ სხვადასხვა თეორიაში; გ) განსაზღვრონ რომელი თეორიის შეერთება არის შესაძლებელი (ეკლეკტიციზმი). ზემოთ მოცემული კარლ პოპერის მოდელები საშუალებას გვაძლევს გავაკრიტიკოთ ოჯახის შესახებ არსებული სხვადასხვა თეორია.

ამერიკელი ფილოსოფოსი - სტივენ პეპერი (Stephen Pepper) გამოყოფს ოთხ მეტად

[15] Hill, R., The status of children, youth, and families, Washington, DC, 1980

მნიშვნელოვან ჰიპოთეზას – ფორმიზმი (formism), მექანიზმი (mechanism), ორგანიციზმი (organicism) და კონტექსტუალიზმი (contextualism) – თითოეულ მათგანს ის თავისი ძირითადი მეტაფორით წარმოადგენს.

- ფორმიზმი პასუხობს კითხვაზე „რისი მსგავსია?“ და მისი ძირითადი მეტაფორა წარმოადგენს მსგავსებას ან მსგავს ტიპს. სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებულ კლასიფიცირების ტიპოლოგიებს (მაგ. მშობლის ტიპი) ისევე, როგორც სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს, აქვს საკუთარი საწყისები ფორმიზმში.
- მექანიზმი პასუხობს კითხვაზე: „როგორ მუშაობს ეს?“ და მისი ძირითადი მეტაფორა წარმოადგენს მანქანა-დანადგარს. თეორიული სწავლება კი წარმოადგენს მექანიზმური თეორიის ნიმუშს [16] (Reese & Overton, 1970); გაცვლითი თეორიაც მექანიზმზეა დაფუძნებული.
- ორგანიციზმი პასუხობს შემდეგ კითხვაზე: „როგორ ვითარდება ეს?“ და მისი ძირითადი მეტაფორა არის ორგანიზმი (Pepper, 1970). მაგალითს წარმოადგენს ერიქსონის (Erickson) ფსიქო-სოციალური განვითარების თეორია (Reese & Overton, 1970). ოჯახის განვითარება და ოჯახურ სისტემათა თეორიები, აგრეთვე, დაფუძნებულია ორგანიციზმზე.
- კონტექსტუალიზმი პასუხობს შემდეგ კითხვაზე: “როგორ ხდება ეს?” და მისი ძირითადი მეტაფორა არის ისტორიული მოვლენა (Pepper, 1942/1970). მაგალითს წარმოადგენს „ბრონფენბრენერის ეკოლოგიური თეორია“ [17] (Bronfenbrenner's ecological theory) (Reese, 1991); სიმბოლური ურთიერთდამოკიდებულება და ფემინისტური თეორიები, აგრეთვე, დამყარებულია კონტექსტუალიზმზე.

პეპერმა (Pepper, 1942/1970) დასვა კითხვა: “რატომ არ შეიძლება გავაერთიანოთ მოცემული კონტექსტუალიზმი და ორგანიციზმი ერთ საერთო თეორიაში?”[18]. მანვე დაასკვნა, რომ მსოფლიოში არსებულ ჰიპოთეზებს აქვთ განსხვავებული ძირითადი მეტაფორები და, ამიტომ მათი გაერთიანება ლოგიკურად მიუღებელია. პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, ის ასევე ნაკლებად იყო დაინტერესებული თეორიათა

[16] Reese, H. W., & Overton, W. F. Models of development and theories of development, Life –span development psychology, New York, 1970

[17] Reese, H.W., Contextualism and developmental psychology. Advances in Child Development and Behaviour, 1991, 23, pp.187-230

[18] Pepper, S.C., World hypothesis: A study in evidence, Berkeley: University of California Press, 1970, p.147

გაერთიანებით, ანუ კომბინირებით, და, ამავდროულად, არ გახლდათ ეკლეკტიციზმის დიდი მომხრე. პეპერი ამტკიცებდა, რომ პრაქტიკოსები, რომლებიც ირჩევენ სხვადასხვა თეორიათა განსხვავებული ასპექტების გაერთიანების გზას, უნდა გაიგონ თეორიული ეკლეკტიციზმის ლოგიკური არსი; მინიმალურ დონეზე მაინც უნდა ჰქონდეთ ცოდნა ეკლეკტიციზმის არსის შესახებ.[19]

კვლევის დროს თეორიის გამოყენების ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით, შევძლოთ შესასწავლი ფენომენის ადეკვატური ახსნა. თუ თეორია ადეკვატურად გვეჩვენება, მაშინ ის პირობითად გამართლებულია.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია "ოჯახის" ადგილის განსაზღვრა ამა თუ იმ თეორიის გამოყენების პროცესში. ოჯახის მარტივი განმარტება არასაკმარისია თეორიული კონცეფციის განვითარებისათვის, გამოკვლეული უნდა იქნას რა ადგილი ეკუთვნის არგუმენტაციაში ოჯახურ-შთამომავლობით კონცეფციებსა და ცვალებადობას.

მეცნიერთა უმრავლესობა ოჯახში მჭიდრო კავშირებს ხედავს უფროსებს შორის და მას მიიჩნევს შთამომავლობითად. სხვებს კი სწამთ, რომ ნათესაური კავშირი უნდა მოიცავდეს ორ თაობას მაინც (მშობელი და შვილი), რომ ჩაითვალოს ოჯახად.

მეორე პირობა იმისა, თუ სად მოვათავსოთ "ოჯახი" ოჯახურ თეორიაში, დამოკიდებულია, თუ რამდენად იძლევა მთლიან განმარტებას ან ნაწილობრივ წარმოდგენას ოჯახისათვის დამახასიათებელი თვისებები ან ცვლილებები. ჩვენ ხშირად ვდავობთ იმაზე, რომ მშობლისა და შვილის ჯანსაღი ურთიერთობა გავლენას ახდენს ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე. ამ შემთხვევაში, ეს წარმოადგენს პიროვნებისათვის დამახასიათებელ თვისებას და არა ოჯახისას. რადგან, ჩვეულებრივ, ცდების ჩატარება ადამიანურ ურთიერთობებზე არაეთიკურია და რთულია გამოიტანო დამაჯერებელი არგუმენტი ოჯახური ცვლილებების გამომწვევ მიზეზებზე, ამიტომ ზოგიერთი მეცნიერი ოჯახის თეორიული შესწავლისას, შეგნებულად გაურბის მიზნობრივ დასაბუთებას.

---

[19] Pepper, S.C., World hypothesis: A study in evidence, Berkeley: University of California Press, 1970, p.147

თეორიები, რომლებიც მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს დროსა და სივრცეზე დაყრდნობით, წარმოადგენენ **მაკროთეორიებს**. თეორიები, რომლებიც ფოკუსირებულია უფრო სპეციფიურ დროსა და ადგილზე, წარმოადგენენ **მიკროთეორიებს**. თეორიათა ორივე სახეობა ფრიად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი იმ მეცნიერებებისათვის, რომლებიც ოჯახის მომავლის საკითხებს სწავლობენ მაკრო - და მიკროთეორიების შერწყმით უფრო მრავალმხრივ და ყოვლისმომცველ ჩარჩოში.

ოჯახის სტრუქტურას მეცნიერები შეისწავლიან მისი ცალკეული ელემენტების, სტატუსის, შიდა და გარე ურთიერთობების ორგანიზაციული ფორმების, ადგილმდებარეობისა და დროის გარკვეული მონაკვეთის მიხედვით.

ზოგიერთი თეორეტიკოსისათვის, სტრუქტურის არსი გამოიხატება ოჯახების ადგილმდებარეობაზე საკუთარი გარემოს ფარგლებში, როგორიცაა, მაგალითად, სოციალური კლასი.

აღსანიშნავია ნაშრომები, სადაც ოჯახის თეორეტიკოსები აანალიზებენ პროცესს, რომელიც გამოხატავს, თუ როგორ ახდენენ გავლენას ოჯახის წევრები ერთმანეთზე, ოჯახის სტრუქტურაზე გარკვეული დროის განმავლობაში. პროცესული თეორიის მიხედვით თვითონ სტრუქტურაც გარკვეულ გავლენას ახდენს ოჯახის შიგნით მიმდინარე პროცესებზე.

თეორია შესაძლოა ფოკუსირებული იყოს იმაზე, თუ როგორ ახდენენ გავლენას ერთი მეორეზე ოჯახის წევრები, რათა შეცვალონ მანამდე არსებული სტრუქტურები. ზოგი თეორეტიკოსი სტრუქტურას კულტურიდან განზოგადებულად იხილავს. თუ სტრუქტურა მიმართულია ურთიერთობების ორგანიზებული მაგალითისაკენ, მაშინ კულტურა მიმართულია რწმენის გაყოფილი ნაწილებისაკენ, ფასეულობებისაკენ, უპირატესობისაკენ და დამოკიდებულებისაკენ.

როდესაც თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ სტრუქტურა მოქმედებს კულტურაზე, ან პირიქით, ისინი აწყდებიან წინააღმდეგობას, თუ როგორ მოქმედებს სტრუქტურა და კულტურა უფრო რთულ გარემოებებში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არსებობს ოჯახის შესწავლის რამდენიმე მიდგომა. მათ შორისაა:

1.2.1. სოციოლოგიური მიდგომა

სოციოლოგიური მიდგომა ოჯახს განიხილავს, როგორც როლებით და წესებით განსაზღვრულ სოციალურ ინსტიტუტს (Cherlin, 1999). ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ XIX საუკუნის ოჯახის სოციოლოგიურ თეორიებს:

საზოგადოებისათვის ოჯახის როლის მეცნიერული ანალიზი საფრანგეთში, XIX საუკუნეში, ახალი სოციოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებასთან ერთად დაიწყო. ოგიუსტ კონტი, რომელიც სოციოლოგიის მამადაა მიჩნეული, ოჯახის სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებას აანალიზებდა "სოციალური ცვლილების" კონტექსტში, რომელიც კონცეფციის სახით ჩამოყალიბდა შემდგომი პერიოდის და XIX საუკუნის ოჯახის სოციოლოგიაში. ის ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი სოციალური ცვლილება ოჯახზე გავლენას ახდენს ოჯახის კრიზისისა და ოჯახის დეზინტეგრაციის სახით. ეს კი იწვევს ტრადიციული გაფართოებული ოჯახის, როგორც ერთიანი სისტემის, წონასწორობის დარღვევას და წარმოადგენს ოჯახის სოციოლოგიის აქტუალურ საკითხს. კონტი იყო კერძო საკუთრების და ქონების შთამომავლობით გადაცემის მომხრე. ამასთან ერთად, საკუთრებას აქვს სოციალური ბუნება. ის ამტკიცებდა, რომ ოჯახი, რომელსაც გააჩნია საკუთრება, პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე ოჯახის განგების საკითხში. ოჯახი ორგანულად არის დაკავშირებული სოციალური ცხოვრების ყველა სფეროსთან. მისთვის ოჯახი წარმოადგენდა ძირითად სოციალურ ელემენტს, რომლის საფუძველზეც შენდება საზოგადოება. ოჯახი ჩაბმულია სოციალური დინამიკის სისტემაში, რადგან ის განიცდის ცვლილებებსა და განვითარებას. კაცობრიობის ფუნდამენტურ კანონს წარმოადგენს თაობათა ცვლა.

- **ევოლუციური თეორია**

დარვინის ევოლუციურმა თეორიამ ძლიერი გავლენა მოახდინა მეცხრამეტე საუკუნის აზროვნებაზე. გარემოსთან ბიოლოგიური ადაპტაციის იდეა ასევე შეეხო ოჯახის, როგორც სოციალური ორგანიზმის სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის ამხსნელ თეორიებს. მორგანი (Morgan, L., 1870) მიჩნეულ იქნა ევოლუციური ანთროპოლოგიისა და ოჯახის ექვსი სტადიის მიხედვით განვითარების ამხსნელი

თეორიის ფუძემდებლად. პირველ საფეხურს წარმოადგენს ეტაპი, რომლის განმავლობაშიც პრომისკვიტეტი ნორმადაა მიჩნეული, მამობის მოპოვება ამ ეტაპზე რთული იყო, ამიტომ ოჯახი მატრიარქალური იყო (Popenoe, 1988), ხოლო ბოლო ეტაპს მონოგამური ოჯახი წარმოადგენდა. (ე. ფირცხალავა, 2008: 13) მორგანი გახლდათ ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც გამოიყენა ტრადიციული ისტორიული ტექნოლოგიები პურიტანული ოჯახის სრული შესწავლისათვის. მან მეცნიერულად დაასაბუთა პირველყოფილი საზოგადოების უნივერსალური ინსტიტუტის - გვარისა და მისი ორი სტადიის: დედის უფლებით ორგანიზებული გვაროვნული საზოგადოების - მატრიარქატის და მისი მომდევნო: მამის უფლებით ორგანიზებული გვარის - პატრიარქატის თანმიმედვრული არსებობა.[20] ოჯახისა და ქორწინების კვლევას მორგანმა საფუძვლად დაუდო ნათესაობის სისტემები, რომელთა ანალიზმა იგი მიიყვანა ოჯახის განვითარების ისტორიის კონკრეტული საფეხურების დადგენამდე. მისი დებულებით, ოჯახმა გაიარა განვითარების ხუთი საფეხური: სისხლმონათესავე ოჯახი, პუნალუა, წყვილადი, პატრიარქალური და მონოგამური საოჯახო ფორმები.

დარვინიზმის ევოლუციური თეორიის ერთ-ერთი მიმდევარი გახლდათ რობერტ სპენსერი. მან სცადა აეხსნა, თუ როგორ განვითარდა ოჯახი ელემენტარული ფორმებიდან რთულ ფორმებამდე და, რა გზა განვლო, რათა მიეღწია განვითარების დღევანდელ ეტაპამდე.

XX საუკუნეში სოციალური ევოლუციონიზმის იდეები მიუღებელი აღმოჩნდა მრავალი კულტურული ანთროპოლოგისათვის. მათ შორის იყვნენ ფრანც ბოასი (Franz Boas) და მისი სტუდენტები - მერვილე ჰერკოვიცი (Meville Herkovits), რუთ ბენედიქტი (Ruth Benedict) და მარგარეტ მიდი (Margareth Mead), რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ევოლუციურმა თეორიამ არ გაითვლისწინა ოჯახთა ისეთი სახესხვაობანი, რომლებიც სხვადასხვა კულტურული კონტექსტის შედეგს წარმოადგენდა. მათ შეიმუშავეს კონცეფცია, რომელიც კულტურული რელატივიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ კონცეფციის თანახმად, ოჯახი შესწავლილი უნდა იქნას მოცემული კულტურის ფარგლებში. ეს კონცეფცია არ

[20] Г. Л. Морган, Древнее общество М., 1936

ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ზოგიერთი კულტურა უფრო მეტად არის ცივილიზებული, ვიდრე სხვა.

მინდა აღვნიშნო, რომ ჯერ კიდევ ფრანც ბოასამდე, ევოლუციის თეორია გაკრიტიკებული იქნა XIX საუკუნის ბოლოს ვესტერმარკის (Westermarck, 1894-1901) და ჰოუვარდის (Howard, 1904) მიერ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მატრიარქატის ეტაპების არსებობა პრეისტორიული ოჯახის განვითარების აღწერის პროცესში.

ამ პერიოდში ბევრი თეორეტიკოსის მიერ ევოლუციის თეორია მიჩნეული იქნა ქრობად თეორიად. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ევოლუციური თეორია განვითარდა, როგორც ეკოლოგიური ანთროპოლოგია.

- **მარქსის და ენგელსის როლი ოჯახის თეორიის განვითარებაში**

როდესაც საუბარია ოჯახზე და მისი შესწავლის ძირითად თეორიებზე, აუცილებელია აღვნიშნოთ მარქსისა და ენგელსის გავლენა. მარქსისტულმა თეორიამ შემოიტანა ეკონომიკური დეტერმინიზმის კონცეპტი, რომელიც გვაძლევს საშუალებას ავხსათ, როგორ განაპირობებენ ეკონომიკური რესურსები სოციალურ ძალას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს კლასობრივ ბრძოლას.

მარქსისტული თეორია, როგორც სოციალური ცხოვრების თეორია არ ითვალისწინებს სქესის ნიშნით განსხვავებებს, მისთვის ადამიანები არიან მუშები, გლეხები, ან კაპიტალისტები. ის, რომ ისინი, ამავდროულად, არიან კაცები და ქალები, ეს არ წარმოადგენს მნიშვენლოვან საკითხს მარქსის თეორიაში. ამ მხრივ მარქსის თეორია აბსოლუტურად განსხვავებულია ფროიდისა და ლევი სტრაუსის მიერ წარმოდგენილი თეორიებისაგან, სადაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სექსუალობას (sexuality) საზოგადოებაში და კაცსა და ქალს შორის განსხვავებებს სოციალურ გამოცდილებებში.

ენგელსი კი მარქსისგან განსხვავებით თვლიდა, რომ შრომის განაწილება ოჯახში კაცსა და ქალს შორის ხდება მხოლოდ ბავშვის ჩასახვისას; ოჯახის შიგნით კაცია უფროსი, ცოლი მხოლოდ წარმოების საშუალებაა (means of production), ბავშვები კი მუშახელი; ანუ ადამიანის რეპროდუქცია წარმოადგენდა მისთვის მნიშვნელოვან

ეკონომიკურ სისტემას, განსხვავებულს წარმოების საშუალებებისაგან. მაგრამ ქალის ჩაგვრას ის უყურებდა, როგორც კლასობრივს.

მის ცნობილ ნაშრომში "ოჯახის წარმოშობა, საკუთრება და სახელმწიფო", ენგელსი ხსნის სქესობრივ ჩაგვრას, როგორც კაპიტალიზმის მემკვიდრეობას. ის, ამავდროულად, ახდენს სქესისა და სექსუალობის ინტეგრირებას მის მიერ წარმოდგენილ სახელმწიფო თეორიაში. მარტო ის იდეა, რომ "სექსუალური ურთიერობა" (sexuality relations) უნდა იქნას განსხვავებული "საწარმოო ურთიერთობისაგან" (relations of production) მიუთითებს იმ მნიშვნელოვან აღიარებაზე, რომ კაცობრიობამ უფრო მეტი უნდა გააკეთოს და არ კმაყოფილდებოდეს მხოლოდ ჩაცმის, გამოკვების და გათბობის სურვილით. ის, ამავდროულად, წერდა, რომ ამგვარ სისტემას, სადაც ბუნებრივი სამყაროს ელემენტები ადამიანის სამომხმარებლო ობიექტებად იქცევიან, ეწოდება ეკონომიკა. ადამიანთა ჯგუფებმა უნდა წარმოქმნან ახალი თაობები, ანუ, სექსუალობის მოთხოვნილება და ახალი თაობის წარმოშობა ისევე უნდა დაკმაყოფილდეს, როგორც საკვების მიღების.

ენგელსი წერდა: "სოციალური ორგანიზაცია და მისი ზეგავლენით კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში და კონკრეტულ ადგილას მაცხოვრებელი ადამიანები განიცდიან ორივე სახის წარმოებას, როგორც შრომის, ერთის მხრივ, ასევე, ოჯახის, მეორე მხრივ….. " (Engels, 1972: 71-72)

ენგელსი ასევე ამტკიცებდა, რომ არსებობს სოციალური ცხოვრების მოქმედების სფერო, რასაც მოგვიანებით გაილ რუბინი (Gayle Rubin) სქესის/გენდერის სისტემას უწოდებს[21], და ისინი ორივენი თანხმდებიან, რომ ის მეტად მნიშვნელოვანია. ამ სისტემისთვის ყველაზე უფრო გავრცელებული ალტერნატივებია "კვლავწარმოების წესი" ("mode of reproduction") და პატრიარქატი. მართალია, ცოტა დამაბნეველია ზემოთ ნახსენები ტერმინები, მაგრამ, როგორც მათი ავტორები განმარტავდნენ, ეს ტერმინები გამოიყენება ე.წ. "ეკონომიკური" სისტემისა და ე.წ. "სქესობრივი" სისტემის გასამიჯვნად და, რომ სქესობრივი სისტემებისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ავტონომია და არ შეიძლება ეს ტერმინები განსაზღვრული იქნან

[21] Gayle Rubin - "The Traffic in Women: Notes on the 'Political Economy' of Sex", in Rayna Reiter, ed., *Toward an Anthropology of Women*, New York, Monthly Review Press, 1975

მხოლოდ ეკონომიკური თვისებების მიხედვით. მაგალითად, "კვლავწარმოების წესი" წარმოიქნმა "წარმოების მეთოდის" საპირისპირო მნიშვნელობის გამოსახატავად. ამ შემთხვევაში ეკონომიკა უკავშირდება წარმოებას, ხოლო "სქესობრივი სისტემა" (sexual system) - "კვლავწარმოებას", ანუ რეპროდუქციას. ორივე ერთნაირად მნიშვნელოვანია, რადგან წარმოება და კვლავწარმოება ორივეგან გვხვდება.

- **სტრუქტურალიზმ - ფუნქციონალიზმი**

სტრუქტურალიზმ-ფუნქციონალიზმს საძირკველი ჩაუყარა სპენსერმა. მოგვიანებით, დიურკჰეიმმა ის ფართოდ განავითარა. ფუნქციონალიზმი ოჯახის არსებობას, მის სტრუქტურაში და ფუნქციაში არსებულ ცვლილებებს განიხილავს, როგორც სოციუმში არსებული ცვლილებების ერთიან ასახვას. დიურკჰეიმისათვის ოჯახი დიდი მთლიანობის ნაწილია, რომლის შემადგენელი ნაწილები წონასწორობის განმსაზღვრელნი არიან. ის ამტკიცებდა, რომ თუ ერთი ნაწილი ცვლილებას განიცდის, მას შეაქვს ცვლილებები სხვა ნაწილების ფუნქციონირებაში. ამასთანავე, ის აღნიშნავს, რომ ცვლილებები, შესაძლოა, გამოიწვიოს მრავალმა მიზეზმა, და არა მარტო ერთმა. ის ამით ეწინააღმდეგება ბიოლოგიურ, ეკონომიკური დეტერმინიზმის, სოციალური დარვინიზმისა და მარქსისტულ თეორიებს. დიურკჰეიმი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ფსიქოლოგიას თითქმის არაფრის შეთავაზება არ შეეძლო ოჯახის კვლევისათვის, რადგან ოჯახში ცვლილების შეტანა არა ფსიქოლოგიურ, არამედ სოციალურ პროცესებზე იყო დამოკიდებული. (Whitney Pope, 1975: 361-379)

- **სოციალური კონფლიქტების თეორია**

ზოგიერთი თეორია ოჯახის შესახებ ამტკიცებს, რომ ოჯახები არიან ჯგუფები, რომელთა წევრები იბრძვიან რესურსების კონტროლისა და დაცვისათვის. ეს პერსპექტივა წარმოიშვა, როგორც ალტერნატივა იმ შეხედულებების საპირისპიროდ, რომ ოჯახი არის ორმხრივი - სიყვარულისა და ჰარმონიის ბასტიონი. სოციალური კონფლიქტების თეორიების თანახმად, ხშირად ოჯახში ჩნდება ნეგატიური ემოციები და ქცევები მის წევრთა გარდაუვალი განსხვავებებისა და უთანხმოების დროს.

ზოგიერთი კონფლიქტი, შესაძლოა იყოს ფუნქციონალური, მაგრამ, ამავე დროს, დამანგრეველი.

1.2.2. ფუნქციონალური მიდგომა

ფუნქციონალური თეორიები ცდილობენ მოიძიონ არსებული სოციალური სტრუქტურების მიზნები და აღმოაჩინონ გზები, თუ როგორ მიაღწიონ ამ მიზნებს. მოცემული მიზნის მისაღწევად მრავალი განსხვავებული გზა არსებობს და თუ მიზანი იცვლება და არსებული სტრუქტურა კარგავს თავის ეფექტურობას, და სტრუქტურებიც, შესაძლოა შეიცვალოს. სტრუქტურული და ფუნქციონალური თეორიები ძირითადად ემყარება ისტორიულ და კულტურათაშორის მონაცემებს; მათთვის ასევე საინტერესოა, თუ როგორ არიან ოჯახები დაკავშირებულნი საზოგადოების სხვა ინსტიტუციებთან.

- **სტრუქტურალისტურ-ფუნქციონალისტური თეორია**

ტალკოტ პარსონსი (1943, 1949, 1965) გახლდათ სოციოლოგი, რომელმაც პირველად გამოიყენა სტრუქტურალისტური (structuralistic) და ფუნქციონალისტური თეორიები (functionalist), რათა მკაფიოდ განესაზღვრა ოჯახური ურთიერთობების განვითარება დემოკრატიულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში, გაემხნევებინა და სული ჩაედგა, როგორც სოციოლოგებისათვის, ასევე ისტორიკოსებისათვისაც ომის შემდგომ ჩრდილოეთ ამერიკაში და დასავლეთ ევროპაში. პარსონსის თეორიული მოდელი გამოირჩევა არადინამიურობით და აქედან გამომდინარე არ წარმოადგენს სასარგებლოს ცვლილების ან არასტაბილურობის ასახსნელად. პარსონსის გავლენის ქვეშ მყოფი ნეილ სპელსერმა გამოიყენა სტრუქტურალისტურ-ფუნქციონალისტური თეორია სტრუქტურული ცვლილების სოციოლოგიური ანალიზისას და განიხილა ბამბის წარმოება და ოჯახის ცხოვრება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში. ოჯახის ისტორიის ასეთი შესწავლა იშვიათად თუ ხდებოდა; სპელსერი კი უფრო მეტად კონცენტრირებული იყო ეკონომიკასა და კლასზე, განსაკუთრებით მუშა კლასზე, ვიდრე ოჯახზე მთლიანად.

პარსონსის მიერ სოციუმის სტრუქტურალისტურ - ფუნქციონალისტური

თვალსაზრისით განხილულ იქნა, როგორც ორგანიზმი, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს წონასწორობის მდგომარეობა და არ დაექვემდებაროს ცვლილებებს. პარსონსის აზრით, ოჯახს აქვს ორი ფუნქცია: ინსტრუმენტული, რომელიც დაკავშირებულია გადარჩენასთან და ექსპრესიული, დაკავშირებული მორალური მდგომარეობის შენარჩუნებასთან. მისი თეორიის თანახმად, ნუკლეარული ოჯახი წარმოადგენს ქცევის ერთიანობას, სადაც ფინანსური და აღმზრდელობითი ფუნქციები დამოკიდებულია მის სტრუქტურაზე. ოჯახის ძირითადი ფუნქცია - ბავშვთა სოციალიზაცია და მშობელთა ფსიქოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება. ნუკლეარული ოჯახის მშობლები, რომლებმაც ერთმანეთი თავისუფლად, სიყვარულით აირჩიეს, განსხვავებით გაფართოებული ოჯახის სისტემისაგან, სადაც ქორწინება ოჯახის ინტერესებსა და არარომანტიკულ სიყვარულზეა დაფუძნებული, იზოლირებულნი არიან ნათესაობისაგან და იზიარებენ რაციონალურ და პრაგმატულ ღირებულებებს (ე. ფირცხალავა, 2008: 15).

პარსონსის სტრუქტურისა და ფუნქციის თეორიამ ძლიერი გავლენა იქონია ოჯახის ცვლილების კვლევაზე XX საუკუნის ორმოციან წლებში. ამ მიდგომის მთავარი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ოჯახში მამაკაცი ახორციელებს ინსტრუმენტალურ ფუნქციას, განაპირობებს ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობას, ხოლო ქალი ასრულებს ექსპრესიული ლიდერის როლს, მეუღლესა და შვილებს აძლევს ემოციურ მხარდაჭერას. (Parsons & Bales, 1955)

- **სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორია**

პირველად სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორია წარმოდგენილი იქნა ბურგესის (Burgess, 1926) მიერ. მის მიზანი იყო ოჯახის, როგორც "ურთიერთქმედ ელემენტთაგან შემდგარი მთლიანობის" შესწავლა (Burgess, 1926). აღნიშნული თეორია სოციალურ ცვლილებას ოჯახის სტრუქტურის ცვლილების დეტერმინანტად წარმოადგენს და ფოკუსირდება ოჯახის წევრთა ინტერაქციულ ქცევაზე. (Bales, 1950; Bales & Staler, 1955).

სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიის ინტერესს წარმოადგენს, თუ როგორ რეალიზდებიან და ახდენენ იდენტიფიცირებას ცოცხალი არსებები სხვა ცოცხალ

არსებებთან ურთიერთკავშირში. ოჯახის არსებული და პოტენციური წევრები ჩაბმულნი არიან სოციალური ურთიერთობების დიალოგებში, მნიშვნელობებისა და მიმართულებების დასაკავშირებლად. როგორ გამოიყენება ენა, როგორც კომუნიკაციის საშუალება და რამდენად მნიშვნელოვანია ის სოციალური რეალობის შესაქმნელად. ამიტომაცაა, რომ სიმბოლური ურთიერთგავლენის თეორიები ძირითადად სასაუბრო მონაცემებს ემყარება.

როდესაც ვსაუბრობთ სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიაზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სამი ჩრდილოეთ ამერიკელი მეცნიერი: ჩარლს პირსი (Charles S. Pierce), რომელმაც განავითარა თეორია ნიშნებსა და სიმბოლოებზე; უილიამ ჯეიმსი (William James, 1975), მისი თეორია იხილავს გარემოსთან თვითმეობის (self) ცნების ურთიერთკავშირს; და ჯონ დივი (John Dewey, 1925), მან განავითარა თეორია "გონების კონცეფციის" შესახებ. ამავდროულად, ეს სამი მეცნიერი გახლდათ პრაგმატიზმის ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელნი.

ჩარლს ჰორტონ ქუილიმ (Charles Horton Cooley) განავრცო უილიამ ჯეიმსის თვითმეობის (self) იდეა და წარმოადგინა "სარკეში აღქმული საკუთარი თავის (looking glass self) კონცეფცია. ქუილს ამ კონცეფციით სურდა დაერწმუნებინა სხვები, რომ ადამიანს შეუძლია დაინახოს საკუთარი თავი, შეცვალოს ქცევა და სხვებთან ურთიერთობა.

სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიის თანახმად, ადამიანების რეაქცია სხვების ქმედებებზე გამოხატულია იმ ინტერპრეტაციით, რომელსაც აღმქმელი სხვის ქცევას აძლევს. ამდენად რეაქცია მნიშვნელოვანწილად ემყარება სიმბოლოთა ინტერპრეტაციის პროცესს. (Cooley, 1912; Mead, 1934)

მიდის (Mead) ძირითადი იდეა მდგომარეობდა შემდეგში: საერთო სიმბოლოების გაზიარებით, ადამიანებს შეუძლიათ ადვილად მოახდინონ ადაპტირება და გადარჩენ იმ გარემოში, სადაც ისინი იმყოფებიან. მას განსაკუთრებულად აინტერესებდა ჩვილი ბავშვის ადაპტაციის პროცესი, თუ როგორ ახერხებს ის გაიზიაროს და მოერგოს ნებისმიერ საზოგადოებას. მიდი ამტკიცებდა, რომ ჩვილი ბავშვი სამყაროს ეცნობა თამაშით და სათამაშოებით, პირველი მისი სოციალიზაცია ხდება ზუსტად ოჯახში.[22]

[22] James M. White & David M. Klein, Family Theories, Sage Publications, 2008, p. 95-96

ოჯახის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გაზიარებული ცოდნის არსებობა, რომელსაც ემყარებიან ის სოციალური როლები (მეუღლე, შვილი, მშობელი, შემომტანი და ა.შ.), რომელთაც ადამიანები ოჯახში ასრულებენ.

- **სოციალური გაცვლის თეორია**

სოციალური გაცვლის თეორია ადამიანს განიხილავს, როგორც რაციონალურ არსებას, რომელიც ამა თუ იმ ქცევის განხორციელებაზე იღებს გადაწყვეტილებას იქიდან გამომდინარე, თუ რა მოგებას ხედავს კონკრეტული ქცევის განხორციელებისაგან, რის ფასად მიიღებს მოგებას და რა ალტერნატივა გააჩნია მას. ამ მოსაზრების ერთ-ერთი ავტორია ადამ სმიტი (Adam Smith).

XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნაშრომად ითვლება ლევი-სტრაუსის "ნათესაური კავშირის ელემენატრული სტრუქტურები", სადაც ის ღიად და პირდაპირ ცდილობს ახსნას ადამიანთა ქორწინება და დაამტკიცოს, რომ ნათესაობა მისთვის უფრო წარმოადგენს მკაფიოდ გამოხატულ კულტურათა ორგანიზებულ შენაერთს და არა ბიოლოგიურ შთამომავლობას. ამით ის ცდილობს დაამტკიცოს თუ რარიგ დიდია სქესობრივი საკითხი ადამიანურ საზოგადოებაში. მისთვის ეს არ არის საზოგადოება, რომელიც შედგება უგენდერო (genderless) სუბიექტებისაგან. პირიქით, ლევი-სტრაუსის ნაშრომში ადამიანი - სუბიექტი (human subject) მამრობითი ან მდედრობითი სქესისაა. ნათესაური სისტემის არსი მისთვის წარმოადგენს მამაკაცთა შორის ქალების გაცვლა-გამოცვლის პროცესს და ამუშავებს სქესობრივი ჩაგვრის წარმოსახვით თეორიას.

როგორც გაილ რუბინი აღნიშნავს მის სტატიაში, ლევი-სტრაუსის "ნათესაური კავშირის ელემენტარული სტრუქტურები" წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებას საზოგადოების წარმოქმნისა და მისი ბუნების შესახებ. [23] ის ცდილობს უფრო ფუნდამენტურად შეისწავლოს ნათესაური კავშირის სტრუქტურული პრინციპები, რომლებმაც გამოააშკარავეს ტაბუდადებული და

[23] Gayle Rubin - "The Traffic in Women: Notes on the 'Political Economy' of Sex", in Rayna Reiter, ed., *Toward an Anthropology of Women*, New York, Monthly Review Press, 1975

საქორწინო კანონები და რომლებმაც, თავის დროზე საგონებელში ჩაყარა დასავლეთის ანთროპოლოგები. ლევი-სტრაუსი, ძირითადად, გამოყოფს ორ მნიშვნელოვან ფაქტორს: ქალს, როგორს "საჩუქარს" და ე.წ. *ინსესტ ტაბუს* (incest taboo).

"ელემენტარული სტრუქტურები" წარმოადგენს პრიმიტიული სოციალური ორგანიზმების სხვა ცნობილი თეორიის, ფრანგი სოციოლოგის მარსელ მოსეს "ესსე საჩუქარზე" (Mauss "Essay on the Gift") გაგრძელებას. ზუსტად მოსე გახლდათ ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც შეეხო პრიმიტიული საზოგადოებებისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა გაცვლა-გამოცვლა, მიღება და ჩუქება. ასეთ საზოგადოებაში თითქმის ყველაფერი იცვლება – საკვები, რიტუალები, სიტყვები, სახელები, ორნამენტები, იარაღები და ძალაუფლება.

ტიპიური საჩუქრების გაცვლა-გამოცვლის სიტუაციაში, არც ერთი მხარე არ რჩება მოგებული. როგორც მოსე აღნიშნავდა, საჩუქრის გაცემის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის გამოხატავს მოწონებას და ქმნის სოციალურ კავშირს გაცვლა-გამოცვლით პარტნიორთა შორის. საჩუქრის გაცემის პროცესი მის მონაწილეებს აჯილდოვებს შემდეგი თვისებებით: რწმენით, სოლიდარობით და ორმხრივი ურთიეთდამოკიდებულებით. (Gayle Rubin, 1975: 35-36) ერთ მხარეს შეუძლია მიიღოს კეთილგანწყობა საჩუქრის გაგზავნით, ხოლო საჩუქრის მეორე მხრიდან გამოგზავნა იმაზე მეტყველებს, რომ ორივე მხარე მზადაა ურთიერთმეგობრობისათვის და ურთიერთთანამშრობლობისათვის. საჩუქრის გაცვლა-გამოცვლა, შესაძლოა იყოს შეჯიბრის და კონკურენციის გამომხატველიც. ხშირად აქვს ადგილი ისეთი ძვირფასი საჩუქრების გაცვლა-გამოცვლას, რომელიც ყველას არ ძალუძს და ხშირად დამამცირებელიც კი არის. მარსელ მოსე და ლევი-სტრაუსი თანხმდებიან იმაზე, რომ სხვადასხვა სახის საჩუქრის გაცვლა-გამოცვლას ყველგან აქვს ადგილი, და ის უფრო სოციალური კომერციის გამომხატველია. ლევი-სტრაუსი ამ პრიმიტიული გაცვლა-გამოცვლის თეორიას ამატებს იდეას, რომ ქორწინება არის აგრეთვე საჩუქრის გაცვლა-გამოცვლის ერთ-ერთი ფორმა, სადაც ქალები წარმოადგენენ ყველაზე ძვირფასს საჩუქრებს. ის ამტკიცებს, რომ ზუსტად *ინსესტ ტაბუ* წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელიც გვარწმუნებს იმაში, რომ ასეთი

სახის გაცვლა-გამოცვლას ადგილი აქვს ოჯახებსა და ცალკეულ ჯგუფებს შორის. *ინსესტ ტაბუ* ყოფს არჩევანს შემდეგ კატეგორიებად: დასაშვებ და აკრძალულ სექსუალურ პარტნიორებად. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ქალის სხვა ოჯახთან ან ჯგუფთან გაცვლა, რადგან *ინსესტ ტაბუ* კრძალავს ოჯახის წევრ ქალზე, დედაზე, დაზე, ქალიშვილზე დაქორწინებას, ეს კი, თავის მხრივ, იწვევს იმავე ქალების სხვა მამაკაცებისთვის საჩუქრებად გაცემას. (Levi-Strauss, 1969: 51)

გაილ რუბინი აღნიშნავდა, რომ ქალის, როგორც საჩუქრის გაჩუქება ბევრად უფრო მრავლისმომცველი და მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი უსულო საგნის ჩუქება, რადგან ეს არ წარმოადგენს მხოლოდ გაცვლა-გამოცვლას, არამედ ეს დაკავშირებულია ნათესაურ კავშირთან. (Gayle, Rubin, 1975: 36) გაცვლის პროცესში მონაწილე მხარეები ხდებიან ნათესავები და მათი შთამომავლობა კი სისხლით არიან დაკავშირებულები ერთმანეთთან. ლევი-სტრაუსი წერდა, "ორი ადამიანი, შესაძლოა, შეხვდეს ერთმანეთს, გაცვალოს საჩუქრები, მერე მოუვიდეთ კამათი და დაშორდნენ, ხოლო ქორწინებითი კავშირი აერთიანებს მათ უფრო მყარად და ხანგრძლივად". (Levi-Strauss, 1969: 481) მართალია, ქორწინება არ არის ისეთი ადვილი კავშირი, სადაც მხოლოდ მშვიდობა სუფევს, იქაც ბევრი ბრძოლა და უთანხმოებაა. არსებობს ბევრი მაგალითი იმისა, სადაც ქორწინების შედეგად დანათესავებული მხარეები ხშირად ხიშპობენ და ებრძვიან ერთმანეთს, ამას ყოველთვის ჰქონდა ადგილი ისტორიაში და ახლაც გრძელდება. ნათესაური კავშირი არის ორგანიზაცია, რომელიც, თავის მხრივ, იძლევა ძალაუფლებას. მაგრამ, ისმის კითხვა - ვინ აერთიანებს მას და ვინ უწევს ორგანიზებას?

თუ ქალი არის ამ მოლაპარაკების გადამწყვეტი, კაცი კი გამცემი და მიმღები, გამოდის, რომ ქალი არის უფრო ურთიერთობათა დამაკავშირებელი და არა პარტნიორი. ქალის გაცვლა არ ნიშნავს, რომ ის ობიექტია, მიმღებისათვის და გამცემისათვის ის წარმოადგენს საჩუქარს. ამ შემთხვევაში კაცი არის გაცვლა-გამოცვლის პარტნიორი და ის სარგებლობს ამგვარი სოციალურად ორგანიზებული გაცვლა-გამოცვლის პროცესით. ლევი-სტრაუსი აღნიშნავდა, რომ ზუსტად, ორი მამაკაცისაგან შემდგარ ჯგუფს შორის ხდება მოლაპარაკება ქალის, როგორც საჩუქრის გაცემისა და მიღების შესახებ და ქორწინება არ არის მხოლოდ ქალსა და

კაცს შორის შეთანხმების შედეგი. ქალის გრძნობები, როგორც წესი, ხშირად უკუგდებულია. მარტო ქალი მისი გრძნობით ვერაფერს მიაღწევს, თუ არ იქნება მამაკაცის თანხმობა. კაცის შემთხვევაში კი, როგორც წესი, ეს ბევრად უფრო ადვილი მისაღწევი და განხორციელებადია.[24]

"ქალების გაცვლა" წარმოადგენს მეტად მომხიბვლელ და ძალაუფლების გამომხატავ პროცესს. ის საყურადღებოა, რადგან იწვევს ქალის ჩაგვრას უფრო სოციალურ სისტემებში, ვიდრე ბიოლოგიაში. დღეს ბევრს ვსაუბრობთ ტრეფიკინგის შესახებ, მაგრამ აქვე მინდა დავამატო, რომ მას ყოველთვის ჰქონდა ადგილი, რთული არ არის მაგალითების მოძებნა ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ნაშრომებში, სადაც ქალებს ხშირად ძალით აქორწინებდნენ, მიყავდათ საბრძოლველად, ცვლიდნენ, აგზავნიდნენ, როგორც ნივთებს, ყიდიდნენ, ყიდულობდნენ და ვაჭრობდნენ. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასევე ხშირად ექცეოდნენ ახალგაზრდა ბიჭუნებსაც.

ნათესაური კავშირი მარტო ქალებს არ ცვლის, ის, ასევე ცვლის გენეოლოგიურ სტატუსებს, წარმომავლობას, მის სახელს, წინაპრებს, უფლებებს და ხალხს – კაცებს, ქალებს, ბავშვებს, ანუ, უფრო კონკრეტულად რომ აღვნიშნოთ სოციალურ ურთიერთობებს. ეს ურთიერთობები ყოველთვის განსაზღვრავენ კაცისა და ქალის უფლებებს, ნათესაური კავშირი კიდევ უფრო ამძაფრებს იმ გარემოებას, რომ კაცს მეტი უფლება აქვს, ვიდრე ქალს.

თუ დავეთანხმებით ლევი-სტრაუსს, რომ ქალის გაცვლა-გამოცვლა წარმოადგენს ნათესაური კავშირის ფუნდამენტურ პრინციპს, მაშინ, ქალთა სუბორდინაცია, შესაძლოა, ჩაითვალოს იმ ურთიერთობათა პროდუქტად, რომლის მეშვეობითაც ხდება სქესისა და გენდერის წარმოშობა და ორგანიზება. (Gayle Rubin, 1975: 39) ქალთა ეკონომიკური ჩაგვრა მისთვის მეორეხარისხოვანი და ბანალურია.

ლევი-სტრაუსი სტატიაში "ოჯახი" ("The Family"), იხილავს საკითხს, თუ რა არის აუცილებელი პირობა წინასაქორწინო მდგომარეობისათვის, ვინ მოისაზრება ნათესაური კავშირის სისტემათა წევრებად და როგორ ხდება მათ შორის იმ სქესობრივი ურთიერთობების დამშლელი ბარიერების შექმნა. ის, ასევე ეხება შრომის გადანაწილებას ქალსა და მამაკაცს შორის სხვადასხვა კულტურაში და მოყავს იმისი

[24] Gayle Rubin, "The Traffic in Women: Notes on the Political Economy of Sex", in "Toward an Anthropology of Women", New York, 1975

მაგალითები, რომ ზოგ კულტურაში ქალი მონადირეები და მეომრები გვხვდება, ზოგან კი მამაკაცები ბავშვის აღზრდით უფრო არიან დაკავებულნი, ანუ, ამით ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შრომის სქესის მიხედვით გადანაწილება არ გამომდინარეობს მისი ბიოლოგიური სპეციალიზაციიდან, არამედ შრომის სქესობრივი ნიშნით გადანაწილება მეტი არაფერია, თუ სქესთა შორის ორმხრივი ურთიერთდამოკიდებული მდგომარეობა. (Levi-Strauss, 1971: 347-348)

ის იქვე განმარტავს, რომ სქესის ნიშნით შრომის გადანაწილება, შესაძლოა, განიხილოს, როგორც "ტაბუ", ტაბუ ქალისა და მამაკაცის ერთგვაროვნების წინააღმდეგ, ტაბუ, რომელიც სქესს ორ ურთიერთგამომრიცხავ კატეგორიებად ყოფს, ტაბუ, რომელიც ამძაფრებს სქესთა შორის ბიოლოგიურ სხვაობებს და, შესაბამისად, ქმნის გენდერს.

ქალი, როგორც წესი, ხშირად აკეთებს არჩევანს შეასრულოს სახლის სამუშაო და მოუაროს ბავშვებს, რათა ისარგებლოს მამაკაცის მიერ მოპოვებული მატერიალური დოვლათით, თუ მეუღლეს აქვს უფრო მაღალი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა. (Becker, 1991)

- **სისტემური თეორია**

სისტემური თეორია მეტად აბსტრაქტულია და ზოგადი. მისი მეშვეობით შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ცოცხალი, ასევე უსულო საგნები. ჩვენ შეგვიძლია ერთდროულად ვისაუბროთ პლანეტარულ სისტემაზე და ოჯახურ სისტემაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სისტემა აბსოლუტურად განსხვავებულია ერთი მეორესაგან. სისტემური თეორიის თანახმად, ოჯახი – ღია ცოცხალი განვითარებადი სისტემაა, რომელიც ბიოლოგიური და სოციალური სისტემების მსგავსად წარმოადგენს მუდმივად განვითარებადს. ის ოჯახს განიხილავს, როგორც სისტემას, რომლის წევრები ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულნი არიან. მისთვის, ოჯახი არის თვითრეგულირებადი სისტემა, სადაც თითოეულ წევრს შეუძლია გააკონტროლოს სხვა წევრის ხელმისაწვდომობა ძალაუფლებასთან, მის ქმედებებთან და საქციელთან. (James M. White & David M. Klein, 2008: 154) აქედან გამომდინარე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ოჯახი წარმოადგენს ღია სისტემას, რომლის წევრებიც

ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე და გარე სისტემებზე (სკოლა, საწარმო, მეცნიერება, რელიგია, სახელმწიფო და სხვა). სისტემური თეორია გვარწმუნებს იმაში, რომ ნებისმიერი სისტემის ქცევას აქვს გავლენა გარემოზე და გარემო კი, თავის მხრივ, მოქმედებს ამ სისტემაზე. სისტემურ თეორიაში არსებობს ოთხი ძირითადი მდგომარეობა: სისტემის ელემენტები ურთიერთკავშირში იმყოფებიან; სისტემა შეიძლება გაგებული იქნას მხოლოდ, როგორც რაღაც ერთიანი; ყველა სისტემა ურთიერთკავშირშია გარემოსთან; და სისტემები არ წარმოადგენენ რეალობას. (James M. White & David M. Klein, 2008: 157)

ამ მიდგომის თანახმად, ოჯახის სპეციფიკის გასაგებად არ არის საკმარისი ოჯახის ცალკეულ წევრების ქმედებების აღწერა, მათი ჯამი არასდროს არ მოგვცემს ოჯახის სრულ სურათს. ოჯახი განხილულ უნდა იქნას, როგორც ერთი მთლიანი, რომელშიც ნებისმიერი ელემენტის შეცვლა იწვევს ცვლილებას ყველა სხვა ელემენტში.

ყველა სისტემას აქვს თავისი საზღვრები, რომლის მეშვეობითაც ისინი გამოიყოფიან სხვა სისტემებისაგან და გარემოსაგან. ოჯახები, როგორც სისტემები, ცხოვრობენ კომლებად, მიწის გარკვეულ მონაკვეთზე, მათი საკუთრება შემოფარგლულია ე.წ. ღობით, კედლებით, ან ჩაკეტილია კარით და ა.შ. ყველა ოჯახს გააჩნია რაღაც თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ანუ მისი პრივატულობა. ეს პრივატულობა შესაძლებელია იყოს ფიზიკური და სიმბოლური. ოჯახი ისევე, როგორც სხვა სისტემები ექვემდებარება ტრანსფორმაციას. ის ცდილობს შეინარჩუნოს არსებული კავშირები, ერთის მხრივ და, მეორეს მხრივ, ცდილობს განვითარდეს და გადავიდეს ფუნქციონირების უფრო მაღალ დონეზე.

თითქმის ყველა ოჯახის სისტემური თეორიის მიმდევარი თვლის, რომ ოჯახი არის მიზანზე ორიენტირებული სისტემა, რომელსაც გააჩნია კონტროლის ქვესისტემა (Broderick & Smith, 1979). მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ ოჯახს აქვს მრავალსაფეხურებრივი კონტროლი და გამოყოფენ სისტემურ თეორიაში მრავალ კონცეფციას, როგორიცაა ნაირფეროვნება, მიზნები და კონტროლი.

ოჯახს, როგორც სისტემას აქვს შემდეგი თვისებები: 1) სისტემა, როგორც მთელი უფრო მეტია, ვიდრე შემადგენელი ნაწილების ჯამი; 2) ნებისმიერი რამ, რაც შეიძლება ზემოქმედებდეს სისტემაზე, როგორც ერთ მთლიანზე, ასევე ზეგავლენას

ახდენს სისტემის ყოველ ცალკეულ ელემენტზე; 3) სისტემის ერთი ნაწილის დარღვევა ან ცვლილება აისახება სხვა ნაწილების და მთლიანი სისტემის ცვლილებაზე.

- **კონტექსტუალური გავლენა და კულტურული თეორიები**

ოჯახის ცვლილება, ისტორიული პროცესების გავლენის ქვეშ, უნდა განიხილოს დროისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. მკვლევარები დიდ ყურადღებას აქცევენ კონტექსტუალურ გავლენას ოჯახზე. როგორც ოჯახური ქცევა იცვლება სწრაფად, ასევე არსებობს ახალი გამოხატულება კულტურაზე და საერთო მნიშვნელობებზე, და გამძაფრებული გრძნობა იმისა, რომ არაოჯახური გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია შობადობის ცვლილებების შესწავლაში. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი რეალობისთვის, რადგან საქართველოში შობადობის შემცირება მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

1.3. ოჯახის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში

- **უძველესი ოჯახის თავისებურებანი**

ოჯახის ისტორიული მიმოხილვა გვინდა დავიწყოთ უძველესი დროიდან დღემდე. ეს ნაწილობრივ მაინც დაგვეხმარება გავაანალიზოთ და გავიგოთ თუ რატომ არის ასე დღეს, რა შემორჩა დღემდე, რა მსგავსება და განსხვავება არსებობს სხვადასხვა ხალხების ოჯახებს შორის. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, კულტურა დროთა განმავლობაში იცვლება, ანუ იცვლება მისი შემადგენელი თითოეული ნაწილი, ეს ისტორიული პერსპექტივა გვაძლევს იმის წარმოდგენის საშუალებას, თუ როგორ იცვლებოდა ოჯახი და რა სახით შემორჩა ის თანამედროვეობას.

ეს არის მხოლოდ ნაწილი, რადგან მილიონობით კაცი არ იზიარებს ქრისტიანული ეკლესიის მემკვიდრეობას. წარმოუდგენელია შემორჩენილიყო ყველა დღეს არსებული ხალხების ოჯახის უძველესი ფორმების აღწერილობა, ისტორიკოსებისათვის შედარებით კარგად ნაცნობია ევროპული ოჯახის წინაპრის

სახე, რადგან დიდი იყო დასავლეთის პოლიტიკური დომინირება უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე. დასავლეთის ისტორიის უდიდესი ნაწილისათვის დამახასიათებელია მამაკაცების დომინირება ქალებზე და მშობელთა დომინირება შვილებზე, და, რასაკვირველია, სექსუალური ურთიერთობა იყო ერთერთი ამ დომინირების ფორმა.

ისტორიული ჩანაწერები გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რა ესწავლებოდა ადამიანებს, როგორ მოქცეულიყვნენ ოჯახში და არა ის, თუ როგორ იქცეოდნენ ისინი თავად. ცნობები ძირითადად არსებობს შეძლებული და გავლენიანი ადამიანების შესახებ, ნაკლებად ვხვდებით უბრალო, ღარიბი ადამიანების შესახებ სრულ მონაცემებს. აგრეთვე, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიული ლიტერატურა ოჯახური ურთიერთობების შესახებ წარმოადგენს ძირითადად რელიგიურ მასალას.

დაახლოებით XII საუკუნეში ქრისტეს შობამდე, იუდეველთა ტომები დასახლდნენ ქანაანის ტერიტორიაზე, მოგვიანებით მათი დედაქალაქი გახდა იერუსალიმი. როგორც ძველი აღთქმა მოგვითხრობს, მაშინდელი იუდეველთა საზოგადოება იყო მთლიანად პატრიარქალური. ცოლები უნდა ყოფილიყვნენ ქმრების მორჩილნი და მოიხსენიებოდნენ ცოტათი უფრო მეტად, ვიდრე კერძო საკუთრება. მაგალითად, ხუთთავის მე-II წიგნში ათ მცნებათა შორის, ისინი ჩამოთვლილნი არიან სხვა უძრავი და მოძრავი ქონების სიაში.[25]

ქორწინება წარმოადგენდა ოჯახებს შორის მოლაპარაკებას. გოგონა ოჯახში მამას ეკუთვნოდა მანამ არ "გაიყიდებოდა", ანუ მისი მომავალი მეუღლე არ გადაიხდიდა მასში რაიმე საფასურს. როგორც კი მომწიფდებოდა გოგონა, მაშინვე ხდებოდა მისი დანიშვნა. მართალია, არსებობდა ქორწინება გრძნობითაც, მაგრამ სიყვარული არ იყო მთავარი ოჯახის შესაქმნელად. ძირითადად ქორწინებას უყურებდნენ, როგორც კავშირს, რომელიც პასუხისმგებელი და ვალდებული იყო გაეგრძელებინა გვარი და გაემრავლებინა ერი. დიდი და მრავალშვილიანი ოჯახი ითვლებოდა ღვთის ნებად და დიდ ბედნიერებად. ქალის მეორეხარისხოვნება გამოიხატებოდა მის რეპროდუქციულ უნარში. იუდეველნი იზიარებდნენ პრიმიტიული საზოგადოებების უნივერსალურ ტენდენციას და ქალებს უწოდებდნენ

[25] Bron B. Ingoldsby, "The History of the Euro-Western Family", in Families in Global and Multicultural Perspective, edited by Bron B. Ingoldsby & Suzanna D. Smith, Sage Publications, 2006

უწმინდურებს, მენსტრუალური ციკლისა და ბავშვების გაჩენის გამო. (Fielding, 1942) ისჯებოდა წყვილი, რომელსაც ექნებოდა სექსუალური კავშირი მენსტრუაციის პერიოდში (ლევიანნი, 20:18) და ქალი ამ პერიოდში განცალკავდებოდა ხოლმე მისი ახლობლებისაგან. როდესაც ქალი ვაჟს აჩენდა, მაშინ ის 7 დღის განმავლობაში ითვლებოდა უწმინდურად და შემდეგი 33 დღე დაწესებული იყო მისი სულიერი განწმენდისათვის, ხოლო გოგო-შვილის გაჩენისას ეს პერიოდი ორმაგდებოდა. (ლევიანნი, 12:1-5) "ორმაგი სტანდარტით" ცხოვრება დასაშვები იყო მამაკაცებისათვის და ქალებისათვის კი სასტიკად აკრძალული იყო. შეიძლება ვთქვათ, რომ "ორმაგი სტანდარტით" ცხოვრება მოდის ძველი იუდეველთაგან და სხვა შუაღმოსავლეთის ხალხებისაგან. ქმრის ღალატისთვის ქალი შეიძლება მოეკლათ, ხოლო ქორწინების გარეშე სექსუალური ურთიერთობებისათვის არსებობდა დასჯის მრავალი ფორმა. მამაკაცს არ ქონდა უფლება სხვა კაცის ცოლთან ჰქონოდა სექსუალური ურთიერთობა არა იმიტომ, რომ ეს სახიფათო იყო მათი ქორწინებისათვის, არამედ ეს ითვლებოდა სხვა კაცის ქონებრივი უფლებების დარღვევად და, შესაძლოა, ამას მოყოლოდა სისხლის აღრევა. უკანონო შვილები და მათი შთამომავლობა არ ითვლებოდა იმ საზოგადოების წევრებად შემდეგი 10 თაობის მანძილზე. (Bron B. Ingoldsby, 2006: 42)

კაცს უფლება ჰქონდა ყოლოდა იმდენი ცოლი და საყვარელი, რამდენის შენახვის თავიც ჰქონდა. საყვარელთან შვილები არ ითვლებოდნენ მათი ქონების მემკვიდრეებად. თუ მამაკაცი სექსუალურ კავშირს დაამყარებდა მის მონა-ქალთან, ქალი სასტიკად ისჯებოდა, ხოლო კაცი ვალდებული იყო მიეყვანა ცხვარი მოძღვართან და მას ეს ცოდვა ეპატიებოდა. (ბიბლია, ლევიანნი, 19:20-22) სასტიკად აკრძალული იყო სექსუალური კავშირის დამყარება მშობლებთან, დედ-მამიშვილთან, ბავშვებთან, დეიდებთან, ბიძიებთან და სხვა ნათესავებთან.[26]

დღესდღეობით არსებული განქორწინების მაღალი მაჩვენებელი გვაშფოთებს და ხშირად მიგვაჩნია, რომ ეს ფენომენი დეკადენტური საზოგადოების გადმონაშთია. სინამდვილეში კი, განქორწინება ყველა დროში, როგორი მკაცრი კანონებიც არ უნდა ყოფილიყო იყო დაშვებული განსაკუთრებული პირობების დაცვით. იუდეველ

[26] Bron B. Ingoldsby, "The History of the Euro-Western Family", in Families in Global and Multicultural Perspective, edited by Bron B. Ingoldsby & Suzanna D. Smith, Sage Publications, 2006, pp. 42-43

მამაკაცს შეეძლო განქორწინებულიყო, თუ ადგილი ჰქონდა ქალის მხრიდან ღალატს, ხოლო, თუ კაცი ღალატობდა, მაშინ ქალს არ ჰქონდა განქორწინების უფლება. მამაკაცები ხშირად საზოგადოების მხრიდან მკაცრ სოციალურ უკმაყოფილებას იწვევდნენ, თუ განქორწინების მიზეზი უმნიშვნელო იყო და განსაკუთრებული გარემოებებისას არც კი ეძლეოდათ განქორწინების უფლება. ეს განსაკუთრებული გარემოებები იყო, თუ ქალი ტყვედ იქნა აყვანილი, ან მათ ჰქონდათ ქორწინებამდე ურთიერთობა, ასევე თუ ქალი სულიერად ავადმყოფი იყო. როგორც ძველი აღთქმა მოგვითხრობს, ბავშვები ძალიან სასურველნი იყვნენ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში და დიდი სიყვარულით და ერთგულებით ეპყრობოდნენ მათ თავიანთი მშობლები. შვილები უნდა ყოფილიყვნენ მშობლების მორჩილნი და მკაცრი სასჯელი არსებობდა, მათი უსაქციელობის დროს. მოსე მშობლებს აძლევდა შვილების მოკვლის უფლებას, თუ ისინი დაუმორჩილნი იქნებოდნენ, ან მათ შეეძლოთ ისინი დაეწყევლათ. თითქმის ყველაფერი ოჯახის ქონებიდან უფროს ვაჟს რჩებოდა მემკვიდრეობით, ეს კი იწვევდა უთანხმოებას და კონკურენციას დედმამიშვილს შორის. კარგი მაგალითებია იოსებისა და მისი ძმების ამბავი, ასევე იაკობისა და ესაიას ცხოვრება. გოგო-შვილები კი თითქმის არ არიან მოხსენიებულნი. ჩვენ შემოგვრჩა მრავალი შეხედულება და წეს-ჩვეულება იუდეველთა დროიდან: საქორწინო და ოჯახურ ურთიერთობებში მამაკაცების დომინირება, ორმაგი სექსუალური სტანდარტი, შვილების უსაქციელობის გამართლება. ოჯახი და მისი წევრები კაცის საკუთრებას წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო მოქცეულიყო ისე, როგორც ის ჩათვლიდა მართებულად.

არსებობს იმის საფუძველი, რომ ძველ საბერძნეთში დამკვიდრებული იყო მატრიარქატი, მაგრამ "ცივილიზაციის ოქროს ხანის" პერიოდისათვის ის გახლდათ უკვე ძლიერ მამაკაცური სამყარო. ქალთა მორჩილება იუდეველთა კულტურაში ბევრად უფრო კეთილგანწყობილი იყო, ვიდრე ძველ საბერძნეთში. ქორწინება ითვლებოდა აუცილებლად მხოლოდ მემკვიდრის დაბადებისათვის. როგორც იმ დროინდელი ჩანაწერები მოგვითხრობენ, კაცები თვლიდნენ, რომ ისინი "ქორწინდებიან, რომ ჰყავდეთ კანონიერი შვილები და ერთგული სახლის მცველები. ჩვენ გვყავს საყვარლები ჩვენი ყოველდღიური კონფორტისათვის და

სიამოვნებისათვის, რათა მათ მოგვანიჭონ სიყვარულის სიამოვნება". (Fielding, 1942: 204)

ბერძენი კაცები დაინტერესებულნი იყვნენ თავიანთი ინტელექტის ამაღლებით და მიაჩნდათ, რომ ქალები არ არიან რაციონალურნი, მაგალითად, ათენში, ცოლი იგივე მოსამსახურე იყო, არ ჰქონდა განათლება და სახლიდან გასვლასაც კი ქმარს უთანხმებდა და ეკითხებოდა. გარეთ გასვლისას ის თავზე იფარებდა თავსაფარს, რომ არ "აღეგზნა სხვა მამაკაცები" (Bron B. Ingoldsby, 2006: 44) და მას ყოველთვის გამყოლი ახლდა თან. ქალი მეუღლეს დღის განმავლობაში მხოლოდ ტრაპეზის დროს ხვდებოდა, მაგრამ თუ სტუმრები იყვნენ სახლში, არც მაშინ ჰქონდა უფლება კაცებთან ერთად ესადილა. ბერძნებმა პირველად გამოიყენეს უბიწობის სარტყლები, სხვა მამაკაცი, რომ არ მიკარებოდა ქალიშვილებს. სპარტანელ კაცებს შეეძლოთ სხვა კაცთან შეთანხმებით ურთიერთობა ჰქონოდათ მათ ლამაზ ცოლებთან, რათა გაემრავლებინათ ლამაზი და ფიზიკურად ძლიერი ერი და ჰყოლოდათ მათთან შვილები. ქმრებს უფლება ჰქონდათ დათანხმებულიყვნენ ამ წინადადებაზე, მაგრამ ამას თან ერთად ძველი საბერძნეთის კანონმდებლობით ქმარს შეეძლო მოეკლა მოღალატე ცოლი. სპარტანელ ქალებს მეტი თავისუფლება ჰქონდათ, ვიდრე ათენში მცხოვრებ ქალბატონებს.

ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ ლიტერატურაშია საუბარი გენდერული განსხვავებების შესახებ. მაგალითად, თუ რას ფიქრობდა სოკრატე:

"ღმერთმა შექმნა ქალი საშინაო საქმიანობისათვის, მამაკაცი კი გარეთ საშრომელად …. ღვთისთვის ნაცნობი იყო ქალის ბუნება და მას დააკისრა ბავშვების გაჩენა და მოვლა…. მამაკაცებს კი უბოძა მეტი სიმამაცე და ვაჟკაცობა…ქალისთვის უფრო ადვილია სახლში ჯდომა, ვიდრე ველზე მუშაობა და იქ ყოფნა…. მამაკაცისათვის კი ბევრად უფრო სამარცხვინოა სახლში ჯდომა… (Bardis, 1964: 164-165)

ჰომეროსის "ოდისეაში" ნათლად ჩანს მამაკაცის დომინირება ქალზე: "შინ წადი და მიხედე ოჯახს, მოქარგე და მოქსოვე, იყავ შრომისმოყვარე და მორჩილი. საუბარი კი მამაკაცის საქმეა და მისი პრივილეგია". (Fielding, 1942: 202)

ძველ საბერძნეთში პროსტიტუციას საფუძველი ჩაეყარა, როგორც საჯარო

მომსახურებას ცნობილი ათონელი კანონმდებლის – სოლონის მიერ. ის გახლდათ პირველი, ვინც პროსტიტუციისათვის გადასახადი დააწესა. მის დროს შეიქმნა პირველი ოფიციალური ბორდელებიც, რომლის შესასვლელთან შიშველი გოგონები კლიენტურის მოზიდვას ცდილობდნენ. ქალებს სპეციალურად ასწავლიდნენ ამ საქმეს, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ლამაზნი და თავისუფალნი, აგრეთვე განათლებულნი, რადგან მამაკაცები მათთან არა მხოლოდ სექსუალური კმაყოფილების სურვილს იკმაყოფილებდნენ, არამედ სასიამოვნო იყო მათთან საუბარი და ურთიერთობა მათი მაღალი ინტელექტის გამო. (Fielding, 1942: 204)

თუ ოჯახს არ ყავდა ვაჟიშვილი, მათ აჰყავდათ ის, რათა გადაეცათ მისთვის მემკვიდრეობა. გოგო შვილი არ ითვლებოდა მემკვიდრედ, ხოლო გვარის გაგრძელებისათვის მას ხშირად ახლო ნათესავზე აქორწინებდნენ. კაცებისთვის მიღებული იყო ორმაგი სტანდარტით ცხოვრება, მაშინ, როცა მოღალატე ცოლები სასტიკად ისჯებოდნენ. ქალს შეეძლო სასამართლოში შეეტანა განაცხადი განქორწინებაზე, მაგრამ მას უნდა ჰქონოდა ქმრის თანხმობა და უნდა დაემტკიცებინა ქმრის მიერ მის მიმართ გამოვლენილი სისასტიკე. (Bardis, 1964)

ჰომოსექსუალურობა კულტურის მიერ მიღებული იქნა. ბერძენი მწერლები ხშირად წერდნენ ამის შესახებ. მამაკაცები ერთმანეთს მიმართავდნენ ინტელექტუალური და ემოციური მხარდაჭერისათვის და ამას კი ხშირად ჰომოსექსუალურ ურთიერთობებამდე მიყავდა ისინი. ჰომოსექსუალურობა არ ითვლებოდა დანაშაულად და მიუღებლად ძველ საბერძნეთსა და რომში.

იუდეველთა და ძველბერძნულ ოჯახთა მსგავსად, რომაელთა ოჯახებიც პატრიარქალურნი იყვნენ. მაგრამ, მათგან განსხვავებით, ისინი მონოგამური იყვნენ და არ ემხრობოდნენ მრავალცოლიანობასა და ცოლის ღალატს. ოჯახის მთავრად, რასაკვირველია, მამაკაცი ითვლებოდა და ის აკონტროლებდა ყველაფერს.

მაღალი კლასის წარმომადგენლები გოგო-შვილებს მზითევსაც კი უმზადებდნენ, მაგრამეს მზითევი მისი ქმრის საკუთრება ხდებოდა. დაბალი კლასის წარმომადგენლებს არ შესწევდათ უნარი დიდი ცერემონიალების გადასახდელად და მათი ქორწინება დიდი ხმაურისა და სტუმრიანობის გარეშე ხდებოდა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა წყვილის გადაწყვეტილებას დაქორწინებაზე, რაც დღემდე

ძალიან მნიშვნელოვანია. მაღალი კლასის წარმომადგენელთა ქორწინებისას იდებოდა საქორწინო ხელშეკრულება და ადგილი ჰქონდა ცერემონიალს. (Bardis, 1964)

ისევე, როგორც იუდეველთათვის, ვაჟი შვილი ბერძნებისათვისაც ძალიან სანატრელი იყო. მამას უფლება ჰქონდა დაებრაკა შვილები, არ მიეღო, მიეტოვებინა ან გაეყიდა. ეს, როგორც წესი, უფრო მდედრობითი სქესის შვილებზე ვრცელდებოდა. შვილები განათლებას თავიანთი მშობლებისაგან იღებდნენ და მათთან ერთად მუშაობდნენ, გოგონები-დედასთან, ბიჭები კი- მამასთან.

კაცს უფლება ჰქონდა ცოლს გაშორებოდა ნებისმიერი მიზეზით, მაგრამ მათ ეკრძალებოდათ ღალატი, ღვინის სმა, საწამლავის კეთება და სახლის გასაღების გამრავლება, ანუ ფალსიფიკაცია. ოჯახის თავკაცის აზრს იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა ოჯახის სხვა წევრებზე, რომ მას არა მარტო საკუთარ ცოლთან შეეძლო განქორწინება, არამედ თუ მას მოუნდებოდა, ვაჟიშვილსაც კი აიძულებდა გაშორებოდა ცოლს.

II საუკუნეში ჩვ.წ.აღ რომი და კართაგენი ჩაება მრავალწლიან ომში. ომები ხშირად ხელს უწყობდა სოციალურად დამახასიათებელ თვისებებს და ჩვევებს მიიღონ სხვა სახე და კართაგენთან მრავალწლიანი ომი გახლდათ ზუსტად იმის მაგალითი, როგორ შეიცვალა ქალის როლი და მისი სტატუსი საზოგადოებაში. რადგან ოჯახის კაცები წლების მანძილზე არ იმყოფებოდნენ სახლში, ქალმა იტვირთა თავის თავზე მანამდე კაცისთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობები.

რომაელი ქალები უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ, ვიდრე მათი წინამორბედები ძველ საბერძნეთში მაცხოვრებელი ქალები, მათ უფლება ჰქონდათ საკუთარი ნებისამებრ აღეზარდათ შვილები და ეზრუნათ მათ მომავალზე. ომის შემდეგ ისინი ბევრად უფრო დამოუკიდებელნი აღმოჩნდნენ. ხშირად ისინი მამის გავლენის ქვეშ უფრო იმყოფებოდნენ, ვიდრე ქმრის. მაღალი კლასის წარმომადგენლებს რომის იმპერიაში შეეძლოთ მეორეჯერ ქორწინებაც კი.

ბევრი ქალი საკმაოდ მდიდარიც გახლდათ, ისინი მემკვიდრეობით იღებდნენ ქონებას მშობლების ან ქმრებისაგან, კანონი განქორწინებისას იცავდა მათ უფლებებსაც.

ღალატი აღარ ისჯებოდა ისე სასტიკად, როგორც ეს ხდებოდა მანამდე, აგრეთვე,

დაშვებული გახდა აბორტის გაკეთება. მართალია, ღალატი არ რჩებოდა დაუსჯელი, არსებობდა სხვადასხვა ხერხი, მაგალითად, ქონების დაკარგვა, ან რაიმე საფასურის გადახდა, მაგრამ აღარ იყო სიკვდილით დასჯა. უფრო დასაშვები და მისაღები გახდა პროსტიტუცია.

რომაული ოჯახი წარმოადგენდა საზოგადოების რელიგიურ, განათლებულ, ეკონომიკურ და იურიდიულ ნაწილს. გაუმჯობესდა ქალისა და ბავშვის სტატუსი საზოგადოებაში, მამებმა დაკარგეს ის უზარმაზარი კონტროლი ოჯახის ყველა წევრზე, რომლითაც აქამდე სარგებლობდნენ. ომის შემდეგ პერიოდში ადამიანებმა შეიძინეს მეტი ინდივიდუალობა.

ქრისტეს დაბადების შემდეგ, პირველ საუკუნეში ოჯახის შიგნით არსებული ტრადიციები არ იყო გამოკვეთილად ქრისტიანული, ის უფრო ჰგავდა იუდეველთა, ძველბერძენთა და რომაელთა ტრადიციების ნაკრებს. თანდათანობით განვითარდა ქორწინების მკვეთრად გამოხატული ჰომოგენური სისტემა, რომელიც დაეყრდნო ახალ აღთქმას, სადაც სხეული და სული ცალ-ცალკე განიხილება. დასავლურ სოფლმხედველობაზე და ცხოვრების წეს-ჩვეულებაზე, ქრისტიანობაზე მეტი გავლენა არ ჰქონია არც ერთ ძალას. (Tannahill, 1985)

მაშინ, როდესაც მასიურად უწიგნურობა და წერა-კითხვის უცოდინრობა იყო გავრცელებული, ძირითადი ნაწერები და წიგნები ეკუთვნოდა მონასტრებს. როგორც იესო ქადაგებდა, ქალმა და კაცმა უნდა დატოვოს მშობლის სახლი და შეუღლდეს - “ერთ ხორც იქნან”. განქოწინების ერთადერთი მიზეზი, შესაძლოა, ყოფილიყო მხოლოდ ღალატი. მას ძალიან უყვარდა ბავშვები და ქალებს დიდი პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა.

პავლე მოციქულის წერილებში კორინთელთა მიმართ ნათლად სჩანს მისი დამოკიდებულება ქალებისა და ქორწინების მიმართ. ქალები უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი ქმრების ერთგულნი და მორჩილნი. მათ არ ჰქონდათ ეკლესიაში საუბრის უფლება, ისინი სწავლობდნენ თავიანთი ქმრებისაგან. ქმრებიც, აგრეთვე, უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი ცოლების მოსიყვარულენი და ერთგულნი, ბავშვების მიმართ უნდა გამოეჩინათ სითბო, სიყვარული და მზრუნველობა.

ქრისტიანულმა მონოგამიამ, უბიწოებამ, ცოლ-ქმრულმა ერთგულებამ გააძლიერა

ნუკლეარული ოჯახი და დაუპირისპირდა ორმაგ სტანდარტს. ქალები გახდნენ ეკლესიის წევრები და მათ აიდიალებდნენ ღვთისმშობელ მარიამთან, ეკლესიის მამები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ქალწულებსა და ქვრივებს.

სექსუალური სიამოვნება სასტიკად განიკითხებოდა, სქესობრივი აქტი ემსახურებოდა მხოლოდ გამრავლებას, სხვა შემთხვევაში ის ცოდვად ითვლებოდა. კონტრაცეპციის ნებისმიერი სახე იკრძალებოდა, აგრეთვე, მიუღებელი იყო ანალური, ორალური ურთიერთობა, ჰომოსექსუალიზმი და აღვირახსნილობა. განსაკუთრებულად მკაცრი ეპიტემია ედებოდა მარხვის დროს მცოდველს. წლების მანძილზე ცოდვის გამოსასყიდად ის მხოლოდ წყალზე და პურზე იყო, ან ფსალმუნების კითხვაში ატარებდა უმეტეს დროს. 305 წელს ქრისტიან ქალებს აეკრძალათ არაქრისტიან მამაკაცებზე ქორწინება, აგრეთვე ნათესავებზე და ნათელ-მირონით შეძენილ ნათესავებზე, ნათესაობა კი მე-7 თაობამდე გადადიოდა, ნათელ-მირონობა - მე-9 თაობამდე.

ეკლესიის მსახურ მამაკაცებს ეკრძალებოდათ ქორწინება, რადგან სექსი და ქალები ეშმაკთან იყო გაიგივებული. მონოგამია და ერთგულება ოჯახში საკმაოდ ძლიერი იყო, ქალებთან ერთად გაუმჯობესდა ბავშვების სტატუსიც, აიკრძალა აბორტი, ბავშვთა მოკვლა და გაყიდვა.

- **შუასაუკუნეების ოჯახი**

500-წლიდან 1500-წლამდე პერიოდს ეწოდება შუასაუკუნეები. ეკლესიას ამ პერიოდში გააჩნდა უზარმაზარი კონტროლი ქორწინებასა და ოჯახურ ცხოვრებაზე. დიდგვაროვანთა წარმომადგენლებიც კი ექვემდებარებოდნენ ეკლესიის მიერ დადგენილ წესებსა და კანონებს. კვლავ დიდი იყო კლანისა და ოჯახის სიძლიერე და როლი.

დიდ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი XI საუკუნეში, აქ პირველად ჩნდება გვარი, რომელიც მამის ხაზით გადადიოდა. ისევ უფროსი ვაჟი რჩებოდა მთავარი მემკვიდრე. დადგინდა საქორწინო ასაკი: 14 - ვაჟებისთვის და 12 – ქალებისთვის. ასევე ხდებოდა ბავშვობაში დანიშვნა, ძირითადად ამას ადგილი ჰქონდა დიდგვაროვანთა შორის. 1164 წელს ქორწინება გახდა ერთ-ერთი შვიდი

საიდუმლოთაგან, ის აუცილებლად ეკლესიაში ხდებოდა და მღვდელი წერდა დაქორწინებულებს ჯვარს.

ამ პერიოდში სწრაფად გავრცელდა შავი ჭირი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ოჯახზე, პირველად შავი ჭირი იტალიაში დაფიქსირდა 1347 წელს. მაშინდელი დასავლეთ ევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიღუპა შავი ჭირისაგან, ბევრი ქალაქი და სოფელი დაცარიელდა. ავადმყოფობას გადარჩენილნი ახალ ადგილას გადადიოდნენ საცხოვრებლად, გააუმჯობესეს თავიანთი საცხოვრებელი პირობები, დასახლდნენ ახალ მიწებზე, დაიკავეს სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები. ხალხს გაუჩნდა ახალი შემოსავალი, ამან კი გამოიწვია ადრეული ქორწინებები, შავი ჭირის გავრცელებამდე იტალიაში, საქორწინო ასაკი მამაკაცისთვის იყო 40 და ქალისთვის 25, ხოლო შემდგომ მან დაიწია, კაცებისთვის 24 და გოგონებისთვის – 16 გახდა. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია შობადობის გაზრდა. როგორც იმდროინდელი წყაროები გვამცნობენ, ახალგაზრდა მამაკაცები ხშირად მიმართავდნენ სუსტი ყოფაქცევის ქალებს, აგრეთვე ხშირი იყო გაუპატიურებაც. არისტოკრატიულ წრეებში მიღებული იყო "ფარცქვალი" დაქორწინებულ ქალებსა და კაცებს შორის. დაახლოებით 1700 წლამდე ეს ასე გრძელდებოდა, მერე საგრძნობლად გამტკიცდა ეკლესიის მოთხოვნები და ხალხიც უფრო ემორჩილებოდა მის მიერ დაწესებულ კანონებს. ამ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ქორწინების გარეშე ორსულთა რაოდენობა.

ჯვაროსნული ლაშქრობების დროს გამოჩნდნენ პირველი რაინდები, ისინი გამოირჩეოდნენ დიდი ყურადღებით და პატივისცემით ქალების მიმართ, ამიტომაც ძალიან პოპულარულნი იყვნენ, ამავდროულად, ვაჟკაცები და მამაცები.

ძალიან გავრცელებული იყო მეფის კარზე ღალატი, ხშირი იყო ქორწინების გარეშე სექსუალური ურთიერთობების დამყარება, დამალული გრძნობები, რასაც ხშირად ვხვდებით იმდროინდელი სამეფო ცხოვრების აღწერისას მხატვრულ ლიტერატურაში. გლეხი ქალები თვითონ ზრდიდნენ შვილებს, გარდა საკუთარი შვილებისა, ისინი, აგრეთვე, ზრდიდნენ და ძუძუს აწოვებდნენ არისტოკრატიის წარმომადგენელთა შვილებს.

- **ოჯახი რენესანსის პერიოდში**

მომდევნო ორი საუკუნე, რენესანსად წოდებულ, საკმაოდ მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს. ამ პერიოდში მოხდა ამერიკის აღმოჩენა, გავრცელდა ქრისტიანობის ახალი მიმდინარეობები, გაჩნდა ახალი კანონები ქორწინების და განქორწინების შესახებ.

ამ პერიოდში მოხდა დიდი ოჯახებიდან პატარა ოჯახებზე გადასვლა, ანუ ნუკლეარულ ოჯახზე. ქალი შვილებთან ერთად კვლავ მეუღლის საკუთრებად ითვლებოდა.

რენესანსის პერიოდში გაჩნდა ახალი საშუალო ფენა. ქალაქების ზრდამ და ვაჭრობამ გამოიწვია, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების გარდა, სხვა საქმიანობების გავრცელება. არაარისტოკრატიული წარმოშობის ადამიანებსაც მიეცათ საშუალება გამდიდრებისა. ისინი დაკავდნენ ვაჭრობით, ტრანსპორტირებით და სხვა წვრილი ბიზნესით.

ასეთ პირობებში დიდ ტრადიციულ ოჯახებს უჭირდათ არსებობა და ზუსტად ეს გახდა ნუკლეარული ოჯახის წარმოშობის მიზეზი. გარდა წინასწარ შეთანხმებული ქორწინებისა, გავრცელდა სიყვარულით ქორწინება, ადამიანები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ოჯახის შექმნისას დიდი როლი ენიჭება გრძნობასა და ურთიერთსიყვარულს.

- **ქრისტიანობის ზეგავლენა ქართულ ოჯახზე**

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის ადრეულ საქორწინო ურთიერთობათა შესახებ არსებული წერილობითი მონაცემები მეტად მცირეა. ძველი ცნობები ქორწინების შესახებ ჩვენ მხოლოდ საქართველოს გაქრისტიანების პერიოდიდან მოგვეპოვება. ქრისტიანობამ საკმაოდ ბევრი წარმართობის წესები აღმოფხვრა და თავისი შემოიღო. მაგრამ ქრისტიანობის გავლენით შეცვლილ ქორწინების ზნე-ჩვეულებებსა და წესებში ბევრი რამ შემოინახა, რაც შორეული წარსულის ნაშთს წარმოადგენს და ცოლ-ქმრობის დამყარების ძველისძველი წესების ისტორიის ერთ-ერთი საფეხურისთვისაა დამახასიათებელი[27].

---

[27] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. V, თბილისი 1982, გვ. 144-146

ტრადიციულ ქორწილს საქართველოში უდიდესი ზნეობრივი შინაარსი და გამომსახველობითი ფორმა ჰქონდა, რომლის ბევრი ელემენტი ფორმითა და შინაარსით მისაღებია თანამედროვე ცხოვრების წესისათვის. ქორწინების მრავალმა ტრადიციულმა მხარემ საუკუნეებს გაუძლო და ჩვენს დრომდე მოაღწია, როგორც ერის სოციალური ცხოვრების მაჩვენებელმა. შეიძლება ითქვას, რომ ისინი დღესაც ინარჩუნებენ ძველ ფორმას და ორიგინალურობას. (თ. იველაშვილი, 1999: 5)

ნათესაობა, წარსულშიც და დღესაც, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ქორწინების ამკრძალავ ფაქტორს. აკად. ივ. ჯავახიშვილი ნათესაობის ორ სახეს გამოჰყოფს – ხორციელსა და სულიერს. "მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა საშუალებას იძლევა, რომ მათ დაემატოს კიდევ ორი – ხელოვნური და მოყვრობითი ნათესაობა, როგორც ცალკე დამოუკიდებელი. არსებულ საველე ეთნოგრაფიული მასალების სიზუსტეს ასახავს წერილობითი მონაცემებიც. კერძოდ, წარსულში ეკლესია ნათესაობის ხუთ სახეს ცნობდა: 1. –არასისხლისა; 2. – მძახლობისა; 3. – სამ-ნათესაობისა, ესეც მძახლობითიარს, მაგრამ სამ ნათესავთაგან იქმნების; 4. – წმინდისა ნათლისღებისა; და 5 – შვილად ხელდებულისა.[28]

ხორციელ და სისხლიერ ნათესაობაში საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობა გულისხმობდა და დღესაც გულისმობს პიროვნებების მიმართ, როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი ხაზით "მოდგმა-შთამომავლობას", რომელსაც გააჩნია პირდაპირი და გვერდითი განშტოებანი. პირდაპირი განშტოებაა – მამა (დედა), შვილი (ვაჟიშვილი, ქალიშვილი), შვილიშვილი და ა.შ., ხოლო დისშვილი, ძმისშვილი და ა.შ. გვერდით განშტოებას წარმოადგენს. (თ. იველაშვილი, 1999: 9)

საქართველოს მოსახლეობაში სისხლით ნათესავთა (როგორც პირდაპირი, ისე გვერდითი ხაზით) დაქორწინება შვიდი თაობის გასვლამდე დაუშვებელი იყო. ხალხის შეხედულებით, სისხლით ნათესავი ქალ-ვაჟის დაქორწინება შთამომავლობაზე ახდენს უარყოფით გავლენას.

საქართველოს დანარჩენი კუთხეებისაგან განსხვავებით, ამ მხრივ თავისებურებებით ხასიათდებოდა და დღესაც ხასიათდება აჭარის მოსახლეობა, სადაც ადგილი ჰქონდა კუზენურ და კროსკუზენურ ქორწინებას. (თ. იველაშვილი,

[28] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, თბილისი, მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1963, გვ. 51

1999: 11) მისი წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა.

დ. ოლდეროგგეს შეხედულებით, კუზენური ქორწინების წარმოშობა განპირობებული იყო დიდ პატრიარქალურ ოჯახში შექმნილი ქონებრივი ურთიერთობით. მამის ძმისშვილთან ქორწინების დროს დიდი ოჯახის ქონება ზარალს არ განიცდიდა, რადგან გამოსყიდვისათვის განსაზღვრული საქონელი კვლავ ოჯახის ფარგლებში რჩებოდა.[29]

წერილობითი მონაცემების მიხედვით, წარსულში ქართველ დიდგვაროვანთა წრეში, განსაკუთრებით კი სამეფო საგვარეულოში, სისხლით ნათესავი ქალ-ვაჟის დაქორწინება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. გაბატონებული მდგომარეობის მქონენი მხოლოდ თავიანთი წრიდან ირჩევდნენ თანამგზავრს. აკად. ივანე ჯავახიშვილმა, შეისწავლა ამ საკითხთან დაკავშირებით ქართული წერილობითი წყაროები და დაასკვნა, რომ "სამეფო საგვარეულოში მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება აკრძალული არ ყოფილა და ეს "ენდოგამია", ალბათ, სპარსული მაზდეანობის გავლენის შედეგი იყოს"; ამავე დროს მას მხედველობიდან არ გამორჩენია და მართებულად მიუთითა, რომ "ენდოგამია" წარჩინებულ საგვარეულოში იყო ხოლმე და საერთო მოვლენად იგი არ ყოფილა.[30]

ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარების გარკვეული ეტაპიდან ცალკეული სოციალური ჯგუფის განმსაზღვრელი იყო არა მარტო მისი სამეურნეო საქმიანობა, არამედ ამა თუ იმ ოჯახისა თუ გვარისადმი კუთვნილებაც. ამგვარი სოციალური დაჯგუფება კი თანდათანობით არღვევდა საოჯახო-საქორწინო კავშირების ადრეულ პრინციპებს. ეს კი ცალკეულ ჯგუფებს შორის ეგზოგამიას იწვევდა, ხოლო თითოეულ ჯგუფს შიგნით ეგზოგამიური პრინციპებიდან ენდოგამიურზე გადასვლას. ამას შედეგად მოყვა ის, რომ ენდოგამიის დაფუძნებამ სისხლით ახლო ნათესავ ქალ-ვაჟს შორის ქორწინების დაშვება გამოიწვია. დიდგვაროვანთა წრეში არსებული "ენდოგამიის" წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორიც გახლდათ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით ერთი

---

[29] Ольдерогге, Д. А., Некоторые вопросы изучения системы родства, Советская Энциклопедия, Т 1, 1958

[30] ივ. ჯავახიშვილი, "თხზულებანი" ტ. VI, თბილისი, 1982, გვ. 150

გვარის ქალ-ვაჟის დაქორწინება გვხვდება არა მარტო იმ გვარებში, რომლებიც წარსულში გაბატონებულ ფენას ეკუთვნოდნენ, არამედ სოციალურად დაბალი, მწარმოებლური ფენის გვარებშიც. გაბატონებულ ფენაში თუ ამგვარ ქორწინებას თავისი სოციალური, კლასობრივი და პოლიტიკური საფუძველი გააჩნდა, ამას ვერ ვიტყვით სოციალურად დაბალ ფენაზე.[31] როგორც ჩანს, მწარმოებლური ფენის მაგალითზე, აღნიშნული პრობლემის შესწავლისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს სოციალურ-ეკონომიკურ, მიგრაციულ ფაქტორებზე და მის ნიადაგზე შემუშავებულ რელიგიურ-ფსიქოლოგიურ მომენტებზე.

ნათელ-მირონობითი, ანუ სჯულიერი ნათესაობა: ქართველ ხალხში ნათელ-მირონობით ნათესაობა ერთ-ერთ უძლიერეს სახეს წარმოადგენდა. უმეტეს შემთხვევაში ნათლიად მეჯვარე ხდებოდა და დღესაც ასე ხდება. ნათელ-მირონობით დანათესავებულთა შორის როლების შეცვლა არ შეიძლებოდა. ხალხის შეხედულებით, "მირონის გაცვლა-შებრუნება" დაუშვებელი იყო.

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მეჯვარე-ნათლიად ძირითადად არანათესავს, სხვა გვარის კაცს ირჩევდა და ირჩევს დღესაც. მეჯვარე-ნათლიობა მხოლოდ ერთ "შტოზე", ერთ "კლავზე" ვრცელდება და არა მთელ გვარზე. ქართველი კაცი მშობლებისა და და-ძმების შემდეგ ახლობლად მეჯვარე-ნათლიას მიიჩნევდა. შეიძლება ითქვას, რომ "ნათლიმამა" და "ნათლიდედა" "ნათლულისათვის" სულიერ მშობლებს წარმოადგენდნენ.

აჭარის მოსახლეობაში ნათლიად მოკიდება, მართალია, მუსლიმანური წესით ხდებოდა და ამ გზით დანათესავებულთა შორის საქორწინო აკრძალვები მუსულმანური სამყაროსათვის არ იყო დამახასიათებელი, მაგრამ მაინც ტრადიციის ძალით აქ ნათლია სისხლით ნათესავის რანგში იყო აყვანილი და მასთან – მის შთამომავლობასთან ქორწინება იკრძალებოდა შვიდ თაობამდე.[32]

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქრისტიანული ეკლესიის გავლენა საქართველოს მთაზე არც ისე ძლიერი იყო, მაგრამ იქაც ნათლიობის გზით დანათესავებულთა შორის საქორწინო აკრძალვები მტკიცედ იყო დაცული.

---

[31] თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში, თბილისი, 1999, გვ. 13

[32] მ. ბექაია, "ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში", ბათუმი, 1974, გვ. 84

ხელოვნური ნათესაობა: შვილად აყვანა, დაძმობილება - სისხლის შერევით დაძმობილება, რძით დაძმობილება, "ხატში გაფიცვა". საქართველოს მოსახლეობა შვილად აყვანას მიმართავდა იმ შემთხვევაში, როცა ოჯახი უმემკვიდრეოდ იყო დარჩენილი. ოჯახი ცდილობდა პირველ რიგში ოჯახის ახლობლის ბავშვი (უფრო ხშირად ვაჟი, მომავალი მემკვიდრე) ეშვილა. თუ ასეთი საშუალება არ იყო, მაშინ არანათესავის შვილს იშვილებდა.

საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობაში შვილად აყვანილის მიმართ ნათესაობა და, აქედან გამომდინარე, საქორწინო აკრძალვები ისეთივე თანმიმდევრობით ხორციელდებოდა და ხორციელდება დღესაც, როგორც სისხლით ნათესავის მიმართ. მთელ ნათესაობას ოჯახის მიერ შვილად აყვანილი ისეთივე ნათესავად და ახლობლად მიაჩნია, როგორც სხვა სისხლით ნათესავი, საეკლესიო დადგენილებით, "ნათესაობა შვილად სახელდებულისა აღირიცხვის ვიდრე მერვედ თაობამდე, ვითარცა ნათლისღებისა აღმავალთა მხოლოდ და შთამომავალთა. ხოლო გვერდგანმავალთა თანა არ აქვს ნათესაობა რაიმე რომელ არიან ძმანი, დანი და სხუანი".[33]

ნაშვილებს ისევე ღებულობდნენ და ისეთივე მოთხოვნებს უყენებდნენ, როგორც სისხლით ნათესავს და ზემოთ აღნიშნული აკრძალვები მასზედაც ისე ვრცელდებოდა, როგორც ოჯახის სხვა წევრებზე და ახლო ნათესავებზე.

ქართველ ხალხში მეტად გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა დაძმობილების გზით ხელოვნური დანათესავება, რომელიც მეტად დიდი სიმტკიცით განსაკუთრებით საქართველოს მთაში ხასიათდებოდა. დაძმობილება სხვადასხვა საშუალებით ხორციელდებოდა: სისხლის შერევით, რძით, ფიც-ვერცხლის მიღებით, ხატში გაფიცვით და ა.შ.[34]

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში როცა დაძმობილება "სისხლის გაზიარებით" ხდებოდა, გაფიცულთა და მათ შთამომავლობას შორის შვიდი თაობის გასვლამდე ქორწინება სასტიკად იკრძალებოდა. ვადაზე ადრე ამ აკრძალვის დამრღვევი ქალ-ვაჟი ისეთივე სისასტიკით ისჯებოდა, როგორც სისხლით ნათესაობის დამრღვევნი

---

[33] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბილისი, 1965

[34] ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობების ისტორიიდან, თბილისი, 1960

(თემიდან იდევნებოდნენ).[35]

მართალია, საქართველოს ცალკეულ კუთხეში (განსაკუთრებით ბარის რეგიონები) სისხლით დანათესავებულთა შორის ქორწინების აკრძალვის ამგვარი სიმკაცრე არ იყო, მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ წარსულში ეს წესი ამ კუთხეებშიც უნდა არსებულიყო და, გარკვეული ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, დროთა განმავლობაში შესუსტდა. (თ. იველაშვილი, 1999: 15-16)

რძით დაძმობილება. საქართველოს ყველა კუთხის, განსაკუთრებით კი მთის მოსახლეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რძით დაძმობილება-დანათესავებას. რძით დანათესავება რამდენიმე სახისა იყო. დანათასავების მიზნით მცირეწლოვან ბავშვს მეორე ბავშვის დედა ძუძუს მოაწოვებდა. ამის შემდეგ ეს ქალი ამ ბავშვის დედობილად, ხოლო ბავშვი ქალისთვის შვილობილად, ერთმანეთის კბილა ბავშვები კი ძმობილებად თუ დობილებად ითვლებოდნენ.

დაძმობილებულებსა და მათ შთამომავლობას შორის (ვიდრე ეს ნათესაობა ახსოვდათ) საქორწინო ურთიერთობა იკრძალებოდა. მ. ბექაიას აზრით, "რძით ნათესაობას უფრო მეტი სიმტკიცე და მნიშვნელობა ჰქონდა აჭარაში, ვიდრე სისხლით ნათესაობას". ყოველივე ამას კი ის უკავშირებს "დედამძუძუეობის ინსტიტუტის გადმონაშთების არსებობას".[36]

საქართველოს ზოგიერთი კუთხის მოსახლეობაში (ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი) ქალისათვის ნაშვილებად, ხოლო მისი შვილისათვის ძმობილად თუ დობილად ითვლებოდა ის პირიც, რომელსაც მტკივან თვალში ეს ქალი ძუძუდან რძეს ჩააწვეთებდა. ამ გზით შეიძლებოდა რამდენიმე შვილობილი ჰყოლოდა და მათგან ზოგიერთი მასზე უფროსიც ყოფილიყო. ლხინში თუ ჭირში ერთმანეთს მხარში ედგნენ და მათ შორის ქალის თხოვა-გათხოვება არ შეიძლებოდა. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო იმაზე, რამდენ თაობას ახსოვდა ეს დანათესავება. (თ. იველაშვილი, 1999: 17)

"ხატში გაფიცვა" საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილში წარსულში საკმაოდ გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა ხატის კარზე ძმად გაფიცვით ხელოვნური

---

[35] ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობების ისტორიიდან, თბილისი, 1960

[36] მ. ბექაია, "ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში", ბათუმი, 1974

დანათესავება. ზოგიერთ კუთხეში (ლეჩხუმი) ხატში გაფიცვის შედეგად შექმნილი ნათესაობა და ამის გამო ქორწინების აკრძალვა, მხოლოდ გარკვეულ ძმადგაფიცულებსა და მათი ოჯახის წევრებზე ვრცელდებოდა. მათ გვარებსა და სხვა სახის ნათესაობას ეს არ ეხებოდა. ხატში შეიძლებოდა გაფიცულიყო არა მარტო ორი პიროვნება, არამედ ორი ოჯახი და რამდენიმე გვარიც კი. მაგალითად, სამეგრელოში ერთ-ერთმა რესპონდენტმა (თამარა, 67) გვიამბო, რომ კაკულიები და გაბუნიები ხატში გაფიცულებს წარმოადგენდნენ და ამ გვარების წევრებს შორის ქალის თხოვება-გათხოვება არ შეიძლებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ დღესაც კი ვისაც ახსოვს ეს შეფიცვა, ერიდებიან ამ აკრძალვის დარღვევას. ხევში გვართა ამგვარ გაერთიანებას "მამისძმობა" ეწოდებოდა. ვ. ითონიშვილის მითითებით, მათი ერთად შეყრითა და საერთო "სამხთოს" გამართვით აღინიშნებოდა, ვალდებულნი იყვნენ ჭირსა და ლხინში ერთმანეთს დახმარებოდნენ და "მამისძმობის" წრეში ქალის თხოვას მორიდებოდნენ".[37]

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ხევსურეთი, ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, ლეჩხუმი, სვანეთი) გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო როცა სუსტი ან მრავალმტრიანი გვარი მფარველობას ეძებდა, ის ძლიერ გვარს შეეკედლებოდა ხატში "ხარ-ქვაბით შეეყრებოდა" და ხშირად მის გვარზეც ეწერებოდა. შეყრილობის წესი არა მარტო საქართველოს მთაში, არამედ მთელ საქართველოში გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ოჯახებისა და გვარების შეყრილობა მტრის შემოსევით გამოწვეული საშიშროებისაგან თავდაცვის მიზნით წარმოებდა, რაკი საქართველო ხშირად იყო ჩავარდნილი განსაცდელში.[38]

- **საბჭოთა ოჯახი**

როგორც ვხედავთ, ოჯახი წარმოადგენს ადამიანთა ერთობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და უძველეს ისტორიულ ფორმას. ოჯახს საფუძველი ქორწინებით ეყრება. ქორწინება და შობადობა ოჯახის ბიოლოგიურ საწყისს წარმოადგენენ. ოჯახში ადამიანი ვლინდება არა მარტო როგორც სოციალური, არამედ როგორც

[37] ვ. ითონიშვილი, "ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან", თბილისი, 1960, გვ. 60-61

[38] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტომი VIII , თბილისი, 1977, გვ. 157

წმინდად ბუნებრივი, პიროვნულად უნიკალური ფსიქოლოგიური არსება.

საბჭოთა სახელმწიფომ არსებობის პირველივე დღეებიდან აქტიურად დაიწყო რეფორმების გატარება, შეცვალა სამოქალაქო კანონმდებლობა, მათ შორის ის კანონები, რომლებიც ეხებოდა საქორწინო-საოჯახო კავშირებს. ეკლესიას ჩამოერთვა ქორწინების და ბავშვთა დაბადების რეგისტრაციის უფლება. მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებას ენიჭებოდა იურიდიული ძალა.

ხშირად ისმოდა დასავლეთიდან საბჭოთა ოჯახის კრიტიკა. მაგალითად, სოციოლოგი კლაუს მერნეტი წერდა: რომ საბჭოთა მთავრობამ "რევოლუციის შემდეგ მაშინვე დაიწყო ბრძოლა ოჯახის წინააღმდეგ….. კომუნისტებს ახელებს თვით არსებობა ქვეყნად ამ ერთადერთ კონტროლის დაუქვემდებარებელი ინსტიტუტისა, თვითმყოფი და თავისთავში ჩაკეტილი უჯრედისა, როგორც უცხო სხეული სახელმწიფოში, რომლის ყველა სხვა კუნჭული თავიდან ბოლომდე კონტროლს ექვემდებარება…."[39]

საბჭოთა საქართველოში 20-იან წლებში ქალთა თანასწორობის იდეების ფართო გავრცელებას ჰქონდა ადგილი. ამ იდეოლოგიის თანახმად, ქორწინება წარმოადგენდა კომუნისტური საზოგადოების ორი თანასწორუფლებიან, თავისუფალ და ერთნაირად დამოუკიდებელ ორი წევრის სიყვარულზე და მეგობრობაზე დაფუძნებულ კავშირს. როგორც ალექსანდრა კოლონტაი წერდა: "თანამედროვე ოჯახმა დაკარგა ტრადიციული ეკონომიკური ფუნქციები, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქალს თავად შეუძლია ამოირჩიოს პარტნიორი". ის ამავდროულად ამტკიცებდა, რომ ქალი უნდა იყოს ემანსიპირებული არა მარტო ეკონომიურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც. ბავშვების აღზრდას ის საზოგადოებას აკისრებდა.

საბჭოთა ხელისუფლების ჩამოყალიბების პირველ წლებში აბორტები არ იყო დაშვებული, მაგრამ სახელმწიფო მის მიმართ არანაირ ზომებს არ იღებდა. რადგან ის ხშირად ცუდ სანიტარულ პირობებში და არაკვალიფიციური ადამიანების ხელით კეთდებოდა, საბჭოთა ხელისუფლებამ 1920 წლის 20 ნოემბერს დაუშვა აბორტები მხოლოდ მკაცრი სამედიცინო კონტროლის ქვეშ.

მეორე მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც ეხებოდა ქორწინებას, ოჯახს და

[39] К. Мернет, Советский человек, 1959, стр. 66-89

მზრუნველობას, მიღებული იქნა 1926 წელს. ეს კოდექსი ეფუძნებოდა დასავლურ ლიბერალურ ტრადიციებს, მაგალითად, ქორწინების ოფიციალურად რეგისტრაცია აღარ იყო აუცილებელი, წყვილს შეეძლო ერთად ეცხოვრა, ერთად ეზრუნა შვილებზე იურიდიული ქორწინების გაფორმების გარეშე.

30-იანი წლების ბოლოს მეტი ყურადღება ექცეოდა ოჯახს, დაიწყო საბჭოთა ოჯახის დაგეგმვის აქტიური პროცესი. 1936 წელს მიღებული იქნა ახალი კოდექსი ოჯახის შესახებ, რომელიც კრძალავდა აბორტებს. აბორტების აკრძალვით რეგულირდებოდა შობადობა, მართალია, ეკლესიისთვის არ დაუბრუნებიათ ძველი უფლებები, მაგრამ სახელმწიფო თვლიდა, რომ აუცილებელია ქორწინების სოციო-კულტურული ლეგიტიმაცია.

საბჭოთა პერიოდში ადგილი ჰქონდა მასიურ ინდუსტრიალიზაციას, ურბანიზაციას, პატრიარქალური ოჯახიდან ეგალიტარულზე გადასვლას, დემოგრაფიულ გადასვლას, უზრუნველყოფილი იყო საყოველთაო განათლება, სამედიცინო მომსახურება, სოციალური მომსახურება.

1977 წლის საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით მკაცრად იქნა განსაზღვრული ქალის და მამაკაცის მოვალეობები,: „ქალს და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ… ქალს უფლება აქვს მამაკაცის მსგავსი თანასწორი უფლება ჰქონდეს განათლების, პროფესიული მომზადების საკითხში, სამუშაოზე, დაწინაურების პერსპექტივით აქვს უფლება ჩაერთოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეობაში, კანონი ითვალისწინებს მის მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას დედობრივ საკითხში.“ რთულია იმის თქმა, რომ კონსტიტუციურად გათვალისწინებული ეს მოვალეობები არ სრულდებოდა, თუმცა საქმე იმ სტერეოტიპებშია, რომლებიც კონსტიტუციისგან დამოუკიდებლად ფორმირდებოდა. პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა შექმნა მებრძოლი მამაკაცის სტერეოტიპი. 1937 წლის რეპრესიების და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირში პროცენტულად იკლო მამაკაცთა რაოდენობამ, დღის წესრიგში დადგა მუშახელის საჭიროება მამაკაცურ სამუშაოზე, რომლის მოთხოვნაც განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროს გაიზარდა. ქალები მამაკაცებთან ერთად მუშაობდნენ მძიმე მრეწველობაში, რათა ფრონტისთვის საჭირო მასალა დაემზადებინათ და მიეწოდებინათ, ამავე დროს

ქალი არც თავის ძირითად მოვალეობას ივიწყებდა – უვლიდა ოჯახს, ზრდიდა ბავშვს, იყო დიასახლისი. მამაკაცის ფრონტზე წასვლით, საოჯახო საქმე მთლიანად ქალს დააწვა მხრებზე, ომის შემდეგ კი ბევრი ოჯახი უკაცოდ დარჩა და ქალს მამაკაცის მოვალეობის შეთავსებამაც მოუწია. ქალის სამუშაო და დედობრივი მოვალეობა სამოქალაქო მოვალეობის რანგში იყო აყვანილი. დედის კულტს, რომელიც სტალინის ეპოქაში აღზევდა, ჰქონდა ბანალური დანიშნულება – მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა. ყველაფერმა ამან კი შექმნა სტერეოტიპი იმ ქალების პატივისცემისა, რომლებიც მამაკაცურ სამუშაოს ასრულებდნენ. ქალის მიერ მამაკაცის მოვალეობების შესრულებამ ასახვა მის ქალურობაშიც ჰპოვა; საბჭოთა ქალი ნელ-ნელა ჩაცმულობითაც მამაკაცს ემსგავსებოდა, რადგანაც იდეოლოგია უარყოფდა საბჭოთა ქალების სექსუალურობას, ფიზიკურ სილამაზეს. ქალის სამოსი უნდა ყოფილიყო უბრალო, არაგამომწვევი, სასურველი იყო სწორკუთხოვანი ფორმა, ამით ხდებოდა საბჭოთა ქალის დაპირისპირება დასავლური ტიპის „ამორალურ“ ქალთან, რომელიც, საბჭოთა იდეოლოგიის თანახმად, აქცენტს ჩაცმულობაზე, სექსსა და თავის მოვლაზე აკეთებდა. საბჭოთა ოჯახის სტრუქტურამ ხელი შეუწყო მამაკაცის ტრადიციული პატრიარქალური მოდელის გაძლიერებას. ოჯახი მამაკაცისთვის იმ სივრცეს წარმოადგენდა, სადაც აზრის თავისუფლად გამოხატვა შეეძლო, მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ის ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქე იყო. იყო თუ არა საბჭოთა ქალი ამ მდგომარეობით კმაყოფილი? ეს სადავო საკითხია. საბჭოთა სტერეოტიპები იმდენად სიცოცხლისუნარიანნი აღმოჩნდნენ, რომ მათი მსხვრევა რთული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც.

თავი II: ოჯახის განვითარების დემოგრაფიული ასპექტები საქართველოში

ოჯახის დემოგრაფია საქართველოში განვითარდა XX საუკუნის მეორე ნახევარში. ის ისეთივე ახალგაზრდა მეცნიერებაა, როგორც თავად დემოგრაფია, რომელიც სოციოლოგიასთან ერთად იგნორირებული იყო საბჭოთა ცენზურის მიერ. საქართველოში ამ დარგის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით: აკად. პ. გუგუშვილს, პროფესორებს: გ. წულაძეს, მ. ბექაიას, ა. სულაბერიძეს, ვ. გუჯაბიძეს, რ. გაჩეჩილაძეს, ი. ბადურაშვილს, გ. მელაძეს, გ. გოქაძეს, ა. თოთაძეს და სხვ.

დასავლეთში ოჯახის დემოგრაფია თავისი არსით წარმოადგენს ინტერდისციპლინარულ დარგს, რომელიც განვითარდა სოციოლოგიასა და ეკონომიკასთან ერთად მჭიდრო კავშირში. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, გაიზარდა ამ მეცნიერების ინტერესი ევოლუციური ბიოლოგიის, განვითარებადი ფსიქოლოგიის და ანთროპოლოგიის მიმართ; ის ფართოდ იყენებს მონაცემთა შეგროვების ანთროპოლოგიურ ტექნოლოგიებს და ასევე ანთროპოლოგთა დიდ ინტერესს კულტურისადმი.[40] ამიტომაც თანამედროვე ეტაპზე ოჯახის დემოგრაფიაში დომინირებს შემდეგი თეორიული მიდგომები: დემოგრაფიული ტრანზიციის, ცხოვრების კურსის ციკლური განვითარების, ბიოდემოგრაფიული ურთიერთქმედების, კულტურასა და კონტექსტზე ფოკუსირებული თეორიები.

საქართველოს ოჯახების განვითარების დემოგრაფიული ასპექტების ანალიზისთვის, ჩვენ მიზნად დავისახეთ: ოჯახების სტრუქტურების და დემოგრაფიული პროცესების ცვლილებების შესწავლა დემოგრაფიული ტრანზიციის ფონზე.

2.1. დემოგრაფიული ტრანზიცია

დემოგრაფიული ტრანზიცია არის ცვლილებების პროცესი, რომელსაც განიცდის მოცემული ქვეყნის (კულტურის ან საზოგადოების) მოსახლეობა გლობალური და ლოკალური სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პირობების გავლენის ქვეშ.

---

[40] Morgan, S. Philip – "Is low fertility a 21st century demography crisis?", Demography, Vol. 40 no.4 (2003), pp. 589-603

ის წარმოადგენს დემოგრაფიული განვითარების პროცესს, რომელიც რამდენიმე ფაზით ხასიათდება. დემოგრაფიულ განვითარებაში გულისხმობენ აღწარმოების არსებულ რეჟიმს, რომელიც გვიჩვენებს ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები რამდენად განაპირობებენ თაობათა ცვლის რეჟიმს. მსოფლიოს თითოეული ქვეყანა იმყოფება ტრანზიციის ამა თუ იმ ფაზაში.

დემოგრაფიული გადასვლის კონცეფცია პირველად დაამუშავა ფრანგმა დემოგრაფმა ა. ლანდრიმ (Adolphe Landry, 1934 წ.) და უწოდა დემოგრაფიული რევოლუცია.

ლანდრის მიერ ჩამოყალიბებული დემოგრაფიული გადასვლის სქემის თანახმად მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმმა ისტორიული განვითარების თვალსაზრისით გაიარა გარკვეული სტადიები. იგი გამოყოფს სამ რეჟიმს:

ა) პირველს პრიმიტივს უწოდებს – არც ქორწინება და არც შობადობა არ არის რეგისტრირებული. მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ცხოვრების დონე საარსებო მინიმუმის ტოლია. მოსახლეობის რაოდენობის მთავარ რეგულატორად მოკვდაობა გვევლინება;

ბ) მეორე რეჟიმს გარდამავალ რეჟიმს უწოდებს და ხასიათდება იმით, რომ შობადობა იზღუდება ქორწინების გადადების და დაუქორწინებულობის გამო. მისი გამოწვევა ხდება კონომიკური პირობების ზეგავლენით;

გ) მესამე რეჟიმს ლანდრი უწოდებს თანამედროვეს და მის ძირითად ნიშნად შობადობის ცნობიერების შეზღუდვას ასახელებს. ა. ლანდრი მიიჩნევდა, რომ მომავალში შობადობის მნიშვნელოვან შემცირებას შეიძლება მოჰყვეს მოსახლეობის კლება და ცივილიზაციის დაღუპვა.[41]

მოსახლეობის ციკლური განვითარების პრობლემამ მრავალი დემოგრაფის ყურადღება მიიპყრო, შეიქმნა დემოგრაფიული გადასვლის კონცეფციის სხვადასხვა ვარიანტი. დემოგრაფიული გადასვლა არის კონცეფცია, რომელიც გამოიყენება დემოგრაფიაში მოსახლეობის აღწარმოების ტიპების ცვლის ასახსნელად. [42]

---

[41] Chesnais, J.C. – "The Demographic Transition Theory", Population and Development: Challenges and Opportunities, Volume I, Edited by Anatoly G. Vishnevsky, Encyclopedia of Life Support Systems, 2011, pp. 124-135

[42] ДЭС. М. 1985 г., стр. 115

ისტორიული თვალთახედვიდან გამომდინარე, ანსხვავებენ მოსახლეობის აღწარმოების სამ ტიპს: არქეტიპს, ტრადიციულს და თანამედროვეს.

დღევანდელ მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყანა გადასვლის სხვადასხვა ფაზაში იმყოფება. ვარაუდობენ, რომ XXI საუკუნის შუა ხანებში მსოფლიოს მოსახლეობის სტაბილიზაციის პროცესი დამთავრდება.

მოსახლეობის აღწარმოება საქართველოსთვის შემდეგნაირად გამოიყურება: პირველი ფაზა დაიწყო XIX საუკუნის დასაწყისში. მისი ხანგრძლივობა საკმაოდ დიდი იყო და მან XX საუკუნის 20-იანი წლების შუა პერიოდამდე გასტანა. ამ პერიოდიდან საქართველო შესვლას იწყებს მეორე ფაზაში. მესამე ფაზაში ქვეყანა 60-იანი წლების დასაწყისში შევიდა და მან 1990-იანი წლების შუა პერიოდამდე გასტანა.

XX საუკუნეში მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის ფაზათაშორისი გარდამავალი პერიოდი 3-ჯერ აღინიშნა. პირველი 1914-1928 წწ.; მეორე - 1967-1975 წწ., ხოლო მესამე კი 1992 წლიდან მიმდინარეობს.[43] თუმცა არსებობს განსხვავებული აზრიც, რომ 1992 წლიდან მიმდინარეობს მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპიდან უახლეს ტიპზე გადასვლის გარდამავალი ტიპთაშორისი პერიოდი და არა ფაზათაშორისი პერიოდი.[44]

ამჟამად საქართველო მეოთხე ფაზაში იმყოფება, [45] ე.ი. იქმნება პირობა მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის შეწყვეტისათვის. დემოგრაფიული გადასვლის მოდელი საქართველოს მაგალითზე ქართველ გეოგრაფთა შორის პირველად გამოყენებული და გაანალიზებული იქნა პროფ. ვ. გუჯაბიძის მიერ 1981 წელს. ქართველ დემოგრაფთა შორის ეს საკითხი მრავალჯერაა განხილული პროფ. ა. სულაბერიძის, გ. წულაძის, გ. მელაძისა, ა. თოთაძის და სხვათა მიერ.

- **I ფაზა** (XIX საუკუნის დასაწყისი - XX საუკუნის 20-იანი წლები)

დემოგრაფიული ტრანზიციის პირველი ფაზა, ისე, როგორც მრავალი ქვეყნისთვის, საქართველოსთვის გაგრძელდა რამდენიმე საუკუნე. მოსახლეობის რაოდენობის

---

[43] ა. სულაბერიძე, ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე, თბილისი, 2007, გვ. 108

[44] ვ. სულაბერიძე, დეპოპულაცია და საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება, დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარიხსხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2004, გვ. 32

[45] გ. წულაძე, დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2000 წ., გვ. 175

ზრდის მთავარ მიზეზად ამ ფაზაში, მეცნიერები ასახელებენ აგრარულ რევოლუციას.

დღეს ქრონოლოგიურ ჭრილში საქართველოს მოსახლეობასა და ოჯახების რაოდენობაზე ფრაგმენტული ინფორმაცია გაგვაჩნია.

თუ განვიხილავთ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკას ამ ბოლო საუკუნეების მანძილზე, თუ რა ცვლილებები განიცადა აქ მაცხოვრებელთა სოციალურმა თუ ეთნიკურმა შემადგენლობამ, მათ ტერიტორიულ გადაადგილებას და ა.შ., აღმოვაჩენთ, რომ არსებობს არაერთი უტყუარი საბუთი იმისა, რომ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელის ეპოქიდან დაწყებული საქართველოში ტარდებოდა მოსახლეობის აღწერა.

ამას ამტკიცებდა ივ. ჯავახიშვილი საკუთარ ნაშრომში "საქართველოს ეკონომიკური ისტორია", სადაც ის წერდა, რომ "თუ ჯარშიაც-კი მეომართა აღთვალვა-აღწერა მიღებული ყოფილა, მით უმეტეს ხალხის აღწერა წესად უნდა ყოფილიყო".[46]

ცნობილი ისტორიკოსი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ ადრეფეოდალური ხანის საქართველოში აწარმოებდნენ ხალხისა და მისი ქონების აღწერას.[47] ხალხის აღწერის დავთრების არსებობა დასტურდება 1689 წლით, ერეკლე პირველის (ნაზარალიხანის) მიერ ბოძებული ერთი საბუთიდან.[48] ქართლის სამეფოს ოთხი სადროშოს თითოეულ სარდალს ევალებოდა შვიდ წელიწადში ერთხელ აეწერა თავისი სადროშოს მოსახლეობა.

როდესაც ფეოდალური საქართველოს მოსახლეობის აღწერაზე ვმსჯელობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ასეთი აღწერები კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა და საკმაოდ შეზღუდულ ინფორმაციას აგროვებდა, განსაკუთრებით, როდესაც ეს შეეხებოდა ქალთა რაოდენობას და ოჯახთა სტრუქტურას. სრულიად გამოტოვებული იყო ის კომლი, რომელიც ქვრივი ქალისა და მცირეწლოვანებისაგან შედგებოდა. ასეთი ოჯახები არცთუ მცირე იყო იმდროინდელ საქართველოში.

მნიშვნელოვანია 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, რომელშიც

---

[46] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი პირველი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 1930 წ., გვ.5

[47] ნ. ბერძენიშვილის წინასიტყვაობა ივ. ჯავახიშვილის წიგნისა "საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები", წიგნი პირველი, "მეცნიერება, თბილისი, 1967 წ., გვ. 5

[48] ვ. ჯაოშვილი, "საქართველოს მოსახლეობა", "მეცნიერება", თბილისი, 1996 წ., გვ. 21

შედარებით უფრო ვრცლად არის მოცემული ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობის კომლთა რაოდენობა. ამ ნუსხის საფუძველზე, პროფ. ვ. გამრეკელმა გააკეთა აღმოსავლეთ საქართველოს (მესხეთ-ჯავახეთის გარეშე) მოსახლეობის რიცხოვნობის გამოთვლა XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისისათვის.[49] მისი განსაზღვრით, ქართლ-კახეთის სამეფოს მცხოვრებთა რიცხვი 226 756 სულს შეადგენდა (37 266 კომლს).

კომლთა რაოდენობა ქართლ-კახეთის სამეფოში 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის მიხედვით

ცხრილი № 1

ქალაქები	**კომლთა რიცხი**
თბილისი	4 000
გორი	500
ცხინვალი	700
სურამი	200
თელავი	750
სიღნაღი	100
ანანური	100
ახალგორი	140
სულ ქალაქები	**6 490**

სამწუხაროდ, XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოსთვის კიდევ უფრო ნაკლები დემოგრაფიული მასალა მოგვეპოვება. შემორჩენილია მხოლოდ უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები, რაც საშუალებას გვაძლევს მიახლოებით წარმოვიდგინოთ იმ დროს არსებული დემოგრაფიული სურათი. ერთ-ერთ ასეთ წყაროს წარმოადგენს გიულდენშტედტის 1772 წლის ცნობები, რომლებშიც დაცულია ინფორმაცია დასავლეთ საქართველოს ცალკეულ პროვინციებში მოსახლეობის შესახებ: სამეგრელო - 10 000 კომლი, გურია - 5 000 კომლი, ლეჩხუმი - 4 000 კომლი, სვანეთი -

[49] ვ. გამრეკელი, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის მიხედვით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1976 წ., # 3. გვ. 56-75

5 000 კომლი, რაჭის შესახებ კი ავტორი წერს, რომ ამ პროვინციას შეუძლია გამოიყვანოს 5 600 მეომარი.[50] გიულდენშტედტის ცნობებში აშკარად გადაჭარბებულია სვანეთის მოსახლეობის 5 000 კომლით შეფასება. ბევრად უფრო გვიან, კერძოდ, 1886 წელს საკმაოდ საიმედო ცნობებით, სვანეთის მოსახლეობა არ აღემატებოდა 15 000 სულს.[51]

XIX საუკუნის საქართველოში არსებული დემოგრაფიული ვითარების აღწერისათვის გაგვაჩნია ბევრად უფრო მრავალფეროვანი და სრული მონაცემები, ვიდრე XVIII საუკუნის მცხოვრებთა შესახებ, თუმცა მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა რუსეთში და საქართველოში ჩატარდა მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს (1897 წ.), "მანამდე კი მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ ძირითად წყაროს წარმოადგენდა ე.წ. კამერალური აღწერები, რომლებიც საქართველოში XIX საუკუნის პირველი წლებიდან ხორციელდებოდა". სამწუხაროდ, კამერალური აღწერები არ იყო სრულყოფილი, მრავალი სახის ხარვეზებს შეიცავდა და, ამავდროულად, არ წარმოებდა რეგულარულად. საკმაოდ ხშირი იყო კომლთა ან ოჯახის წევრთა გამოტოვების შემთხვევები.[52] 1893 წელს პირველად ერთ წიგნად (Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 года, Тифлис, 1893 г.) გამოქვეყნდა მთელი ამიერკავკასიის სოფლებისათვის 1886 წელს შეგროვილი ე.წ. საოჯახო სიები, რაც საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვაძლევს 1880-იან წლებში არსებული დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ.

ამ პერიოდში საქართველოში ტრადიციული აღწარმოების პროცესი მიმდინარეობდა. ოჯახები ძირითადად პატრიარქალურ-მონოგამიურნი იყვნენ. სიდიდის მიხედვით გვხვდება გაფართოებული ოჯახები, სადაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა. ცნობილია, რომ კომლის საშუალო სიდიდე ბევრად მეტი იყო ფეოდალურ ეპოქაში, ვიდრე მომდევნო სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებში. XVIII საუკუნის მანძილზე და XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში საქართველოს

[50] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 293-329

[51] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 года, Тифлис, 1893 г

[52] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, "მეცნიერება", თბილისი, 1996, გვ. 16

ყველა მხარეში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ტრადიციულად დიდი ოჯახი. ასეთ ოჯახში ძალიან ხშირად ცოლშვილიანი მამაკაცი თავის მშობლებთან ან ძმებთან ერთად ცხოვრობდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში გავრცელებული სხვადასხვა დაავადებების გამო მაღალი იყო სიკვდილიანობის მაჩვენებელი და ეს შესამჩნევლად ამცირებდა კომლის საშუალო სიდიდეს. ქვემოთ მოცემულია ცხრილი (№ 2) 1832 წლის კამერული აღწერის მონაცემებით, სადაც მოცემულია ინფორმაცია მამაკაცების საშუალო რიცხვზე ერთ კომლზე საქართველოს რეგიონების მიხედვით (მხოლოდ გადამხდელი მოსახლეობა).

ცხრილი № 2[53]

ქალაქი თბილისი	2,35	ქალაქი ქუთაისი	2,48
თბილისის მაზრა	3,64	ქუთაისის ოკრუგი	3,39
გორის მაზრა	4,11	ვაკის«_____»	3,80
დუშეთის «_____»	4,04	შორაპნის «_____»	3,80
თელავის «_____»	4,00	რაჭის «_____»	4,10
სიღნაღის «_____»	4,53	თუშეთი	2,40
ბორჩალოს «_____»	3,36	ფშავი	3,20
ქალაქი თელავი	3,11	ხევსურეთი	2,20
ქალაქი სიღნაღი	2,97	მთიულეთი	4,00

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქალაქებში მაცხოვრებელი ოჯახის საშუალო სიდიდე ბევრად ნაკლებია, ვიდრე სოფლად მაცხოვრებელი ოჯახის, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში და უფრო ადრეც უმნიშვნელო იყო ქალაქში მოსახლეობის ხვედრითი წონა, ის არ აღემატებოდა ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 5 %. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოს ბარში უფრო ნაკლები იყო კომლის საშუალო სიდიდე, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, მთიან ზონაში კი პირიქით.

[53] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, 1996, გვ. 43

ცხრილი № 3[54]

ქალაქი	2,52
აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონები	4,01
აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთი მთიანი რაიონები	3,64
დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონები	3,65
დასავლეთ საქართველოს მთიანი რაიონები	4,11

არსებობს მოსაზრებები, რომ 1770 წელს კომლის საშუალო სულადობა ცოტათი (დაახლოებით 10 %) უფრო მეტი იყო, ვიდრე მომდევნო საუკუნეების მანძილზე. 1832 წლის კამერული აღწერის მონაცემებით კომლში საშუალო სულადობის შემცირებას ჰქონდა ადგილი. ამას კი იმით ხსნიან, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დიდი ოჯახების დაყოფის ტენდენცია დაიწყო.

კომლთა საშუალო სულადობა საქართველოს რეგიონებში

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში[55]

ცხრილი № 4

რეგიონები	კაცი	ქალი	კომლის საშუალო სულადობა
აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიოენები	4,41	3,91	8,32
აღმოსავლეთ საქართველოს მთის რაიონები	4,00	3,54	7,54
დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონები	4,01	3,55	7,56
დასავლეთ საქართველოს მთის რაიონები	4,52	4,01	8,53
ქალაქები	2,77	2,45	5,22

[54] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, 1996, გვ. 44

[55] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, 1996, გვ. 46

არ არსებობს ამ პერიოდის აღწერები აჭარისა და მესხეთ-ჯავახეთისა, რადგან ისინი თურქთა ტყვეობაში იმყოფებოდნენ. ბ-ნი ვახტანგ ჯაოშვილის გამოთვლით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის შუა წლებში საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 761 ათასი მცხოვრებისაგან შედგებოდა.[56]

XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ არ წარმოებდა დემოგრაფიული პროცესების დამაკმაყოფილებელი სტატისტიკური აღნუსხვა, ამიტომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები, რომლებიც გაბნეულია სხვადასხვა საარქივო თუ გამოქვეყნებულ წყაროებში, არაა სანდო. მინდა დავეყდნო პ. გუგუშვილის მიერ გამოთვლილ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას 1800 და 1832 წლებში, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობა 1800 წელს - 675 000 კაცი და 1832 წელს - 840 000.[57]

1832-1865 წლებში საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 397,1 ათასით, ანუ 44,5 %-ით. საშუალო წლიური ზრდა ამ პერიოდში შეადგენდა 1,12 %-ს.[58] მოსახლეობა იზრდებოდა ძირითადად ბუნებრივი მატების ხარჯზე. ამ დროს მაღალი იყო გარე მიგრაციის მაჩვენებელიც, ამ პერიოდში მოხდა რუსი სექტანტების ჩამოსახლება, რომლებიც დასახლდნენ ჯავახეთსა და თბილისში. აგრეთვე სწრაფად იზრდებოდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ დაწესებულებებში რუსი მოხელეების რიცხვი. მათ ჩამოყავდათ თავიანთი ოჯახები და აქ სახლდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. მოსახლეობის საკმაოდ ნელი ზრდით გამოირჩეოდა მესხეთ-ჯავახეთი. XIX საუკუნის პირველ მესამედში აქ დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ სომხები, ბერძნები, რუსები, გერმანელები. თანდათან იცვლებოდა მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა. 1832 წელს შემდეგნაირად ჯგუფდება: ქართველი - 75,3%, სომეხი - 12,1 %, არაქართველი მუსლიმი - 4,2 %, ოსი - 6,5 %, ბერძენი - 1,1 %, ებრაელი - 0, 5 %, დანარჩენი ეროვნებანი - 0, 3 %.[59]

მათ ჩამოსახლებას ახლდა ოჯახური ტრადიციებისა და ადათწესების ჩამოტანაც.

---

[56] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, 1996, გვ. 49

[57] პ. გუგუშვილი, საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800-1959), "მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის",XII-XIII, 1963, გვ. 74

[58] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, 1996, გვ. 78

[59] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, 1996, გვ. 80

ასევე იცვლებოდა ოჯახის სტრუქტურა, ადგილი ჰქონდა შერეულ ქორწინებებს. მეტად მნიშვნელოვანი იყო რელიგიური დოგმებისა და შემორჩენილი ტრადიციების ზეგავლენა ოჯახზე. შობადობის უფრო მაღალი მაჩვენებელი იყო დამახასიათებელი მუსლიმ და სომეხ-გრიგორიანთა შორის. მაღალი იყო მათ შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელიც, ამიტომ ბუნებრივი მატების ნორმები ბევრად არ განსხვავდებოდა ქართველ და არაქართველ მოსახლეობაში. აღსანიშნავია, რომ ქალაქებში მცხოვრებთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში არ აღემატებოდა 4-5 %-ს.[60]

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ 1897 წლის 28 იანვარს ჩატარდა რუსეთის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა. ცნობები საქართველოს მოსახლეობის შესახებ გამოცემულ იქნა ორ ტომად (თბილისის და ქუთაისის გუბერნიები).

საქართველოს მოსახლეობა 1897 წლის საყოველთაო აღწერით[61]

ცხრილი № 5

ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები	სახეზე მყოფი მოსახლეობა		მუდმივი მოსახლეობა		სახეზე მყოფი მოსახლეობის ზრდა 1886-1897 წწ. (%)
	ათასობით	%	ათასობით	%	
ქართლ-კახეთი	784,0	40,8	785,5	40,4	120,1
მესხეთ-ჯავახეთი	141,5	7,4	142,2	7,3	115,4
იმერეთი	378,3	19,7	382,4	19,7	111,0
რაჭა	60,4	3,1	70,5	3,6	93,9
სამეგრელო	230,0	12,0	236,4	12,2	111,0
ლეჩხუმი და სვანეთი	47,8	2,5	50,1	2,6	
გურია	90,3	4,7	91,7	4,7	119,1
აფხაზეთი	107,1	5,6	105,4	5,4	154,8
აჭარა	80,0	4,2	78,3	4,1	141,3
საქართველო	1919,4	100	1942,5	100	116,9

ამ ცხრილში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოში დროებით წასულთა რიცხვი ბევრად მეტი იყო, ვიდრე ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში.

[60] Народонаселение стран мира, Справочник, М., 1974, გვ. 416

[61] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года, Том LXVI, Кутайсская губерния, С-Пб., 1905, том LXIX, Тифлисская губерния С-Пб., 1905

ეს გარემოება კი გვიჩვენებს, რომ იმერეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და გურია-სამეგრელოდან უფრო მეტი მუშახელი მიდიოდა გარე სამუშაოზე, ვიდრე ქართლ-კახეთიდან და მესხეთ-ჯავახეთიდან. რარიგ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღესაც მსგავსი სურათია ქვეყნის ამ რეგიონებში.

XIX საუკუნის დასაწყისში ზრდას თითქმის არ ჰქონდა ადგილი, მაგრამ მთლიანად ამ 113 წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა 3,4-ჯერ გაიზარდა. თუ მანამდე, დაახლოებით 6 საუკუნის მანძილზე, საქართველოს მოსახლეობა კატასტროფულად მცირდებოდა, ამ ახალ ისტორიულ ვითარებაში სრულიად საწინააღმდეგო სიტუაცია შეიქმნა. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპების დაჩქარება გამოწვეული იყო, როგორც მცხოვრებთა ბუნებრივი მატების გაზრდით, ასევე სულ უფრო მეტი მიგრანტთა გარედან შემოსვლით.

XX საუკუნის დასაწყისის დემოგრაფიული სიტუაციისათვის ყველაზე დამახასიათებელი მაინც ის ფაქტია, რომ მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა, როგორც ბუნებრივი, ასევე მექანიკური მოძრაობის შედეგად.

პირველი მსოფლიო ომისა და დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის წლები მეტად მძიმე აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის. 1914-1921 წწ. საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 200 ათასი კაცით შემცირდა და 1921 წელს მიახლოებითი გამოთვლით, 2410,5 ათასს შეადგენდა.[62]

- **II ფაზა (1920-იანი-1960 წლების დასაწყისი)**

1926 წლის ბოლოდან 1939 წლის დასაწყისამდე საქართველოს მოსახლეობას შეემატა 862,8 ათასი მცხოვრები, ანუ ზრდამ შეადგინა 32,2 %, ხოლო საშუალო წლიურმა მატებამ 2,36 %. შეიძლება ითქვას, რომ არც მანამდე და არც მას შემდეგ საქართველოს არ ჰქონია მოსახლეობის მატების ასეთი მაღალი ტემპები.[63]

როდესაც მე-XX საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას ვიხილავთ, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ პირველად თავისი ისტორიის მანძილზე ქართველები აღმოჩნდნენ 1939 წლისათვის თავის

---

[62] საქართველოს სახალხო მეურნეობა 1961 წელს. სტატისტიკური წელიწადეული, თბილისი, 1963 წ.

[63] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, გამომცემლობა "მეცნიერება", თბილისი, 1984, გვ. 122

რესპუბლიკაში მთელი მოსახლეობის 2/3-ზე ნაკლები. ეს განაპირობა მძლავრმა მიგრაციულმა პროცესებმა, რომელთა დადებითი სალდო თავისი მასშტაბებით ბევრად აღემატებოდა მანამდე ან მის შემდეგ ჩვენში ჩამოსახლებულ მიგრანტთა ნაკადს. რესპუბლიკის მოსახლეობაში ქართველების ხვედრითი წონის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ უკვე 30-იან წლებში დაიწყო მათი გადასვლა სხვა რესპუბლიკებში, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის სამრეწველო ქალაქებში, სადაც მიდიოდნენ უპირატესად უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კვალიფიციური კადრები.

რაც შეეხება დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზას, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოსთვის ის XX საუკუნის 20 – იანი წლებიდან იწყება. ამ პერიოდში საქართველოში ცხოვრობდა 2.6 მლნ კაცი (იხ. ცხრილი 6)

საქართველოს მოსახლეობა 1926 – 1940 წწ.[64]

ცხრილი № 6

წლები	**მთელი მოსახლეობა (ათასობით)**	**მათ შორის**		**ხვედრითი წონა პროცენტობით**	
		ქალაქის მოსახლეობა	**სოფლის მოსახლეობა**	**ქალაქის მოსახლეობა**	**სოფილის მოსახლეობა**
1926 (აღწერა 17 დეკემბერს)	2677.2	594.2	2083.0	22.2	77.8
1939 (აღწერა 17 დეკემბერს)	3540.0	1066.2	2473.8	30.1	69.9
1940 (აღწერა 1 იანვარს)	3612.0	1106.0	2506.0	30.6	69.4

მოსახლეობის ზრდის ტემპები სხვადასხვა იყო ქალაქად და სოფლად. როგორც ცხრილი №6 გვიჩვენებს, 1926-1939 წწ. საქართველოს ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 472 ათასით, ანუ 79.4 %-ით; სოფლის მოსახლეობის ნამატი შეადგენდა 390.8 ათასს, ანუ 18.7 %-ს. ასეთი სხვაობა მთლიანად მიგრაციული პროცესებითაა გამოწვეული, რადგან ბუნებრივი მატებით სოფელი უსწრებდა ქალაქს.[65] სოფლის მოსახლეობის

[64] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბილისი, 1996, გვ. 127

[65] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, 1996, გვ. 129

ნაწილი, უფრო ხშირად ახალგაზრდები, მიდიოდა ქალაქში. სოფლად ჯერ კიდევ სუსტად იყო წარმოდგენილი საშუალო სკოლების ქსელი და ამიტომაც ახალგაზრდობა მიდიოდა ქალაქად საშუალო და უმაღლესი განათლების მისაღებად. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სოფლის მოსახლეობას იზიდავდა თბილისი. ბევრად დაჩქარდა სოფლიდან ქალაქად გადასვლა 30-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში განვითარდა მრეწველობა და მკვეთრად გაფართოვდა კულტურულ - საგანმანათლებლო ფუნქციები. (ვ. ჯაოშვილი, 1996: 130)

მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი ოდენობის გადიდება 1926-1939 წწ., 22.2-დან 30.1 %-მდე. ეს მაჩვენებელი მართალია ასახავს რესპუბლიკის ურბანიზაციის საკმაოდ დაჩქარებულ ტემპს, მაგრამ ურბანიზებულობის დონე ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალი იყო. ჩვენი ქალაქების უმეტესობა მცირე საქალაქო დასახლებებს წარმოადგენდნენ და ინდუსტრიული წარმოების სუსტი განვითარებით გამოირჩეოდნენ.

დიდი ცვლილებები ხდებოდა მოსახლეობის პროფესიულ შემადგენლობაში და საქმიანობაში. 1926 წ. თვითმოქმედი მოსახლეობის ხვედრითი წონა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 41,1, ხოლო 1939 წ. – 42,9 %-ს. 1939 წელს უფრო მაღალი იყო მოსახლეობის დასაქმების დონე, რადგან მთელი მოსახლეობის 4,7 % - კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახის წევრები - პირად საკარმიდამო მეურნეობაში მუშაობდნენ. აღსანიშნავია, რომ დასაქმების დონე ბევრად უფრო მაღალი იყო კაცებში, ვიდრე ქალებში.

1926 წელს მთელი დასაქმებული მოსახლეობის 83.1 % ჩაბმული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ანუ მთელი მოსახლეობის 4/5-ზე მეტს გლეხები შეადგენდნენ. 1939 წელს კოლმეურნეებზე და კოოპერირებულ მეწარმეებზე მოდიოდა 52,7 %, ხოლო ერთპიროვნულ გლეხებზე და ინდივიდუალურ მეწარმე-ხელოსნებზე - 10,6 %.[66]გლეხთა ოჯახების შემცირებასთან ერთად, გაიზარდა ოჯახის წევრთა რაოდენობა მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. მნიშვნელოვანი რაოდენობით მიიზიდეს აგრეთვე მუშახელი

[66] Итоги Всесоюзной переписи населения 1959 г. Груз. ССР – М., Статистика, 1963, табл. 28

ახლადჩამოყალიბებულმა საბჭოთა მეურნეობებმა. საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა დასაქმებულთა ფარდობითი და აბსოლუტური რაოდენობა ინფრასტრუქტურის შემდეგ დარგებში - განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, ასევე ვაჭრობასა და კომუნალურ მეურნეობაში.

მოსახლეობის შრომითი აქტივობის ზრდა, ზოგადად, პროგრესული მოვლენაა, რადგან ხელს უწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას, მაგრამ 30-იან წლების რეალობას თუ გავითვალისწინებთ, ეს კანონზომიერება საქართველოში და მთლიანად ყოფილ საბჭოთა კავშირში დაირღვა, რადგან მაშინ დაჩქარებულად მიმდინარეობდა ქვეყნის მილიტარიზაცია და ცხოვრების პირობები, პირიქით, გაუარესდა კიდეც.

გარე მიგრაციულმა პროცესებმა არსებითი ცვლილებები გამოიწვიეს საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში. 30-იან წლებში საქართველოს ჩამოსახლებული ასეული ათასობით მიგრანტი არაქართველებისაგან შედგებოდა, რასაც თან მოჰყვა რესპუბლიკაში ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილის შესამჩნევი შემცირება.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1926 და 1939 წლებში[67]

ცხრილი № 7

ეროვნება	1926 წ.		1939 წ.		1939 წ.
	რაოდენობა	% %	რაოდენობა	% %	პროცენტობით 1926 წ. მიმართ
ქართველი	1788186	66,8	2173574	61,4	121,6
აფხაზი	56847	2,1	56640	1,6	99,6
ოსი	113298	4,2	148680	4,2	131,2
სომეხი	307018	11,5	414182	11,7	134,9
რუსი	96085	3,6	307988	8,7	320,5
უკრაინელი	14356	0,5	46020	1,3	320,6
აზეგაიჯანელი	143951	5,4	187621	5,3	130,3
ბერძენი	54054	2,0	84960	2,4	157,2
ებრაელი	30159	1,1	42480	1,2	140,8
დანარჩენი	73279	2,8	77878	2,2	106,3
სულ	2677233	100,0	3540023	100,0	132,2

[67] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბილისი, 1996, გვ. 143

აღსანიშნავია რუსებისა და უკრაინელების დაჩქარებული ზრდა, რაც გამოწვეული იყო მათი დიდი რაოდენობითი ჩამოსახლებით 30-იან წლებში, 12 წლის მანძილზე სამჯერ გაიზარდა მათი რიცხოვნობა საქართველოში. ისინი ჩამოსახლდნენ ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიიდან. მათი ძირითადი მასა დასახლდა ქალაქებში, უმთავრესად თბილისში და ზღვისპირა დასახლებულ პუნქტებში. ისინი აქტიურად ჩაებნენ ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტსა და მშენებლობაში, სოფლის მეურნეობასა და რიგ მომსახურე დარგში. რუსებსა და უკრაინელებს შორის ბევრი იყო ასევე სამხედრო მოსამსახურე (ოფიცრები).

აღნიშნულ პერიოდში საკმაოდ ინტენსიური ხასიათი ჰქონდა, აგრეთვე, სომხებისა და ოსების ოჯახებით ჩამოსახლებას. ისინი ძირითადად ქალაქებში სახლდებოდნენ.

ბერძნების, ებრაელებისა და აზერბაიჯანელების დაჩქარებული ზრდა აიხსნება მათი მაღალი ბუნებრივი მატებით. მრავალშვილიანობა მათ ოჯახებში ტრადიციულად იყო დამკვიდრებული.

ცხრილში "დანარჩენების" სახითაა მოხსენიებული გერმანელები, ქურთები, აისორები, ბელორუსები, თურქები, ესტონელები, ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები და სხვა.

ქართველთა შემცირებაზე ასევე იმოქმედა ამ პერიოდში ჩატარებულმა მასიურმა რეპრესიებმა და გადასახლებამ საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ პროვინციებში. როგორც ბ-ნი ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს, "30-იან წლების მიგრაციული პოლიტიკა არსებითად წარმოადგენდა დემოგრაფიულ ექსპანზიას და რუსიფიკაციის ერთ-ერთ გამოვლინებას. მისი არსი იმაში გამოიხატებოდა რომ, იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები ერთი მხრივ, რუსების საქართველოში ჩამოსახლებისა და, მეორე მხრივ, ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტების რუსეთში სამუშაოდ გაგზავნისათვის. ასეთ ვითარებაში ბევრად გახშირდა შერეული ქორწინებები, რის შედეგადაც გაძლიერდა რუსების მიერ ქართველებისა და სხვა მცირერიცხოვანი ერების ასიმილაცია.[68]

ზემოთ განხილული დემოგრაფიული მახასიათებლები გვაძლევენ

[68] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბილისი, 1996, გვ. 149

დემოგრაფიული ტრანზიციის მეორე ფაზის ზოგად სურათს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში დაიწყო XX საუკუნის 20-იანი წლებიდან. დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა ამ ფაზაში შევიდა 1800-იან წლებში; ზოგიერთი აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყანა კი XX საუკუნის 50-იან წლებში.

მართალია, აღნიშნული პერიოდისთვის ოჯახებზე ემპირიული მასალა არ გაგვაჩნია, მაგრამ ზოგადი დასკვნების გაკეთება შესაძლებელია. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შეინიშნება ოჯახის სტრუქტურებში ყველაზე მეტი რაოდენობრივი ცვლილებების ტენდენციები. დგება ოჯახების ფიზიკურად გადარჩენის პრობლემა.

ომის შემდგომ, ქვეყნის რეკონსტრუქციის პერიოდში სოციალისტური ინსტიტუტები იწყებს გაძლიერებულ ფუნქციონირებას და იღებს სოციალისტურ ფორმას და შინაარსს, რაც, რასაკვირველია, ოჯახზეც აისახა. წინა საუკუნის 50-იან წლებში შობადობა მკვეთრად მატულობს "კომპენსაციური ბუმის" გამო და თანდათან კლებულობს 60-იანი და 70-იანი წლებისთვის.

დემოგრაფიული განვითარების მეორე ფაზაში ზოგადად იზრდება შობადობის კოეფიციენტი, სიკვდილიანობის კოეფიციენტის სიდიდე სწრაფად კლებულობს, ამიტომაც ბუნებრივი მატების მაჩვენებელი უცებ იზრდება 0,5‰-დან (XIX საუკუნეში) 1,7 ‰-მდე (XX საუკუნის მეორე ნახევარში). ამ ფაზაში მიმდინარე "დემოგრაფიულ აფეთქებას," ან "დემოგრაფიულ ბუმს" მეცნიერები ე.წ. ინდუსტრიული და სამედიცინო რევოლუციებით ხსნიან.

საქართველო "დემოგრაფიული აფეთქების" ტიპიური ქვეყანა არასოდეს ყოფილა, კვლავწარმოების მაჩვენებლებით ყოველთვის ჩამორჩებოდა მეზობელ სომხეთს და აზერბაიჯანს. მაგრამ მოცემულ პერიოდში, ექვსი ათეული წლის განმავლობაში, საქართველოში მოსახლეობა გაორმაგდა, 2,1 მლნ-დან (1897 წ.) 4,0 მლნ-მდე (1959წ.).

საბჭოთა სახელმწიფო ღრმად იჭრებოდა ოჯახის ინსტიტუტში: აკანონებდა ქორწინების რეგისტრაციას, შობადობის და სიკვდილიანობის აღრიცხვას, ნერგავდა სოციალისტურ სოცუზრუნველყოფის, ჯანდაცვის, აღმზრდელობით-საგანმანათლებლო სისტემებს. მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევა ხასიათდებოდა აგრარული ქვეყნისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით: კვლავწარმოების ტრადიციული ფორმით - შედარებით მაღალი შობადობით და

მაღალი სიკვდილიანობით, ოჯახების უმრავლესობა სიდიდის მიხედვით წარმოადგენდა გაფართოებულ, დიდ ოჯახებს, სადაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში შობადობა არასოდეს ყოფილა ისეთი მაღალი, როგორიც იყო სამხრეთ კავკასიის სხვა მეზობელ რესპუბლიკებში, საკავშირო მასშტაბით ის საშუალო მაჩვენებლებით გამოირჩეოდა. ამ პერიოდში სიკვდილიანობა კლებულობს, უკვე სახელმწიფოს აქტიური ხელშეწყობით (სანიტარული ნორმების დაცვა, საყოველთაო ვაქცინაცია, მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება). ამავე პერიოდში სამრეწველო და სხვა საქალაქო ფუნქციების განვითარებასთან ერთად მატულობს ურბანიზაციის ტემპი მიგრაციის "სოფელი-ქალაქი"-ს საფუძველზე. იზრდება ქალაქის ოჯახების რაოდენობა შედარებით ახალგაზრდა შრომისუნარიანი მოსახლეობით. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური ხდება 60-იანი წლების შემდგომ პერიოდში. სამაგიეროდ, კლებულობს სოფლის მოსახლეობა, იზრდება ხანშიშესულთა ოჯახების ხვედრითი წილი.

იცვლება მოსახლეობის დამოკიდებულება ბავშვთა ყოლის საკითხისადმი. ყურადღება მახვილდება ოჯახის არა რაოდენობრივ, არამედ თვისობრივ მხარეზე, იზრდება მოთხოვნილება განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე და საერთოდ, კეთილდღეობის ამაღლებაზე. ამ პერიოდში რეპროდუქციული ქცევის შეცვლას გარკვეულწილად ხელი შეუწყო საგარეო მიგრაციების გაძლიერებამ. საქართველოს მიგრაციული სალდო 1957 წლამდე დადებითი იყო. ომის შემდგომ წლებში, განსაკუთრებით გაიზარდა რესპუბლიკის გარედან შემოსულთა (რუსების, უკრაინელების, ჩრდილო კავკასიიდან) ხვედრითი წილი. 1957 წლიდან დღემდე საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული სალდო უარყოფითია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა და კვლავ ახდენს მის დემოგრაფიულ ქცევაზე, შესაბამისად ოჯახის სიდიდეზე, მის სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებზე.

1959 წლის აღწერით საქართველოში აღირიცხა 3902 ათასი ოჯახი. 1606 ათასი ცხოვრებდა ქალაქში (42 %), 2296 ათასი სოფლად (48 %).

ამ პერიოდში ოჯახის შემდეგ სტრუქტურულ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი:

სიდიდე იწყებს კლებას, ქალთა დასაქმება იზრდება, განათლების დონე მატულობს, ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება კლებულობს. თუმცა ამავე პერიოდში იზრდება და ფართოვდება ბავშვთა აღმზრდელობითი სახელმწიფო სოციალური სამსახურების მუშაობა (ბაგა-ბაღები, ბავშვთა ბანაკები, სანატორიუმები და ა.შ.). შობადობის ყველა კოეფიციენტი: ფერტილურობის კოეფიციენტი, დედათა, ახალშობილთა, ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის და ა.შ. კოეფიციენტები იწყებს შემცირებას.

- **III ფაზა (XX საუკუნის 60-იანი წლებიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე)**

დემოგრაფიული ტრანზიციის მესამე ფაზა საქართველოსთვის იწყება 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან და გრძელდება 90-იან წლების დასაწყისამდე. ამ ფაზაში შობადობის კოეფიციენტი სწრაფად კლებულობს, სიკვდილიანობის კოეფიციენტი მეორე ფაზასთან შედარებით უფრო ნელა მცირდება. (იხ. ცხრილი № 8) ამ ორ კოეფიციენტს შორის განსხვავება მცირდება, ამიტომ მოსახლეობის კვლავწარმოების ნელი ზრდა აღინიშნება.

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი მაჩვენებლები 1960-1990 წწ..

ცხრილი № 8

წელი	ცოცხლად დაბადებულები		გარდაცვლილები		ბუნერბრივი მატება		ქორწინება		განქორწინება	
	რაოდენობა	კოეფ. ‰	რაოდენობა	კოეფ. ‰	რაოდენობა	კოეფ. ‰	რაოდენობა	კოეფ. ‰	რაოდენობა	კოეფ. ‰
1960	102866	24.7	27015	6.5	75851	18.2	44075	10.6	1470	0.4
1965	94987	21.2	31291	7.0	63696	14.2	38930	8.7	2221	0.5
1970	90207	19.2	34283	7.3	66924	11.9	36518	7.8	4943	1.0
1975	89712	18.3	39292	8.0	50420	10.3	42183	8.6	5501	1.1
1979	89803	17.8	41907	8.3	47896	9.5	52524	10.4	6592	1.3
1985	97739	18.5	46153	8.7	51586	9.8	44168	8.4	6514	1.2
1989	91138	16.8	49682	9.2	41456	7.6	38288	7.1	7358	1.4
1990	92815	17.1	50721	9.3	42094	7.8	36812	6.8	7796	1.4

წყარო: საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, 2012

ამერიკელი დემოგრაფები (Lesthaeghe, 1995; van da Kaa, 1987) ანალოგიურ ფაზას დასავლეთის ქვეყნების დემოგრაფიულ განვითარებაში უწოდებენ "მეორე დემოგრაფიულ ტრანზიციას" და ცდილობენ ახსნან ოჯახში დემოგრაფიული ცვლილებები ამ ეტაპზე დაბალი შობადობით, დაგვიანებული ქორწინებით; ძირითადი აქცენტი კეთდება ინდივიდუალიზმზე და თვით-რეალიზაციაზე, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სურვილზე და ნაკლები შვილების ყოლაზე. მეორე დემოგრაფიული ტრანზიციისათვის ახალია მშობელთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის მნიშვნელობა, ქალთა ემანსიპაციის მიზანი და გენდერული თანასწორობა. ინდივიდებს ნაკლებად სურთ იყვნენ სახელმწიფოს ან ეკლესიის ინსტიტუციონალური კონტროლის ქვეშ, როგორც ეს იყო წინათ, და ბოლოს, როგორც ლეშტეღე (Lesthaeghe, 1995) აღნიშნავს, მეორე დემოგრაფიულ ტრანზიციას ახასიათებს მომხმარებლის ინტერესთა გაძლიერება და გაზრდილი საბაზრო ორიენტაცია.[69]

ლეშტეღე (Lesthaeghe, 1995) გამოყოფს დემოგრაფიული ტრანზიციის ამ ფაზაში მყოფ განვითარებულ ქვეყნებში ოჯახის დემოგრაფიული ქცევის სამ ეტაპს: პირველი, დამახასიათებელი იყო 1960-1970-იანი წლებისათვის და ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა დაჩქარებულ მატებას განქორწინებათა რაოდენობაში, შობადობის შემცირებას და დაგვიანებულ ქორწინებებს. ამას თან მოყვა წინასაქორწინო თანაცხოვრების ფართოდ გავრცელება და ქორწინების გარეშე შობადობის გაზრდა.

მეორე დემოგრაფიული ტრანზიცია მოიცავს მაღალი "ხარისხის" მოთხოვნებს ხანშიშესულებთან ურთიერთობების შესახებ. ძალიან რთულია ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება და შედეგად ვიღებთ ნაკლები კავშირების ფორმირებას, მეტ სიფრთხილეს საქორწინო კავშირების შექმნისას, უაღრესად დიდი დაუკმაყოფილობის გრძნობა უკვე ჩამოყალიბებული კავშირებისადმი და საბოლოოდ კავშირების უფრო მეტ არასტაბილურობას. ასეთი ცვლილებები იწვევს ერთმშობლიანი (მარტოხელა დედათა) ოჯახების რაოდენობის გაზრდას, ეს კი, თავის მხრივ, წარმოადგენს ბავშვთა სიღარიბის წარმოქმნის საფრთხეს; ერთკაციანი

[69] Lesthaeghe, R. (1995) - The second demographic transition in Western countries: An interpretation. In: Mason, K.O. and Jensen, A.-M. (eds.). *Gender and family change in industrialized countries*. Oxford: Clarendon Press: 17-62.

ოჯახები და ამგვარი ცხოვრების სტილის ტრანზიციები ნაკლებად საყურადღებონი არიან და უფრო კომპლექსური, ვიდრე წინა ტრანზიციები. ზოგიერთმა მკვლევარმა განავითარა მეორე დემოგრაფიული ტრანზიციის თეორია ემანსიპაციის გენდერულ პროცესებზე ფოკუსირებით, რათა აეხსნა შობადობის დაბალი მაჩვენებლები, რომლებსაც ადგილი აქვს ევროპასა და იაპონიაში. მაგალითად, მაკდონალდი (McDonald, 2000) ამტკიცებს, რომ ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, სამუშაო ადგილები გვთავაზობენ ქალთა მეტ ავტონომიას და ინდივიდუალური მიზნების მიღწევის შესაძლებლობას, მაშინ, როცა ოჯახური სისტემა რჩება "ტრადიციულად", სადაც ქალი ასრულებს ოჯახის მზრუნველობით სამუშაოს მამაკაცთა მცირე დახმარებით. ამ პირობების ქვეშ (ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იტალია და იაპონია), ქალები, რომელთაც სურთ აღიარება, შემოსავალი და თვითკმაყოფილება, რაც შეუძლია მისცეს მათ შრომით ბაზარზე გასვლამ, გრძნობენ, რომ მათ აქვთ სულ პატარა შანსი, თუ არ გაექცნენ ქორწინებას და ბავშვების ყოლას ერთად.[70]

დემოგრაფიული ტრანზიციის ამ ფაზაში იწყება, როგორც ქართველი დემოგრაფები აღნიშნავენ, საქართველოსთვის მწვავე და არასახარბიელო დემოგრაფიული სიტუაცია. 1959-79 წწ. რესპუბლიკის მოსახლეობამ მხოლოდ 24 %-ით მოიმატა, მაშინ როცა სსრკ-სთვის ეს მაჩვენებელი 25.6 %-ით, აზერბაიჯანისთვის 63 %-ით, სომხეთისთვის 72 %-ით ხასიათდება. ამდენად, რესპუბლიკის მოსახლეობის ზრდის ტემპი საშუალო საკავშირო დონეს 1.6 %-ით, აზერბაიჯანისას - 2.7 და სომხეთისას - 3-ჯერ ჩამორჩებოდა.[71] ასეთი დემოგრაფიული სიტუაცია გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, შობადობის შემცირებით, სიკვდილიანობის ზრდით და, შესაბამისად, ბუნებრივი მატების მკვეთრი დაცემით, ხოლო, მეორე მხრივ, მიგრაციების უარყოფითი სალდოთი. დემოგრაფიული ქცევით საქართველო აღმოჩნდა განვითარებული ქვეყნების რიგებში, თუმცა ამავე პერიოდში მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში საპირისპირო ტენდენცია განვითარდა.

წინა საუკუნის მეორე ნახევარი მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში შევა, როგორც "დემოგრაფიული აფეთქების" ეპოქა. მანამდე არასოდეს მომხდარა მოსახლეობის

---

[70] McDonald, Peter – Gender Equity in Theories of Fertility Transition, *Population and Development Review,* Volume 26, Issue 3, September 2000, pp. 427-439

[71] ა. სულაბერიძე, ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე, თბილისი, 2007, გვ. 309

გაორკეცება რამდენიმე ათეული წლის მანძილზე და, ალბათ, არც მომავალშია მოსალოდნელი ასეთი მაღალი ტემპით ადამიანთა პოპულაციის ზრდა. ბოლო 40 წელიწადში მსოფლიოს მოსახლეობა გაორმაგდა.

ისმის კითხვა: რატომ იყო საპირისპირო მდგომარეობა ამ მხრივ საქართველოში? - ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მოსახლეობის ზრდის დაჩქარება ჩვენ დროში გამოიწვია, ერთი მხრივ, შობადობის მაღალი დონის შენარჩუნებამ მსოფლიოს უმეტეს რეგიონებში და, მეორე მხრივ, სიკვდილიანობის შემცირებამ მთელს მსოფლიოში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველებში შობადობა ტრადიციულად არასოდეს არ იყო მეტად მაღალ დონეზე, ამ მაჩვენებლით ქართველები ყოველთვის ჩამორჩებოდნენ კავკასიის სხვა ხალხებს (იხ. ცხრილი № 9). ეს დემოგრაფიული თავისებურებანი განსაკუთრებით გამოიკვეთა როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომის მომდევნო 15-20 წლის პერიოდებში და შემდგომშიც გაგრძელდა.

სსრკ და ამიერკავკასიის მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა (1000 კაცზე გაანგარიშებით)[72]

ცხრილი № 9

	1960			1970			1980		
	შობადობა (‰)	მოკვდაობა (‰)	ბუნებრივი მატება (‰)	შობადობა (‰)	მოკვდაობა (‰)	ბუნებრივი მატება (‰)	შობადობა (‰)	მოკვდაობა (‰)	ბუნებრივი მატება (‰)
სსრკ	24.9	7.1	17.8	17.4	8.2	9.2	18.3	10.3	8.0
საქართველოს სსრ	24.7	6.5	18.2	19.2	7.3	11.9	17.7	8.6	9.1
ქალაქის მოსახლეობა	22.2	6.5	15.7	18.9	7.1	11.8	17.7	7.7	10.0
სოფლის მოსახლეობა	20.6	6.5	20.1	19.3	7.4	11.9	18.1	9.0	9.1
მთიანეთის მოსახლეობა	32.5	6.6	26.0	22.5	7.6	14.9	20.7	8.7	12.0

[72] Народное хозяйство СССР в 1982 году, Стат. Сб., М. ,1983, стр. 32-33

აზერბაიჯანის სსრ	42.6	6.7	35.9	29.2	6.7	22.5	25.2	7.0	18.2
სომხეთის სსრ	40.1	6.8	33.3	22.1	5.1	17.0	22.7	5.5	17.2
ჩრდ.კავკასიის რეგიონი	24.3	7.1	17.2	16.3	8.3	8.0	18.0	10.0	8.0

მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის დაჩქარებული მატება მოხდა მაღალი შობადობის შენარჩუნებისა და სიკვდილიანობის საშუალო დონემდე დაწევის შედეგად, ხოლო საქართველოში - საშუალოზე მაღალი შობადობისა და სიკვდილიანობის დაბალი დონის გამო.

განვიხილოთ რა სოციალურ-ეკონომიკური წინამღვრები მუშაობდა დემოგრაფიული ტრანზიციის მესამე ფაზაში საქართველოს მოსახლეობის და ოჯახების დინამიკაზე.

ეს პერიოდი საქართველოს ოჯახებისათვის ეკონომიკური აღმავლობის ხანაა. მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლები მატულობს. ცხოვრების დონის საბჭოთა სტანდარტების მიხედვით საქართველო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან ერთად წამყვან ადგილზეა. ამ პერიოდში სწრაფად მატულობს ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების ხვედრითი წილი მრეწველობის დარგებში. ქალაქწარმომქმნელი ფუნქციის განვითარებას და, შესაბამისად, საქალაქო მოსახლეობის სწრაფ ზრდას ხელს უწყობს მრეწველობის რიგი დარგების განვითარება. ქალაქწარმომქმნელი დარგების გარდა ქალაქმომსახურე დარგებმა ურბანიზაციის ტემპის დაჩქარება გამოიწვია. სოფლიდან მოსახლეობის ქალაქებში ინტენსიური მიგრაციები მრავალი რაიონის დეპოპულაციის მიზეზი გახდა. ამ ფაზაში ურბანიზაციის დონემ 57.5 % შეადგინა. მართალია, ურბანიზაციის ფენომენის უთანაბრო განვითარებით ხასიათდება: აღსანიშნავია პატარა ქალაქების ნელი და თბილისის ჰიპერტროფიული ზრდა. თუმცა, ამავე დროს, ცხოვრების დონის ამაღლება სოფლების კეთილმოწყობაშიც გამოიხატა.

საქართველოს მოსახლეობის დინამიკა 1941 – 1995 წლებში[73]

ცხრილი № 10

წლები	მთელი მოსახლეობა	მათ შორის				შესაბამისი წელი 1941 წლის მიმართ (%)	მატების საშუალო წლიური პროცენტი ორ თარიღს შორის
		ქალაქის		სოფლის			
		აბსოლუტური	%	აბსოლუტური	%		
1941	3710000	-	-	-	-	100,0	-
1950	3494000	1241000	35,5	2253000	64,5	94,2	0,67
1959	4044045	1712897	42,4	2331148	57,6	109,0	1,63
1970	4686358	2239738	47,8	2446620	52,2	126,3	1,35
1979	5014771	2600500	51,9	2414300	48,1	135,2	0,75
1989	5443359	3035748	55,8	2407611	44,2	146,2	0,82
1995	5407400	3016200	55,8	2391200	44,2	145,7	- 0,11

მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა განსხვავებულად მიმდინარეობდა არა მარტო სოფლად და ქალაქად, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც. ასეთ სხვაობებს განაპირობებდა მრავალი ფაქტორი, მათ შორის: მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ტრადიციულად დამკვიდრებული ყოფაცხოვრებითი ელემენტები, სარწმუნოების დამოკიდებულება მრავალშვილიანობისადმი, ქალის მდგომარეობა ოჯახში და მისი მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში.

საქართველოს მოსახლეობის დინამიკა შიგარეგიონების მიხედვით 1959-1989 წლებში[74]

ცხრილი № 11

	1959		1979		1989		1989 წ. 1959 წ. მიმართ %
	ათასობით	%	ათასობით	%	ათასობით	%	
საქართველო	4044,0	100,0	5014,8	100,0	5443,4	100,0	134,6

[73] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბილისი, 1996, გვ. 153

[74] მონაცემები აღებულია შესაბამისი წლების მოსახლეობის აღწერის მასალებიდან

მათ შორის:							
თბილისი	703,0	17,4	1069,4	21,3	1263,4	23,2	179,7
აფხაზეთი	404,8	10,0	505,4	10,1	535,6	9,8	132,3
აჭარა	245,3	6,0	354,2	7,1	392,7	7,2	160,1
სამხ. ოსეთი	96,8	2,4	97,4	1,9	99,1	1,8	102,4
კახეთი	395,4	9,8	427,8	8,5	442,3	8,1	111,9
შიდა ქართლი	324,2	8,0	403,1	8,0	426,8	7,8	131,7
ქვემო ქართლი	371,0	9,2	524,9	10,5	612,9	11,3	165,2
მესხეთი	81,3	2,0	82,4	1,7	89,3	1,6	109,8

თუ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში (1921 წ.) თბილისში ცხოვრობდა საქართველოს მოსახლეობის ერთი მეათედი, 1991 წელს დედაქალაქში თავი მოიყარა საქართველოს მთელი მოსახლეობის მეოთხედმა, ანუ 70 წლის მანძილზე (1921-1991 წწ.) თბილისი გაიზარდა 5,5 ჯერ.

რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობის დინამიკას რეგიონების მიხედვით, მატების ტემპებით უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ყველას უსწრებს ქვემო ქართლი, სადაც სჭარბობენ აზერბაიჯანელები, მათთვის დამახასიათებელია მეტად მაღალი ბუნებრივი მატება. ასევე დაჩქარებულად იზრდებოდა აჭარის მოსახლეობა; აქაც საკმაოდ მაღალია ბუნებრივი მატება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საგანგაშო დემოგრაფიული სიტუაცია აღინიშნებოდა რაჭა-ლეჩხუმში, სადაც ბოლო 60 წლის მანძილზე მოსახლეობა ორჯერ და კიდევ უფრო მეტად შემცირდა. საქართველოს არც ერთ ძირითად ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში ასე მასიურად არ მიუტოვებია მშობლიური კუთხე მკვიდრ მოსახლეობას. 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებული, ყოველწლიურად გარდაცვლილთა რაოდენობა სჭარბობს დაბადებულებს, მაგრამ ბუნებრივი გამრავლების შეწყვეტის გარდა, რეგიონი დატოვა რამდენიმე ათასმა კაცმა. თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს ამ ერთ-ერთ მშვენიერ მხარეს სრული დაცლის საშიშროება მოელის.

ასევე მძიმე დემოგრაფიული სიტუაციაა აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ მთიან რაიონებში. ცნობილი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები - ხევი, მთიულეთი, ფშავი, ხევსურეთი და თუშეთი გაუკაცრიელების საშიშროების წინაშე

აღმოჩნდნენ.

როგორც რაჭა-ლეჩხუმში, ისე ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში, ხევსა და მთიულეთში სოფლების უმრავლესობა სეზონურ დასახლებულ პუნქტებად გადაიქცნენ, სადაც მხოლოდ ზაფხულის პერიოდში მიდიან ამ სოფლების მკვიდრნი.

აღმოსავლეთ კავკასიონის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების მოსახლეობის დინამიკა[75]

ცხრილი № 12

ისტორიულ - გეოგრაფიული პროვინციები	ტერიტორია (კ მ2)	1886 წელი		1926 წელი		1959 წელი		1989 წელი		მოსახლეობის შემცირება 1886-1926 წწ.	
		სოფლების რიცხვი	მოსახლეობის რაოდენობა	სოფლების რიცხვი	მოსახლეობის რაოდენობა	სოფლების რიცხვი	მოსახლეობის რაოდენობა	სოფლების რიცხვი	მოსახლეობის რაოდენობა	აბსოლუტური	%
ხევი	1082	51	8843	54	8727	54	7976	44	6376	2467	27,9
მთიულეთი	642	90	9282	87	10483	86	8522	76	6822	2460	26,5
ხევსურეთი	995	53	4985	49	3589	44	2047	24	652	4333	87,8
ფშავი	604	48	5067	35	2259	33	1411	26	1127	3940	77,7
თუშეთი	675	44	4074	31	1618	22	543	5	101	3973	97,5
აღმ. კავკაცია	4298	286	32251	256	26676	239	20499	175	15078	17178	53,5

ზემოთ მოცემული ცხრილი ყურადღებას იქცევს არა მარტო იმით, რომ საუკუნის მანძილზე აღმოსავლეთ კავკასიონის ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებში მცხოვრებთა ნახევარიც კი აღარ დარჩა, არამედ იმითაც, რომ მოსახლეობის შემცირების პროცესი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა ხევში და მთიულეთში, ხოლო კატასტროფული იყო ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში.[76] ეს განსხვავება შემთხვევითი არაა და ამ რეგიონების სატრანსპორტო-გეოგრაფიული

[75] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბილისი, 1996, გვ. 170

[76] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბილისი, 1996, გვ. 170

მდებარეობის არაერთგვაროვნებით აიხსნება. როგორც ცნობილია, მთიულეთის და ხევის დასახლებული ადგილები ძირითადად საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მდებარეობს. ისინი შედარებით ხელსაყრელ პირობებში არიან მთელი წლის განმავლობაში გარე სამყაროსთან კავშირის დამყარების თვალსაზრისით. თუმცა, მათთვისაც დამახასიათებელია მოსახლეობის რაოდენობის სეზონური ცვალებადობა.

ბუნებრივი მატების შემცირებამ მოსახლეობის დაბერება გამოიწვია. 80-იანი წლებიდან საქართველო დემოგრაფიულად დაბერებული მოსახლეობის მქონე ქვეყნების რიგში ჩადგა.

მოსახლეობის კვლავწარმოება ერთგვაროვანი არ არის საქართველოში მცხოვრებ ხალხებში, ასევე ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებში.

ბუნებრივი მოძრაობის რეგიონალური სხვაობანი

ცხრილი № 13

დედაქალაქი, ავტონომიური ერთეულები და ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები	საშუალო წლიური კოეფიციენტები პრომილეში					
	1953-1962 წწ.			1980-1989 წწ.		
	შობადობის	სიკვდილიანობის	ბუნებრივი მატების	შობადობის	სიკვდილიანობის	ბუნებრივი მატების
თბილისი	19,0	7,6	11,4	15,7	8,2	7,5
აფხაზეთი	21,9	4,6	17,3	16,1	8,1	8,0
აჭარა	29,1	6,7	22,4	21,3	7,6	13,7
შიდა ქართლის მთიანი ზონა	22,8	5,5	17,3	17,8	9,3	8,5
შიდა ქართლი	25,4	7,4	18,0	18,3	8,9	9,4
ქვემო ქართლი	34,5	6,4	28,1	23,7	6,9	16,8
კახეთი	23,6	7,2	16,4	17,9	10,3	7,6
ჯავახეთი	36,9	6,1	30,8	26,3	6,7	19,6
მესხეთი	32,1	7,4	24,7	22,8	8,7	14,1
აღმოსავლეთ კავკასიონი	19,0	4,9	14,1	14,9	9,8	5,1

როგორც ცხრილიდან კარგად ჩანს, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ

პროვინციებს შორის მოსახლეობის დაჩქარებული ბუნებრივი მატებით გამოირჩეოდა ქვემო ქართლი, ჯავახეთი, მესხეთი და აჭარა. ქვემო ქართლის სასოფლო ადგილებში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ აზერბაიჯანელები, ჯავახეთში - სომხები. ისინი კი მაღალი შობადობით ხასიათდებიან. მესხეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარს სომხები შეადგენენ. რაც შეეხება აჭარის სოფლის მოსახლეობას ისლამის გავლენის ქვეშ კვლავ ახასიათებს მრავალშვილიანობის ტრადიცია.

ამ რეგიონებში ბუნებრივი მატება ნაკლებად შემცირდა, თანაც შემცირება მოხდა უმთავრესად სიკვდილიანობის კოეფიციენტის გაზრდის შედეგად.

რიგი თავისებურებებით გამოირჩევა ბუნებრივი მატება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში. 80-იანი წლების მონაცემებს თუ გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ შობადობის საერთო კოეფიციენტი უფრო მაღალია სოფლად, ვიდრე ქალაქად, რაც იმით აიხსნება, რომ სოფლად, ჯერჯერობით, ნაკლებადაა გავრცელებული ოჯახში შვილების გაჩენის რეგულირება.

1980-1989 წლებში შობადობის საერთო კოეფიციენტი სოფლად იყო საშუალოდ 18,8, ქალაქად კი 17,3 პრომილე. (ვ. ჯაოშვილი, 1996: 202) 1990-2012 წლებში ქალაქად დაიბადა ახალშობილთა 66,5 %, ხოლო სოფლად - 33.3 %. 1990 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა 17.1 პრომილეს, ხოლო 2012 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 13 პრომილემდე. თუ საშუალოდ 1990 წელს ყოველ 100 ქალზე 215 ბავშვი მოდიოდა, 2012 წელს - 170-მდე შემცირდა. თაობათა უცვლელი ოდენობით განახლებისათვის აუცილებელია ეს მაჩვენებელი იყოს არანაკლებ 210-სა.

მოსახლეობის აღწარმოების მეორე უმნიშვნელოვანეს კომპონენტს – მოკვდაობას, საქართველოში შობადობის საპირისპირო – მატების ტენდენცია ახასიათებს. იმავე პერიოდში (1980-1989 წწ.) ეს კოეფიციენტი ქალაქად შეადგენდა 7,9 პრომილეს, ხოლო სოფლად 9,6 პრომილეს.

1990 წ. საქართველოში მოკვდაობის საერთო კოეფიციენტმა 9,33 პრომილე შეადგინა, 2012 წ. – 11 პრომილე, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი მსოფლიოში საშუალოდ 8 ‰-ს არ აღემატება.

მოსახლეობის აღწარმოებისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ბავშვთა, უწინარეს ყოვლისა, ჩვილ (1 წლამდე) ასაკის ბავშვთა მოკვდაობას აქვს. 2011 წელს ამ

მაჩვენებელმა საქართველოში 12 ‰ შეადგინა.[77]

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მოსახლეობის სიკვდილიანობის ასაკობრივი კოეფიციენტები უფრო მაღალია სოფლად, ვიდრე ქალაქად. ეს აიხსნება იმით, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმე ქალაქად უკეთესია, ვიდრე სოფლად. ამრიგად, სოფლად მეტი იბადება და მეტი კვდება, ვიდრე ქალაქად.

დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუარესება საქართველოში, განვითარებული სოციალიზმის პერიოდში, პირდაპირ ასახვას პოულობას ოჯახის დემოგრაფიაში. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, ოჯახების რაოდენობის ძალიან ნელი ზრდა (იხ. დანართი № 1 ოჯახების სტატისტიკა 1970-79-89-2002 წწ. აღწერების მიხედვით). მცირდება ოჯახის სიდიდე: 5 სულზე მეტი ოჯახების ხვედრითი წილი 20 წლის განმავლობაში 36 %-დან 30 %-მდე ჩამოდის, იზრდება 2-3 სულიანი ოჯახების და, განსაკუთრებით მარტოხელების ხვედრითი წილი. ეთნიკური მაჩვენებლების მიხედვით, ქართული ოჯახების რიცხოვნების ზრდა მეტად უმნიშვნელოა 64,5%-დან (1970 წ.) 65.8%-მდე (1989 წ.). განსაკუთრებით მაღალი ზრდა შეინიშნებოდა სომხური ოჯახების 1970-1979 წლების აღწერებს შორის, თუმცა მათმა ხვედრითმა წილმა 1%-ით დაიკლო 1989 წლისთვის. კლებას განიცდიდა რუსული ოჯახების რაოდენობა, აზერების კი შესამჩნევად მატულობდა. ზრდა შეინიშნებოდა ოსების, აფხაზების, ბერძნების და სხვა ეროვნების ოჯახების დინამიკაშიც. ამ პერიოდში იზრდებოდა შერეული (ქორწინებების) ოჯახების რაოდენობაც 10% -დან 12%-მდე.

ქალაქის მოსახლეობაში ძირითადად იზრდებოდა ქართული, რუსული და სომხური ოჯახები, სოფლად კი მატების ტემპებით გამოირჩეოდა აზერბაიჯანული და ბერძნული ოჯახები. გაფართოებული ოჯახების მატება ქალაქად მოდიოდა ქართველების და სომხების, სოფლად კი აზერების და ბერძნების ხარჯზე. მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა 90-იანი წლებიდან სსრკ-ს დაშლის შემდეგ.

მოსახლეობის პირველი ეროვნული აღწერის (2002 წ.) შედეგების მიხედვით ზრდა გვქონდა მხოლოდ ორი ეროვნების – ქართველების და აზერბაიჯანული ოჯახების რაოდენობაში, დანარჩენი ეროვნების ოჯახების რაოდენობაში მნიშვნელოვან კლებას ჰქონდა ადგილი (იხ. დანართი № 2). საქართველოში თითქმის ორჯერ იკლო

[77] დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული, თბილისი, 2014, გვ. 9 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/36837/1/DemografiisaDaSociologiisProblemebi.pdf

შერეული ოჯახების ხვედრითმა წილმა: 12,2 % (1989 წ.)-დან 6,64 % (2002 წ.)-მდე.

ქალაქში ქართული ოჯახების ხვედრითი წილი გაიზარდა 89 %-მდე, სომხების შემცირდა 6,2%-დან 4,3%-მდე, განსაკუთრებით იკლო რუსული ოჯახების რაოდენობამ 7%-დან 1,31%-მდე. იკლო ყველა დანარჩენი ეროვნებების ოჯახებმაც, შერეული ქორწინებები შემცირდა 13%-დან 9%-მდე. სოფლად ქართულმა ოჯახებმა შეადგინა 78,7%, 1989 წლის ანალოგიური მაჩვენებელი იყო 71.7%. სომხური ოჯახები შემცირდა 6,6%-დან 5,2%-მდე, აზერების ოჯახების ხვედრითი წილი 8,03%-დან (1989 წ.) 10,61%-მდე გაიზარდა, დანარჩენებისთვის აღსანიშნავია კლება. სოფლად შერეული ოჯახების რაოდენობა 6%-დან 3.9%-მდე შემცირდა.

- **IV ფაზა (90-იანი წლებიდან დღემდე)**

დემოგრაფიული ტრანზიციის მეოთხე ფაზა საქართველოში დაიწყო XX საუკუნის 90-იან წლებში და დღესაც გრძელდება. ამ ფაზაში იმყოფება განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა. შობადობის კოეფიციენტი ისე კლებულობს, რომ თითქმის ან სავსებით უტოლდება სიკვდილიანობის კოეფიციენტს, რის გამოც მოსახლეობის ნულოვან კვლავწარმოებას აქვს ადგილი. სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გარემომ მნიშვნელოვნად განაპირობა მესამე ფაზიდან მეოთხეში გადასვლა: სსრკ-ს დაშლა, ეთნიკური კონფლიქტები, ომები, ცხოვრების წესის შეცვლა, უმუშევრობა, სიღარიბე, მიგრაციები, ქალის დასაქმება, ოჯახის დაგეგმვის მეთოდების რეალიზაცია, ძლიერი პესიმიზმი, მცირე ოჯახისკენ სწრაფვა, გეოგრაფიული გარემოს როლი, ეკოლოგიური კატასტროფები - ეს ყველა ფაქტორი გახდა მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევის შეცვლის მიზეზი საქართველოში.

ეს ის ფაქტორებია, რომლებიც იყო დასახელებული ჩემი რესპონდენტების მიერ თითქმის ყველა რეგიონში, ქალაქად თუ სოფლად, აღსანიშნავია, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები დიდ როლს თამაშობენ შობადობის შემცირებაზე.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა

ცხრილი № 14

წელი	**შობადობა**		**სიკვდილიანობა**		**ბუნებრივი მატება**	
	რაოდენობა	(‰)	რაოდენობა	(‰)	რაოდენობა	(‰)
1990	92815	17.1	50721	9.3	42094	7.8
1991	89091	16.3	52416	9.6	36675	6.7
1992	72631	13.4	55076	10.2	17555	3.2
1993	61594	12.0	57539	11.2	4055	0.8
1994	57311	11.8	50326	10.4	6985	1.4
1995	56341	11.9	49073	10.4	7268	1.5
1996	55000	11.9	47961	10.4	7039	1.5
1997	54000	11.9	47575	10.5	6425	1.4
1998	51526	11.5	47321	10.5	4205	1.0
1999	48695	10.9	47184	10.6	1511	0.3
2000	48800	11.0	47410	10.7	1390	0.3
2001	47589	10.9	46218	10.5	1371	0.4
2002	46605	10.7	46446	10.7	159	0.0
2003	46194	10.7	46055	10.6	139	0.1
2004	49572	11.5	48793	11.3	779	0.2
2005	46512	10.7	42284	9.9	3528	0.8
2006	47795	10.9	42255	9.6	5540	1.3
2007	49287	11.2	41178	9.4	8109	1.8
2008	56565	12.9	43011	9.8	13554	3.1
2009	63377	14.4	46625	10.6	16752	3.8
2010	62585	14.1	47864	10.7	14721	3.3
2011	58014	12.9	49818	11.1	8193	1.8
2012	57031	12.7	49348	11.9	7683	1.7
2013	58878	12.9	48553	10.8	9325	2.1

წყარო: საქსტატი

2007 წელს შობადობა 2000 წლის შობადობასთან შედარებით მხოლოდ 1,0 %-ით გაიზარდა, ამავე პერიოდში 93,0 %-ით გაიზარდა რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვიც (შეადგინა 24 891). 2007 წელს შობადობის გარკვეული ზრდისა და

მოკვდაობის მცირედი კლების შედეგად ადგილი ჰქონდა ბუნებრივ მატებას (1,8 პრომილე). 2012 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 1.7 პროცენტით შემცირდა. მიუხედავად ბოლო 2 წლის განმავლობაში შობადობის შემცირებისა, აღსანიშნავია, რომ მისი მაჩვენებელი 2004-2007 წლების პერიოდთან შედარებით მაინც მაღალ დონეზე რჩება. გარდაცვლილთა რაოდენობა კი 2012 წელს 2011 წელთან შედარებით 1 პროცენტით შემცირდა. ამ გარემოების ფონზე ბუნებრივმა მატებამ 7683 ერთეული შეადგინა. მაგრამ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის შემცირების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად კვლავ გარე მიგრაცია რჩება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არსებული ბუნებრივი მატება ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივი აღწარმოების საჭირო დონეს.

2009 წელს დაბადებულთა რაოდენობა 2005 წელთან შედარებით 36.3 %-ით გაიზარდა. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული პერიოდისათვის გაიზარდა მესამე და მომდევნო დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა. მესამე და მომდევნო ბავშვთა ჯამური რაოდენობა 2009 წელს 2005 წელთან შედარებით გაიზარდა 59.5 % -ით (იხ. ცხრილი №14). ამავე პერიოდში 76.3 %-ით გაიზარდა რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვიც (იხ. ცხრილი № 15) და შეადგინა 31 752 ერთეული. 2009 წელს შობადობის ზრდისა და მოკვდაობის მცირედი კლების შედეგად ადგილი ჰქონდა მაღალ ბუნებრივ მატებას (3.8 პრომილე). მიუხედავად ამისა, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად კვლავ გარე მიგრაცია რჩება.

ცხრილი № 15

წელი	**ქორწინება**		**განქორწინება**	
	რაოდენობა	**(‰)**	რაოდენობა	**(‰)**
1990	36812	6.8	7796	1.4
1991	38070	7.0	7440	1.4
1992	26878	5.0	4890	0.9
1993	24105	4.7	3211	0.6
1994	21908	4.5	3089	0.6
1995	21481	4.5	2685	0.6

1996	19253	4.2	2269	0.5
1997	17099	3.8	2267	0.5
1998	15343	3.4	1758	0.4
1999	13845	3.1	1622	0.4
2000	12870	2.9	1854	0.4
2001	13336	3.0	1987	0.5
2002	12535	2.9	1836	0.4
2003	12696	2.9	1825	0.4
2004	14866	3.4	1793	0.4
2005	18012	4.1	1928	0.4
2006	21845	5.0	2060	0.5
2007	24891	5.7	2325	0.5
2008	31414	7.0	3189	0.7
2009	31752	7.2	4030	0.9
2010	34675	7.8	4726	1.1
2011	30863	6.9	5850	1.3
2012	30412	6.8	7136	1.6
2013	34593	7.7	8089	1.8

წყარო: საქსტატი

2007 წელს 1990 წელთან შედარებით შობადობის საერთო მაჩვენებლის 46,9 %-ით შემცირების პირობებში მესამე და მომდევნო დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა შემცირდა 3,7-ჯერ და მეტად. (იხ. ცხრილი № 17)

1990-2000 წწ. ქორწინების ტემპი მკვეთრად შემცირდა 6,8 ‰-დან 2.9 ‰-მდე. რა გახდა ასეთი მკვეთრი შემცირების მიზეზი? როგორც ირკვევა, არსებობს ბევრი მიზეზი, მათ შორისაა: მძიმე ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება, ეთნიკური კონფლიქტები, მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი და ასე შემდეგ. ამ წლებში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და მასიურმა უმუშევრობამ განაპირობა ქალთა მასიური ეკონომიკური ემიგრაცია.

რეგისტრირებულ დაქორწინებულთა განაწილება (%) ასაკის მიხედვით საქართველოში

ცხრილი № 16

ქორწინების ასაკი	წლები							
	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997
	მამაკაცები							
20 წლამდე	4,8	9,4	9,3	9,6	9,9	9,5	9,1	8,5
20-24	34,7	34,4	36,2	35,2	34,1	33,9	33,8	33,1
25-29	29,9	27,7	27,3	26,6	25,8	25,0	25,6	25,3
30-34	13,9	13,5	13,4	14,4	15,8	15,7	15,8	16,2
35-39	6,3	5,9	5,6	5,9	6,3	7,3	7,4	8,2
40-44	3,1	2,9	2,7	2,7	2,8	3,2	3,2	3,6
45-49	1,5	1,3	1,2	1,3	1,5	1,8	1,9	2,0
50 და უფროსი	5,8	4,9	4,3	4,3	3,8	3,6	3,2	3,1
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
	ქალები							
20 წლამდე	27,0	33,6	34,3	34,3	34,4	33,4	32,7	30,7
20-24	37,5	35,0	36,3	35,8	35,2	34,9	35,5	36,1
25-29	17,1	15,1	14,1	14,3	14,6	15,1	15,6	15,9
30-34	7,3	6,9	6,9	7,1	7,4	8,0	7,6	7,9
35-39	3,7	3,3	3,1	3,3	3,5	3,6	3,9	4,3
40-44	2,0	1,9	1,6	1,7	1,7	1,9	1,8	2,0
45-49	1,1	0,8	0,9	0,9	1,0	1,1	1,1	1,1
50 და უფროსი	4,3	3,4	2,8	2,6	2,2	2,0	1,8	2,0
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

რით არის გამოწვეული რეგისტრირებულ ქორწინებათა კლება საქართველოში?

იმ მიზნით, თუ რამ გამოიწვია რეგისტრირებულ ქორწინებათა კლება, 1997 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, თბილისში ჩატარდა რეპრეზენტატული სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევა კვოტურ შერჩევაზე დაფუძნებული. გამოკითხულ იქნა 1000 რესპონდენტი.

გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ იმ პერიოდისათვის, საშუალოდ, მთელი დაქორწინებული მოსახლეობის უმრავლესობა მხოლოდ იურიდიულად რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა (61,0 %), მათთან შედარებით ორჯერ ნაკლები იყო იმათი წილი, ვინც რეგისტრირებული ქორწინების გარდა ჯვრისწერასაც (კონფესიურ ქორწინებას) მიმართა (30,8 %). მთელ მოსახლეობაში უმნიშვნელოა იმათი წილი, ვინც მხოლოდ საეკლესიო ქორწინებას მიმართა (3,5 %). მცირეა მათი წილიც, ვინც კონსესუალურ ქორწინებაშია ან თანაცხოვრებას მიმართავს (4,7 %).[78]

დაქორწინებული ახალგაზრდების საგრძნობი ნაწილი (39,6 %), იურიდიულად რეგისტრირებულ ქორწინებასთან ერთად, რელიგიურ ქორწინებასაც მიმართავს. ახალგაზრდებში, მთელ ქორწინებაში მყოფ მოსახლეობასთან შედარებით, ორჯერ ნაკლებია იმათი წილი, ვინც მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინებით კმაყოფილდება (29,2 %); ექვსჯერ მეტია იმათი წილი, ვინც მხოლოდ საეკლესიო ქორწინებაშია (20,8 %); ორ და მეტჯერ მეტია იმათი წილი, ვინც კონსესუალურ ქორწინებაშია ან თანაცხოვრებას მიმართავს (10,4 %).[79]

ვეთანხმები ბ-ნ გ. წულაძეს და გ. მელაძეს იმაში, რომ თუ მომავალში, "საეკლესიო (რელიგიური) ქორწინება კანონით იურიდიულ მნიშვნელობას მიიღებს, მაშინ ორიენტაცია მასზე უფრო გამოხატულ სახეს მიიღებს. ასეთ დროს გამოკითხულთა 39,0 % მხოლოდ რელიგიური ქორწინებით ისარგებლებს, თუმცა უმრავლესობას (50,5 %) მიაჩნია, რომ სამოქალაქო და რელიგიური ქორწინება ერთდროულად უნდა იყოს დაშუებული და ადამიანს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა უნდა მიეცეს. მხოლოდ იურიდიულად რეგისტრირებულ ქორწინებას საშუალოდ მოსახლეობის 10,5 % დაუჭერდა მხარს, ამასთან, ახალგაზრდებში ასეთების წილი 3-ჯერ ნაკლებია უფროსი ასაკის მოსახლეობასთან შედარებით.[80]

პოსტსაბჭოთა პეროდის საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული და რეპროდუქციული ქცევის შესწავლამ გვიჩვენა, რომ "ქვეყნის დემოგრაფიულ უსაფრთხოებაში" ძირითად როლს მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევა თამაშობს,

---

[78] გ. წულაძე, გ. მელაძე "დემოგრაფიული ვითარება საქართველოში", 1997, გვ. 32

[79] იქვე, გვ. 34

[80] გ.წულაძე, გ. მელაძე, "დემოგრაფიული ვითარება საქართველოში", 1997, გვ. 34-37

სადაც გადამწყვეტად ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება გვევლინება. ჯერ კიდევ 70-იან წლებში ქართველთა ოჯახებში მრავალშვილიანობა (5 და მეტი შვილი) ჯერ საშუალოშვილიანობით (3-4 შვილი) შეიცვალა, ხოლო ამ ბოლო 20 წლის მანძილზე მცირეშვილიანობით (1-2 შვილი).

საქართველოში მესამე და შემდგომი ბავშვის წილი უკვე 1995 წლიდან ჩამოსცილდა 15 %-ს, რომ აღარაფერი ვთქვათ მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელ 30-35 %-ზე. 2008 წლისთვის დაბადებულთა საერთო რაოდენობაში მხოლოდ მესამე ბავშვის წილი ჩამოსცილდა 10 %-ს და შედეგად პირველ და მეორე ბავშვთა წილმა 87 %-ს გადააჭარბა. პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ის, რომ ორბავშვიან სტრუქტურაში პირველმა ბავშვმა 2008 წლისთვის 55 %-ს გადააჭარბა, ანუ, როგორც პროფ. ა. სულაბერიძე აღნიშნავს, პრაქტიკულად ოჯახში მეორე ბავშვსაც "ვკარგავთ", მესამე კი კარგა ხანია "დავკარგეთ". (იხ. ცხრილი № 17)

ცოცხლად დაბადებულები დაბადების რიგითობის მიხედვით

ცხრილი № 17

წელი	დაბადების რიგითობა										სულ:
	I		II		III		IV		V +		
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა
1990	41338	44.6	31582	34.0	14477	15.6	3639	3.9	1779	1.9	92815
1991	40940	46.0	30176	33.9	13054	14.6	3344	3.7	1577	1.8	89091
1992	36183	49.8	24392	33.6	8772	12.1	2303	3.2	981	1.3	72631
1993	32006	52.0	20264	32.9	6738	10.9	1794	2.9	792	1.3	61594
1994	31020	54.1	18510	32.3	5605	9.8	1505	2.6	671	1.2	57311
1995	30012	53.2	18352	32.6	5642	10.0	1621	2.9	714	1.3	56341
1996	28380	51.6	18535	33.7	5830	10.6	1595	2.9	660	1.2	55000
1997	27432	50.8	18036	33.4	6102	11.3	1674	3.1	756	1.4	54000
1998	26227	50.9	17210	33.4	5925	11.5	1494	2.9	670	1.3	51526
1999	25225	51.8	16069	33.0	5405	11.1	1363	2.8	633	1.3	48695
2000	25327	51.9	16250	33.3	5270	10.8	1318	2.7	635	1.3	48800
2001	25460	53.5	15086	31.7	5187	10.9	1285	2.7	571	1.2	47589

2002	24952	53.5	14878	31.9	5060	10.9	1146	2.5	569	1.2	46605
2003	28875	62.6	11752	25.4	3929	8.5	1025	2.2	613	1.3	46194
2004	28100	56.7	15773	31.8	4207	8.5	1037	2.1	455	0.9	49572
2005	27356	58.8	13743	29.6	4043	8.7	942	2.0	428	0.9	46512
2006	28935	60.5	13371	28.0	4107	8.6	938	2.0	444	0.9	47795
2007	29883	60.6	14075	28.5	4077	8.3	830	1.7	422	0.9	49287
2008	31308	55.4	18146	32.1	5400	9.5	1184	2.1	527	0.9	56565
2009	33651	53.1	21093	33.3	6627	10.5	1412	2.2	594	0.9	63377
2010	31062	49.6	22305	35.6	7097	11.3	1458	2.3	665	1.1	62585
2011	27668	47.8	21708	37.4	6701	11.6	1307	2.3	630	1.1	58014
2012	26368	46.2	21740	38.1	6891	12.1	1445	2.5	587	1.0	57031

წყარო: საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, 2012

ქალის და კაცის საშუალო ასაკი ქორწინებისას

ცხრილი № 18

წელი	**ქალი**		კაცი	
	საერთო	პირველად	საერთო	პირველად
1990	25.1	23.9	28.7	27.0
1995	23.9	23.4	27.9	27.0
2000	24.9	24.7	28.8	28.4
2001	25.2	25.0	29.2	28.8
2002	25.4	25.2	29.1	28.9
2003	25.4	25.1	29.4	29.0
2004	25.9	25.6	29.6	29.3
2005	25.9	25.6	29.8	29.6
2006	25.6	25.4	29.6	29.4
2007	25.8	25.6	29.7	29.4
2008	25.4	25.1	29.2	28.8
2009	25.6	25.3	29.3	28.8
2010	26.3	25.8	30.2	29.5
2011	26.6	26.0	30.2	29.4
2012	27.2	26.5	30.7	29.8

წყარი: საქსტატი

ზემოთ მოცემული ცხრილიდან (№ 18) კარგად ჩანს, რომ 1990-ანი წლებიდან

მოყოლებული დღემდე თითქმის არ შეცვლილა ქალის საშუალო ასაკი ქორწინებისას, რასაც ვერ ვიტყვით მამაკაცებზე. მამაკაცების ქორწინების საშუალო ასაკი საკმაოდ გაიზარდა, რაც აიხსნება მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, უმუშევრობით და არასტაბილური სამსახურებით. არსებული ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს, რომ საქართველოში საკმაოდ ადრე ქორწინდებოდნენ. როგორც ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, ახალგაზრდებს უჭირთ ოჯახის შექმნა მძიმე ეკონომიკური და სოციალური გარემოს გამო. ისინი, როგორც წესი, ხშირად მშობლებზე დამოკიდებულნი არიან, ეს კი, თავის მხრივ, მათ ძალიან აბრკოლებს.

ცხრილი № 19

წელი	**სულ**	**დედის ასაკი (წლებში)**							
		-20	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50+
1989	91138	11760	35297	26504	12404	4295	812	66	-
1990	92815	11906	35271	26228	13712	4734	920	44	-
1991	89091	12022	34953	23558	12931	4655	949	23	-
1992	72631	10487	30200	17503	10198	3500	717	26	-
1993	61594	11216	24174	14305	8324	2888	639	48	-
1994	57311	12597	21155	12810	7444	2612	624	69	-
1995	56341	11893	20578	12691	7474	2928	676	101	-
1996	55000	10862	19903	12715	7591	3153	649	127	-
1997	54000	9920	19223	12743	7465	3343	857	449	-
1998	51526	9212	18609	12287	6939	3256	768	455	-
1999	48695	8313	17552	11751	6861	3281	806	131	-
2000	48800	7124	18394	12100	6868	3305	868	141	-
2001	47589	5784	18571	11379	7073	3610	955	217	-
2002	46605	5833	17945	10077	7834	3541	1150	225	-
2003	46194	5907	16463	12449	7269	3040	929	47	14
2004	49572	6246	18258	13196	7316	3278	971	130	29
2005	46512	6903	16703	12110	6896	2870	752	67	20
2006	47795	6633	17665	12410	6831	2929	791	87	34
2007	49287	6549	18216	13021	7323	3058	727	66	13
2008	56565	7775	21025	14982	8392	3487	817	75	11

2009	63377	8896	22954	17250	9409	3920	864	75	9
2010	62585	7870	22126	17458	9878	4171	974	77	8
2011	58014	6512	20343	16787	9328	4038	899	83	11
2012	57031	5662	19571	16833	9734	4131	980	91	16

წყარო: საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, 2012

გასულ წელს 30 844 წყვილის ქორწინება დარეგისტრირდა. სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით, ყველაზე მეტი წყვილის ქორწინება თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, მარნეულში, მცხეთაში, სიღნაღში, თელავსა და ახალქალაქში დარეგისტრირდა. რაც შეეხება ქორწინების საშუალო ასაკს, მამაკაცების საშუალო ასაკი იყო 31, ხოლო ქალბატონების 28 წელი.

ცოცხლად დაბადებულები სქესის მიხედვით

ცხრილი № 20

წელი	**სულ**	**მამრობითი**	**მდედრობითი**
1990	92815	47758	45057
1991	89091	45924	43167
1992	72631	37276	35355
1993	61594	31904	29690
1994	57311	29964	27347
1995	56341	29745	26596
1996	55000	28936	26064
1997	54000	28409	25591
1998	51526	27108	24418
1999	48695	25618	23077
2000	48800	25674	23126
2001	47589	25037	22552
2002	46605	24519	22086
2003	46194	24469	21725
2004	49572	26039	23533
2005	46512	24654	21858
2006	47795	25236	22559
2007	49287	25882	23405

2008	56565	31720	24845
2009	63377	32385	30992
2010	62585	32488	30097
2011	58014	30330	27684
2012	57031	29801	27230

წყარო: საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, 2012

დეპოპულაციის პროცესი საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდში დაიწყო. იგი უკვე 20 წელზე მეტია ინტენსიურად მიმდინარეობს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო "დემოგრაფიულად დაბერებულ" ქვეყანას მიეკუთვნება (დღეისთვის ქვეყნის საერთო მოსახლეობაში 65 წელს გადაცილებულთა რაოდენობა 13%-ს აღემატება, გაეროს კლასიფიკაციით კი დაბერების მინიმალური ზღვარი 7%-ია), ახლო მომავალში მოკვდაობა კიდევ უფრო მეტად გადააჭარბებს შობადობას და დეპოპულაციის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება. (ა. სულაბერიძე, 2007: 15) დეპოპულაცია კი, მრავალრიცხოვან ერებთან შედარებით, მცირერიცხოვანი ერისათვის ბევრად უფრო საშიში და დამღუპველია. მისი ზრდის ტენდენცია, თუნდაც, მინიმუმ 2 დემოგრაფიული თაობის (საქართველოსთვის – თაობა – 28 წელი) მანძილზე გაგრძელების შემთხვევაში, მცირერიცხოვან ერს "გაქრობას", უკეთეს შემთხვევაში კი სხვა ერთან ასიმილირებას უქადის.

როგორც პროფ. ა. სულაბერიძე აღნიშნავს, ინტენსიური ემიგრაციის და დეპოპულაციის პირობებში, საქართველოს სხვა სახის უსაფრთხოების გვერდით, მწვავედ დგება ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მოსახლეობა თითქმის 20.0 %-ით შემცირდა, მოსახლეობის წლიური ზრდის ტემპი 1965 წლიდან 1.0 %-ზე დაბალია, მაშინ, როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი თურქეთში 2.0 %-ს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის მაღალი ტემპი გააჩნია აზერბაიჯანს, ჩვენს გეოპოლიტიკურ არეალში მუსულმანური რელიგიის მქონე მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა გასაკვირი აღარ უნდა იყოს.

ქართველ დემოგრაფთა აზრით, აუცილებელია ქვეყანაში დროულად გატარდეს გონივრული დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც გარკვეულწილად შეძლებს დემოგრაფიული კრიზისის გაღრმავების შეჩერებასა და არსებული სიტუაციის

სტაბილიზირებას. შედეგიანი პოლიტიკის გატარებისათვის კი აუცილებელია მრავალ სხვა საკითხთან ერთად შევისწავლოთ ქვეყნის ცალკეული სოციალური ჯგუფების რეპროდუქციული ქცევა, ყველა ის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს შობადობის დონის ამაღლებას.

საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების მიზნით, აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლებიც, კერძოდ, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით: საქართველოს მოკვდაობის შედარებით მაღალი დონე და მისი ზრდის პერსპექტივა. გარდაცვლილთა სტრუქტურაში მაღალი ინტენსივობით ხასიათდება 65 წლამდე ასაკის მოსახლეობა, განსაკუთრებით საგანგაშოა ჩვილთა და რექპროდუქციული ასაკის მოსახლეობის მოკვდაობის მაჩვენებლები. ჩვენთან ყოველ 1000 დაბადებულ ბავშვზე, 1 წლის ასაკის მიღწევამდე 25 ბავშვი კვდება, რაც განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს 6-ჯერ აღემატება.

5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით, საქართველო 113-ე ადგილზეა, 194 ქვეყნიდან (სიაში მაღალი ადგილი - ნაკლებ სიკვდილიანობას ნიშნავს). გაერო-ს ბავშვთა ფონდის უკანასკნელი კვლევების მიხედვით, საქართველოში დღემდე 77 000 ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.[81] 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით, ევროპის 44 ქვეყანას შორის, საქართველო 42-ე ადგილზეა, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი და ყაზახეთი.

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში 1995 წლიდან ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის კლების ტენდენცია აღინიშნება და კვლევების მიხედვით, ის თითქმის განახევრებულია: თუ 2000 წელს ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე სიკვდილიანობის 21 შემთხვევა იყო, 2011 წელს ეს რიცხვი 11-მდე დაეცა, თუმცა ამის მიუხედავად, საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ჯერ კიდევ მაღალია და ჩვენი მასშტაბის ქვეყნისთვის - სავალალოც.[82]

5 წლის ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის ტენდენცია მხოლოდ საქართველოში კი

---

[81] წყარო: http://www.ambebi.ge/sazogadoeba/75178-saqarthveloshi-yovel-1000-mshobiareze-21-33-chvili-ighupeba.html#ixzz2Paxfr9FT

[82] წყარო: http://www.ambebi.ge/sazogadoeba/75178-saqarthveloshi-yovel-1000-mshobiareze-21-33-chvili-ighupeba.html#ixzz2Paxfr9FT

არა, ზოგადად, მთელი მსოფლიოს პრობლემაცაა. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ 5 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობის 2/3 1 წლამდე ასაკში იღუპება, რასაც "2/3-ის კანონსაც" უწოდებენ. 1 წლამდე გარდაცვლილთა სრული რაოდენობის 2/3 პირველ თვეში იღუპება, მათ შორის 2/3 პირველ კვირაში, ხოლო 2/3 პირველ 24 საათში.[83]

ბავშვთა შორის სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობები. სახელმწიფო ვერ ახერხებს ყველა ახალშობილისთვის სათანადო გარემოს შექმნას. გაერო-ს უკანასკნელი კვლევების მიხედვით, "საქართველოში ნახევარი მილიონი ბავშვი და დედა კვების დეფიციტს განიცდის, ხოლო ცუდი კვების შედეგად ყოველწლიურად 350-მდე ბავში იღუპება."[84]

2010-2020 წლებში დღევანდელთან შედარებით, დემოგრაფიული ტალღის გამო კიდევ უფრო გაუარესდება ქართველთა პოტენციალი, რამდენადაც ამ დროისთვის ფერტილურ ასაკში შევა 1990-იან წლებში დაბალი შობადობის გამო დღევანდელთან შედარებით უფრო მცირერიცხოვანი თაობა.

აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობის მაღალი აღწარმოების გამო, გასათვალისწინებელია ამ ქვეყნებიდან დაუსაქმებელი მოსახლეობის მიგრაციის ზრდა საქართველოში, ხოლო საქართველოდან ქართველთა გარემიგრაციული ნაკადები უცხოეთში და ა.შ. (ა. სულაბერიძე, 2007: 18)

დღესდღეობით, საქართველოში მკვიდრი ერის დემოგრაფიული პერსპექტივა მეტად საგანგაშოა. ზემოთ მოტანილი მონაცემები მეტყველებენ საქართველოს დღევანდელ მწვავე დემოგრაფიულ ვითარებაზე, მაგრამ კიდევ უფრო სავალალოა მისი მომავალი დემოგრაფიული ვითარება, რადგან ქართული გენოფონდის გადაშენების საშიშროების წინაშე ვდგავართ. ვაშინგტონში ფუნქციონირებადი მსოფლიოს მოსახლეობის ბიურო, მომავალში საქართველოს მოსახლეობის ასეთ დინამიკას ვარაუდობს (მლნ-ობით): 2000 წ. – 4,4; 2025 წ. – 3,6; 2050 წ. – 2,5 ე. ი. 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 2000 წელთან შედარებით შემცირდება 1,9

---

[83] იქვე

[84] წყარო: http://www.ambebi.ge/sazogadoeba/75178-saqarthveloshi-yovel-1000-mshobiareze-21-33-chvili-ighupeba.html#ixzz2Paxfr9FT

მილიონი კაცით, ხოლო 1989 წელთან შედარებით 2,9 მილიონი კაცით. ასეთი ტემპით მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის ნავარაუდევი.

ამგვარად, საქართველოში ოჯახის განვითარების დემოგრაფიული ასპექტების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ XIX საუკუნის წინა პერიოდის დემოგრაფიული ვითარების და ოჯახის შესწავლის ანალიზი გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს მასალის უკმარისობის გამო. ზოგადი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ გაფართოებული ოჯახების არსებობის მიუხედავად, მათი რაოდენობა ხშირად მცირდებოდა, ძირითადად, პოლიტიკური ფაქტორების გავლენით. XIX საუკუნეში აღინიშნებოდა მოსახლეობის და ოჯახების რაოდენობის ზრდის ტენდენციები. თუმცა, რაოდენობის დინამიკაში ბუნებრივი მატების კომპონენტს აჭარბებდა მიგრაციული კომპონენტი. საქართველოს ოჯახები პოლიეთნიკურ ხასიათს იძენენ რუსეთის იმპერიიდან ჩამოსახლებული ოჯახების გამო. დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზაში (I მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან XX საუკუნის 60-იან წლებამდე) საქართველოში რუსიფიკატორული მიგრაციული პოლიტიკა გრძელდება, ამიტომაც მოსახლეობის დაოჯახების არნახული ზრდის ტემპი აღინიშნება. ამავე პერიოდში მატულობს მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლებიც, ერთი მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების და მეორე მხრივ, ომისშემდგომ "კომპენსაციური ბუმის" საფუძველზე. იცვლება ოჯახების თვისებრივი, სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები. ოჯახების უმრავლესობა გაფართოებულია, იზრდება შერეული ქორწინებათა რიცხვი.

დემოგრაფიული გადასვლის მე-3 ფაზაში (XX საუკუნის 60-90-იან წწ.) ბუნებრივი მატების მაჩვენებლები იწყებს კლებას, ოჯახების სიდიდე მცირდება, იცვლება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები, ნუკლეარული ოჯახების რიცხოვნობა მატულობს, რაზედაც დიდ გავლენას ახდენს შიდამიგრაცია სოფელი-ქალაქი, მატულობს ბიეთნიკურ ოჯახთა რაოდენობა, მატულობს განქორწინებათა მაჩვენებლები.

დემოგრაფიული გადასვლის მე-4 ფაზა დაიწყო XX საუკუნის 90-იან წლებში და

დღემდე გრძელდება. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების პერიოდში საქართველოს მოსახლეობის და ოჯახების რაოდენობამ დაიწყო მკვეთრი კლება. მოსახლეობის საგარეო მიგრაციებმა მოიცვა მცხოვრებთა მეხუთედზე მეტი. ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა დაიწყო მკვეთრი კლება. ქართული გენოფონდი გადაშენების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

დღის წესრიგში დგება "დემოგრაფიული უსაფრთხოების" ღონისძიების სასწრაფოდ შემუშავების და შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების საკითხი. საჭიროა შემუშავდეს ისეთი დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებს ოჯახების გადარჩენის როგორც შიდა, ასევე გარე მომქმედ ფაქტორებს და შეძლებს დემოგრაფიული კრიზისის გაღრმავების შეჩერებას, ასევე შობადობის მასტიმულირებელი გარემოს შექმნას.

თავი III: ოჯახის განვითარების სოციალურ - ფსიქოლოგიური ასპექტები საქართველოში

XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან განვითარებულმა სოციალურმა კატაკლიზმებმა დიდი გავლენა იქონია გენდერულ ურთიერთობებზე საზოგადოებასა და ოჯახში.

საქართველოში, და მთლიანად მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, განვითარებულმა მოვლენებმა: ტრანსფორმაციამ, რევოლუციამ და, ე.წ. "კრიზისულმა ევოლუციამ", დემოკრატიზაციამ და მოდერნიზაციამ, დიდი გავლენა იქონია ადამიანების ცხოვრებაზე; რადიკალურად შეცვალა მათი ყოველდღიური ცხოვრება, შეცვალა ფასეულობები და ნორმები, წარმოდგენები და ცხოვრებისეული სტრატეგიები.

ამდენი ცვლილებების მიუხედავად, ქართულ სოციალურ-კულტურულ გარემოში ოჯახი ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებად გვევლინება. შესაბამისად, დაოჯახება საქართველოში სოციალურ აუცილებლობად ითვლება. ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია დიდი ოჯახები, სადაც დაოჯახებული შვილები (ასაკის მიუხედავად) მშობლებთან ერთად ცხოვრობენ (ძირითადად, ეკონომიკური პრობლემების, განსაკუთრებით, საცხოვრებელი ფართის უქონლობის გამო); პიროვნების დამოუკიდებლად აღიარების განმსაზღვრელი ფაქტორი მისი სრულწლოვანება კი არა, მისი ოჯახური მდგომარეობაა. ამასთან, ეს მოთხოვნა უფრო კატეგორიულია ქალების მიმართ. გათხოვება ქალის თვითრეალიზაციის უმთავრეს ფორმადაა მიჩნეული.

- **გენდერული ურთიერთობები ოჯახში**

ოჯახი წარმოადგენს გენდერული ურთიერთობების ფორმირების მთავარ ცენტრალურ ადგილს. ოჯახის მეშვეობით ხდება მომავალ თაობებზე ქალურობისა და მამაკაცურობის თვისებათა გადაცემა, აქ ყალიბდება გენდერული სტერეოტიპები და ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ კაცისა და ქალის მოქმედებებს, როგორც ოჯახში, ასევე მის გარეთ.

ერთის მხრივ, იზრდება პროფესიის როლი ქალის ცხოვრებაში და ეს განაპირობებს

გენდერული ურთიერთობების შეცვლას ოჯახში; მეორე მხრივ, კულტურაში არსებობს თანამედროვე საზოგადოების ორი საწინააღმდეგო ცხოვრებისეული სტრატეგია, ერთი წარმოადგენს ე.წ. "მამაკაცურს", რომელიც დაკავშირებულია პროფესიულ რეალიზაციასთან და "ქალურს", რომელიც ორიენტირებულია ოჯახზე და პირად ცხოვრებაზე. ამიტომაც გენდერული კონფლიქტი ოჯახსა და სამსახურს შორის წარმოადგენს ოჯახის სოციოლოგიის კლასიკურ პრობლემას.

XX საუკუნის 90-იან წლების მძიმე ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა განაპირობა ტრადიციული ოჯახისაკენ დაბრუნება, სადაც მამაკაცი არის ოჯახის თავი, ქალი კი - დიასახლისი. ამ მოსაზრებას იზიარებენ, როგორც "ახლად გამდიდრებული", ასევე "ახლად გაღარიბებული" ოჯახების წარმომადგენლები. მასიურად ადგილი ჰქონდა ქალების საზოგადოებრივ-პროფესიული სფეროებიდან გამოდევნას. მათ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა ოჯახის გადარჩენა, გამოკვება და არა გამრავლება და შემდგომი განვითარება.

ქალები გახდნენ ნაკლებად კონკურენტუნარიანნი შრომის ბაზარზე, რადგან გაიზარდა ამ პერიოდში მათი როლი პრივატულ სფეროში (ადამიანებმა დაკარგეს სახელმწიფოს იმედი, დაინგრა სოციალური დაცვის სისტემა), მაშინ, როცა საბჭოთა პერიოდში, ქალები უფრო დაცულნი იყვნენ სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც ხელს უწყობდა მათ დაკავებულიყვნენ სახლის გარეთ (საბავშვო ბაღების, ბაგების, პიონერთა ბანაკების არსებობით, იაფი საყოფაცხოვრებო ნივთებით და მომსახურებით, ხელფასზე დანამატით) და, ამავდროულად, იდეოლოგიური რიტორიკით ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე. [85] საბიუჯეტო დაფინანსება შეწყდა, გაქრა საბავშვო ორგანიზაციების დახმარების მატერიალური წყაროები, რამაც გამოიწვია ამ მომსახურების გაძვირება, მაშინ, როდესაც საგრძნობლად შემცირდა ოჯახების შემოსავალი და ყოველდღიური ზრუნვა ბავშვებსა და ოჯახზე მთლიანად ქალს დააწვა ზურგზე.

ამ პერიოდში ოჯახების უმრავლესობისათვის ადგილი ჰქონდა ცხოვრების დონის მკვეთრ დაცემას და ისეთი ფენომენის გაჩენას, რომელსაც ეწოდა "სიღარიბის ფემინიზაცია", რადგან ამ პროცესმა დააფიქსირა ქალების ეკონომიკური

[85] Н.М. Римашевская, *Семья в странах с переходной экономикой*, Народонаселение, 2002, # 4, გვ. 11-15

მდგომარეობის მასიური გაუარესება, მკვეთრად გაიზარდა მარტოხელა დედების რაოდენობა, რაც გამოწვეული იყო მრავალი მიზეზით: ეთნიკური კონფლიქტებით, სამოქალაქო ომით, მასიური მიგრაციით და ა.შ.

ამ ყველაფრის შედეგად ქალთა ორი ტიპი გამოიყო: 1) ოჯახზე ორიენტირებული ქალები; 2) სახლის გარე საქმიანობაზე ორიენტირებული ქალები, რომლების მთავარ ღირებულებას მათი პროფესიული იდენტობა და საქმიანობა წარმოადგენს. როგორც არსებული კვლევები გვიჩვენებს ოჯახზე ორიენტირებულ ქალთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. 2011 წელს საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ყველაზე დიდ ღირებულებას რესპონდენტები ჯანმრთელობას (97.9 %), შემდეგ ოჯახს (97.1 %) და სახლს/ბინას (93.6 %) ანიჭებენ.[86]

როგორც ჩვენმა კვლევამაც გვიჩვენა, ჩვენი საზოგადეობის დიდი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს ისეთ ქალებს, რომელთა ოჯახთან იდენტიფიკაცია უფრო მაღალია, ვიდრე მათი პროფესიასთან იდენტიფიცირება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიული იდენტიფიკაცია უგულველყოფილი იქნა, რესპონდენტთა მესამედი ძალიან დადებითად აფასებდა ქალის განათლების დონეს და მის პროფესიულ ცხოვრებას.

1990-იან წლებში ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში დაწყებულმა ცვლილებებმა, ყველა პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში გამოიწვია ე.წ. "დასაქმებული დედის" კონტრაქტის გაუქმება. საქართველოში, სხვა სოციალისტურ საზოგადოებებთან შედარებით, ეს პროცესი სხვაგვარად განვითარდა. მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ გარემოს დაემატა ეთნიკური კონფლიქტები და სამოქალაქო ომი, რამაც ძალიან დიდი გავლენა იქონია ოჯახზე. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, მათ განიცადეს "დრამატული ცვლილებები ეკონომიკურ მდგომარეობაზე, დასაქმების უდიდეს პრობლემას წააწყდნენ, იძულებულნი გახდნენ გადაეხედათ და შეეცვალათ ინდივიდუალური და ოჯახური სტრატეგიები".[87]

მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა ოჯახში ქალის, როგორც ეკონომიკური შემომტანის როლი, მის მთავარ ფუნქიას კვლავ შვილების აღზრდა და საოჯახო მეურნეობის წარმართვა წარმოადგენს. ი. ბადურაშვილის მიერ შესრულებულ

[86] ნ. სუმბაძე, თაობები და ღირებულებები, თბილისი, 2012, გვ. 57

[87] "Women and Men in East European Transition", edited by M. Feischmidt, Cluj- Napoca, EFES, 1997

ნაშრომში ვკითხულობთ: “ცნობილია, რომ ოჯახური შემოსავლების ხარჯვის წესი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პარტნიორთა როლს ოჯახის მართვაში. პატრიარქალური ტიპის ოჯახებში მამაკაცი ერთპიროვნულად წყვეტს ოჯახური შემოსავლების ხარჯვის საკითხებს, ხოლო ეგალიტარული ტიპის ოჯახებში მამაკაცსა და ქალს თანაბარი უფლებები აქვთ ოჯახის მატერიალური რესურსების მართვაში, მიუხედავად იმისა, პარტნიორებს შორის ვისი წვლილი უფრო მნიშვნელოვანია შემოსავლის ფორმირებაში”. [88]

ნ. დურგლიშვილის კვლევის მიხედვით კი “ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის ძირითადად კვლავ ტრადიციული ნორმებით რეგულირდება. შესაბამისად იმისა, რომ ოჯახის ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალებისა და ახალგაზრდების მიერ შემოტანილი თანხების ხვედრითი წილი,[89] გადაწყვეტილების მიღების მექანიზმზე გავლენა არ მოუხდენია გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმების ძირითადად კვლავ უფროსი მამაკაცის ხელშია თავმოყრილი. (ნ. დურგლიშვილი, 1997: 18-19)

რესპონდენტთა უმრავლესობა (51.7 %) პასუხობს, რომ მის ოჯახში ყოველდღიური ბიუჯეტის განაწილების გადაწყვეტილებას მამაკაცი იღებს (შედარებისათვის - ის ოჯახები, სადაც ყოველდღიური ბიუჯეტის განაწილებისას გადაწყვეტილებას იღებს ქალი, 31.3 %-ს შეადგენს). რაც შეეხება მნიშვნელოვანი საოჯახო გადაწყვეტილებების (ბინის ან მანქანის ყიდვა-გაყიდვა, მნიშვნელოვანი თანხის სესხება ან გასესხება და სხვა) მიღებისას მამაკაცის პრიორიტეტი მკვეთრადაა გამოხატული - რესპონდენტთა

---

[88] ი. ბადურაშვილი, რ. ჭეიშვილი, ე. კაპანაძე, შ. წიკლაური, მ. სირბილაძე - გენდერული ურთიერთობები თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში, თბილისი, 2008, გვ. 35

[89] 90-იან წლებამდე არ არსებობს ემპირიული კვლევებით მოპოვებული ინფორმაცია ქალებისა და ახალგაზრდების წილზე ოჯახის ბიუჯეტში. მიუხედავად ამისა, ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს უშუალო დაკვირვება და გარკვეული ზოგადი მოსაზრებები. საბჭოთა წყობისათვის დამახასიათებელი ხისტი სტრუქტურა, რომელიც სოციალურ მობილობას აფერხებდა, განაპირობებდა იმას, რომ პიროვნების თვითრეალიზაცია საზოგადოდ გვიან ხდებოდა, მაშინ როდესაც, პოსტკომუნისტური ეპოქის სწრაფ ცვლილებებს ახალგაზრდობა გასაგები მიზეზების გამო უფრო ადვილად შეეგუა და უფრო მეტად გამოიყენა ახალი შესაძლებლობები. მეორე მხრივ, ძველი სოციალური სტრუქტურის დამსხვრევა, ბუნებრივია, უფრო მწვავედ მამაკაცებს შეეხო და კითხვის ქვეშ დააყენა მათი საზოგადოებრივი სტატუსი მაშინ, როდესაც ქალებმა შედარებით იოლად გამოიყენეს ახალი შესაძლებლობები წვრილ ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში. ბოლო ხანს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვები ცხადყოფს ისეთი ოჯახების არსებობას, რომლებშიც ძირითადად, ან ერთ-ერთ ძირითად ეკონომიკურ შემომტანს სწორედ ქალები ან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები წარმოადგენენ.

55.3 % პასუხობს, რომ მის ოჯახში, ოჯახისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მამაკაცი იღებს. იმ ოჯახების ხვედრითი წილი კი, სადაც ოჯახისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს ქალი, მხოლოდ 21.4 %-ია.

საქართველოში მაცხორებელი ოჯახების უმრავლესობაში შვილების ემოციური მხარდაჭერის ფუნქციას ძირითადად ქალი ასრულებს. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით მამაკაც რესპონდენტებიდან მხოლოდ 13.6% აღნიშნავს შვილებთან ახლო ემოციური კონტაქტის არსებობას.

WZB-სა [90] და GIPO-ს [91] მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით 1500 რესპონდენტის დიდი უმრავლესობა (90.7 %) თვლის, რომ მშობლები ყოველთვის უნდა გიყვარდეს და პატივს სცემდე მიუხედავად მათი ღირსებებისა და ნაკლოვანებებისა, ხოლო 75 % მიიჩნევს, რომ მშობლებმა ყოველივე შესაძლებელი უნდა გააკეთონ შვილებისათვის, თუნდაც საკუთარი კეთილდღეობის ფასად. ამასთან, რესპონდენტთა 54 %-ისათვის წარმოუდგენელია დაუოჯახებელი შვილების (ასაკის მიუხედავად) დამოუკიდებლად ცხოვრება, 42 %-ის აზრით კი მეუღლეებს შორის მოუგვარებადი კონფლიქტის შემთხვევაში შვილების კეთილდღეობისათვის მაინც ოჯახის შენარჩუნებაა უმჯობესი. (ნ. დურგლიშვილი, 1997: 19) ჩვენი კვლევის შედეგებიც აჩვენებენ, რარიგ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლების წვლილს და ამაგს მომავალი თაობების აღზრდაში და მათთვის კეთილდღეობის შექმნაში.

თუ გავითვალისწინებთ, აგრეთვე, ზემოთქმულს ძალაუფლების მექანიზმისა და მისი გადანაწილების შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ შვილებსა და მშობლებს შორის ურთიერთობისას ქართულ ოჯახში უფროსების ერთგვარი ავტორიტარიზმი და გადაჭარბებული მზრუნველობა შეინიშნება. ვფიქრობთ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ გადაწყვეტილებათა მიღებისას უმცროსი თაობა ჯერ-ჯერობით პასიური რჩება.

ამასთან, როგორც სოციოლოგიური გამოკითხვები აჩვენებს, ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლი ოჯახის ყველა წევრის (მათ შორის ქალებისა და უმცროსი

[90] WZB –The Social Science Research Center Berlin (German: Wissenschaftszentrum Berlin für Sozialforschung)
[91] GIPO – Georgian Institute of Public Opinion

თაობის წარმომადგნელების) მიერ კანონზომიერ მოვლენად აღიქმება და კონფლიქტის საფუძველს არ ქმნის.

დღემდე მამაკაცის, როგორც ოჯახში გადაწყვეტილებათა მთავარი მიმღებისა და ძირითადი შემომტანის ფუნქციები ფაქტობრივად ერთმანეთს ემთხვეოდა. ახლა, ეს თანაფარდობა დაირღვა. მართალია, საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს ოჯახში გადაწყვეტილებათა მიმღები, როგორც კვლევა გვიჩვენებს, ჯერჯერობით არ შეცვლილა.

განსაკუთრებით, მკაფიოდ ეს გამოხატულია სოფლად მაცხოვრებელ ოჯახებში. აქ პატივისცემა უფროსი თაობის მიმართ განსაკუთრებით თვალშისაცემია. (მაგალითად, ყაზბეგის რაიონში, ერთ-ერთმა რესპონდენტმა - ახალგაზრდა მამაკაცმა სიგარეტი გადააგდო უფროსი მამაკაცის გამოჩენისას. ეს საქციელი კი იმით ახსნა, რომ უფროსებთან მოწევა არ არის მიღებული). აქვე მინდა დავამატო, უფროს-უმცროსობა ასევე ძალიან გამოკვეთილია ეთნიკურ უმცირესობათა ოჯახებში (მაგალითად, ქვემო ქართლში აზერბაიჯანულ ოჯახებში). აქ პატივს უფროს მამაკაცს კი არ სცემენ მხოლოდ, აქ ოჯახში უფროსი ქალიც მეტად დაფასებულია.

აქვე მინდა დავამატო, რომ მთიან აჭარაში, სადაც ოჯახების განსაკუთრებული ტიპი გვხვდება, სადაც ერთმანეთს ერწყმის ქრისტიანული და მუსულმანური რელიგიების წეს-ჩვეულებანი, რესპონდენტთა უმრავლესობა განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ტრადიციულობას, თვალშისაცემი იყო მათი უფროსი თაობის მიმართ მკეთრად გამოხატული პატივისცემა და სუბორდინაცია.

რაც შეეხება საქართველოში მაცხოვრებელ სხვადასხვა ეროვნებათა შორის ოჯახურ ურთიერთობებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ეროვნებები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოში, ქართველებსა და მათ შორის კულტურული გაცვლები მაღალი ინტენსივობით არ გამოირჩევა. ეს იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებების წარმომადგენლებზე ქორწინების მზაობის ხარისხი საკმაოდ დაბალია.

განსხვავებული ეროვნების წარმომადგენლებს, ძირითადად, შენარჩუნებული აქვთ თავიანთი სოციალურ-კულტურული სისტემის თავისებურებები, რაც არამარტო

ეროვნული ან რელიგიური განსხვავებულობით, არამედ ოჯახური ცხოვრების ტრადიციულ ტიპთა შორის ისტორიული განსხვავებულობითაც უნდა იყოს განპირობებული. ამ გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ოჯახი და ოჯახი საქართველოში არ წარმოადგენს იდენტურ ცნებებს.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გვქონდა საშუალება უფრო მასშტაბური სოციოლოგიური გამოკვლევა ჩაგვეტარებინა. ჩვენი გამოკვლევის ფარგლებში მხოლოდ 67 არაქართული ოჯახი მოექცა. კვლევამ დაადასტურა, რომ ეს ოჯახები, ძირითადად, თავიანთი სოციალურ-კულტურული სისტემებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ინარჩუნებენ. ჩვენს მიერ შესწავლილი ოჯახების უმრავლესობა არ მიეკუთვნებოდა კომპაქტური დასახლების რაიონებს. მათ საკმაოდ აქტიური სამეზობლო ურთიერთობა აქვთ როგორც ქართველებთან, ისე ერთმანეთში, მაგრამ ამის მიუხედავად, საკმაოდ იშვიათი ხასიათი აქვს კულტურულ ურთიერთშეღწევებს (მაგალითად, ქურთების დიდი უმრავლესობა ქურთული ოჯახის ტრადიციის მიხედვით კვლავ მიიჩნევს, რომ დაქორწინებისას განმსაზღვრელი მშობლების ნება-სურვილი უნდა იყოს. საგანგებოდ მათთვის დასმულ კითხვაზე - ხდება თუ არა ასე მათ ოჯახში, დადებითად პასუხობენ და ასახელებენ არასრულწლოვანი ბავშვების დანიშვნის შემთხვევებს; რუსები გამოკითხულთა შორის ყველაზე ლიბერალურად უყურებენ თავისუფალი სექსუალური ცხოვრების საკითხებს - ყოველი ეროვნების წარმომადგენელი ძირითადად იცავს საკუთარი რელიგიის პრინციპებს და ა.შ.). შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული უმცირესობების ერთგვარი სოციალურ-კულტურული კარჩაკეტილობა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ფორმას წარმოადგენს და იგი, ერთგვარად, თავდაცვით ფუნქციასაც ასრულებს.

- **ოჯახთან დაკავშირებული ღირებულებები, წარმოდგენები, დამოკიდებულებები**

როგორც მრავალი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, ოჯახი ქართული საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. ღირებულებათა იერარქიაში ოჯახი, როგორც ქალების, ისე მამაკაცების აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში პირველ ადგილას დგას (89 %). ამასთან,

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ოჯახს პირველ, მეორე ან მესამე ადგილას აყენებს ღირებულებათა იერარქიაში. ოჯახი, რელიგია, ჯანმრთელობა, სახლი და სამუშაო აღმოჩნდა პირველ ადგილებზე ამ იერარქიაში. აღსანიშნავია, რომ ღირებულებათა იერარქია მსგავსია ქალებისა და მამაკაცების შემთხვევაში.[92]

ჯანმრთელობა, ოჯახი და სახლი საყოველთაო ღირებულებებს წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის. შედარებისათვის მინდა მოვიყვანო მსგავსი სოციოლოგიური კვლევების შედეგები. ეს კვლევები ჩატარდა 1991-2002 წლებში რუსეთსა და შვედეთში. რუსეთში, რესპონდენტთა უმრავლესობისათვის ღირებულებები შემდეგნაირად გადანაწილდა: ჯანმრთელობა, სიყვარული და ოჯახი, ანუ მათთვის ოჯახზე უფრო ღირებული ჯანმრთელობა და სიყვარულია. შვედეთში კი შემდეგი თანმიმდევრობა დაფიქსირდა: მეგობრობამ, სიყვარულმა და ჯანმრთელობამ ღირებულებებს შორის დაიკავა პირველი სამი ადგილი. ოჯახი მათთვის მხოლოდ მე-6 ადგილზე აღმოჩნდა.[93]

პროფ. ნ. სუმბაძის აზრით, ტრადიციებისადმი ერთგულება, ოჯახური შეჭიდულობა და ბავშვის ისე გაზრდა, რომ იყოს დამჯერი, უფრო ღირებულია უფროსი თაობის ადამიანებისათვის, მაშინ როდესაც, ახალგაზრდა თაობა ხაზს უსვამს იმის მნიშვნელობას, რომ ადამიანი იყოს დამოუკიდებელი და მიზანსწრაფული. (ნ. სუმბაძე, 2012: 6-7)

ჩვენი კვლევის შედეგები ცალსახად მიუთითებენ ღირებულებათა უდიდეს ნაწილში თაობათა არსებულ განსხვავებაზე. ახალზარდები უფროს თაობაზე მეტად აფასებენ თავისუფალ დროს, მეგობრებს, რელიგიას, სამსახურს და განათლებას, უფროსი თაობისათვის კი პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად მნიშვნელოვანია.

ყველაზე დიდ ღირებულებას ჩვენი რესპონდენტები ჯანმრთელობას, შემდეგ ოჯახსა და სახლს ანიჭებენ (იხ. გრაფიკი № 1). ამ ღირებულებების მნიშვნელობის შეფასებაში თაობები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

---

[92] ნ. სუმბაძე, თაობები და ღირებულებები, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2012

[93] О. М. Здравомывлова - Семья и общество: гендерное измерение российской трасформации, Москва, 2003, გვ. 52

თაობების მიერ ღირებულებების მნიშვნელობის რანჟირება

გრაფიკი № 1



საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ[94] აჩვენა, რომ რესპონდენტთა 88.7% მხარს უჭერს ოჯახის ინსტიტუტს, თუმცა მცირე ნაწილი (5.9 %) ფიქრობს, რომ ქორწინებამ დრო მოჭამა, ხოლო 5.4 % გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა. პასუხის გაცემა უფრო მეტად (9.5 %) გაუჭირდათ ახალგაზრდებს, ვიდრე საშუალო (4.0 %) და უფროსი თაობის წარმომადგენლებს (1.9 %). გამოკითხულთა აზრი თითქმის თანაბრად იყოფა იმის თაობაზე, უნდა გააჩინოს თუ არა ქალმა შვილი, თუ მას არ უნდა შემდგომში შვილის მამასთან ურთიერთობა (43.7 % მომხრეა, ხოლო 43.3 % წინააღმდეგი). ამასთან, შვილის გაჩენის მომხრე უფრო მეტად არიან (46.7 %) ახალგაზრდა, ვიდრე საშუალო (42.3 %) და უფროსი თაობის (41.6 %) წარმომადგენლები. (ნ. სუმბაძე, 2012: 28)

იმავე კვლევამ დაადასტურა, რომ უფროსი თაობის ადამიანები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ოჯახის შეჭიდულობას, მათ შორის უფრო დიდია მათი წილი, ვინც ფიქრობს რომ ოჯახი ყოველდღე ერთად უნდა სადილობდეს (63.8 % - 18-

[94] კვლევა ჩატარდა 2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში თბილისში და საქართველოს ყველა რეგიონში. გამოკითხულ იქნა სამი თაობის: 18-24, 40-50 და 60-70 წლის, სულ 1058 ინდივიდი

24 ასაკობრივ ჯგუფში); (73.6 % - 40-50 ასაკობრივ ჯგუფში) და (84.5 % - 60-70 ასაკობრივ ჯგუფში). (ნ. სუმბაძე, 2012: 28)

ჩვენმა კვლევამაც დაახლოებით იგივე სურათი გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობა - 89 % თვლის, რომ ისეთი მნიშვნელოვანი დღესასწაულები, როგორიცაა ახალი წელი, შობა და დაბადების დღე ოჯახმა ერთად უნდა აღნიშნოს. მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ოჯახის წევრების დიდი სურვილისა, ერთად აღნიშნონ დღესასწაულები, ყოველთვის ვერ ხორციელდება, რადგან გამოკითხულთა ერთმა მესამედმა მიუთითა, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მის ოჯახს არ აღუნიშნავს ჩამოთვლილი ათიდან არც ერთი დღესასწაული. ყველაზე ხშირად ოჯახის წევრები აღნიშნავენ დაბადების დღეს (53.3 %), რელიგიურ დღესასწაულს (41.3 %) და ბავშვის დაბადებას (5.4 %).

რესპონდენტთა უმრავლესობა (90.1 %) მიიჩნევს, რომ ადამიანმა უნდა გადასდოს გვერდზე ყველაფერი იმისათვის, რომ დაეხმაროს გასაჭირში მყოფ ოჯახის წევრს. 62.1 % აზრით, ადამიანმა ყოველთვის უნდა დაიცვას ოჯახის ინტერესები. ამ ორ საკითხთან მიმართებაში თაობების შეხედულებები ერთმანეთისგან არ გასხვავდება, თუმცა განსხვავდება დამოკიდებულება ბავშვის აღზრდის მიმართ. ახალგაზრდები მეტ თავისუფლებას ანიჭებენ ბავშვს და მიაჩნიათ, რომ მას უნდა ჰქონდეს უფლება სიტყვა შეუბრუნოს მშობელს ან უხეშად ესაუბროს. ასე ფიქრობს ახალგაზრდების 30.9 %, საშუალო თაობის წარმომადგენელთა 23.7 % და უფროსი თაობის წარმომადგენელთა 21.4 %.

როგორც ქ-ნი ნ. სუმბაძე აღნიშნავს და მეც ვეთანხმები, ახალგაზრდა თაობა უფროს თაობებზე მეტად გამოხატავს ცხოვრებით კმაყოფილებას, საკუთარ თავში რწმენას, იგი უფრო ბედნიერია და უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი. (ნ. სუმბაძე, 2012: 59)

განათლება და კარგი ეკონომიკური მდგომარეობა სოციალური ცვლილებებისათვის საჭირო რესურს წარმოადგენს. გამოკითხულთა 75.1 % აქვს საშუალოზე უფრო მაღალი განათლება.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (53.8 %) მიუთითა, რომ ბოლო 3 თვის განმავლობაში არ ქონდა შემოსავალი, საშუალო თაობის წარმომადგენლები (44.3 %)

უფრო მეტად არიან ეკონომიკურად აქტიური, ვიდრე ახალგაზრდა (42.3 %) და უფროსი თაობის წარმომადგენლები (36.4 %). გამოკითხულთა ნახევარზე მეტის შემოსავალი საკუთარ ბიზნეს აქტიურობასთან არის დაკავშირებული, რაშიც საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციაც იგულისხმება. უფროსი თაობის წარმომადგენლებთან შედარებით, ბევრად უფრო მეტი ახალგაზრდა არის დაკავებული კერძო ბიზნესში.

თაობები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან სამუშაოს ასპექტებთან მნიშვნელობის შეფასების მიხედვით, უმრავლესობის მიერ მატერიალური ანაზღაურება სამუშაოს ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად არის მიჩნეული. (იხ. გრაფიკი № 2)

სამუშაოს მნიშვნელოვანი ასპექტების შეფასება

გრაფიკი № 2



ახალგაზრდების შემოსავალი უფრო მეტად არის დამოკიდებული კერძო ბიზნესზე, ხოლო უფროსი თაობის - სახელმწიფოზე.

რესპონდენტთა ახალგაზრდა თაობა უფრო დადებითად აფასებს საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ვიდრე ამას საშუალო ან უფროსი თაობის ადამიანები აკეთებენ. საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას რესპონდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა აღნიშნა (44.8 %), რომ მის ოჯახს აქვს სახლისა და ტანსაცმლის ფული, მაგრამ არ შეუძლია ხანგრძლივი მოხმარების

საგნების ყიდვა. ახალგაზრდების ასევე დიდ ნაწილს (32.6 %) საშუალო (28.1 %) და უფროსი (17.7 %) თაობის ადამიანებთან შედარებით მიაჩნია, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა. სამივე თაობის შემთხვევაში საკმაოდ დიდია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინი.

- **ოჯახის შექმნის თავისებურებანი**

ქართული სოციალურ-კულტურული ნორმების მიხედვით ქორწინების ინიციატორი, როგორც წესი, მამაკაცია. ქალის როლი ამ შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს, როგორც მანიპულატორული. ქ-ნ ნ. დურგლიშვილის მიერ 1997 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მეუღლის არჩევის უპირველეს მოტივს სიყვარული წარმოადგენდა (ეს მოტივი რესპონდენტთა დაახლოებით 83 %-მა დაასახელა).[95] ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა, (რომელიც ამ წინა კვლევის დაახლოებით 15 წლის მერე ჩატარდა) ცოტა განსხვავებული სურათი გვიჩვენა, აქ ამ მაჩვენებელმა 67 %-მდე დაიკლო და ჩვენმა რესპოდენტებმა მეტი ყურადღება გაამახვილეს ქორწინებისას კაცის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ზემოთ აღნიშნული კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ქორწინებისას ყველაზე არასასურველ პარტნიორად დანაშაულებრივი წარსულის მქონე პიროვნება ითვლება. ჩვენი კვლევის შედეგებმა კი ცოტათი განსხვავებული სურათი გვიჩვენა - რესპონდენტთა უმრავლესობას მონოეთნიკური ოჯახის შექმნა უფრო სასურველად მიაჩნია, ვიდრე ბიეთნიკური. ამასთან, ევროპელებთან და ჩრდილოეთ ამერიკელებთან ქორწინების მზაობის ხარისხი შესამჩნევად სჭარბობს ყოფილი საბჭოთა კავშირის, ახლო მეზობელი სახელმწიფოების ან საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების მოქალაქეებთან ქორწინების მზაობის ხარისხს.[96]

ქართული საზოგადეობა ორმაგი სტანდარტის პრინციპით განიხილავს ქალისა და მამაკაცის ქორწინებამდელ სექსუალურ თავისუფლებას. ისევ ქ-ნ ნინო

---

[95] ნ. დურგლიშვილი, ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი, თბილისი, 1997, გვ. 15

[96] ნ. დურგლიშვილი, ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი, თბილისი, 1997, გვ. 15

დურგლიშვილის კვლევას დავეყრდნობი, რომელმაც ცხადყო, რომ წარსულში სხვა სექსუალური პარტნიორის ყოლას ქალისათვის კატეგორიულად დაუშვებლად მიიჩნევს გამოკითხულთა 50.5 %, მამაკაცებისათვის კი მხოლოდ - 7 %. შესაბამისად, განქორწინებულ ქალს ახალი ოჯახის შექმნის გაცილებით ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე განქორწინებულ მამაკაცს. რესპონდენტთა 57.2 % - ისათვის განქორწინებული ქალი არასასურველი სარძლოა, განქორწინებული მამაკაცი კი, მხოლოდ 32 %-ისათვისაა არასასურველი სასიძო". (ნ. დურგლიშვილი, 1997: 16) ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაახლოებით იგივე შედეგები აჩვენა ქალის მეორედ ქორწინების შემთხვევაში და, როგორც სტატისტური მონაცემები გვიჩვენებენ, მამაკაცები უფრო ხშირად და ადვილად ქორწინდებიან მეორედ, ვიდრე ქალები. (იხ. ცხრილი № 21) მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ქალაქებში საგრძნობლად გაიზარდა განქორწინებათა რიცხვი, და რარიგ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ბევრად გაახალგაზრდავდა წყვილის განქორწინების ასაკი. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ამ ბოლო 15 წლის მანძილზე, ქალები ეკონომიკურად უფრო დამოუკიდებელნი გახდნენ და ისინი ადვილად მიმართავენ განქორწინებას.

დაქორწინებულები ქორწინებამდე სტატუსის მიხედვით

ცხრილი № 21

	2007		2008		2009	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
დაქორწინებულია სულ:	24 891	24 891	31 414	31 414	31 752	31 752
მათ შორის ქორწინებამდე იყო:						
დაუქორწინებელი	24 490	24502	30 778	30 568	30 942	30 641
ქვრივი	58	59	119	116	90	151
განქორწინებული	288	280	517	690	659	887
უცნობი	55	50	40	40	61	73

ცხრილი № 21 (გაგრძელება)

	2010		2011		2012	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
დაქორწინებულია სულ:	34 675	34 675	30 863	30 863	30 412	30 412
მათ შორის ქორწინებამდე იყო:						
დაუქორწინებელი	33 491	33 163	29 444	29 028	28 612	28 197
ქვრივი	153	208	171	191	194	192
განქორწინებული	987	1256	1245	1642	1528	1936
უცნობი	44	48	3	2	78	87

წყარო: საქსტატი

სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს 90-იან წლებზე ადრინდელი სოციოლოგიური მონაცემები, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ძირითად თავისებურებებს, რაც ქართული ოჯახის ცხოვრების წესისათვის ტრადიციულად იყო დამახასიათებელი, შეიძლება ითქვას, რომ ეს მონაცემები (მაგალითად, 45.5 % - ის მიერ ქორწინებამდე ქალისათვის სხვა სექსუალური პარტნიორის ყოლის დასაშვებად მიჩნევა) სექსუალური ცხოვრების საკითხებისადმი მიდგომის საგრძნობი ლიბერალიზაციის მაჩვენებელია. ამას ჩემი კვლევის შედეგებიც ადასტურებს.

რაც შეეხება ოჯახის შექმნის დროს დაკავშირებულ განწყობას პარტნიორის შერჩევისას, განსაკუთრებით არასასურველ ფაქტორთა შორის მამაკაცისათვის გამოკითხულთა 46 % მიიჩნევს უმუშევრობას, ქალისათვის კი მხოლოდ - 17.3 %. აქედან ნათლად ჩანს, რომ ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფის საქმეში მამაკაცს მეტი მოთხოვნები წაეყენება.

წინა კვლევებთან შედარებით, გაიზარდა ქალისადმი მოთხოვნა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ მოითხოვა ოჯახში რამდენიმე კაცის დასაქმება. ჩვენი რესპონდენტების უმრავლესობა (57 %) აღნიშნავდა, რომ ოჯახში მხოლოდ კაცის ხელფასი არ არის საკმარისი, ამიტომ ქალებიც იძულებულნი არიან დათანხმდნენ ნებისმიერ სამუშაოზე.

- **როგორ შეიცვალა ქალის როლი ოჯახსა და საზოგადოებაში**

ქართველი ქალებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმა არ წარმოადგენს აქტუალურ საკითხს. ევროპელი ახალგაზრდა ქალებისთვის კი ეს მეტად მნიშვნელოვანია, ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილი სოციოლოგი - პეტრე შტომპკა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიმდინარე სოციალური მოვლენების ანალიზისას წერს: "პასიურობა, კონფორმიზმი, მორჩილება და თანმიმდევრობა საზოგადოებრივ როლებში არ ემთხვევა წარმატების, თვითრეალიზაციის, პირადი მიღწევების სწრაფვას პირად ცხოვრებაში; ხალხი უარს ამბობს ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან ვერ ხედავენ რეალურ გზებს რაიმე ცვლილებებისაკენ".[97]

ოჯახის შექმნის შემდეგ წყვილი, როგორც წესი, მამაკაცის მშობლებთან ერთად სახლდება. შესაბამისად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ოჯახების უმრავლესობა გაფართოებული (მრავალთაობიანი) ტიპისაა. ერთი შეხედვით, დიდია სწრაფვა ერთთაობიანი (ნუკლეარული) ოჯახებისაკენ. ჩვენი კვლევის რესპონდენტთა უმრავლესობა (83 %) თვლის, რომ დაოჯახებული შვილები ცალკე უნდა ცხოვრობდნენ (ასაკის მიუხედავად), მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ასევე, ასაკის მიუხედავად, დაოჯახებულ შვილებზე ეს ტენდენცია არ ვრცელდება - რესპონდენტთა 54 %-ის აზრით დაოჯახებული სრულწლოვანი შვილები მშობლებთან ერთად უნდა ცხოვრობდნენ. ასე, რომ, დაოჯახებული შვილების ცალკე ცხოვრების სურვილი იზრდება, მაგრამ არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ხშირად მათ ამის საშუალებას არ აძლევს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში იზრდება ოჯახების რიცხვი, სადაც ორივე პარტნიორი დასაქმებულია. ცნობილია, რომ დასაქმებულ ქალთა რაოდენობის გაზრდამ ევროპის ქვეყნებში ჩამოაყალიბა ოჯახის თანამედროვე მოდელი - ეგალიტარული ოჯახი ორი დასაქმებული ადამიანით და "ორკარიერიანი ოჯახი", რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია პრობლემური პოსტთანამედროვე ოჯახის ჩამოყალიბება. ასევე ცნობილია, რომ იმავე პერიოდში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში XX საუკუნის ბოლო ათწლეულის მანძილზე ადგილი ჰქონდა ორი დასაქმებული მეუღლის ოჯახურ კრიზისს და, ამავე დროს, მცდელობა

[97] Штомпка П., *Социология социальных изменений*, М.: Аспект Пресс, 1996, გვ. 307

იყო ტრადიციული ოჯახის იდეოლოგიის გავრცელებისა და მეუღლეებს შორის ძალაუფლების გადანაწილების. (О. М. Здравомыслова, 2003: 78) შეიძლება თუ არა დავასკვნათ, რომ პოსტსაბჭოთა ოჯახი კრიზისული სოციალური პროცესების გავლენით ვითარდებოდა, როგორც თავისებური, ტენდენციის არატრადიციული ალტერნატივა, რომელმაც მოგვიყვანა პოსტთანამედროვე ოჯახთან.

ქართული ოჯახის ანალიზისას რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა:

- ტრადიციული ოჯახის ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესი და ტრადიციული გენდერული იდენტობები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან შრომის ბაზარზე ქალების მასიურ გამოსვლასთან და ოჯახის შესაძლო დაგეგმვასთან;
- საბჭოთა ტიპის ოჯახის კრიზისი და დასაქმებული დედის ცხოვრებისეული სტრატეგიის შეცვლა;
- 1990-იან წლებში დაწყებული და დღემდე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, რამაც გამოიწვია მოსახლეობის მკაფიოდ დაყოფა და ოჯახთა დიდი უმრავლესობისათვის თვითგადარჩენის მნიშვნელოვანი სტრატეგიის ფორმირება.

უკანასკნელ შემთხვევაში ქალის დატვირთვა გაიზარდა, განსაკუთრებით კი, თუ ეს ნუკლეარულ ოჯახს ეხებოდა. მას, სამსახურეობრივი მოვალეობების გარდა, მოუწია საოჯახო მოვალეობების შესრულება, რამაც ხშირად გამოიწვია გარკვეული კონფლიქტები და უკმაყოფილება პარტნიორთა შორის.

საქართველოში საბჭოთა პერიოდშიც და ახლაც საკმაოდ მაღალია ქალის უმაღლესი განათლების დონე. [98] საქართველო ყოველთვის ხასიათდებოდა მოსახლეობის განათლების მაღალი დონით, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ განათლებაში გამოკვეთილი გენდერული უთანასწორობა არ შეინიშნება. ქალებს და მამაკაცებს აქვთ პროფესიული კარიერის შექმნის და პრესტიჟული სამუშაოს შოვნის თანაბარი შესაძლებლობა. მაგრამ, ცნობილია, რომ ქალის ტრადიციული როლი ოჯახში გარკვეულწილად აფერხებს მის წარმატებულ პროფესიულ კარიერას, ხშირ

[98] 2009/2010 სასწავლო წელს სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სტუდენტების საერთო რიცხოვნობის 54.7 პროცენტს ქალი სტუდენტები შეადგენენ, ხოლო კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში - 56.3 პროცენტს

შემთხვევაში კი აყენებს ქალს არჩევანის წინაშე წარმატებულ პროფესიულ საქმიანობასა და ოჯახურ ცხოვრებას შორის.

ის უფრო აქტიურად მონაწილეობს ოჯახის რჩენაში და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ქალია ერთადერთი ოჯახის მარჩენალი. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს მამაკაცის და ქალის არათანაბარ მონაწილეობას საოჯახო საქმეების შესრულებაში. სულ უფრო ხშირად ისმის ე.წ. ეგალიტარული ოჯახის შესახებ, სადაც პარტნიორებს თანაბრად უწევთ სხვადასხვა საოჯახო საქმიანობებში მონაწილეობის მიღება.

სხვადასხვა კვლევის და, მათ შორის, ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ საქართველოში იშვიათია ისეთი ოჯახები, სადაც მამაკაცი ამზადებს ყოველდღიურ სადილს, რეცხავს ჭურჭელს ან ალაგებს სახლს, ეს ფუნქციები, როგორც წესი, ქართულ ოჯახში აკისრია ქალს. კვლევამ აჩვენა, რომ ამ ფუნქციებს ასრულებს მამაკაცი, როდესაც ქალი შრომით მიგრაციაში იმყოფება ან, ის მარტო ცხოვრობს მოხუცებულ მშობელთან, ან არასრულწლოვან შვილთან ერთად. ასევე ძალიან მცირეა ისეთი ოჯახები, სადაც აღნიშნული ფუნქციები თანაბრად არის გადანაწილებული პარტნიორებს შორის.

საქართველოში მამაკაცები შედარებით აქტიურად არიან ჩართულნი ისეთ საოჯახო საქმეებში, როგორიცაა პროდუქტების ყიდვა, ოჯახის გართობა-დასვენების ორგანიზება. შესაბამისად, ქალის როლი ამ საქმიანობების შესრულებაში სხვა საოჯახო საქმეებთან შედარებით მცირეა, თუმცა ყოველდღიური პროდუქტების ყიდვაში ქალის და მამაკაცის მონაწილეობა თითქმის თანაბარია. განსაკუთრებით მაღალია პარტნიორების თანამონაწილეობა ოჯახის გართობა-დასვენების ორგანიზებაში. 50 %-ზე მეტ ოჯახში ორივე პარტნიორი თითქმის თანაბრად მონაწილეობს ამ პროცესში. ამავე დროს, აღნიშნულ საქმიანობებში დიდია ოჯახში მცხოვრები სხვა პიროვნებების როლიც, ოჯახების დაახლოებით 13-14 %-ში ამ ფუნქციებს ასრულებენ ოჯახის სხვა წევრები - წყვილის მშობლები, შვილები და ა.შ.[99]

ამ ბოლო დროს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ქართული ოჯახი კვლავ ტრადიციული და პატრიარქალურია. სქესთა სტატუს-როლური განაწილება მასში ძირითადად ტრადიციული წარმოდგენებით

[99] ი. ბადურაშვილი, რ. ჭეიშვილი, ე. კაპანაძე, შ. წიკლაური, მ. სირბილაძე - გენდერული ურთიერთობები თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში, თბილისი, 2008, გვ. 30

განისაზღვრება.

ტრადიციულად მიღებული სოციალურ-კულტურული ნორმების თანახმად დღესაც მიჩნეულია, რომ ოჯახში მამაკაცი უნდა დომინირებდეს. იგი უნდა იყოს ოჯახის ხელმძღვანელი და სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მექანიზმების განმკარგულებელი. ქალის ფუნქციები ძირითადად შვილების აღზრდითა და ყოველდღიური საოჯახო საქმიანობით შემოიფარგლება (ეს ვითარება უმეტეს შემთხვევებში ირღვევა ე.წ. ინტელიგენციისეულ და ეთნიკურად შერეული ქორწინების საფუძველზე შექმნილ ოჯახებში).

- **რელიგიური და ეთნიკური იდენტობის როლი ოჯახის შექმნის პროცესში**

ქვემოთ მოცემული გრაფიკი (№ 3) გვიჩვენებს 2010 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიურ და ეთნიკურ იდენტობას ქორწინებისას საქართველოში.[100]

გრაფიკი № 3



ტრადიციული მოდელისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ქართველები მონოეთნიკურ ოჯახებს ანიჭებენ უპირატესობას; ევროპელებთან და ჩრდილოეთ ამერიკელებთან ქორწინების მზაობის ხარისხი შესამჩნევად ჭარბობს სხვა ეროვნების მოქალაქეებთან ქორწინების მზაობის ხარისხს. ასევე ქორწინებისას ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რელიგიურ საკითხს.

[100] კვლევა ჩატარდა კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრის მიერ (CRRC) - კავკასიის ბარომეტრი, 2011, საქართველო

შენარჩუნებულია ტრადიციული მიდგომა სექსუალური თავისეუფლების საკითხისადმი - ქართული კულტურა მამაკაცს ქალთან შედარებით კვლავ მეტ სექსუალურ თავისუფლებას ანიჭებს. ქართული საზოგადოება, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ისევ ორმაგი სტანდარტის პრინციპით განიხილავს ქალისა და მამაკაცის ქორწინებამდელ სექსუალურ თავისუფლებას. შესაბამისად, ქორწინებამდელი სქესობრივი კავშირი ან განქორწინებულობა გავლენას ახდენს ქალის სოციალურ სტატუსზე.

აღსანიშნავია, რომ ღალატი მამაკაცისათვის მისატევებელ ცოდვად ითვლება, მაშინ, როდესაც ქალის მიერ მეუღლის ღალატის მიმართ საქართველოში საზოგადოებრივი აზრი კატეგორიულად შეუწყნარებელია.

ამ საზოგადოებრივი ნორმის აქტუალური არსებობა დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ ნდობის ტელეფონის თანამშრომელთა მოწმობით, მამაკაცები საკმაოდ ხშირად ჩივიან გაორებაზე ცოლსა და საყვარელს შორის, ქალების მხრიდან კი (ანონიმურობის გარანტიის მიუხედავად), ამგვარი ჩივილები თითქმის არ გვხვდება. (ნ. დურგლიშვილი, 1997: 17-18). ეს, ხშირად იმით არის გამოწვეული, რომ ქალებს არ აქვთ გულწრფელი გაგებისა და თანაგრძნობის იმედი.

3.2. ოჯახის ფსიქოლოგია

ოჯახის ფსიქოლოგია ძალიან ახალგაზრდა მეცნიერებაა, ის მხოლოდ 25 წლისაა. მისი წარმოშობის დღიდან დღემდე მის განვითარებაში მრავალი საპირისპირო აზრი და შეხედულება გაჩნდა, რადგან ის, ძირითადად, ფოკუსირებულია ინდივიდუალურ და ბიოლოგიურ სისტემებზე. ოჯახის ფსიქოლოგია გაფართოვდა და დაინტერესდა ისეთი ფართო სისტემათა საკითხებით, როგორიცაა კულტურა, ეთნიკურობა, პოლიტიკა. ოჯახის ფსიქოლოგია სწავლობს პიროვნებათაშორისი ურთიერთკავშირებს ოჯახის ცვლილებებს, ბიოლოგიურ პროცესებს, ინდივიდების ემოციებსა და მათ გავლენას ოჯახის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

სოციოლოგიური ფსიქოლოგია ოჯახს განიხილავს, როგორც მცირე ჯგუფს, სპეციფიური მიზნობრივი მნიშვნელობით და მისგან გამომდინარე იმ თავისებურებებით, რითაც ოჯახი განსხვავდება სხვა "თავისუფლად

ორგანიზებული” ჯგუფებისაგან. (ე. ფირცხალავა, 2008: 5)

XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ვსაუბრობთ ოჯახის ფსიქოლოგიაზე, შეუძლებელია არ შევეხოთ ქცევითი მეცნიერების მიმართულებას და მის პოლიტიკას მთელ მსოფლიოში. კერძოდ, ოჯახის ფსიქოლოგია წარმოიშვა ექსტრაორდინალურად პოლიტიზირებულ არენაზე. ეს პოლიტიზირება გამოიხატება ორნაირად. პირველი, რომ ქცევითი მეცნიერების მონაცემები გადაიქცა იარაღად სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების სამუშაო გეგმის ფარგლებში. მეორე, საზოგადოების განსხვავებული ამომრჩევლები იყენებენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზეგავლენას იმ საკითხებზე და სისტემებზე, სადაც კვლევა და ინტერვენცია ლეგიტიმურადაა წარმოდგენილი. (William M. Pinsof & Jay L. Lebow, 2005: 15)

სამწუხაროდ, საქართველოში ოჯახის ფსიქოლოგია, როგორც გამოყენებითი მეცნიერება არ არის სრულფასოვნად განვითარებული და მოითხოვს დამატებით შესწავლას. ოჯახის ფსიქოლოგიის კვლევას სჭირდება ბიძგი პრაქტიკული განვითარებისათვის, რომლის მეშვეობითაც ოჯახის ფსიქოლოგია შეძლებს განაგრძოს მუშაობა ადამიანების ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

- **ოჯახი და ემოცია**

ოჯახზე, მის კლიმატზე და ფუნქციებზე ხშირად გავლენას ახდენენ ემოციები; მათი ცვალებადობა იწვევს ოჯახური ურთიერთობების ცვალებადობას და გამოიხატება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება დეპრესიულ მდგომარეობაში.

ოჯახის ფსიქოლოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ოჯახის კეთილდღეობაზე დიდ გავლენას ახდენს ემოციები. არსებობს ემოციის შეზღუდვის მრავალი მიზეზი, მაგრამ სამი მათგანი ყველაზე მნიშვნელოვანია:

- კულტურული და პროფესიული კონტექსტი;
- ემოციის მარგინალიზაცია;
- ემოციის ზეგავლენა ოჯახზე

პირველი, კულტურული და პროფესიული კონტექსტი, რომელშიც განვითარდა

წყვილისა და ოჯახის თერაპია, წინააღმდეგობაში მოდის ემოციასთან. როგორც ფემინისტი ავტორები აღნიშნავენ, ჯანმრთელობის და კეთილდღეობის პატრიარქალური მოდელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ემოციისა და ემოციური გამოხატულების მიმართ რაციონალურობას და თვითკონტროლის გაწევას, რაც ხშირად ასოცირდება ფემინურობასთან. (Kennedy-Moore & Watson, 1998)

ამ უკანასკნელ წლებში, ემოცია ნაკლებად სახიფათო ფორმით გვევლინება. თანამედროვე მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უნარი გამოხატო ემოციები საკმაოდ კარგია, განსაკუთრებით კი რაიმე ტრამვისა და განცდის შემდეგ, რადგან ამგვარი ემოციების გამოხატვა იწვევს ნაკლებ დეპრესიას და აადვილებს განცდას.

90-იანი წლების ბოლოს მეცნიერებმა დაამტკიცეს, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ემოციის ბუნებას ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებზე, მათ განცდებში და ოჯახის მყარ ფუნქციონირებაში. (Johnson, Hunsley, Greenberg & Schindler, 1999)

არსებობს შემდეგი ძირითადი ემოციები: გაბრაზება, წუხილი, შიში, სიხარული, ზიზღი, გაოცება და აღზნება, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე, და რასაკვირველია, ოჯახზე.

დამასკო (Damascio, 1994) ამტკიცებდა, რომ ადამიანებს, რომელთაც არა აქვთ ემოციები, ვერ იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს და ვერ აკეთებენ მართებულ არჩევანს.

- **სტრესი, დაძაბულობა და ქორწინებითი ტრანზიცია**

ქორწინებით ტრანზიციას აქვს ნეგატიური გავლენა მშობლებზე და შვილებზე და იწვევს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს და დანგრეულ ურთიერთობებს. ეკონომიკური და სხვა პრობლემებით გამოწვეული დაძაბულობა და სტრესი იწვევს ოჯახში როლების შეცვლას, განქორწინებას ან მეორედ ქორწინებას.

ძალიან ხშირად დაგროვილი უარყოფითი ემოცია ვლინდება ოჯახში და სხვადასხვანაირად აისახება ურთოერთობებეზე, როგორც ცნობილია, უარყოფითი ემოციის პროვოცირება ხდება კარგად ნაცნობ და ახლობელ გარემოში, სადაც ის გამოიხატება სხვადასხვა ფორმის ძალადობის სახით. ძალადობა ოჯახში შეიძლება იყოს ვერბალური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური, ემოციური,

წარმომადგენლობითი და შემეცნებითი. (Barbara Fawcett, Brid Featherstone, Jeff Hearn, Christine Toft, 1996: 1)

ურთოერთობებში ძალადობის არსებობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ის არ არის ახალი, მაგრამ პარტნიორთა შორის ძალადობა XX და XXI საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა გახდა. ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს ახალი ფენომენია, მაგრამ ის ყოველთვის მეტნაკლებად არსებობდა, შეიცვალა ადამიანების ყოფა, კულტურა, თუ ადრე ის დამალული იყო, ახლა სააშკაროზე გამოვიდა და ხილული გახდა; უფრო მეტიც მან პოლიტიზირებული სახეც კი მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევად არის აღიარებული და ბოლო პერიოდში ქართული საზოგადოებაც აღნიშნული პრობლემისადმი უფრო გახსნილი და შეუწყნარებელი ხდება, სამწუხაროდ, როგორც კვლევები ადასტურებენ, ქალთა მიმართ ძალადობა საკმაოდ გავრცელებული ფენომენია საქართველოში. ქალთა 78%–ს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემა მხოლოდ ოჯახში უნდა წყდებოდეს, ხოლო ქალთა 34.1% ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს და ოჯახში ძალადობას სამართალდარღვევად არ მიიჩნევს.[101]

ქალის მიმართ ოჯახში ძალადობა გლობალური პრობლემაა, მას არ აქვს კულტურული, გეოგრაფიული, რელიგიური, სოციალური, ეკონომიკური თუ ეროვნული საზღვრები. მთელ მსოფლიოში დღესდღეობით ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა, თუმცა ისტორიულად ქალების წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობას არ აღიქვამდნენ, როგორც "დანაშაულს". ქალის მიმართ ძალადობა განიხილება, როგორც ადამიანის უფლებების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დარღვევა და იგი ფართოდ გავრცელებულ ფენომენს წარმოადგენს სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეთნიკური წარმომავლობისა და ენის მქონე ადამიანებს შორის. ქალთა მიმართ ძალადობა სოციალური პრობლემაა, რომელიც ყველაზე ხშირად ჩაკეტილი სოციალური წყობისთვისაა დამახასიათებელი. ამ პრობლემას აქვს უაღრესად სერიოზული შედეგები არამარტო ძალადობის მსხვერპლი ქალების

[101] "ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში", თბილისი, 2010

ფიზიკურ და ემოციურ ჯანმრთელობაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე, არამედ იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდებს ბავშვებზე, ოჯახებსა და საზოგადოებაზე ზოგადად.

საქართველოში 2006 წლის მაისში პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი - "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ". ამ კანონის მიღების შემდგომ დაფიქსირდა ოჯახური ძალადობის ფაქტები და მას შემდეგ შესაძლებელი გახდა სტატისტიკური მონაცემების მოძიება, რაც მანამდე შეუძლებელი იყო. სამწუხაროდ, მოსახლეობის უმრავლესი ნაწილი დღესაც კი თვლის, რომ ეს პრობლემა საზოგადოებაში არ არსებობს. თუ არსებობს, ის მხოლოდ ოჯახის შიდა პრობლემას წარმოადგენს და არ უნდა განიხილებოდეს საჯაროდ საზოგადოებაში.

საქართველოში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, ხშირ შემთხვევაში, ქალები და ბავშვები არიან, ხოლო მოძალადეები - მამაკაცები.

არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით,[102] რეაბილიტაციის ცენტრებში წელიწადში დაახლოებით 200-დან 250-მდე ადამიანი რეკავს და მიდის დახმარების სათხოვნელად. რა თქმა უნდა, მათი უმეტესობა ქალია, თუმცა, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მამაკაცებიც მიმართავენ მათ დახმარებისათვის. მსხვერპლი მამაკაცები უფრო ხშირად მოხუცები არიან. ახალგაზრდა მამაკაცების შემთხვევაში ძირითადად ქალის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის განხორციელებასთან გვაქვს საქმე.[103]

ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები.

საქართველოში ცოტა ქალი თუ მიიჩნევს თავს ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლად. საერთო ჯამში მხოლოდ 6.9%-მა აღიარა რომ გამოცდილი აქვს ფიზიკური ძალადობა. მათგან 2.6%-მა თქვა, რომ გამოცდილი აქვს ძალადობის მსუბუქი ფორმა და 4.3%-ს კი გამოცდილი აქვს ფიზიკური ძალადობის მძიმე

[102] იხ. http://www.avng.ge/ -ძალადობის დაცვის ეროვნული ქსელი
[103] იხ. http://www.avng.ge/ -ძალადობის დაცვის ეროვნული ქსელი

ფორმა.[104]

25-44 ასაკის გამოკითხულ ქალთა 3.9%-მა აღიარა, რომ გამოცდილი აქვს სქესობრივი ძალადობა. მათგან 64% აქვს ოჯახი, ხოლო 37% გაუთხოვარია; აღნიშნულ გაუთხოვარ ქალთა უმეტესობა (32.6%) ამბობს, რომ არ ჰყავთ პარტნიორი და არ აქვთ სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცთან. აგრეთვე, ქალთა 0.7%-მ აღიარა, რომ სექსი პირველად ძალადობის შედეგად ჰქონდათ. აღნიშნული მონაცემები არ იცვლება საცხოვრებელი ადგილის, განათლების დონისა და დამოუკიდებელი შემოსავლის ქონის მიხედვით.[105]

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ფართოდ გავრცელებულ ფიზიკურ ძალადობასთან ერთად ოჯახში ძალიან ხშირია ემოციური ძალადობა, რაც გამოიხატება შემდეგში: ემოციური ძალადობა აღიარა რესპონდენტთა 27. 4 %. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათი ქმარი ხშირად უშლის მათ საკუთარ ოჯახთან ურთიერთობას, მეგობრებთან დაუკითხავად სიარულს ან მათ ოჯახში დაპატიჟებას, ასევე ხშირად აინტერესებთ, ვინ ურეკავს მათ და რაზე საუბრობენ, ექიმთან ქმრის დაუკითხავად ვერ მიდიან, უშლიან მეზობელ კაცებთან საუბარს და ა.შ. ჩემი დაკვირვებით, აღმოვაჩინე, რომ ქალები უფრო გახსნილად საუბრობენ ძალადობის იმ ფორმების შესახებ, რომლებიც სოციალურად მისაღებია და ცდილობენ დამალონ სიმართლე, როდესაც საქმე ეხება ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას, მათ ამ თემებზე, როგორც წესი, რცხვენიათ საუბარი და გაურბიან. მინდა აღვნიშნო, რომ კვლევის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს ქალის მიერ ოჯახის, როგორც ხელშეუხებელი ადგილის აღქმა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ არასდროს უნდა გავიდეს მის ფარგლებს გარეთ და არ უნდა იქცეს საჯარო განხილვის საგნად. მათ აღნიშნეს, რომ ვერავინ გადაუწყვიტავთ ამ პრობლემას, "ტყუილად გახდებიან ხალხის დასაცინნი". ოჯახის ამ ფორმით აღქმა, შესაძლოა გახდეს ოჯახური ძალადობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი.

2009 წელს ჩატარებული - "ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების

---

[104] "ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში", თბილისი, 2010

[105] "ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში", თბილისი, 2010

ეროვნული კვლევა საქართველოში" კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ მაკონტროლირებელი ქმედებები მჭიდრო კავშირშია განათლების დონესთან. რაც უფრო დაბალია ქალის განათლების დონე, მით უფრო მაღალია ასეთი ქმედებების პროცენტულობა. მაგალითად, ქალების 60%, რომლებსაც აქვთ არასრული საშუალო განათლება უფრო ხშირად ექცევიან ქმრის კონტროლის ქვეშ, ვიდრე ქალები, რომლებსაც აქვთ სრული საშუალო, პროფესიული ან უმაღლესი განათლება (35 %).[106]

ვეთანხმები ამ მოსაზრებას, მაგრამ მსურს დავამატო, რომ საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ეთნიკური იდენტობა, სახელმწიფო ენის არცოდნა. ჩემი კვლევიდან გამომდინარე, მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ მძიმე სურათი დამხვდა სოფლებში და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ეს შეგვიძლია ავხსნათ იმით, რომ მათ არ აქვთ არანაირი ინფორმაცია, იმაზე თუ რა დამცავი ბერკეტები არსებობს ქვეყნაში და ვის და სად შეიძლება მათ მიმართონ.

ზემოთ ხსენებული კვლევები ცხადყოფენ ეფექტური პოლიტიკისა და მექანიზმების არსებობის აუცილებლობას გენდერული ძალადობის შესამცირებლად და ოჯახში ძალადობის დასაძლევად, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას გენდერული თანასწორობისა და გენდერული ძალადობის საკითხების შესახებ. ეს ყველაფერი კი უფრო მეტად გვარწმუნებს იმაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის ფსიქოლოგიის განვითარებას საქართველოში.

ჯერ კიდევ წინა საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთში თეორეტიკოსები ცდილობდნენ აეხსნათ ძალადობის გამომწვევი მიზეზები. ცნობილი გახდა ორი ძირითადი თეორიული მიდგომა პარტნიორთა ძალადობისადმი: ერთია – ფემინისტურ მიდგომებზე დაფუძნებული პერსპექტივები (Wakler, 1984) და ოჯახში კონფლიქტის პერსპექტივები (Straus, 1990).

ფემინისტური თეორიული მიდგომა ამტკიცებს, რომ წყვილს შორის აგრესია პატრიარქატისათვის დამახასიათებელი თვისებაა და მიმართულია მამაკაცის მიერ ქალისადმი, რათა განამტკიცოს თავისი პოზიცია ოჯახში ქალის კონტროლით და

[106] "ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში", თბილისი, 2010

დამორჩილებით. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც კაცი ფიზიკურად ეხება ქალს, სცემს. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ამ ცემის დროს კაცი უკეთესად კი არ გრძნობს თავს, არამედ უფრო დამძიმებულია გარკვეული დროის მერე. (Wakler, 1984) ოჯახური კონფლიქტის პესპექტივა ამტკიცებს, რომ კონფლიქტი ჩნდება ოჯახში მის წევრებს შორის მათი განსხვავებული მიზნების, თვისებების, პერსონალურობის და ქცევის სტილის გამო. თუ ეს ოჯახური კონფლიქტი მოიცავს, აგრეთვე, აგრესიას, ადგილი აქვს სოციალიზაციას აგრესიისადმი. ერთხელაც თუ მოხდა აგრესიის სოციალიზაცია, მონაწილენი შემდგომში ხშირად იწყებენ მათ რომანტიკულ ურთიერთობებში წარმოჩენილი კონფლიქტების გადაჭრას აგრესიული ტაქტიკით. აგრესიას ხშირად იყენებენ როგორც კაცები, ასევე ქალები.

1995 წელს ჯონსონმა (Johnson) სცადა აეხსნა განსხვავებული, მის მიერ გაკეთებული აღმოჩენები და შემოგვთავაზა ორ განსხვავებულ ოჯახში, ორ განსხვავებულ წყვილს შორის ძალადობის ტიპი, კერძოდ, ჩვეულებრივი წყვილის ძალადობა და ე.წ. "პატრიარქალური ტერორიზმი". ის ამტკიცებდა, რომ ჩვეულებრივ ძალადობას წყვილს შორის ხშირად აქვს ადგილი, ხოლო იშვიათად მთავრდება სერიოზული ძალადობით, და ის დამახასიათებელია ორივე წევრისათვის. მეორეს მხრივ, "პატრიარქალური ტერორიზმი" დამახასიათებელია მხოლოდ მამაკაცისათვის და მიმართულია ქალისადმი.

როგორც რეალობა გვიჩვენებს, ფიზიკური აგრესია ინტიმური პარტნიორის მიმართ საკმაოდ სერიოზული პრობლემაა, რომელსაც თან ახლავს მრავალი ნეგატიური მოვლენა. "მკვლევარები ხშირად იხილავენ ოჯახურ ძალადობას, როგორც ორგვარ ფენომენს. პირველი ტიპი წარმოადგენს სიტუაციურ ძალადობას, ანუ მხოლოდ ოჯახის შიგნით და მეორე ტიპი, როგორიცაა ცემა – ანტისოციალური/საერთო ძალადობა, ანუ ტერორიზმი. ძლიერი აგრესია (ძალადობის მეორე ტიპი) მიუთითებს ბიოლოგიური და ინტრაპერსონალური ფაქტორების მნიშვნელობაზე, სადაც არასტაბილური აგრესია (პირველი ტიპი) გამოიხატება გარემო ან ინტერაქციული ფაქტორებით" (Lawrence, 2002)

ფიზიკურ ძალადობას ოჯახში ხშირად წინ უსწრებს არაფიზიკური, ანუ ვერბალური ძალადობა, როდესაც ქმარი ხშირად უყვირის ცოლს, აგინებს, ეჭვიანობს

და შეურაწხყოფას აყენებს მას და ა.შ. ძალიან დიდი გავლენა აქვს კულტურას და სხვა სოციალურ კონტექსტებს ოჯახური ძალადობის ფორმებზე, რადგან ხშირად სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციების შესაბამისად ეს მისაღებია და არ წარმოადგენს დანაშაულს, ქალებიც ხშირად ამას არ ამჟღავნებენ და ჩუმად იტანენ. მაგალითად, საქართველოში ძალიან გავრცელებულია გინება, ადამიანები ისე ხშირად იგინებიან, რომ თავადაც კი ვერ აფიქსირებენ, ეს მათი საუბრის წესია ხოლმე.

ახლახანს მეცნიერებმა შემოიტანეს ტერმინი პარტნიორთა ძალადობა, სადაც არ არის გამოკვეთილი არც ერთი სქესი. ოჯახური ძალადობით ზარალდება არა მხოლოდ მსხვერპლი, არამედ ხშირად ბავშვებიც ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. ისინი შეიძლება არ მოხვდნენ ფიზიკური აგრესიის ქვეშ, მაგრამ მათ სხვა გართულებები აქვთ, რაც ხშირად აისახება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაში.

- **ოჯახი და სოციალური გარემო**

ოჯახი განპირობებულია სოციალური კონტექსტის შესაძლებლობებით და მისი შემადგენელი ნაწილებით, რათა დაამტკიცოს თავისი არსებობა, ოჯახი ეგუება არსებულ პირობებს, როგორც ნორმალურს, ასევე არანორმალურ ტრანზიციულ და კრიზისულ უთანხმოებას და სტრესს. ოჯახის პირობები მოიცავს ოჯახის თითოეული წევრის შესაძლებლობას გაუწიოს ოჯახს მატერიალური დახმარება, ჰქონდეს შემოსავალი, შეძლოს ბავშვების და ოჯახის მოვლა, გაუწიოს არამატერიალური დახმარება, როგორიცაა გამოხატული ურთიერთდამოკიდებულება, ემოციური მხარდაჭერა, დარიგება, სოციალური აღზრდა და წესრიგის დაცვა. ძალიან მნიშვნელოვანია მამების როლი ოჯახის ცხოვრებაში, მათი ოჯახური საქმიანობისა და პასუხისმგებლობის წარმოდგენა. უფრო მეტიც, მამების ჩართვა ოჯახის ცხოვრებაში განპირობებულია კულტურით, რომელშიც ცხოვრობს ოჯახი. (William M. Pinsof & Jay L. Lebow, 2005: 327)

ამ ახლო წარსულში ბევრი ავტორი ამტკიცებდა, რომ კულტურა წარმოადგენს სოციალური ურთიერთგავლენის, ადამიანების საქციელის და მათი მოქმედებების მნიშვნელობის ახსნის მთავარ საწყისს და მიზეზს (Casas, 1995; Lopez, 1989; MsColdrick, 1982; Penderson, 2003; Rogler, 1989; Sue, 1998)

ამერიკის შეერთებულ შტატებში მაცხოვრებელ ლათინური წარმოშობის ადამიანებზე დაკვირვების შემდეგ, ცნობილმა მეცნიერმა – ხოსე ზაპოჯნიკმა (Jose Szapocznik) და მისმა კოლეგებმა შემოიტანეს კონტექსტუალური ხედვა, რომლის მიხედვითაც ინდივიდი კონტექსტუალურად დაკავშირებულია ოჯახთან, ოჯახი კი, თავის მხრივ, კულტურასთან. მათი ხედვა დაფუძნებულია კონტექსტუალიზმის კონცეფციაზე, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ხაზს უსვამს იმას, რომ ინდივიდისთვის აუცილებელია ის მიღებული იქნას და გაგებული ოჯახის მიერ, ხოლო ოჯახი კი მიღებული იქნას იმ კულტურაში, სადაც ის ცხოვრობს.

ფსიქოლოგები ცდილობენ განსაზღვრონ როგორ მოქმედებს კლიენტის არსებულ პრობლემაზე სოციალიზაცია, დისკრიმინაცია და ჩაგვრა. ასევე დიდი ყურადღება ექცევა სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების მნიშვნელობას კლიენტის ისტორიაში (მაგ. თაობათა ისტორია, მიგრაციის ისტორია, მოქალაქის სტატუსი, სახელმწიფო ენის ცოდნა, ოჯახიდან დახმარება, საზოგადოებრივი რესურსების დონე და აკულტურიზაციის პროცესში მიღებული სტრესის სიძლიერე).

კვლევები ამტკიცებენ, რომ დეპრესიის მიზეზებია ბავშვებში და მოზარდებში მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტები და დიზფუნქციონალური ოჯახური გარემო.

ადამიანები, მათი ოჯახები და სოციალური სისტემები საკმაოდ კომპლექსურნი და დინამიურნი არიან, ამიტომაც ოჯახების, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და გავრცელებული დაავადებების შესწავლა მოითხოვს მათ ერთობლივ შესწავლას. ერთობლივი სისტემა გულისხმობს, რომ ბიოლოგიური, ჰუმანური და სოციალური ფენომენები არიან მრავალდონიანნი, დინამიურნი და ხასიათდებიან ინტერაქციული და ორმხრივი ურთიერთგავლენით.

სოციალური კონტექსტი, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე ოჯახს, სწრაფად მოქმედებს ინდივიდზე და თავადაც სწრაფად განიცდის ინდივიდის გავლენას. XXI საუკუნის გლობალურ კონტექსტში, ოჯახი შესაძლოა ევრისტიულად და პრაქტიკულად განისაზღვროს, როგორც მინიმუმ ორი ახლო ადამიანის თანამგზავრი, რომლებიც ცხოვრობენ ერთი მეორეს გვერდით, გააჩნიათ ემოციური კავშირები (პოზიტიური და/ან ნეგატიური), ისტორია და მომავლის მოლოდინი. მეცნიენერები

ამგვარად მივიდნენ დასკვნამდე, რომ ოჯახისათვის დამახასიათებელ თვისებებს, მის ფუნქციონირებას და მასში ურთიერთობებს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ავადმყოფობაზე, ავადმყოფობას კი თავის მხრივ აქვს ძლიერი გავლენა ოჯახის ფუნქციონირებაზე და მის კეთილდღეობაზე.

ოჯახის სიახლოვეში, ერთიანობაში, ვუდი (Wood, 1993) გულისხმობს შემდეგ მოვლენებს: როგორ უზიარებენ ერთმანეთს ოჯახის წევრები სივრცეს, პირად ინფორმაციას და ემოციებს. თაობათა იერარქია გამოიხატება იმაში, რომ უფროსი თაობა ვალდებულია მოუაროს, უზრუნველყოს ახალგაზრდა თაობები, როგორც საკვებით, ასევე მისთვის საჭირო სხვა ნივთებითა და საჭიროებებით. მშობლის ურთიერთობების ხარისხი გულისხმობს კავშირს ოჯახის წევრებს შორის, ურთიერთდახმარებას, ურთიერთგაგებას, პასუხისმგებლობას და უფროსებისადმი პატივისცემას. ტრიანგულაცია გამოხატავს ბავშვის აქტიურ ჩართვას ოჯახის ფუნქციონირებაში. ინტერპერსონალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობას, როგორც საქციელით, ასევე ემოციურად და ფიზიოლოგიურად. (William M. Pinsof & Jay L. Lebow, 2005: 503)

ვუდი (Wood) კვლევების საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ ნეგატიური გარემო ოჯახში იწვევს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა მაგალითად ეპილეფსია და ასთმა (ეს ისეთი დაავადებებია, რომლის გამწვავების მიზეზია სტრესი და ნეგატიური ემოციები). ის, ასევე, ამტკიცებდა, რომ მშობლებს შორის ხშირი კონფლიქტები იწვევენ ბავშვებში ქრონიკულ ავადმყოფობას.

ასევე აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობა განიცდის ჯანმრთელობაზე ზრუნვის სიმცირეს, მათ არ აქვთ საშუალება მიმართონ საუკეთესო ექიმებს და საავადმყოფოებს. ისინი მოსახლეობის ღარიბ ფენას წარმოადგენენ და მათი სიღარიბე ხშირად ხდება დეპრესიის საფუძველი და იწვევს მათ ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ აშლილობას. აგრეთვე ხშირად გაუნათლებლობა არის ამის მიზეზიც.

- **განქორწინების და მეორედ ქორწინების ფსიქოლოგიური დახასიათება**

განქორწინება ოჯახის თითოეული წევრისათვის წარმოადგენს უზარმაზარ რეორგანიზაციას. ოჯახის შესახებ ლიტერატურა მოიცავს ბევრ მნიშვნელოვან სწავლებას იმის შესახებ, თუ როგორი ნეგატიური გავლენა აქვს განქორწინებას ოჯახის თითოეულ წევრზე. მაშინ, როცა ინფორმაცია მეორედ ქორწინების შესახებ ნაკლებად მყარია და მისი ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ, როგორ შეეგუებიან როგორც დიდები, ასევე პატარები ერთმანეთს.

გაქნორწინების შემდგომ, ნუკლეარული ოჯახის თითოეული წევრი ზარალდება. დედები უფრო ხშირად განიცდიან დეპრესიას და სტრესს, დანგრეულ სოციალურ კეთილდღეობას და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. იცვლება ბავშვებისა და მოზარდების საქციელი, ხშირად ახასიათებთ დეპრესია, უხეშობა, უხასიათობა, აგრესია, მკვეთრად ვარდება მათი აკადემიური მოსწრების ხარისხი და თანატოლებთან ურთიერთობის სურვილი. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც გაყრას არ მოზდევს ამდენი პრობლემა, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ოჯახის ყველა წევრი განიცდის ემოციურ სტრესს. (William M. Pinsof & Jay L. Lebow, 2005: 349)

ოჯახის ფსიქოლოგების მთავარ მიზანს წარმოადგენს ყველა იმ მექანიზმის შესწავლა და დამუშავება, რომელიც შეუმსუბუქებს ოჯახის წევრებს განქორწინების შემდეგ ახალ სიტუაციასთან შეგუებას.

1993 წელს ვოლჩიკმა და მისმა კოლეგებმა (Wolchik, 1993) მათ მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოყვეს ხუთი ურთიერთპერსონალური და განქორწინებაზე გარე მოქმედი ფაქტორები. ისინი მოიცავენ: ბავშვის დამოკიდებულებას მზრუნველი მშობლისადმი; მშობლის საქციელს; ბავშვისა და არამზრუნველი მშობლის (უფრო ხშირად ეს არის მამა) შორის ურთიერთობის ხარისხს; განქორწინებასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენების გავლენას და უცხო ადამიანებისაგან სოციალური მხარდაჭერის მიღებას. სოციალური ურთიერთკავშირის შესწავლის მოდელი ამტკიცებს, რომ ოჯახის სტრუქტურის ტრანზიციები და მისი თანმხვედრი თვისებები (სტრესი, დეპრესია, შემოსავლის მკვეთრი შემცირება) გავლენას ახდენენ ბავშვებზე, მას მოყვება მშობლის მზრუნველობის შემცირება და ნაკლები ყურადღება ბავშვებისადმი. დედის დეპრესია,

გაღიზიანება და სხვა პრობლემები შესაძლოა წარმოიშვას სტრესის შედეგად, რომელიც, თავის მხრივ, მოქმედებს მის დამოკიდებულებაზე და მცირდება მისი მზრუნველობითი ხარისხი.

მეორედ შექმნილი ოჯახები განიცდიან მეტ სტრესს ურთიერთობების დალაგებისას, ვიდრე პირველადი ქორწინებები (Bray, Berger, Silverblatt & Hollier, 1987; Lawton & Sanders, 1994). ამგვარი სტრესის უმრავლესობა გამოწვეულია ახალ წესებთან შეგუებით, ბავშვის აღზრდით და მასზე ყურადღების მიქცევით.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, მამები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბავშვების სოციალურ-ემოციურ განვითარებაში. ფსიქოლოგები გამოყოფენ ორ მნიშვნელოვან გარემოს განქორწინების შემდეგ მამის საქციელის ჩამოყალიბებაში: კულტურული ზეგავლენა და საზოგადოების გარემო ფაქტორები. როგორც კვლევებმა აჩვენეს კულტურა და ეთნიკურობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მშობლების დაშორების შემდეგ მამის საქციელს. სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულად არის ეს გამოხატული.

განქორწინების და ხელახლა ქორწინების შედეგად გამოწვეულ დაძაბულობას შესაძლოა მოყვეს მშობლების აშლილობა და ფსიქოლოგიური პრობლემები, როგორიცაა დეპრესია, შიში, გაღიზიანება და ჯანმრთელობის სხვა პრობლემები.

როგორც ჩატარებული კვლევები გვიჩვენებენ, მოზრდილი ბავშვები მშობლების მეორე ქორწინებისას, ოთხიდან ორი განიცდის მეტ სტრესს, ვიდრე ბიოლოგიურ მშობლებთან მაცხოვრებელი იმავე ასაკის მოზარდები, ისინი ვერ ეგუებიან ახალ გარემოს და პირობებს. მათ აქვთ მეტი ემოციური, ქცევითი და ჯანმრთელობითი პრობლემები, დაბალი აკადემიური მოსწრება, დაბალი სოციალური მონაცემები და სოციალური პასუხისმგებლობა, ვიდრე პირველად ქორწინებაში მცხოვრებ ბავშვებს.

ხელმეორედ შექმნილი ოჯახების შესწავლა გვიჩვენებს, რომ გოგონები უფრო რთულად ეგუებიან მშობლის მეორე ქორწინებას და ახალ ოჯახს, ვიდრე ბიჭები. (Hetherington, 1987) მაგრამ არსებობს შემთხვევები, სადაც ბიჭებს ბევრად უფრო მეტი პრობლემა ექმნებათ. (Coley, 1998; Dunn, Deater-Deckard, Pickering, O'Connor & Golding, 1998).

ლიმ ბურკჰამმა, ზიმილესმა და ლადესკიმ (Lee, Burkham, Zimiles and Ladewski, 1994)

აღმოაჩინეს, რომ საკმაოდ სერიოზული პრობლემები ჩნდება ოჯახში, როდესაც გოგონები ცხოვრობენ მამინაცვლებთან და დედინაცვლებთან ერთად.

მკაცრი, კარგად ფუნქციონირებადი საქორწინო ურთიერთობები ახალ ოჯახებში განსხვავდება პირველად შექმნილ ოჯახებთან შედარებით. წყვილის ურთიერთობები არის ნაკლებად რომანტიული და მეტად პრაგმატული, ისინი ინაწილებენ საოჯახო საქმეს და ბავშვის აღზრდის პასუხისმგებლობას ბევრად უფრო მეტად, ვიდრე ეს იყო პირველი ქორწინებისას.

რატომღაც არსებობს მოსაზრება, რომ მეორე ქორწინებას ხშირად ხელს უშლიან მოყოლილი ბავშვები. როგორც წესი, ახლად დაქორწინებული წყვილი მეტ დროს ატარებს ერთად, ამ შემთხვევაში კი ბავშვებს სჭირდებათ მეტი ყურადღება და ზრუნვა.

მეორე ქორწინება უფრო პრობლემატურია, როდესაც ორივეს ყავს ბავშვები წინა ქორწინებიდან, რაც ხდება მეტი უთანხმოების მიზეზი. პირველ ქორწინებაში ცოლ-ქმრის უთანხმოების და კონფლიქტის მომსწრე ბავშვი ძალიან გაღიზიანებულია და ხშირად ზუსტად ის ქმნის პრობლემას მეორე ქორწინებისას.

ოჯახის შიდა კონფლიქტი მოიცავს წყვილის კონფლიქტს, მშობლებს შორის, მშობელსა და ბავშვს შორის, დედმამიშვილს შორის, მშობლისა და ბებია-ბაბუას შორის და ოჯახის დისჰარმონიის სხვა გავრცელებულ ფორმებს.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, მეორე ქორწინებას უფრო ხშირად ადგილი აქვს ქალაქებში, ანუ მას ურბანული ხასიათი აქვს. სოფლად მაცხოვრებელი ქალები, როგორც წესი, თავს არიდებენ განქორწინებას და ხშირად ბევრ დათმობებზე მიდიან.

- **ოჯახი და დეპრესია**

რათა გავაანალიზოთ დეპრესიის ზეგავლენა წყვილზე და ოჯახზე, აგრეთვე მისი წარმოშობა ამ სისტემების ფარგლებში, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ დეპრესიის ბუნება, როგორც ემოციური პრობლემა. ინდივიდთა უმრავლესობისათვის, დეპრესიას ქრონიკული და პერიოდული სახე აქვს. უმრავლესობა მრავალჯერ განიცდის მას; ზოგიერთი იმდენად ხშირად, რომ ისინი ქრონიკულად დეპრესიულნი არიან. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, აღვნიშნოთ რომ ინდივიდთა და ოჯახთა

უმრავლესობისათვის დეპრესია არ არის ხანმოკლე და დავიწყებადი, ეს არ არის ერთჯერადი დაავადება, რომლისგანაც ადვილია განკურნება; ის უფრო ხშირად არის ქრონიკული, პერიოდულად განმეორებადი დაავადება.

დეპრესიის მთავარი სიმპტომია ნეგატიური განწყობა, როგორც საკუთარი თავის მიმართ, ასევე გარშემო მყოფთა მიმართ. პიროვნულად, დეპრესიული ხალხი გამოირჩევა, როგორც მოძულეობით, ასევე მათი ღირსებისა და სიყვარულის უნარის ძიებით. დეპრესიულ ადამიანებთან ურთიერთობით, ჩვენც ნეგატიურად ვეწყობით ჩვენი თავის მიმართ. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ ადამიანები თავს არიდებენ დეპრესიულ ადამიანებთან ახლო და ხშირ ურთიერთობებს. (William M. Pinsof & Jay L. Lebow, 2005: 375)

როდესაც შეადარეს დეპრესიული და არადეპრესიული დედების შვილები, აღმოჩნდა, რომ დეპრესიული დედების ბავშვები ბევრად უფრო რთულნი იყვნენ, უჭირდათ თავიანთ თანატოლებთან ურთიერთობა, ჰქონდათ ბევრი უარყოფითი ემოცია, დაბალი თვითშეფასება. განსაკუთრებით მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ გოგონები. (William M. Pinsof & Jay L. Lebow, 2005: 375)

ორსული ქალები ხშირად არიან დეპრესიის რისკის ქვეშ. ამ შემთხვევაში მომავალი შვილებიც ადვილად მგრძნობიარენი არიან სტრესის მიმართ.

ბავშვების დეპრესიული მდგომარეობა წარმოადგენს საზოგადოერივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას. დეპრესია ფართოდ არის, აგრეთვე, გავრცელებული ახალგაზრდებს შორისაც. ხშირად ოჯახის დინამიკა და მისი გარემო ხდება ბავშვების დეპრესიის გამომწვევი მიზეზი.

მრავალი სოციალური ფაქტორი იწვევს ახალგაზრდებში დეპრესიის საშიშროებას, მათ შორისაა ოჯახური მდგომარეობა, სტრესული ცხოვრებისეული მოვლენები, თანატოლებთან ურთიერთობა და საზოგადოებრივი გარემოცვა.

როგორც კვლევები გვიჩვენებენ, მცირეანაზღაურებად ოჯახებში აღზრდილი ბავშვები, ამავე დროს, გამორჩეულნი მაღალი რელიგიური რწმენით, სოციალური დახმარებით, ძლიერი გაფართოებული ოჯახებით და დედებით, რომლებიც იყენებენ ეფექტურ სტრატეგიას, ნაკლებად ექცევიან დეპრესიის გავლენის ქვეშ. (Samaan, 2000)

- **ოჯახი, მიგრაცია და დეპრესია**

მიგრაციას ხშირად ასახელებენ, როგორც დეპრესიის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს. მე თავად დავრწმუნდი ამაში, როდესაც გამოკითხვა ჩავატარე ისეთ ოჯახებში, სადაც დედა ან მამა შრომით მიგრაციაში იმყოფებოდა. ე.წ "სკაიპის ბავშვებს" მხოლოდ სკაიპის საშუალებით, ტელეფონით და სხვა სოციალური ქსელების მეშვეობით აქვთ ურთიერთობა თავიანთ მშობლებთან ან მშობელთან წლების მანძილზე. ერთ-ერთმა გოგონამ - რესპონდენტმა მითხრა:

მე არ ვამტყუნებ დედას, რომ პატარები დაგვტოვა და თავად იძულებით შრომით მიგრაციაში წავიდა, მე მხოლოდ მადლობელი ვარ მისი, რადგან მან ბევრი რამ თავის თავზე აიღო, იხსნა ჩვენი ოჯახი შიმშილისაგან, მე, უბრალოდ, მინდა მას შევეხო და დავრწმუნდე, რომ მე მყავს დედა. (ია, 19 წლის)

ამ ინტერვიუდან კარგად ჩანს, რომ ეს ახალგაზრდა დეპრესიას განიცდის. ვეისი ამტკიცებდა, რომ ბავშვების დეპრესია დამოკიდებულია ოჯახის ფუნქციონირებაზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე, ახალ განსხვავებულ კულტურასთან ადაპტირებაზე, სიღარიბეზე. (Weiss, 1999)

განსაკუთრებით გავრცელებულია დეპრესია მოზარდებში. ის ხშირად მეორდება, იწვევს ფსიქო-სოციალურ გაუარესებას, მას მოსდევს მრავალი ნეგატიური შედეგი, რაც გამოიხატება ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკების მოხმარებაში, ადრეულ ასაკში დაქორწინებაში, სკოლის და სწავლის მიტოვებაში, ხშირად ისინი თვითმკვლელობასაც კი მიმართავენ.

იშვიათია მოიძებნოს წყვილი, სადაც ერთი პარტნიორი მაინც არ არის დეპრესიული. ფსიქიატრები, რომლებიც მკურნალობენ დეპრესიულ პაციენტებს, ამტკიცებენ, რომ მათი უმრავლესობა დაქორწინებულია. ამის შემდეგ ისმის მრავალი კითხვა: ქორწინებითი პრობლემები წინ უძღვის დეპრესიის სიმპტომებს ან მის ეპიზოდურ გამოხატულებას? ოჯახის ფსიქოთერაპია იწვევს გაუმჯობესებას წყვილის აშლილობაში, დეპრესიაში თუ ორივე შემთხვევაში? შესაძლოა თუ არა განიკურნოს დეპრესიული მდგომარეობა, მაშინ როცა დეპრესიული გარემო კვლავ გრძელდება, თუ მხოლოდ მისი შეცვლის შედეგად ხდება მისი განკურნება? რა სპეციფიური კულტურა, ასაკი და გენდერული თვისებები იწვევს კავშირს სულიერ განცდასა,

უბედურებასა და დეპრესიას შორის? (William M. Pinsof & Jay L. Lebow, 2005: 451)

როგორც ხშირად ირკვევა, ოჯახური პრობლემები არის დეპრესიის გამომწვევი მიზეზები; ხშირად ეს პრობლემები მეტად მნიშვნელოვანია და მათ მოსდევს მიუღებელი შედეგები იმ პიროვნებებისათვის, რომლებიც იმყოფებიან დეპრესიულ მდგომარეობაში. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს ოჯახში ხშირ უთანხმოებას და კონფლიქტს.

აღსანიშნავია, რომ ყველა დეპრესიულ ადამიანებს არა აქვს მსგავსი სიმპტომები.

ამგვარად, ოჯახის განვითარების სოციალურმა თავისებურებებმა გვიჩვენა, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს ოჯახმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები: შეიცვალა მისი სიდიდე, სტრუქტურა და ფუნქციები. დღეს ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ოჯახი ერთ-ერთი უმთავრესი ინსტიტუტია, რომელიც ინარჩუნებს ეროვნულ თვითმყობადობას და თაობებს გადასცემს კულტურულ იდენტობას და ტრადიციებს.

ოჯახი წარმოადგენს გენდერული ურთიერთობების ფორმირების მთავარ ცენტრალურ ადგილს, სადაც ყალიბდენა ქალურობისა და მამაკაცურობის თვისებათა გადაცემა, გენდერული სტერეოტიპებისა და ნორმების ფორმირება.

ქართული ოჯახი ტრადიციული და პატრიარქალურია, სქესთა შორის სტატუს-როლების განაწილება მასში ტრადიციული წარმოდგენებით განისაზღვრება. ტრადიციულად მიღებული სოციალურ-კულტურული ნორმების თანახმად, დღესაც მიღებულია, რომ ოჯახში მამაკაცი უნდა დომინირებდეს, იგი უნდა იყოს ოჯახის ხელმძღვანელი და სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მექანიზმის განმკარგველი. ქალის ფუნქცია შემოისაზღვრება შვილების აღზრდით, მათი ემოციური მხარდაჭერითა და საოჯახო მეურნეობის გაძღოლით.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა სიტუაციამ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოითხოვა ოჯახთა დიდი უმრავლესობისთვის თვითგადარჩენის მნიშვნელოვანი სტრატეგიის ფორმირება. ქალმა ოჯახის გარეთ მატერიალურად უზრუნველყოფის ფუნქციაც შეითავსა. მრავალ შემთხვევაში განათლების და პროფესიონალიზმის სათანადო დონის მიუხედავად, მას მოუხდა არაპრესტიჟულ სამსახურში გასვლა,

რადგან შრომის ბაზარზე პრესტიჟული სამსახურები ქალისთვის დახურული აღმოჩნდა. გენდერული სეგრეგაცია შეინიშნება მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაშიც.

ოჯახში გადაწყვეტილების მიღების მექანიზმში შეინიშნება გენდერული ასიმეტრია: მამაკაცის დომინანტური და ქალის დაქვემდებარებული როლით. გაფართოებულ ოჯახებში ძალაუფლების მექანიზმის ფუნქციონირებაში უფროსების ავტორიტარიზმი აღინიშნება.

მართალია, საქართველოში ქორწინების ძირითად მოტივს სიყვარული წარმოადგენს, მაგრამ ქორწინების ინიციატორი მამაკაცია. მონოეთნიკურ ქორწინებათა სახეს ბიეთნიკურთან შედარებით მეტი პრივილეგია ეძლევა, რადგან რელიგიური და ეთნიკური იდენტობა პრიორიტეტულ როლს თამაშობს. ქორწინებასთან დაკავშირებული განწყობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით არასასურველ ფაქტორად გვევლინება უმუშევრობა. ქორწინებამდე სექსუალური ცხოვრება ან განქორწინება ქალის სოციალურ სტატუსზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ოჯახს ძირითადად შენარჩუნებული აქვთ თავიანთი სოციალურ-კულტურული სისტემის თავისებურებანი. კულტურული ურთიერთშეღწევა გარკვეულად შეზღუდულია. ერთგვარი სოციალურ-კულტურული კარჩაკეტილობა ეროვნული თვითმყობადობის შენარჩუნების ფორმას წარმოადგენს და ერთგვარად თავდაცვის ფუნქციასაც ასრულებს.

ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ოჯახი ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებად გვევლინება. მასთან ერთად ჯანმრთელობა, სამსახური ღირებულებათა იერარქიაში წამყვან ადგილს იკავებს. თუმცა, ამ მხრივ თაობების აზრი გარკვეულად განსხვავებულია. უფროსი თაობა ოჯახის შეჭიდულობას, შვილის სწორად აღზრდას ანიჭებს უპირატესობას, ახალგაზრდა თაობა კი დამოუკიდებლობასა და თავისუფალ დროს.

ოჯახის ფსიქოლოგიური ასპექტებიდან ძალადობის პრობლემა გამოიკვეთა. მისი მიზეზებიდან ძირითადად მოსახლეობის დეპრესიული მდგომარეობა, მიგრაცია,

ჯანმრთელობის საკითხი უნდა დავასახელოთ. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ძირითადად ქალი და ბავშვები არიან.

საქართველოში ქალი ცდილობს დამალოს ძალადობის ფაქტი და გაურბის მსხვერპლად საკუთარი თავის აღიარებას, რაც ტრადიციული შეზღუდვებით უნდა აიხსნას. ბევრი მათგანი კი ბოლომდე ვერ აცნობიერებს პრობლემას და თვლის, რომ ეს არის ოჯახის პრობლემა და სახლში უნდა წყდებოდეს.

თავი IV: ცვლილებები საქართველოს ეკონომიკურ სისტემასა და ოჯახში

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას თან ახლდა სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, რამაც გამოიწვია ქვეყნის განვითარების არაპროგნოზირებადი პროცესი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოლიტიკურმა უწესრიგობამ, ეთნიკურმა კონფლიქტებმა, სამოქალაქო ომმა და ქვეყნის უპასუხისმგებლო მმართველობამ გამოიწვია ერთგვარი ქაოსი და ანარქია.

1990-იანი წლებიდან ნეოლიბერალური პოლიტიკის გატარების შედეგად განვითარდა და გაფართოვდა საბაზრო ურთიერთობები, რომელნიც მიმართულნი იყვნენ მამაკაცების პოზიციების გაძლიერებისაკენ. აღორძინდა პატრიარქალური, მასკულინური ძალაუფლება, რის შედეგადაც პატრიარქალური ძალადობა არათუ შემცირდა, არამედ, პირიქით, გაიზარდა. [107] როგორც მერი ჰოუქსვორთი (Mary Hawkesworth) ამტკიცებს: "პოლიტიკური სისტემის ავტორიტარულიდან დემოკრატიულზე გადასვლა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას. ხშირ შემთხვევაში გარდამავალ პერიოდს გაცილებით მეტი უთანასწორობის მოტანა და, როგორც მამაკაცების, ასევე ქალების მდგომარეობის გაუარესება შეუძლია". (Hawkesworth, 2002).

სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ეკონომიკის აღდგენა და სოციალური დაცვის სისტემების დანერგვა ძალიან დაბალი დონიდან დაიწყო და, სწრაფი პროგრესის მიუხედავად, ვერ მიაღწია კრიზისამდე არსებულ დონეს. ამ ფაქტორით აიხსნება საქართველოს მთავრობის საკმაოდ ხისტი და პრიორიტეტებზე ორიენტირებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, რომელიც ძირითადად მიმართულია ყველაზე აქტუალურ – სიღარიბის დაძლევის პრობლემებზე.[108]

ისმის კითხვა: რა იწვევს სიღარიბეს? - დაბალი შემოსავლები ერთ სულზე ვერ უზრუნველყოფენ საკმარის დანაზოგებს, მცირე დანაზოგები ვერ უზრუნველყოფენ საკმარის ინვესტიციებს, მცირე ინვესტიციები უზრუნველყოფენ ზრდის დაბალ ტემპებს, ზრდის დაბალი ტემპები წარმოშობენ დაბალ შემოსავლებს და, შესაბამისად,

---

[107] Dawn, 2000 – DiscussingWomen's Empowerment, Theory and Practice, p. 70

[108] სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, ავტორები: ა. დანელია, ი. კაჭკაჭიშვილი, ვ. მეგრელიშვილი, მ. ნადარეიშვილი, ა. ქათამაძე, თბილისი, 2011, გვ. 3

სიღარიბეს.[109] სამწუხაროდ, იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც ამ ჩაკეტილ წრეში ტრიალებენ, საკმაოდ დიდია, საქართველო ერთ-ერთი მათგანია.

დღესდღეობით, საქართველოს მთავრობა თავისი პოლიტიკით ცდილობს ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. ის ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს სიღარიბეს; ფულად რესურსებს გადაუნაწილებს იმ ჯგუფებს, რომელთაც არ შეუძლიათ ისარგებლონ მზარდი ეკონომიკური შესაძლებლობებით.

დღესდღეობით, ეს სტრატეგია არ არის დანერგილი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ყველა სფეროში, თუმცა, ამ მიმართულებით ბევრი რამ არის გაკეთებული.

- **მაკროეკონომიკური მიმოხილვა**

ეკონომიკური სისტემის ცვლილება საქართველოში ისევე, როგორც სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1991 წელს დაიწყო. მაგრამ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობისაგან განსხვავებით, საქართველოში გარდამავალი პერიოდი საკმაოდ გართულდა ტერიტორიული კონფლიქტებისა და ქვეყანაში 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები არამყარია, ყველა მტკიცებულება მიუთითებს იმაზე, რომ 1989 წლის შემდეგ საქართველოში კატასტროფულად შემცირდა ინდუსტრიული წარმოება, რეალური შემოსავლები, მოხმარება, კაპიტალდაბანდებები და გაუარესდა ფაქტიურად ყველა ეკონომიკური ინდიკატორი. 1990-1994 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 71 პროცენტით შემცირდა.[110]

1994 წლიდან საქართველოში დაიწყო ნელი ეკონომიკური აღმავლობის ეტაპი. მართალია, ქვეყანამ ვერ მიაღწია ეკონომიკის ზრდის მაღალ და სტაბილურ მაჩვენებელს, რადგან ეკონომიკური ზრდა ხშირად დამოკიდებული იყო ერთეულ

---

[109] ნ. თუშიშვილი - საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი ფრანგიშვილი-ობგაიძეს მოდელის ბაზაზე, თბილისი, 2011, გვ. 50

[110] სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, ავტორები: ა. დანელია, ი. კაჭკაჭიშვილი, ვ. მეგრელიშვილი, მ. ნადარეიშვილი, ა. ქათამაძე, თბილისი, 2011, გვ. 3

მსხვილ ინვესტორებზე. ამის შედეგად ბევრი ადამიანი გადავიდა დაბალ პროდუქტიულ სასოფლო-სამეურნეო და არაფორმალურ სექტორში. სახელისუფლო ინსტიტუტებში კორუფციის დონემ პიკს მიაღწია. 2004 წელს მთავრობის მიერ გატარებულმა ლიბერალურმა რეფორმებმა ხელი შეუწყვეს ეკონომიკურ აღმავლობას.

2005-2006 წლებში საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზარალდა რუსეთის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკით. რუსეთმა მკვეთრად გაზარდა საქართველოსთვის მოწოდებული გაზის საფასური. 2006 წელს დააწესა ემბარგო ქართულ ღვინოზე, მინარელურ წყლებსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. ამ პროდუქციის ექსპორტი ძირითადად რუსეთის ბაზარზე ხდებოდა. რუსეთმა ასევე შეაჩერა საქართველოსთან საჰაერო, საგზაო, საზღვაო და საფოსტო კავშირები და შეზღუდა საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის ვიზების გაცემა. ასეთი ნეგატიური ზეგავლენის მიუხედავად, 2006 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 9 პროცენტით გაიზარდა.[111]

2008 წლის აგვისტოს ომმა და საერთაშორისო ფინანსურმა კრიზისმა გავლენა მოახდინა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპზე. საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, საქართველომ უმტკივნეულოდ გადალახა გლობალური ეკონომიკური კრიზისის კრიტიკული ფაზა. 2011 წელს მცირდება საერთაშორისო დახმარების მოცულობა და საქართველოს მთავრობის წინაშე დგება მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა. საჭირო გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის და საგადასახადო წნეხის შემცირება, ასევე აუცილებელი გახდა მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარება. მთავრობას მოუხდა მეტი ძალისხმევის გაწევა ადგილობრივი მეწარმეებისათვის საქმიანობის გასამარტივებლად.

მეორე მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ექსპორტის სექტორის განვითარება, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამუშავებისა და მრეწველობის მიმართულებით.

2004 წლის შემდგომი რეფორმები მიზნად ისახავდა სიღარიბის შემცირებას

---

[111] სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, ავტორები: ა. დანელია, ი. კაჭკაჭიშვილი, ვ. მეგრელიშვილი, მ. ნადარეიშვილი, ა. ქათამაძე, თბილისი, 2011, გვ. 4

ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების საშუალებით. სწრაფი ეკონომიკური განვითარების წინაპირობად საქართველოს მთავრობა სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევისაგან მაქსიმალურად თავისუფალ ეკონომიკურ გარემოს მიიჩნევდა. ასეთი მიდგომის პარალელურად, კორუფციის რადიკალურმა შემცირებამ, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებამ და გადასახადების განაკვეთების შემცირებამ შესაძლებლობა მისცა მთავრობას თითქმის 6-ჯერ გაეზარდა სახელმწიფო ბიუჯეტი.[112]

როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, ისეთი ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობის მეხუთედი ემიგრაციაშია და დაახლოებით 10 % იძულებით გადაადგილებული პირია, სტაბილური სოციალური მდგომარეობის და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, სასიცოცხლოდ აუცილებელია ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპის ხანგრძლივად შენარჩუნება. თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების პირველმა ეტაპმა ქვეყანას სწრაფი ცვლილებების გატარების შესაძლებლობა მისცა.[113]

მიუხედავად აღნიშნული წინგადადგმული ნაბიჯებისა, ქვეყანაში მრავალი ეკონომიკური პრობლემა გადაუჭრელი დარჩა: სოფლის მეურნეობაში ჩამორჩენა, რეგიონების არათანაბარი განვითარების, დასაქმების, უმუშევრობის, ქონების პოლარიზაციის, ოჯახების შემოსავლებში დისპროპორციის ზრდა ქვეყნის მთავარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის - სიღარიბის ფაქტორებად გვევლინება.

- **სიღარიბე**

საქართველოს მოსახლეობაში სიღარიბის დინამიკა ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე იცვლებოდა. სიღარიბის გაზომვა და ცვლილებების მონიტორინგი საკმაოდ რთულია, ამ პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური და მეთოდოლოგიური საკითხების გამო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სხვა ორგანიზაციები, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი (World Bank), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund), გაეროს ბავშვთა

[112] სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, ავტორები: ა. დანელია, ი. კაჭკაჭიშვილი, ვ. მეგრელიშვილი, მ. ნადარეიშვილი, ა. ქათამაძე, თბილისი, 2011, გვ. 4-5
[113] იქვე, გვ.5

ფონდი (UNICEF) და ა.შ. სიღარიბის გამოთვლის სხვადასხვა მეთოდს გამოიყენებენ.

სიღარიბის გასაზომად გამოყენებული მეთოდოლოგიების უმრავლესობა უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სიღარიბის 3-4 პროცენტით კლებაზე მიუთითებს. 2009 წელს სხვადასხვა მეთოდოლოგიის მიხედვით გაზომილი სიღარიბე (მატერიალური დეპრივაციის ჩათვლით) 13-23 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. [114] ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან მიმართებაში დათვლილი სიღარიბის ინდიკატორები სხვა მეთოდოლოგიებით დათვლილი სიღარიბის მონაცემებისაგან რადიკალურად განსხვავდება (ეს მეთოდოლოგიებია: სიღარიბის დონე მედიანური მოხმარების 60 და 40 პროცენტის მიმართ, აბსოლუტური სიღარიბის ინდიკატორი დღეში 2.5 აშშ დოლართან მიმართებაში, სიღარიბის დონე გამოთვლილი ცხოვრების სტანდარტის გაზომვის კვლევიდან (LSMS) და ა.შ.). 2005 წელს სიღარიბის დონე ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან მიმართებაში 41.4 პროცენტს შეადგენდა. 2007 წელს სიღარიბის დონემ 5 პროცენტით მოიმატა, მომდევნო პერიოდში კი კვლავ დაიკლო და 2009 წელს 41.2 პროცენტი გახდა.[115]

დღესაც სიღარიბე საქართველოსთვის მთავარ პრობლემას წარმოადგენს და თითქმის 20 წელია ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ღარიბი ქვეყნების რიგებში დგას. მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვრის დაბლაა. სიღარიბის დონე სოფლად გაცილებით მაღალია, ვიდრე ქალაქში.

ქვემო ქართლი (52.5%), აჭარა (52.5%), მცხეთა-მთიანეთი (52.2%) და კახეთი (50.2%) არსებული მონაცემებით ყველაზე ღარიბი რეგიონებია, [116] სიღარიბის დონის 50 პროცენტზე მაღალი მაჩვენებლით. ამ რეგიონების მოსახლეობის ნახევარზე მეტი ოფიციალურ საარსებო მინიმუმსაც ვერ მოიხმარს. საქართველოს ღარიბი მოსახლეობის 40 % აღნიშნულ რეგიონებში ცხოვრობს. მკაცრი ბუნებრივი კლიმატი, ირიგაციის განუვითარებლობა და ფიზიკური იზოლაცია სავარაუდოდ განაპირობებს ცხოვრების მძიმე პირობებს აღნიშნულ რეგიონებში. შედარებით დაბალი სიღარიბის დონის მქონე რეგიონებია თბილისი (30.2%), იმერეთი (31.4%) და სამცხე–ჯავახეთი

---

[114] სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, ავტორები: ა. დანელია, ი. კაჭკაჭიშვილი, ვ. მეგრელიშვილი, მ. ნადარეიშვილი, ა. ქათამაძე, თბილისი, 2011, გვ. 11

[115] იქვე, გვ.11

[116] საქართველოს რეგიონული განვითარება, დიაგნოსტიკური მოხსენება, თბილისი, 2010, გვ. 55

(32.6%).[117] ამასთან, ღარიბი მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი (20%) ცხოვრობს საქართველოს დედაქალაქში. მთავარ ბაზრებთან და სატრანსპორტო კვანძებთან სიახლოვე სავარაუდოდ განაპირობებს მოცემულ რეგიონებში შედარებით დაბალ სიღარიბის მაჩვენებლებს.

ნათლად ჩანს, რომ სიღარიბის დონე არათანაბრად არის განაწილებული ქვეყანაში რეგიონების მიხედვით. სიღარიბის ყველა ზღვრისა და ინდექსის გათვალისწინებით სიღარიბის პრობლემა გაცილებით მწვავეა სოფლად, სადაც ცხოვრობს ღარიბი მოსახლეობის 55%-ზე მეტი. აქ სიღარიბეს მზარდი ტენდენცია აქვს ქალაქისგან განსხვავებით.

ოჯახის რიცხოვნობა და ოჯახის უფროსის განათლების დონე სიღარიბის რისკის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია. სიღარიბეში მოხვედრის რისკი იზრდება ოჯახის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად. უმაღლესი განათლების მქონე ოჯახის უფროსის ყოლა მნიშვნელოვნად ამცირებს სიღარიბის რისკს. ბავშვები, მთლიან მოსახლეობასთან შედარებით, სიღარიბის უფრო მაღალი რისკის წინაშე არიან.

საქართველო სხვა უღარიბესი ქვეყნებისგან იმით გამოირჩევა, რომ მდიდარია კვალიფიციური შრომითი რესურსებით და ადამიანური კაპიტალით. დასაქმებული მოსახლეობიდან ყველაზე დიდი რაოდენობა საშუალო ზოგადი განათლების მქონეა. 2009 წლის მონაცემებით, დასაქმებულ ქალთა 37.3 %, ხოლო კაცთა - 42.7 % საშუალო ზოგადი განათლება აქვს.[118] უმუშევარი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ყველაზე მაღალი წილი უჭირავს 25-34 წლის მოსახლეობას. 2009 წლის მონაცემებით, უმუშევარ ქალთაგან და კაცთაგან შესაბამისად 28.4 % და 32.2 % ზემოხსენებულ ასაკობრივ ჯგუფებზე მოდის. უმუშევართა საერთო რიცხოვნობაში დიდი წილი უჭირავს უმაღლესი განათლების მქონე პირებს. სტატისტიკური მონაცემებით, უმაღლესი განათლება ჰქონდა უმუშევარ ქალთა 40.7 %, ხოლო კაცთა 35.9 %.[119]

---

[117] საქართველოს რეგიონული განვითარება, დიაგნოსტიკური მოხსენება, თბილისი, 2010, გვ. 55

[118] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ქალი და კაცი საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 36

[119] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ქალი და კაცი საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 39

ქვეყანაში მუშაობდა სიღარიბის დონის შემცირების სახელმწიფო პროგრამა - გაერთიანებული საქართველო სიღარიბის გარეშე 2008-2012 წწ. ამ პროექტის ფარგლებში ხორციელდებოდა სახელმწიფო დახმარება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ნახევარ მილიონზე მეტი ოჯახის წევრებისთვის (მათი რაოდენობა 1.5 მილიონს აღემატებოდა). დახმარება ასე გადანაწილდა (ხვედრითი წილის მიხედვით): ერთწევრიან ოჯახებს გამოეყოთ დახმარების 35,2%, ორსულიან ოჯახებს 24,1%, სამსულიან ოჯახებს 11,6%, 4 სულიან ოჯახებს 11,7%, 5 სულიან და მეტი წევრისგან შემდგარ ოჯახებს 8.9%.[120] სამწუხაროდ, ეს პროექტი ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა, დღესაც საქართველოში მცხოვრები ოჯახების 40%-ზე მეტი ღარიბად ითვლება.

სიღარიბე მოიცავს ნაკლებად შემოსავლიან ოჯახებს: პენსიონერებს, უმუშევრებს, მრავალშვილიან, ინვალიდთა, თვითდასაქმებულთა, წვრილმეწარმეთა, წვრილფერმერთა ოჯახებს.

სიღარიბის დონე განსხვავებულია არა მარტო ქალაქსა და სოფელს შორის, არამედ დიდ და პატარა ქალაქებს შორის, რაც გამოწვეულია სტრუქტურული უმუშევრობით. ღარიბებში გამოიყოფა სხვადასხვა შრეები და ყველაზე მოწყვლადი ფენა შეადგენს ღარიბთა მესამედს. ეს ფენა ძირითადად სასოფლო ადგილებში ცხოვრობს, ეს სოფლის ოჯახების 3.8 %-ია, რომელთაც არ აქვთ სასოფლო-სამეურნეო მიწა.

პირველი ეროვნული სასოფლო სამეურნეო აღწერის შედეგების მიხედვით ოჯახების 70,8 % აღნიშნავს, რომ გარკვეული წლების განმავლობაში არ გააჩნდათ საკმარისი საკვები. ამ მაჩვენებლის სიდიდე გურიაში შეადგენს 82%-ს, შიდა ქართლში 85%-ს, ქვემო ქართლში 45%-ს.[121]

სიღარიბე შეეხო განათლებულ მოსახლეობასაც, მათ “ახალ ღარიბებს” უწოდებენ. სიღარიბის დონე განსხვავდება ოჯახის უფროსების მიხედვით. ყოველი 100 ოჯახიდან 69 მამაკაცია, 31 - ქალია. ქალებს უფრო უჭირთ ოჯახის შენახვა, ვიდრე მამაკაცებს. ეს ფაქტი დადასტურდა ჩვენი კვლევის შედეგებითაც, შესწავლილი ღარიბი ოჯახებიდან 56 % ქალი იყო ოჯახის უფროსი. მათი უმრავლესობა სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, შიდა ქართლის რაიონებში ცხოვრობს.

---

[120] ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, თბილისი, 2013

[121] საქართველოს რეგიონული განვითარება, დიაგნოსტიკური მოხსენება, თბილისი, 2010

გენდერული ასიმეტრია არამარტო სიღარიბის, არამედ სიმდიდრის განაწილებაში შეინიშნება. ქვეყნის მდიდარ ადამიანებში მდიდარ ქალთა რაოდენობა (რომელთაც შეძლეს თვითონ მოეპოვებინათ სიმდიდრე) 1 %-ზე ნაკლებია. ჩვენს მიერ შესწავლილი ოჯახებიდან მხოლოდ 12 ოჯახში აღმოჩნდა მცირე ბიზნესში დასაქმებული და წარმატებული ქალი ოჯახის უფროსი: 3 ტურისტულ ორგანიზაციაში (თბილისი, თელავი), 4 სასტუმროს მეპატრონე (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი), 3 საოჯახო სასტუმროს (ყაზბეგის რაიონი, ახმეტა, ამბროლაური) და 2 რესტორნის (თბილისი, რუსთავი) ბიზნესს უძღვებოდა.

ღარიბ ოჯახში შემატებული ბავშვი სიღარიბეს უფრო ამწვავებს, უშვილო ოჯახებში სიღარიბის ზღვრის დაბლა იმყოფება ოჯახების 39 %, 1-2 შვილიან ოჯახებში 51 %; 3 შვილიან ოჯახებში 71 %; ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 სამშვილიან ოჯახში 71 არის ღარიბი.[122]

სიღარიბის ასეთ მაღალ დონეს საქართველოში ექსპერტები ხსნიან მრავალი მიზეზით: ინვესტიციების დაბალი დონე სოფლის მეურნეობაში და მათი დაბალი ეფექტურობა, ფერმერების განათლების დაბალი დონე, მიზნობრივი სოციალური დახმარებების ნაკლებობა, ინფლაცია და კვების პროდუქტებზე ფასების ზრდა. საგარეო ფაქტორებიდან მეტად მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ბაზრის დაკარგვა.

- **შრომის ბაზრის განვითარების თავისებურებანი**

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, საქართველოსათვის, ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის, დამახასიათებელი გახდა მოსახლეობის დაბალი შემოსავლები, შეზღუდული ფისკალური რესურსები და განუვითარებელი საბაზრო ინსტიტუტები. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, ეკონომიკის დარგობრივმა კრიზისებმა და მოუწყობელმა საგარეო ურთიერთობებმა ექსტრემალური ვითარება შექმნა საქართველოში და ძალზე გაამწვავა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ყოველივე ეს კი რეფლექსურად აისახა შრომის ბაზრის განვითარებაზე: მკვეთრად შემცირდა დასაქმება, წარმოიშვა რეგიონალური და გენდერული დისპროპორციები და უმუშევრობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს

[122] Growth, Poverty, andInequality: EasternEuropeandformerSovietUnion, (2005). WorldBank, Washington, D.C., გვ. 250.

შორის.

შრომის ბაზარი ზუსტად ის სფეროა, სადაც ყველაზე კარგად აისახება ქვეყნის ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება.

მოსახლეობის ცხოვრების დონე, როგორც ცნობილია, კომპლექსურად მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს. 2001-2002 წლებში ჩატარებული შინამურნეობების კვლევების შედეგებით, საქართველოს ერთი ოჯახის (შინამეურნეობის) საშუალო-თვიური შემოსავლები, ფულადი და არაფულადი შემოსავლების ჩათვლით შეადგენდა დაახლოებით 75-80 აშშ დოლარის ექვივალენტს (150-175 ლარი); აქედან 73-78 % ფულად შემოსავლებზე მოდიოდა, ხოლო დანარჩენი (22-27 %) არაფულად შემოსავლებზე. შემოსავლების მხოლოდ 33-40 % მიიღებოდა დასაქმებიდან, 12-15 % - სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, 5-6 % პენსიების, სტიპენდიების და სახელმწიფო დახმარებების სახით, შემოსავლების 6-7 % კი ახლობლებისგან მიღებული დახმარებები იყო. ფულადი შემოსავლების 10-15 % ქონების გაყიდვითა და ფულის სესხებით ან დანაზოგის გამოყენების გზით იყო მიღებული, [123] რაც მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებაზე მიანიშნებდა.

იგივე მაჩვენებლები 2001-2008 წწ. განმავლობაში საკმარისად გაიზარდა. შემოსავლები დაქირავებული შრომიდან გასამმაგდა, პენსიები, სტიპენდიბი, დახმარებები 5-ჯერ გაიზარდა, უცხოეთიდან გზავნილები გაორმაგდა, ახლობლებისგან მიღებული თანხა 4-ჯერ და ფულადი სესხების და დანაზოგების გამოყენება 5-ჯერ გაიზარდა. ოჯახის (შინამეურნეობის) შემოსავლების ასეთი სტრუქტურა, რა თქმა უნდა შორს დგას ოპტიმალურისგან, ვინაიდან ჯერ ერთი, იგი თითქმის ორჯერ ჩამორჩება საშუალო სიდიდის ოჯახის საარსებო მინიმუმს და, მეორეც, შემოსავლებში ძალიან დაბალია დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების წილი.

ოფიციალური სტატისტიკით, 2011 წელს 2003 წელთან შედარებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 4.5 % შემცირდა და მისმა რიცხოვნობამ 1959,3 ათასი კაცი შეადგინა. დასაქმებულთა რიცხვი ასევე შემცირდა 150,7 ათასი კაცით, ანუ 8.3 %.

[123] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - იხ. www.geostat.ge

დასაქმების დონე სტაბილურად უფრო მაღალია მამაკაცებში (63.7 %), ვიდრე ქალებში (48.5 %). ამავე დროს, მთელი ამ პერიოდის მანძილზე უმუშევრობის დონე უფრო მაღალია მამაკაცებში და 2011 წლისათვის შეადგინა - 16.7 %, ხოლო ქალებში - 13.1 %.[124] ეს, ერთი შეხედვით პარადოქსული სიტუაცია, გამოწვეულია შრომის ბაზარზე ქალთა აქტიურობის მკვეთრი შემცირებით, რაც უმუშევრობის მაჩვენებლების გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება. მაგალითად, დღეისათვის სამუშაო ძალის გარეთ არის მოქცეული 725,3 ათასი ქალი და 320,6 ათასი მამაკაცი.[125]

დღეისათვის, ასევე ოფიციალური სტატისტიკით შეფასებულია, რომ დაქირავების საფუძველზე მუშაობს მუშაკთა მხოლოდ 38 %. დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი (61.6 %) კი თვითდასაქმებულებს მიეკუთვნება. დასაქმების ფორმალურ დარგებში ტრადიციულად საზოგადოებრივი (საჯარო) და ოჯახის გარეთ სამსახურებში მამაკაცები დომინირებენ, ხოლო ოჯახის შიდა დასაქმება ქალის პრივილეგიაა. არაფორმალურ სფეროში ძირითადად ქალები ჭარბობენ.

საქართველოში დასაქმების განსაზღვრის მეთოდის გამოყენებით, დასაქმებულად ითვლებიან პირები, რომლებიც გამოკვლევის ბოლო ერთი კვირის განმავლობაში თუნდაც ერთი საათით მუშაობდნენ ანაზღაურებად სამუშაოზე. ასევე დასაქმებულად ითვლებიან სოფლად მცხოვრები ნებისმიერი პირი ან ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში გააჩნია მიწის ნაკვეთი. აღნიშნული მეთოდი დიდი ხანია კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს, რადგან ამგვარად შეუძლებელია უმუშევრობის რეალური დონის შეფასება.

---

[124] ნ. შიოშვილი, ქალთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და შრომის ბაზრის გენდერული ასპექტები საქართველოში, 2013

[125] ნ. შიოშვილი, ქალთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და შრომის ბაზრის გენდერული ასპექტები საქართველოში, 2013

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო-თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით, 2003 და 2011 წწ.

ცხრილი № 22

	2003 წელი			2011 წელი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		ქალი	კაცი		ქალი	კაცი
სულ	**125.9**	**85.7**	**163.0**	**636.0**	**460.2**	**771.1**
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	47.6	45.1	48.3	392.6	336.3	407.9
თევზჭერა, მეთევზეობა	46.2	25.2	54.3	271.1	252.0	273.5
სამთომოპოვებითი მრეწველობა	218.7	192.4	226.2	838.6	551.9	876.2
დამამუშავებელი მრეწველობა	152.5	108.4	174.9	552.2	392.7	629.0
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	250.2	226.2	257.0	877.0	846.5	884.1
მშენებლობა	206.2	124.3	215.4	738.5	513.7	753.7
ვაჭრობა: ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	85.5	72.6	97.5	548.9	402.0	662.8
სასტუმროები და რესტორნები	56.6	51.1	63.0	342.4	292.5	427.2
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	191.1	145.6	208.3	873.8	686.2	933.2
საფინანსო საქმიანობა	530.5	473.3	607.6	1386.3	1120.1	1762.4
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	110.3	83.3	135.2	674.3	552.7	731.2
სახელმწიფო მმართველობა	132.0	93.9	151.5	998.8	903.2	1030.2
განათლება	68.5	62.7	86.7	319.6	299.2	389.8

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	76.8	69.0	106.0	522.9	444.3	765.5
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	72.2	53.6	99.0	511.5	423.9	599.7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) www.geostat.ge

დასაქმების რეალიზაცია საქართველოში ძალიან ძნელია, რადგან შრომის ბაზარი არის შრომაჭარბი, ანუ სამუშაო ძალის მოწოდება ბევრად აღემატება მასზე მოთხოვნას.

დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით არ შეესაბამება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს. ძალიან მცირეა მრეწველობასა და მშენებლობაში დასაქმებულთა წილი. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დაქირავებულთა უმრავლესობა დასაქმებულია სახელმწიფო სამსახურებში. თვითდასაქმებულთა უმრავლესობა კი სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურეობასა და ტრანსპორტში.

თვითდასაქმებულთა შორის უაღრესად მცირეა დამქირავებელთა (სამუშაოს მიმცემ მეწარმეთა წილი (1.2-1.5%), რადგან ეს ის ფენაა, რომელმაც გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და უმუშევრობის პრობლემების გადაჭრის საქმეში.

უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდების პირობებში საქართველოს შრომის ბაზარზე შეინიშნება საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრების დეფიციტი. ეს, ერთის მხრივ, აიხსნება პროფესიული მომზადების დაბალი დონით, მაგრამ უფრო მეტად არასწორი საკადრო პოლიტიკით. სამუშაოზე მიღების ყველაზე გავრცელებული მეთოდია ნაცნობების დახმარება, ნეპოტიზმის მეთოდები, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით კარგად მუშაობს. დასაქმებულ რესპონდენტთა შორის დასაქმების სააგენტოს საშუალებით არავინ იყო დასაქმებული, მათი უმრავლესობა ნაცნობობით იყო მოწყობილი.

ერთი, რომ განათლების სფერო, არ ამზადებს კადრებს შრომის ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისად და მეორე, რაც ჩვენმა კვლევამაც დაადასტურა, პროფესიის არჩევის მოტივებში დომინირებს მშობლების (16 %), მეგობრების (8 %),

პროფესიის პრესტიჟულობა (18 %).

საქართველოს შრომის ბაზარი ნაკლებად მოქნილი და არამობილურია, (ბევრი სპეციალობა აღარ არის საჭირო, პროფესიის შეცვლა კი ბევრი ადამიანისთვის პრობლემატურია).

განუვითარებელია მისი ინფრასტრუქტურა, არ არსებობს სამუშაოს მაძიებელთა ტევადი და ხარისხიანი საინფორმაციო ბაზა. ინტერნეტში რაც ქვეყნდება მიუწვდომელია ბევრი მოქალაქისათვის.

რაც შეეხება შრომის კანონმდებლობას, რეალურად, შრომის კანონმდებლობაში დისკრიმინაცია არ არის, თუმცა 2006 წელს მიღებული საქართველოს შრომის კოდექსი გარკვეულად გაკრიტიკებული იყო, განსაკუთრებით სამსახურში მიღების და განთავისუფლების პუნქტი. გარკვეული ხარვეზები იყო ე.წ. სადეკრეტო შვებულებასთან დაკავშირებულ პუნქტთან. ლეგალურად უნდა აღინიშნოს პოზიტიური დისკრიმინაცია, რომელიც დედისა და ბავშვის უფლებებს იცავს. ახლახანს ცვლილებები იქნა შეტანილი სადეკრეტო შვებულების ნაწილში.

შრომის კოდექსის მიხედვით, დასაქმებულს ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის საჭიროების გამო, რომელიც გაიზარდა 477-დან 730 კალენდარულ დღემდე, აქედან ანაზღაურებადი შვებულება, ნაცვლად 126 დღისა, იქნება 183 კალენდარული დღე; მშობიარობის გართულების ან ტყუპის გაჩენის შემთხვევაში - 200 კალენდარული დღე, ნაცვლად მანამდე არსებული 140 დღისა. ასევე იზრდება ანაზღაურებადი შვებულების დროის თანხის ოდენობაც: 126 დღეში 600 ლარის ნაცვლად, ანაზღაურდება 183 დღე 1000 ლარის ოდენობით.

ახალი კანონი ძალაში 2014 წლის 1 იანვრიდან შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონის თანახმად მამაკაცსაც შეუძლია ისარგებლოს ე.წ. დეკრეტული შვებულებით. მაგრამ რეალურად საქართველოს სინამდვილეში დეკრეტული შვებულებით მამა არ სარგებლობს.[126][127]

---

[126] 2012-2013 საქართველოში დეკრეტული შვებულებით მხოლოდ ერთმა მამაკაცმა ისარგებლა. როგორც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის (IDFI) მიწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, მამაკაცი, რომელმაც ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით ისარგებლა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მუშაობს

[127] 2012-2013 წლებში 1134-მა ქალმა ისარგებლა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით, ანაზღაურების გარეშე კი მხოლოდ 354-მა ქალმა. ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით

კითხვაზე: “დასაქმების პროცესში ვისთვის უფრო პრობლემატურია ბავშვების მოვლა ქალისთვის თუ მამაკაცისთვის?” რესპონდენტთა 88 %- მიპასუხა, რომ დასაქმების პროცესში ბავშვები ქალის პრობლემაა.

- **შრომის ბაზრის გენდერული უთანასწორობა**

საქართველოში შრომის ბაზარი გენდერულად სეგმენტირებულია. ქალები ძირითადად სახელმწიფო სექტორში არიან დასაქმებულნი, სადაც ყოველ 100 მამაკაცზე 117 ქალი მოდის, არასახელმწიფო სექტორში კი ყოველ 100 მამაკაცზე დაქირავებით დასაქმებულია 57 ქალი.[128]ამასთან, დასაქმებულთა საერთო რიცხვიდან ყოველ 100 უმაღლესი დონის მაღალკვალიფიციურ მამაკაც-სპეციალისტზე 161 მაღალკვალიფიციური ქალი-სპეციალისტი მოდის, საშუალო დონის სპეციალისტებში – 159 ქალი, არაკვალიფიციურ სამუშაო ძალაში კი ყოველ 100 მამაკაცზე მხოლოდ 5 ქალი მოდის.[129]

როგორც ვხედავთ, შრომის ბაზარზე ქალების კვალიფიკაცია არ ჩამორჩება მამაკაცების კვალიფიკაციას. მიუხედავად ამისა, ქალებს მამაკაცებთან შედარებით დაბალი ანაზღაურება აქვთ: 2007 წელს მრეწველობაში მათი ანაზღაურება შეადგენდა მამაკაცის ანაზღაურების მხოლოდ 57,3 პროცენტს, ვაჭრობაში, ჯანდაცვაში და სოციალურ მომსახურებაში – 37-40 პროცენტს, მშენებლობაში – 67,0 პროცენტს, სასტუმროებსა და რესტორნებში – 55,0 პროცენტს, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 78 პროცენტს, საფინანსო შუამავლობაში – 73 პროცენტს.[130]

თუ 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ყველა თანამდებობების მიხედვით საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებული ქალის საშუალო ხელფასი მამაკაცის საშუალო ხელფასის 75 პროცენტს შეადგენდა, 1990-იანი წლების ბოლოსათვის იგი 52 პროცენტამდე დაეცა და ამჟამად 48,6 პროცენტს არ აღემატება.

სარგებლობის ყველაზე მეტი შემთხვევა ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე საჯარო დაწესებულებებს შორის საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში დაფიქსირდა - 655 შემთხვევა

[128] ჩ. ჯაში და მ. თოქმაზიშვილი, საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილებები, თბილისი, 2009, გვ. 41

[129] ჩ. ჯაში და მ. თოქმაზიშვილი, საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილებები, თბილისი, 2009, გვ. 41

[130] ქალი და კაცი საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 53-54

ყოველივე ეს ოჯახურ მეურნეობაში ქალის აუნაზღაურებელი შრომის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, საქართველოში შრომის ბაზარზე გენდერული უთანასწორობის არსებობაზეც მეტყველებს.

გენდერული დისკრიმინაცია ანაზღაურებაშიც გამოიხატება. ამ განსხვავების აღქმა ძალზე ძნელია, რადგან რესპონდენტთა 65 %-ს სჯერა, რომ ანაზღაურება ერთნაირია. რესპონდენტებს ამ საკითხზე მცდარი წარმოდგენა აქვთ. სინამდვილეში საქართველოს შრომის ბაზარზე არსებობს სტრუქტურული დისკრიმინაცია. ჰორიზონტალური და ვერტიკალური დისკრიმინაცია აღსანიშნავია დასაქმებაში, ანაზღაურებაში, პროფესიულ დაწინაურებაში და ა.შ.

გრაფიკი № 4



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკიდან (№ 4) ვხედავთ, 1999 წელს ქალის საშუალო-თვიური ხელფასი იყო 47,7 ლარი (რაც მამაკაცის ხელფასის 52 %-ს შეადგენდა), მამაკაცის ხელფასი კი იყო 90 ლარი. 2011 წელს ქალის საშუალო-თვიური ხელფასი შეადგენდა 460.2 ლარს, მამაკაცის - 771.1 ლარს. პროცენტული თანაფარდობა თითქმის 60 %-ს შეადგენს. ქალის დაბალი შემოსავლის მთავარი მიზეზია მისი არყოფნა პრესტიჟულ პროფესიებსა და თანამდებობებზე. "ქალურ დარგებშიც" კი ხელმძღვანელ პოსტებზე მამაკაცები მუშაობენ.

შექმნილი მძიმე ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ფონზე მოხდა ტრადიციული ოჯახისაკენ დაბრუნება, სადაც მამაკაცი არის მთავარი ოჯახის თავი,

ქალი კი-დიასახლისი. ამ მოსაზრებას იზიარებენ, როგორც “ახლად გამდიდრებული”, ასევე “ახლად გაღარიბებული” ოჯახების წარმომადგენლები.

ქალები გახდნენ ნაკლებად კონკურენტუნარიანნი შრომის ბაზარზე, რადგან მეტად გაიზარდა ამ პერიოდში მათი როლი პრივატულ სფეროში, მაშინ, როცა საბჭოთა პერიოდში, ქალები უფრო დაცულნი იყვნენ სახელმწიფო პოლიტიკით. პოსტსაბჭოთა პერიოდში შეწყდა საბიუჯეტო დაფინანსება, გაქრა საბავშვო ორგანიზაციების დახმარების მატერიალური წყაროები, რამაც გამოიწვია ამ მომსახურების გაძვირება, მაშინ, როდესაც საგრძნობლად შემცირდა ოჯახების შემოსავალი და ყოველდღიური ზრუნვა ბავშვებზე და ოჯახზე მთლიანად ქალს დააწვა ზურგზე.

პროფ. ე. სეფაშვილის კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ დასაქმებული მამაკაცების 30 % ხელმძღვანელ პოსტებზეა, ქალი კი 3 %-ია; რომ შრომის ბაზარზე კვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნა ძალზე დაბალია. რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი პროფესიულად დისკვალიფიცირებულია: ყოფილ მასწავლებელთა 28 %, ინჟინერთა 36 %, ფარმაცევტთა 14 % მისდევს წვრილ ვაჭრობას. ეს მოვლენა ძირითადად საქალაქო დასახლებულ პუნქტებში, განსაკუთრებით თბილისში, ქუთაისსა და რუსთავში გვხვდება.

რესპონდენტთა უმრავლესობა (52 %) ფიქრობს, რომ მამაკაცების დაწინაურება უფრო ადვილია, მხოლოდ 21 % ფიქრობს, რომ ქალის დაწინაურებაა ადვილი. 40 % კი ფიქრობს, რომ ორივე სქესის წარმომადგენლებს თანაბარი შესაძლებლობები გააჩნიათ. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ჩვენს კულტურაში არსებული სტერეოტიპური აზროვნება. მაშინ, როდესაც მამაკაცის დაწინაურებისთვის 1-1,5 წელია საჭირო, ქალისთვის 2-3 წელი. ამას განსხვავებული კვალიფიკაციით ვერ ავხსნით, რადგან განათლების სტატუსი ორივე სქესისთვის თითქმის ერთნაირია (განათლებულ მოსახლეობაში ქალების ხვედრითი წილი უფრო მაღალია). საქმე იმაშია, რომ დაოჯახების შემდეგ ქალი 13-ჯერ მეტ დროს ხარჯავს ოჯახზე, ვიდრე მამაკაცი (ე. სეფაშვილი, 2008: 30) და ხშირ შემთხვევაში მას დრო არ რჩება კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

შრომის კანონმდებლობის მიხედვით რესპონდენტთა უმრავლესობა (68 %) ფიქრობს, რომ ქალებს და მამაკაცებს თანაბარი უფლებები აქვთ და უფრო მეტიც

ფიქრობს, რომ დისკრიმინაციას არ აქვს ადგილი, თუმცა ე. სეფაშვილის კვლევის მონაცემების მიხედვით 16 % ქალი რესპონდენტი და 20 % მამაკაცების ფიქრობს, რომ პრიორიტეტი ეძლევა მამაკაცს.

სხვადასხვა ქვეყანაში გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ როდესაც მამაკაცების დასაქმება მცირდება, ქალების დასაქმება პროცენტულად ნაკლებად მცირდება ან კიდევ იგივე რჩება, და პირიქით.[131][132] უმუშევრობის დროს აუნაზღაურებელი შრომის რაოდენობა ქალებში იზრდება უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცებში.[133] ამდენად, ქალების დასაქმება უფრო მოქნილია და მგრძნობიარეა ბაზრის ცვლილებების მიმართ, ვიდრე მამაკაცის, თუმცა დასაქმების "კომერციალიზაცია", ანუ ქალების ანაზღაურებადი შრომის წილი შრომითი დანახარჯების მთლიან მოცულობაში საგრძნობლად დაბალია მამაკაცებთან შედარებით. ამასთან, ქალი პროფესიული სამუშაოდან ადვილად გადაერთვება ოჯახურ საქმეებზე, მამაკაცი კი უფრო მჭიდროდ არის "მიბმული" პროფესიულ საქმიანობასთან, ამიტომ სამუშაოს დაკარგვა მასზე უფრო მტკივნეულად მოქმედებს, ვიდრე ქალზე. ბაზრის ცვლილების შედეგად მამაკაცისა და ქალის შრომის საშუალო ხანგრძლივობა ერთმანეთის საპირისპიროა იმ შემთხვევაში, როდესაც მამაკაცების დასაქმება მცირდება.

არსებობს რამდენიმე მოდელი ქალისა და მამაკაცის განსხვავებული შრომითი როლის შესახებ საზოგადოებაში. ერთ-ერთი მოდელის თანახმად, მამაკაცის შრომა არის ოჯახის ფინანსური შემოსავლების მთავარი წყარო, ქალისა და ბავშვების საქმიანობა და სიცოცხლისუნარიანობა უზრუნველყოფილია მამაკაცის შემოსავლებით.[134] მამაკაცი, როგორც ოჯახის შემოსავლების მთავარი წყარო, არის დამახასიათებელი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისათვის და ბიზნეს-სამყაროსათვის, სადაც ძირითადად დასაქმებული არიან მამაკაცები და მათი შრომა

---

[131] Becker G.S., A Treatize on the Family, Harvard University Press, Cambridge; 1981

[132] Sen.A. Gender and Cooperative Conflicts. In I. Tinker/ed/ Persistent Inequalities: Women and World Development, New-York, 1995

[133] ყოველ 100 მამაკაცზე ქალების რაოდენობა ოჯახურ საწარმოში/მამულში დასაქმებულთა შორის ორჯერ და მეტად აღემატება აღნიშნულ თანაფარდობას დაქირავებით დასაქმებულთა შორის, Labour Market in Georgia, 2006, Tbilisi, გვ. 33

[134] ჩ. ჯაში და მ. თოქმაზიშვილი, საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილებები, თბილისი, 2009, გვ. 42

არის კარგად ანაზღაურებადი. ქალებისათვის ძნელია ადაპტირება იმ სამყაროში, სადაც გავრცელებულია ცნობიერება, რომ მამაკაცი არის ოჯახის შემოსავლების მომპოვებელი. ქალის შრომა ამ ცნობიერებაში მეორეხარისხოვან ფუნქციას იძენს. ისინი მამაკაცის კმაყოფაზე არიან.

- **მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება**

საქართველოში შრომის ბაზრის მთავარი პრობლემა არის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების არასაკმარისი დონე. 2002-2006 წლებში ჩამოყალიბებული პროპორციების მიხედვით, ბიზნეს-სექტორის მთლიან ბრუნვაში მცირე ბიზნესის წილად მოდის დაახლოებით 15 პროცენტი, საშუალო ბიზნესის წილად – 10 პროცენტი და მსხვილი ბიზნესის წილად – 75 პროცენტი. შედარებისათვის, ევროკავშირში გაცილებით დაბალია მსხვილი ბიზნესის წილი და შეადგენს მთელი ბრუნვის დაახლოებით 42 პროცენტს. შესაბამისად, მაღალია საშუალო (19 პროცენტი) და მცირე (39 პროცენტი) ბიზნესის წილი.[135]

მცირე და საშუალო ბიზნესი არის გენდერულად მგრძნობიარე სფეროები, რადგან აქ ძირითადად დასაქმებულები არიან ქალები და თვითდასაქმებული ადამიანები. ამ სფეროს განვითარებას აქვს დასაქმების დიდი პოტენციალი და იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა შინამეურნეობისათვის, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს შრომის არამონეტარული და არაანაზღაურებადი შედეგების მონეტიზაციას და შესაბამისად, ქალის აუნაზღაურებადი შრომის საზოგადოებრივ შრომად აღიარებას.[136]

საქართველოს შრომის ბაზარს სწრაფი ადაპტაციის შესაძლებლობა აქვს, მაღალია სამსახურის დაკარგვის მაჩვენებელი, თუმცა, ასევე მაღალია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მაჩვენებელი. ეს მიუთითებს საწარმოთა ინტენსიურ რესტრუქტურიზაციაზე და სამუშაო ადგილებისა და სამუშაო ძალის რელოკაციაზე. ახლად შექმნილი სამუშაო ადგილები უფრო პროდუქტიულია, ვიდრე ძველი

---

[135] Schmiemann Manfred, (2006). SME-s and entrepreneurship in the EU. Statistics in Focus: industry, trade and service, 24/2006.

[136] ჩ. ჯაში და მ. თოქმაზიშვილი, საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილებები, თბილისი, 2009, გვ. 42

სამუშაო ადგილები, რომლებიც უჩინარდება, რამდენადაც საწარმოთა რესტრუქტურიზაცია პროდუქტიულობის ზრდას იწვევს და ქართულ კომპანიებს უფრო კონკურენტუნარიანს ხდის.

- **საგარეო მიგრაციების შედეგები**

საქართველოს მოსახლეობის კლების ძირითადი მიზეზია XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან დაწყებული მასობრივი ემიგრაცია, რაც უპირველესად გამოიწვია მკვეთრად გაუარესებულმა ეკონომიკურმა პირობებმა და, აგრეთვე, 1990-იანი წლების დასაწყისში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ: იგულისხმება, როგორც საქართველოს ეთნიკური უმცირესობების მიერ აღქმული საფრთხე, ისე სამოქალაქო ომები, მათ შორის აფხაზეთში, რის გამოც იქიდან მრავალი ადამიანი, როგორც ქართველი, ისე არაქართველი, საქართველოს ფარგლებს გარეთ წავიდა. (გაჩეჩილაძე, რ., 2013: 676)

1990 - იანი წლების პირველი ნახევარი ეთნიკური უმცირესობების ინტენსიური ემიგრაციით ხასიათდება. ებრაელები ისრაელში წავიდნენ, ბერძნები - საბერძნეთში, სლავები (რუსები, უკრაინელები და ბელორუსები), აგრეთვე სომხებისა და ქურთების ნაწილი - ძირითადად რუსეთის ფედერაციაში; აზერბაიჯანელების მცირე ნაწილი - აზერბაიჯანში გადასახლდა.

ამავე პერიოდიდან მკვეთრად იმატა ქართველების გაფანტულობამ (ბერძნულად - დიასპორამ). სხვადასხვა შეფასებით, საზღვარგარეთ წასულია 0,6-1,0 მილიონი ქართველი. როგორც პროფ. რ. გაჩეჩილაძე აღნიშნავს: "ზუსტი რაოდენობა უცნობია. რიცხვი საშუალოსთან ახლოს რომც იყოს - 700-800 ათასი ქართველი ემიგრანტი, ესეც გიგანტური მაჩვენებელია". [137] ემპირიული დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საქართველოში იშვიათია ოჯახი, რომლის ერთი ან რამდენიმე წევრი საზღვარგარეთ არ იყოს წასული.

არსებული მდგომარეობისაგან განსხვავებით, საბჭოთა პერიოდში ქართველები იშვიათად ტოვებდნენ საქართველოს. მათ ხშირად "სახლში ჯდომის მოყვარულებსაც" კი უწოდებნენ, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში მაცხოვრებელი სხვა

[137] რ. გაჩეჩილაძე, საქართველო მსოფლიო კონტექსტში (XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები), თბილისი, 2013, გვ. 676

ეთნოსების წარმომადგენლები საქართველოში შემოდიოდნენ და გადიოდნენ. მაგალითად, “1979 წლის აღწერის მასალების შესაბამისად, საბჭოთა კავშირის ქართველთა 96.5 % საქართველოს სსრ-ში ცხოვრობდა, მაშინ, როცა ეთნიკურად რუსების მეოთხედზე მეტი და სომხების მესამედზე მეტი - თავისი შესაბამისი რესპუბლიკების გარეთ. 1989 წლისათვის ქართველების “რესპუბლიკაზე მიჯაჭვულობის” კოეფიციენტი შემცირდა 1.5 პროცენტული პუნქტით, მაგრამ ეს მაინც ყველაზე მაღალ მაჩვენებლად რჩებოდა ძირითადად საბჭოთა ერებს შორის”.[138]

როგორც წესი, საზღვარგარეთ მიდის ყველაზე განათლებული, ჯანმრთელი, ფერტილურ (ნაყოფიერ) ასაკში მყოფი მოსახლეობა, რომელიც თავის ქვეყანაში ვერ ნახულობს შესაფერის საქმესა და ადეკვატურ ანაზღაურებას. ემიგრანტთა შორის ბევრია ქალი. ემიგრაციის პროცესი ავტომატურად ამცირებს შობადობას, ზრდის დაბერებული მოსახლეობის პროცენტს.

საზღვარგარეთ წასული ქართველებიდან ნახევარზე მეტი რუსეთში იმყოფება. ამ შემთხვევაში ოფიციალური სტატისტიკაც შეიძლება მოვიშველიოთ, თუნდაც არასაკმარისად ზუსტი.

2002 წელს რუსეთის ფედერაციაში ჩატარებულმა მოსახლეობის აღწერამ აჩვენა, რომ იქ ცხოვრობდა 199 ათასი ქართველი. 2010 წლის აღწერით მათი რაოდენობა 159 ათასამდე შემცირდა (მათ შორის, მეგრელად მიუთითა თავი 600-მა ადამიანმა, აჭარელად - 211-მა, ინგილოდ - 98-მა, სვანად - 45-მა, ხოლო ლაზად - 160-მა). ისინი რუსეთის მთელი მოსახლეობის 0,11 %-ს შეადგენდნენ. ქართველი ებრაელი სულ 78 აღიწერა (ეს აშკარა შეცდომაა). (გაჩეჩილაძე, რ., 2013: 677)

ქართველები ასევე ხშირად მიემგზავრებიან საბერძნეთში, უკრაინაში, გერმანიაში, თურქეთში, ესპანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვაგან, სადაც ისინი დასაქმებასა და ნორმალურ შემოსავალს ეძებენ.

“მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის” (IOM) შემფასებელი მისია თავის ანგარიშში 2008 წელს წერდა: “დღეს საქართველოში არ არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული ემიგრაციული პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, თუ რა ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგები

[138] რ. გაჩეჩილაძე, მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, თბილისი, 1997, გვ. 9

შეიძლება მოჰყვეს პროდუქტიულ სამუშაო ასაკში მყოფი ქართველების მასშტაბურ მიგრაციას ქვეყნიდან. მათ ასევე გაცნობიერებული აქვთ დადებითი შედეგებიც, რაც შესაძლოა მოჰყვეს ფულად გზავნილებს და ამაში დიასპორის მონაწილეობას".[139]

მიგრაცია, თვით-დასაქმების მსგავსად წარმოადგენს უმუშევრობისაგან თავის დაღწევის ყველაზე ხშირად არჩეულ საშუალებას. შრომითი მიგრაცია მჭიდროდაა დაკავშირებული გლობალიზაციასთან და ბევრ ქვეყანაში შეინიშნება. ექსპერტების გამოანგარიშებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მილიონ ადამიანზე მეტმა დატოვა საქართველო (ჩ. ჯაში, 2005). შეუძლებელია იმ თანხის გამოთვლა, რომელსაც საქართველო იღებს შრომითი მიგრანტებისგან, რადგან საბანკო გადმორიცხვებთან ერთად თანხის ნაწილი ქვეყანას არაფორმალური გზებით აღწევს. ცალსახაა, რომ მრავალი ოჯახი თავს მხოლოდ გადმოგზავნილი ფულით ირჩენს.

ფულად გზავნილებს საკმაოდ დიდი როლი აქვთ საქართველოს ეკონომიკაში, ისინი პირდაპირ გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკაზე, როგორც ძირითადი ეროვნული რეზერვები, რადგან თითქმის ყოველი მე-10 ადამიანი საქართველოში ფულადი გზავნილის მიმღებია. მაგალითად, 2008 წელს, მარტო თიანეთიდან წასულმა მიგრანტებმა თავიანთ ოჯახებს გადმოურიცხეს დაახლოებით 510 000 აშშ დოლარი. [140] როგორც მიგრაციის საერთაშორისო ორგაზანიზაციის კვლევები გვიჩვენებენ, ქალი-მიგრანტები უფრო ხშირად ეხმარებიან თავიანთ ოჯახებს და მეტ თანხას აგზავნიან, ვიდრე კაცი-მიგრანტები.[141]

2011 წლის მონაცემებით, ფულადი გზავნილების თანხამ შეადგინა 812.6 მილიონი აშშ დოლარი, რაც 19.6 % აღემატებოდა 2010 წლის გადმორიცხულ თანხას და შეადგენდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) 6 %.[142] მოსახლეობის თითქმის 9 % არის გზავნილების მიმღები. ფინანსური ორგანიზაციების წმინდა მოგების 20 % დამოკიდებულია ფულად გზავნილებზე. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ფულადი გზავნილების გამოგზავნა ხორციელდება არაფორმალური გზით, ანუ მეგობრების, ნათესავების, ნაცნობების მეშვეობით და სხვა არაფორმალური გზებით.

---

[139] Migration in Georgia: A Country Profile, 2008 – http://jcp.ge/iom/pdf/M_Georgia.pdf

[140] IOM, Tianeti Household Census and Tianeti Emigrants to Greece, 2008, გვ. 21

[141] IOM, Tianeti Household Census and Tianeti Emigrants to Greece, 2008, გვ. 18

[142] "The Role of Remittances in Georgian Economy", report prepared by Economic Policy Research Center (EPRC), December, 2011, გვ. 7

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ფედერაციაში ყველაზე დიდია საქართველოდან მიგრანტთა რაოდენობა. რუსეთი საქართველოსთვის, ისევე როგორც სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისათვის, წარმოადგენს მიგრაციის ძირითად ქვეყანას. აღსანიშნავია, რომ მთლიანი ფულადი გზავნილების 65 % მოდის რუსეთიდან შემოსულ გზავნილებზე. მეორე ადგილზეა - საბერძნეთიდან და იტალიიდან გადმორიცხული გზავნილები. (იხ. გრაფიკი№ 5)

მიღებული ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით (2011 წ.)

გრაფიკი № 5



წყარო: www.nbg.ge

როგორც ეკონომისტები ამტკიცებენ, ფულად გზავნილებს აქვთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა. მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ინფლაცია. მაგრამ, უპირველესად გავამახვილებ ყურადღებას მის დადებით მხარეზე, რადგან მრავალი ოჯახის ბედი დამოკიდებულია მხოლოდ ამ ფულად გზავნილებზე. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ მრავალი ოჯახი გადარჩა შიმშილს და სიღატაკეს ნათესავებიდან ამ ფულადი გზავნილების მიღებით. გარდა საკვებისა და აუცილებელი ნივთებისა, ისინი მათ ეხმარებიან განათლების მიღებაში, მკურნალობაში და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში (ბინების შეძენა/გარემონტება).

ჩატარებულმა კვლევებმა ფულადი გზავნილების უარყოფითი მხარეც გამოამჟღავნა და აჩვენა, რომ ოჯახები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ფულად გზავნილებზე საზღვარგარეთიდან, იქ ნაკლებია სამუშაოს ძიების მოტივაცია. ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტის[143] (NDI) მიერ 2010 წელს ჩატარებულმა

[143] იხ.www.ndi.org

კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელისა, მხოლოდ 5 % 31% - დან გამოკითხულ უმუშევართა არ არის დაინტერესებული ეძებოს სამსახური. ძალიან ძნელია იმის თქმა, ეს ხალხი დამოკიდებულია თუ არა საზღვარგარეთიდან შემოსულ ფულად გზავნილებზე და რა არის მათი უმოქმედიბის მთავარი მიზეზი.

მანამ, სანამ ემიგრანტს ჰყავს საქართველოში სარჩენი ოჯახი, ის სამშობლოსთან ეკონომიკურ კავშირს ინარჩუნებს. მაგრამ საზღვარგარეთ დაბადებულ მის შვილებს, თუნდაც ორივე მშობელი ქართველი ჰყავდეთ და მით უმეტეს, თუ ისინი ეთნიკურად შერეულ ოჯახში აღიზარდნენ, საქართველოსთან კავშირი უსუსტებათ. ემიგრანტების მომდევნო თაობები ქართველობისათვის შეიძლება დაკარგულები აღმოჩნდნენ. (გაჩეჩილაძე, რ., 2013: 677)

უკანასკნელ წლებში საქართველოში შრომით მიგრანტთა შორის ქალთა წილის უპირატესი ზრდა მნიშვნელოვანია. საერთოდ, ქალთა რაოდენობის მასიური ზრდა საერთაშორისო შრომით მიგრაციაში ტიპიური ტენდენციაა. კვლევებით დადასტურებულია, რომ მრავალ ქვეყანაში შრომის ბაზრის სტრუქტურულმა ცვლილებებმა განაპირობეს შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია: ქალი მარტოხელა, გათხოვილი, უმეტეს შემთხვევაში უკეთესი განათლებით, ვიდრე მამაკაცი, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით საზღვრებს გარეთ ცდილობს მოძებნოს სამუშაო.[144]

საშუალო და მაღალი შემოსავლების ოჯახებში ქალის საოჯახო საქმიანობა დაქირავებულმა სამუშაო ძალამ შეცვალა. განვითარებულ ქვეყნებში ქალთა უმრავლესობამ აუნაზღაურებელი საოჯახო შრომიდან გადაინაცვლა ანაზღაურებად სფეროში, ხოლო მათი ადგილი დაიკავა განვითარებადი ქვეყნებიდან ჩასულმა შრომითმა მიგრანტებმა. მიუხედავად მათი გარკვეული კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმისა, ისინი დასაქმდნენ მომსახურების ინფრასტრუქტურის დაბალ საფეხურზე. მათი უმრავლესობა მოახლედ, მომვლელად, დამხმარე მუშად, გამყიდველად და ოფიციანტად მუშაობს.[145]

---

[144] Selm, I ., (2005).Georgia Looks West, But Faces Migration Challenges at Home, Migration Policy Institute. Georgia: The Tkibuli Region and Rural Migration, (2006).

[145] ჩ. ჯაში & მ. თოქმაზიშვილი, საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილებები,

1990-იან წლამდე საქართველოში ქალთა შრომითი მიგრაცია არ იყო დამახასიათებელი. ტრადიციული, ქართული მენტალიტეტისათვის მიუღებელი იყო, რომ ქალს ოჯახი მიეტოვებინა და ქვეყნის საზღვრებს გარეთ საშოვარზე წასულიყო. მაგრამ არსებულმა რეალობამ, ღრმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, ცხოვრების დონის დაცემამ განაპირობა ის, რომ შრომითი მიგრაცია გახდა საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ერთ-ერთი გზა, მან დასაბამი მისცა ქალთა ფართო მონაწილეობას შრომით მიგრაციაში.[146]

ამგვარად, საქართველოს ეკონომიკური სისტემის ცვლილებების ანალიზმა და ოჯახზე მათი ზემოქმედების თავისებურებების შესწავლამ საშუალება მოგვცა დავასკვნათ შემდეგი:

პოსტსაბჭოთა პერიოდში, თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებულმა ლიბერალურმა რეფორმებმა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სწრაფი ცვლილებების გატარების შესაძლებლობები შექმნა. რუსეთთან ეკონომიკური კავშირების შეწყვეტის და პოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად, ქვეყანამ შეძლო გარკვეული სტაბილურობის შენარჩუნება, თუმცა მრავალი პრობლემა, რაც უშუალოდ დიდ გავლენას ახდენს საქართველოს ოჯახების ეკონომიკურ განვითარებაზე, გადაუჭრელი დარჩა: მეურნეობის არასრულფასოვანი დარგობრივი სტრუქტურა, სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული ჩამორჩენა, ქონების პოლარიზაცია, სიღარიბე, დასაქმება, უმუშევრობა, მიგრაცია და მრავალი სხვა.

სიღარიბე დღეს საქართველოსთვის ერთერთი მთავარი გადაუჭრელი პრობლემაა. მოსახლეობის და ოჯახების ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვრის დაბლა ცხოვრობს. სამწუხაროდ, სიღარიბის შემცირების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მუშაობდა 2008-2012 წლებში, ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა. დაბალმა შემოსავლებმა განაპირობა, რომ ოჯახების 40 % ზე მეტი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ "ახალი ღარიბების" 30 %-ს განათლებული მოსახლეობა შეადგენს. პირველი სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით ოჯახების 70 %-ზე მეტს არ გააჩნია საკმარისი საკვები.

თბილისი, 2009, გვ. 9

[146] ჩ. ჯაში & მ. თოქმაზიშვილი, საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილებები, თბილისი, 2009, გვ. 11

შრომითი ბაზარი ხასიათდება განუვითარებელი ინფრასტრუქტურით და საბაზრო ინსტიტუტებით, დასაქმების შეზღუდულობით, უმუშევრობის მაღალი დონით, პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრების დეფიციტით, არასწორი საკადრო პოლიტიკით, ნეპოტიზმის კანონის მუშაობით, მრავალი ოჯახის და მოსახლეობის ფართო მასებისთვის მიუწვდომელი და უხარისხო საინფორმციო ბაზით.

საქართველოში შრომის ბაზრის არსებული სტრუქტურა ძირითადად ეფუძნება დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ფაქტორების ზემოქმედებას.

1990-2003 წლებში მნიშვნელოვნად გაუარესდა დასაქმების პარამეტრები. მასზე ძირითადად ზემოქმედება მოახდინა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შეცვლის შედეგად სამუშაო ძალის გადანაცვლებამ სოფლის მეურნეობაში, დემოგრაფიულმა მდგომარეობამ, მიგრაციულმა პროცესებმა და მცირე ბიზნესის განუვითარებლობამ.

2004-2012 წლებში დასაქმების პარამეტრები არ გაუმჯობესებულა. მართალია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი 4-ჯერ და მეტად შემცირდა, მაგრამ დაქირავებით დასაქმებულთა შორის ეს სექტორი კვლავ მაღალ წილს ინარჩუნებს. არაფორმალურ სექტორში ჭარბობს თვითდასაქმებულები და უსასყიდლოდ მომუშავე ადამიანების რაოდენობა. ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის კლების საპირისპიროდ გაიზარდა თვითდასაქმებულთა რაოდენობა და სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი შეადგინა.[147]

დღეს დაქირავებით დასაქმებულები სამუშაო ძალის მხოლოდ ერთი მესამედია. აქედან არაფორმალურ სექტორში დაქირავებით დასაქმებულები სახელმწიფო სექტორში დასაქმებულების ნახევარს შეადგენენ. უმუშევრობის დონე კი სტაბილურად 13-14 პროცენტზე მეტია. დასაქმებულთა აბსოლუტურად დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები და ოჯახურ საწარმოში უსასყიდლოდ მომუშავეები არიან. ამ უკანასკნელზე მოდის დასაქმებულთა ერთი

[147] ეს მაჩვენებელი ევროკავშირში საშუალოდ 16 %. თვითდასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საბერძნეთშია, სადაც დასაქმებულთაგან თითქმის ყოველი მესამე თვითდასაქმებულია

მესამედი.[148]

დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით არ შეესაბამება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს. ბაზრის მთავარი პრობლემაა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების არასაკმარისი დონე. არაფორმალურ სექტორში დასაქმება დღემდე ვერ გახდა ეკონომიკურად წარმართველი ძალა.

საქართველოში ფართოდ გავრცელებულია ქალის ორმაგი დატვირთვა - სახლში შრომა და სახლის გარეთ, დაქირავებითი შრომა. დასაქმების გენდერული სურათიდან ნათელია, რომ ოჯახის გარდა ქალს უხდება დასაქმება შინამეურნეობების გარეთ ოჯახის შემოსავლების გაზრდის მიზნით. ასეთი ორმაგი დატვირთვა განპირობებულია ერთის მხრივ, მამაკაცის მიერ გამომუშავებული ფულადი სახსრების ნაკლებობით ოჯახის საჭიროებებისათვის, რაც აიძულებს ქალს იყოს აქტიური შრომის ბაზარზე, ხოლო მეორეს მხრივ, კი ქალი ცდილობს თავისი სოციალური სტატუსის დამკვიდრებას.

როგორც ზემოთ მოტანილი ციფრები მეტყველებენ, ქალი საქმდება კაცის თანასწორად შრომის ბაზარზე, თუმცა განიცდის უთანასწორობას ანაზღაურებაში (იხ. გრაფიკი № 4) დაწინაურებასა და მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში დასაქმებაში, რასაც მეცნიერულად ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სეგრეგაციას და “მინის ჭერის” პრობლემას უწოდებენ.

დღეს საქართველოში ოჯახების უმრავლესობისათვის მწვავედ დგას უმუშევრობის პრობლემა. ქალაქად უმუშევრობა მაღალია და ხანგრძლივი, ხოლო სოფლად დასაქმება დაბალპროდუქტიულია და დღესდღეობით სოფლის მეურნეობა არაეფექტური და დაბალშემოსავლიანია. რეალურად შინამეურნეობები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას ოჯახის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, რომელიც ძირითადად მოიცავს ქალის დაქირავებით შრომას ოჯახის გარეთ და ოჯახში მის მიერ ოჯახის სხვა წევრების მოვლა-პატრონობას, რაც ფულად ფორმაში არ აისახება და არ ითვლება ანაზღაურებად შრომად.

დამსაქმებლებისათვის “უნარების შეუსაბამობა” არის მთავარი პრობლემა, რაც

[148] საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები

კომპანიების ფუნქციონირებასა და ზრდას ხელს უშლის. სტრუქტურული შეუსაბამობა და, განსაკუთრებით, უნარების შეუსაბამობა საქართველოში მიმდინარე საწარმოთა რესტრუქტურიზაციის და სამუშაო ადგილების რელოკაციის პროცესის თანმდევნია, რომელიც ქვეყანაში ახლა მიმდინარეობს.

საგარეო მიგრაციებიდან მიღებული დაფინანსება საქართველოს ოჯახების (მეოთხედზე მეტის) გადარჩენის მთავარი საშუალებაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის მეხუთედზე მეტის (ძირითადად შრომისუნარიანი) "დაკარგვა" ქვეყნისთვის სერიოზულ დემოგრაფიულ, სოციალურ და სხვა, ხოლო ოჯახის და პიროვნების დონზე - მრავალ ფსიქოლოგიურ, მორალურ და ჯანმრთელობის პრობლემებს წარმოშობს. ამიტომაც დღის წესრიგში დგება მიგრაციის სწორი პოლიტიკის შემუშავების და მისი პრაქტიკული განხორციელების საკითხი.

თავი V: ოჯახის განვითარების რეგიონული თავისებურებანი და ძირითადი ასპექტები

(ემპირიული კვლევის მასალების საფუძველზე)

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა პოსტსაბჭოთა საქართველოს ოჯახში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების შესწავლა: ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, ადგილის და როლის განსაზღვრა ქვეყნის განვითარების სტრატეგიებში, ოჯახის განვითარების რეგიონული თავისებურებების გამოვლენა და მათი ანალიზი.

ოჯახის განვითარების რეგიონული ასპექტების ანალიზისთვის ჩვენს ძირითად ინტერესს წარმოადგენდა იმის შესწავლა, თუ როგორ ფუნქციონირებს ოჯახი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვა სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ინსტიტუტებთან მიმართებაში. როგორ შეეგუა ოჯახი დემოკრატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის სიახლეებს, რა გავლენა მოახდინა ამ გარემოებებმა სტატუს-როლურ განაწილებაზე ოჯახის წევრებს შორის, მათ ღირებულებით ორიენტაციაზე, როგორ ამყარებს ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, კავშირს უფრო ფართო სოციალურ სისტემებთან რეგიონალურ და ნაციონალურ დონეზე.

კვლევა ჩატარდა 2009 წლის 2 აგვისტოდან 2013 წლის 25 აგვისტომდე და მოიცვა საქართველოს თითქმის ყველა გეოგრაფიული რეგიონი.

5.1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევითი პროექტი განხორციელდა სამ ძირითად ეტაპად:

1. პირველ ეტაპზე ჩავატარეთ საკაბინეტო კვლევა, რომლის ფარგლებშიც გავეცანით ოჯახის შესახებ არსებულ ლიტერატურას (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), მოვიპოვეთ სტატისტიკური მონაცემები საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებიდან, მოვაგროვეთ მეორადი მონაცემების (საქართველოსა და მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული რელევანტური კვლევები), რამაც შესაძლებელი გახადა სრულყოფილი სიტუაციური ანალიზის გაკეთება;

2. კვლევის შემდგომ ეტაპზე განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა, პირისპირ ინტერვიუსა და ანკეტირების გზით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 448 ინტერვიუ თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით.

3. კვლევის მესამე ეტაპი მოიცავდა 23 ხანგრძლივ და დეტალურ სიღრმისეულ ინტერვიუს, მათ შორის 6 გახლდათ ქალაქის მცხოვრები, 17 კი-სოფლად მაცხოვრებელი. თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ჩავატარეთ 6 ფოკუს-ჯგუფი (ორ-ორი თითო ქალაქში) 18-დან - 76 წლამდე ასაკის ქალებთან და კაცებთან. ფოკუს-ჯგუფების რესპონდენტებს წარმოადგენდნენ სხვადასხვა ასაკის, განათლების, დასაქმების, სოციალური სტატუსის, შემოსავლის და ოჯახური მდგომარეობის მქონე ადამიანები.

5.1.1. შერჩევის მახასიათებლები

- რაოდენობრივი კვლევა:

შერჩევის მოცულობა: სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური პროფილის მქონე 448 რესპონდენტი, მათ შორის 307 ქალი და 141 კაცი 18-დან 76-წლამდე. რესპონდენტთა შერჩევის პროცესში მთავარ მიზანს წარმოადგენდა კვლევაში გეოგრაფიული, სოციალური, ეთნიკური და დემოგრაფიული მახასიათებლების წარმომადგენლობა. აღნიშნული კვლევისათვის შერჩევის მოცულობა განაწილდა თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონს შორის. (იხ. ცხრილი № 23)

ცხრილი № 23

	გეოგრაფიული ერთეულები	რესპონდენტთა რაოდენობა		
		ქალი	კაცი	სულ
1	თბილისი	50	15	65
2	აჭარა			
	ბათუმი	25	10	35
	შუახევი	5	3	8
	ხულო	12	5	17
	გონიო	5	2	7
	ქობულეთი	10	5	15
3	გურია			
	ლანჩხუთი	5	2	7
	ოზურგეთი	6	3	9

4	იმერეთი			
	ქუთაისი	15	7	22
	ბაღდათი	5	2	7
5	კახეთი			
	თელავი	11	5	16
	ახმეტა	7	3	10
	სოფ. ზემო ალვანი	3	1	4
	სოფ. ქვემო ალვანი	2	1	3
	გურჯაანი	6	1	7
6	მცხეთა-მთიანეთი			
	მცხეთა	7	2	9
	სოფ. მისაქციელი	2	1	3
	დუშეთი	6	4	10
	სოფ. მლეთა	3	1	4
	დაბა სტეფანწმინდა	6	2	8
	სოფ. სნო	3	1	4
	სოფ. არშა	3	1	4
	დაბა თიანეთი	3	9	12
7	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი			
	ამბროლაური	5	7	12
	დაბა ლენტეხი	3	2	5
8	სამეგრელო და ზემო სვანეთი			
	ზუგდიდი	11	6	17
	მესტია	5	4	9
9	სამცხე-ჯავახეთი			
	ასპინძა	5	3	8
	ახალქალაქი	9	4	13
	სოფ. რუსთავი	3	1	4
10	ქვემო ქართლი			
	რუსთავი	7	5	12
	გარდაბანი	8	3	11
	მარნეული	22	8	30
	თეთრი-წყარო	4	3	7
	წალკა	10	2	12

11	შიდა ქართლი			
	ქ. გორი	10	5	15
	სოფ. ბერბუკი	5	2	7

საველე სამუშაოები (რესპონდენტთა გამოკითხვა) ჩატარდა ძირითადად ოჯახებში.

- **თვისებრივი კვლევა**

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩატარდა 23 ხანგრძლივი და დეტალური პერსონალური სიღრმისეული ინტერვიუ: თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ჩავატარეთ 6 ფოკუს-ჯგუფი (ორ-ორი თითო ქალაქში) შემდეგი შემადგენლობით: გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები; ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 5 ექსპერტისაგან (გეოგრაფი, სოციოლოგი, დემოგრაფი, ეთნოგრაფი და ფსიქოლოგი); სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის მქონე სრულწლოვანი ქალები და მამაკაცები. ხულოში, ბაღდათში, ამბროლაურში, თეთრი-წყაროსა და ყაზბეგის რაიონებში ვცხოვრობდი ოჯახებში და ვაწარმოებდი ჩართულ დაკვირვებას (participant observation), როგორც მონაწილე წევრი.

5.1.2 კვლევის ინსტრუმენტი

რაოდენობრივი კვლევისთვის (მასობრივი გამოკითხვისთვის) შევადგინეთ კითხვარი, მისი შედგენისას ვიხელმძღვანელეთ ქალთა კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ICRW) მიერ შემუშავებული კითხვარის[149] ადაპტირებული ვარიანტით. მოხდა კითხვარის ადაპტაცია საქართველოს რეალობის თავისებურებების გათვალისწინებით, ხოლო ამ თავისებურებების იდენტიფიცირება მოხდა ფოკუს-ჯგუფების პროცესში.

კითხვარი სტრუქტურიზებულია და მოიცავს სხვადასხვა ტიპის - დახურულ, ნახევრად დახურულ და ღია შეკითხვებს. იგი შედგებოდა 86 კითხვისაგან (იხ. დანართი №3) და ეხებოდა რესპონდენტთა ეკონომიკურ და სოციალურ

[149] ეს კითხვარი მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში (ბრაზილიაში, ჩილეში, ხორვატიაში, მექსიკაში, რუანდასა და ბოსნიაში) გამოიყენებოდა გენდერული ძალადობის, საოჯახო საქმეების განაწილების ბავშვის აღზრდის პროცესში კაცების ჩართულობის და გენდერული თანასწორობის იდეების მიმართ ქალებისა და კაცების დამოკიდებულების შესასწავლად

მდგომარეობას, ურთიერთობებს ოჯახში და მის გარეთ, თანასწორობას, მოვალეობებისა და შრომის გადანაწილებას ოჯახის წევრებს შორის, მათ რელიგიურ ქცევასა და მრწამს, პიროვნულ მდგომარეობას და მათ დამოკიდებულებას სხვადასხვა ტრადიციული ღირებულებებისადმი და ნორმებისადმი.

თითოეული ინტერვიუ დაახლოებით 60-80 წუთი გრძელდებოდა. სამწუხაროდ, ბევრმა არ ისურვა ინტერვიუს დიქტოფონზე ჩაწერა და, ამიტომ, ბევრი ინტერვიუ კითხვარების შევსებით და პირადი გამოკითხვით შესრულდა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა ჩანაწერების დეტალური გაშიფვრისა და ტრანსკრიპტების მომზადების საფუძველზე.

თვისებრივი კვლევისათვის გამოვიყენეთ ნახევრად სტრუქტურიზებული კითხვარი (გაიდლაინი).

ცხრილი № 24

ოჯახის წევრთა რაოდენობა	ინტერვიუს ხანგრძლივობა (წთ.)
1	60,0
2-4	70,0
5-9	73,9
10 +	82,0

კვლევისთვის ავირჩიე 3 სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფი (18-34, 35-55 და 56 და ზემოთ).

ცხრილი № 25

ასაკობრივი ჯგუფი	ქალი	კაცი	სულ
18-34	124	34	158
35-55	138	84	222
56 და ზემოთ	45	23	68

საქართველოში საველე სამუშაოების დროს გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს რესპოდენტებთან ინტერვიუს ჩატარება სხვა პირების დასწრების გარეშე, განსაკუთრებით კი - სოფლად. სხვა პირების დასწრების გარეშე ჩავატარეთ ინტერვიუების 54 %, დანარჩენ 46 %-ის შემთხვევაში ინტერვიუს ესწრებოდნენ სხვა პირები, ხშირ შემთხვევაში მეუღლეები, შვილები, მეზობლები ან ოჯახის სხვა

წევრები. ჯამში გამოკითხულ იქნა 280 ოჯახი. მათ შორის 67 არაქართული: 35 - აზერბაიჯანული, 8 - რუსული, 2 - ქურთული, 3 - ბერძნული, 4 - ოსური, 15 - სომხური.

მეუღლეებს ცალ-ცალკე უტარდებოდათ ინტერვიუ. კითხვები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ასაკი, განათლება, პროფესია, ოჯახის ისტორია, დამოკიდებულება სამუშაოსა და პროფესიისადმი, მეუღლეებს შორის ურთიერთობები, კონფლიქტების გადაჭრის გზები, პასუხისმგებლობების "ზონებად" გადანაწილება, ფინანსების განაწილება, უფროსობის საკითხი, ოჯახური ღირებულებები, ბავშვის აღზრდის საკითხები, დროის განაწილება ოჯახში, შრომის განაწილება, ერთ-ერთი წევრის შრომითი მიგრაციიდან ოჯახის დახმარება, მეუღლებრივი ურთიერთობების შეცვლის სურვილი, შესაძლებლობები და გზები.

სამიზნე ჯგუფის შერჩევა მოხდა ე.წ. snow ball – ზვავისებური მეთოდით.

- **მონაცემთა ანალიზის მეთოდები**:

მოვახდინეთ მოპოვებული მონაცემების ტიპოლოგიზაცია. თემატური ბლოკების გამოყოფა, მიღებულ მონაცემთა რანჟირება. სტატისტიკური მონაცემები და რაოდენობრივი გამოკითხვის მონაცემები დამუშავდა SPSS 19.0-ში. ექსპერტთა აზრის შესწავლა და მიღებული მონაცემების დამუშავება მოხდა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის საფუძველზე. განვახორციელეთ მონაცემების კორელაციური, რეგრესიული და ფაქტორული ანალიზი. მიღებულ მასალაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ძირითადი დასკვნები და გამოვლინდა შესაბამისი კანონზომიერებები.

კვლევამ გამოავლინა გარკვეული საკითხები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულად არის წარმოდგენილი. ქვემოთ თქვენ ყურადღებას მივიპყრობთ შემდეგ საკითხებზე, როგორიცაა: სიღარიბე, დასაქმება, ჯანმრთელობის და განათლების პრობლემები, მეუღლეებს შორის ურთიერთობები, ფინანსების განაწილება, უფროსობის საკითხი, ოჯახური ღირებულებები, ბავშვის აღზრდის საკითხები, დროის და შრომის განაწილება ოჯახში, შრომითი მიგრაციიდან ოჯახის დახმარება, გადაწყვეტილებების მიღება და სხვა.

5.2. კვლევის შედეგები

როგორც რაოდენობრივი კვლევის შედეგები გვიჩვენებს ქორწინებაში იმყოფება და ამჟამად მეუღლესთან ცხოვრობს გამოკითხული მოსახლეობის ნახევარზე მეტი (56 %). ყოველი მეხუთე ადამიანი არ არის დაოჯახებული (22 %), ხოლო გამოკითხულთა 5 % აცხადებს, რომ განქორწინებულია. განქორწინების ინდექსი მაღალია ქალაქის მოსახლეობაში (7 %) და დაბალია სოფლის მოსახლეობაში (2 %). გამოკითხული ქალების 18 % ქვრივია, ასეთივე სტატუსის მამაკაცების ხვედრითი წილი არ აღემატება 6 %: ქორწინების გარეშე პარტნიორთან ცხოვრობს რესპონდენტთა 4 %.

ოჯახის საშუალო სიდიდე შეადგენს ოთხ წევრს. ოჯახების უმრავლესობა (59 %) ცალკე ცხოვრობს, 27 % მამაკაცის მშობლებთან ან ნათესავებთან, 3 %-მა კითხვას არ უპასუხა.

ჩვენს საკვლევ რაიონებში ოჯახის შექმნის ძირითადი ფორმა (ისე, როგორც საქართველოში მთლიანად) სამოქალაქო რეგისტრირებული ქორწინებაა. რესპონდენტების უმრავლესობა სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფება (89 %), მარტო საეკლესიო ქორწინებაში იმყოფება რესპონდენტთა 27 %.

გამოკითხულ ოჯახებში ახალგაზრდა წევრების ქორწინება რეგისტრირდება, როგორც სამოქალაქო უწყებაში, ასევე ეკლესიაში (ჯვრისწერის სახით). გამოკითხულ ოჯახთა ახალგაზრდა წევრების, რომლებიც სამოქალაქო და რელიგიურ ქორწინების მაჩვენებელი 25 % აღემატება.

მოსახლეობის ქორწინებითი ქცევის შესწავლამ გვიჩვენა, რომ რესპონდენტთა 5 % იმყოფება მეორე ქორწინებაში. გენდერული განსხვავება განმეორებით ქორწინებაში კარგად ჩანს ქორწინების შორის ინტერვალში. როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, მეორედ მამაკაცები უფრო მალე ქორწინდებიან, ვიდრე ქალები.

ოჯახების სიდიდის შესწავლამ გვიჩვენა, რომ საკვლევი რეგიონების უმრავლესობაში რთული გაფართოებული ოჯახებია გავრცელებული. ეს განსაკუთრებით ეხება სამეგრელოს რეგიონს, მთიან აჭარას, სამცხე-ჯავახეთს, ქვემო ქართლს.

საქალაქო დასახლებულ პუნქტებში გამოკითხულ ოჯახთა უმრავლესობა ნუკლეარულია.

კვლევის პროგრამა ითვალისწინებდა მოსახლეობის რწმენის და ურთიერთდამოკიდებულებების შესწავლას. როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, ოჯახი ქართული საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღირებულებათა იერარქიაში, ოჯახი. როგორც ქალების, ისე მამაკაცების აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში პირველ ადგილზე დგას (89 %).

ოჯახთა შექმნა რესპონდენტების აზრით, არის "ადამიანის ცხოვრების აუცილებელი კომპონენტი". ჩვენს საზოგადოებაში, ოჯახის შექმნის გარეშე ადამიანის ცხოვრება არ მოიაზრება სრულფასოვნად. გამოკითხულთა მესამედზე მეტი (38 %) მიიჩნევს, რომ "ცუდ ქორწინებაში ყოფნა ჯობია საერთოდ დაუოჯახებლად ყოფნას". საზოგადოება თვლის, რომ ოჯახი უფრო მნიშვნელოვანია ქალისთვის, რადგან "ქალმა უნდა შეასრულოს თავისი მთავარი დედობის ფუნქცია".

მეორე ღირებულებას, რასაც რესპონდენტთა უმრავლესობა ასახელებს არის სამსახური. განსაკუთრებით მაღალია ხვედრითი წილი სოფლის მოსახლეობაში, სადაც სამუშაო ადგილების შეზღუდული რაოდენობაა. რეგიონების მიხედვით თუ განვიხილავთ, ყველაზე დიდი მოთხოვნა არის მთიან რაიონებში (ხევი, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი).

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რელიგიისადმი პატივისცემა მესამე მნიშვნელოვანი ღირებულებაა, თუმცა ეკლესიურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიხედვით, ნათლად ჩანს გენდერული განსხვავება. მამაკაცებისგან (54.5 %) განსხვავებით, ქალების უფრო დიდი ნაწილი (62.3 %) აქტიურად არის ჩაბმული საეკლესიო ცხოვრებაში. მათი დიდი ნაწილი კვირაში ერთხელ მაინც ესწრება საეკლესიო წირვა-ლოცვებს. ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებლებია შემდეგ რაიონებში (იმერეთი, გურია, სამეგრელო, დუშეთი, ყაზბეგი, ქ. თბილისი)

განსაკუთრებულად მაღალი რელიგიური აქტიურობა მამაკაცებს შორის გამოიკვეთა მუსლიმებით დასახლებულ რაიონებში. ამ რეგიონებში გამოკითხულ მამაკაცთა 80 %-ზე მეტი სისტემატიურად მონაწილეობს პარასკევის ლოცვებში

მეჩეთებში ან სხვადასხვა შეკრების ადგილას.

გამოკითხულთა პასუხების შედარებამ გვიჩვენა, რომ ახლგაზრდები, როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, უფრო რელიგიურნი არიან და აქტიურად მონაწილეობენ საეკლესიო ცხოვრებაში, ვიდრე უფროსი თაობის მოსახლეობა. ახალგაზრდები სისტემატიურად ესწრებიან წირვა-ლოცვებს, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად.

კვლევამ ცხადყო, რომ მოსახლეობა რელიგიური წესების შესრულებისთვის მაღალ მზაობას ამჟღავნებს. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს ოჯახის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენების (ბავშვის დაბადება, ქორწინება, გარდაცვალება) დროს საეკლესიო წესების და რიტუალების შესრულების აუცილებლობას.

ტრადიციული ღირებულებებიდან საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქორწინების ინსტიტუტს. ჩვენს მიერ გამოკითხულთა მხოლოდ 4.5 % თვლის, რომ "ქორწინება მოძველებული ინსტიტუტია".

კითხვაზე "ეთანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ წყვილს შეუძლია ქორწინების გარეშეც იცხოვროს ერთად", დადებითად უპასუხა გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ მეოთხედმა, უმრავლესობა (62 %) ამ მოსაზრებას არ ეთანხმება.

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ქართული საზოგადოებისათვის ოჯახის ინსტიტუტი ქართულ ტრადიციებს უკავშირდება და ნაციონალურ იდენტობასთანაა დაკავშირებული. არსებობს მყარი წარმოდგენები, თუ როგორი უნდა იყოს კარგი ქართული ოჯახი, როგორი უნდა იყოს ოჯახის წევრთა ქცევა და უფლება-მოვალეობანი.

ქალის და მამაკაცის ფუნქცია-მოვალეობაც საკმაოდ ტრადიციულ, სტერეოტიპულ ნორმებს ემყარება. ქართულ საზოგადოებას ახასიათებს გარკვეული ოჯახური იერარქია და სუბორდინაცია ოჯახის წევრებს შორის, რაც გამყარებულია პატრიარქალური წარმოდგენებით. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ერთერთი ასეთი წარმოდგენა, რომელიც ფუნდამენტალურად შეიძლება მოვიაზროთ, ეხება მამაკაცის როლს, რომელიც მიიჩნევა ოჯახის მთავარ მარჩენალად და შემომტანად.

ის, რომ მასკულინური დომინაცია პრიორიტეტულია ქართულ ოჯახში ამაზე

მეტყველებს რესპონდენტთა დიდი ნაწილის (88 %) აზრი, რომ იდეალურ შემთხვევაში ოჯახის მარჩენალი კაცი უნდა იყოს, მხოლოდ 3 % თვლის, რომ შეიძლება ქალმა შეითავსოს ეს ფუნქცია, მხოლოდ 8 % მიიჩნევს, რომ ქალსა და კაცს თანაბრად უნდა შეჰქონდეთ წვლილი ოჯახის რჩენაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დიდი განსხვავებაა არაა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში. შედარებით ლიბერალურია ქალაქის მოსახლეობა, თუმცა რეალობის შეფასებისას, გამოკითხულები აფიქსირებდნენ, რომ საქართველოს ოჯახებში სიტუაცია მათ მიერ წარმოდგენილი იდეალისგან განსხვავდება, რადგან კვლევისას გამოკითხულთა მესამედი თვლიდა, რომ საქართველოს ოჯახების უმრავლესობაში დღესდღეობით ოჯახის მარჩენალი ხშირად ქალია, რაც "უარყოფით გავლენას ახდენს სრულფასოვანი ოჯახის შენარჩუნებისთვის".

ქართულ საზოგადოებაში ოჯახი არის ის ექსკლუზიური სფერო, რომლის შიგნითაც ქალი მოიაზრება დიასახლისად და დედად, ოჯახის გარეთ საქმიანობა კი ითვლება მამაკაცის პრიორიტეტად; ის გვევლინება, როგორც "ოჯახის მარჩენალი" და "ოჯახის უფროსი" მთელი "ძალაუფლებით".

"კაცის საქმეა ოჯახის გარეთ სამსახური, პროფესიონალური წინსვლა და ოჯახის ფინანსურად უზრუნველყოფა, ხოლო ქალის მოვალეობაა ოჯახის მოვლა, ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვა". "ქალი უფრო ბავშვის გაზრდითა და ოჯახის მოვლით უნდა იყოს დაკავებული". (ეს პასუხები მივიღეთ რესპონდენტთა 48 %-გან)

გამოკითხულთა 62 % თვლის, რომ "ქალი უფრო მეტად ოჯახით ფასობს, ვიდრე სამსახურში წარმატებით".

რესპონდენტთა უმრავლესობა (76 %) თვლის, რომ "კაცის საქმეა სახლის გარეთ მუშაობა და ოჯახის შემოსავლით უზრუნველყოფა, ხოლო ქალის მოვალეობაა სახლის და ოჯახის მოვლა".

როგორც კვლევამ გვიჩვენა, საოჯახო საქმეები გენდერულად ჯგუფდება- სეგრეგირებულია: "კაცური საქმეებია" - საოჯახო ნივთების შეკეთება, პროდუქტებით მომარაგება, გადასახადებების გადახდა. "ქალურ საქმიანობად" ითვლება - ბავშვის და სხვა წევრების მოვლა.

საინტერესოა პროფ. ი. კაჭკაჭიშვილის ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის

ფაქტობრივი ანალიზი, რომლის მიხედვით აქტივობები დაჯგუფებულია სქესობრივი კუთვნილების მიმართ "მგრძნობელობით".[150] იგივე გამოკითხვით დასტურდება, რომ "ქალურ" საქმეებად მიჩნეულ აქტივობებს (საჭმლის მომზადება, სახლის დალაგება, აბაზანის დასუფთავება, ტანსაცმლის გარეცხვა) გოგონათა გამოკვეთილ უმრავლესობას ასწავლიან. უმცროს და-ძმაზე ზრუნვასაც კი უფრო მეტად გოგონებს ასწავლიან, ვიდრე ბიჭებს (ქალების 72 % და კაცების 65 % აცხადებს, რომ სანამ 18 წლის გახდებოდნენ, მშობლები მათ ამას ასწავლიდნენ).[151] აქტივობები, რომელთა სწავლაც ბიჭებისთვისაა წახალისებული შემდეგია: პირადი ჰიგიენის დაცვა (მამრობითი სქესის რესპონდენტთა 96 % აცხადებს, რომ მათ ასწავლიდნენ), სასოფლო-სამეურნეო საქმეები (კაცების 71 %), ეზოს დასუფთავება (კაცების 68 % ამბობს, რომ ასწავლიდნენ).[152]

ოჯახში დასაქმების პატრიარქალური პრაქტიკა რესპონდენტების მიერ არ არის გაცნობიერებული, როგორც უთანაბრო, დისკრიმინაციული. ოჯახში დასაქმების არსებული მოდელის მიმართ ქალებს და მამაკაცებს თითქმის იდენტური შეფასება გააჩნიათ და კმაყოფილნიც არიან. ამაზე არსებით გავლენას არ ახდენს რესპონდენტთა არც ასაკი, არც განათლება, არც ეროვნება და არც სხვა მახასიათებლები.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ პატრიარქალური გენდერული სტერეოტიპები საქართველოს მოსახლეობაში მყარია და რესპონდენტთა უმრავლესობაში არ არსებობს არათუ ამ სტერეოტიპებზე კრიტიკული რეფლექსი, არამედ ამით გამოწვეული უთანასწორობა კარგად გაცნობიერებულიც კი არის.

პატრიარქალური ღირებულებები ყველაზე კარგად თავს იჩენს ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქართულ სინამდვილეში ოჯახის მართვის ბერკეტებს ფლობს მამაკაცი, რაც განპირობებულია მისი მატერიალური უპირატესობით და სხვა კულტურული თუ ფსიქო-სოციალური მემკვიდრეობით. ოჯახის შიგნით ძალაუფლების ინსტიტუტზე სერიოზული კვლევები აქვთ

---

[150] ი. კაჭკაჭიშვილი, ხ. ნადარაია - კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში, თბილისი, 2014, გვ. 6-7

[151] იქვე, გვ. 7

[152] ი. კაჭკაჭიშვილი, ხ. ნადარაია - კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში, თბილისი, 2014, გვ. 7

ჩატარებული პროფ. ნ. სუმბაძეს, პროფ. ი. კაჭკაჭიშვილს, პროფ. ნ. ჯავახიშვილს, პროფ. ი. ბადურაშვილს, პროფ. ნ. დურგლიშვილს და სხვებს. მათ შრომებში ვლინდება გენდერულ-იერარქიული მიმართებები ოჯახში კაცსა და ქალს შორის, გენდერული სუბორდინაცია მამაკაცის სასარგებლოდ, გენდერულ როლებთან დაკავშირებული აღქმები, სტერეოტიპები და სოციალური ნორმები.

ჩვენი კვლევის შედეგებიც ცხადყოფს გენდერული უთანასწორობის არსებობას ოჯახის შიდა ძალაუფლების სტრუქტურაში. გამოკითხული რესპონდენტების 69 % თვლის, რომ ოჯახის უფროსი მამაკაცი უნდა იყოს და მას ეკუთვნის გადაწყვეტილების მთავარი ხმა. ჩვენს კვლევაში ოჯახების უმრავლესობაში (მთიან რაიონებში - სვანეთი, ხევი, თიანეთი; სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი) გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ, ძირითადად, იდეის დონეზე მეუღლეები შეგნებულად მოქმედებენ მიზნის დასახვისას, მაგრამ მამაკაცი ერთპიროვნულად წყვეტს ოჯახური შემოსავლის ხარჯვის საკითხს, როდესაც საკითხი ეხება ძვირადღირებულ ნივთებს (სახლს, მანქანას, ავეჯს), გადასახადების გადახდის, სარემონტო სამუშაოების და სხვა საკითხებს. ყოველდღიურ (სადილის, თუ სხვა საჭიროებების) ხარჯებზე გადაწყვეტილებას ძირითადად ქალი იღებს, მას ამისთვის წინასწარ გამოყოფილი აქვს ხარჯები მეუღლის მიერ. გაფართოებულ ოჯახებში სადილის ხარჯებზე ხშირად გადაწყვეტილებას იღებენ უფროსი თაობის წარმომადგენლები (ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა სამეგრელოში, ქვემო ქართლში, სვანეთში, მცხეთა-მთიანეთში, მთიან აჭარაში).

ასეთი პატრიარქალური ტიპის ოჯახებში, სადაც გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად ხდება, მაგრამ ზოგიერთ საკითხზე, მაგალითად, ბავშვის აღზრდის და განათლების, თავისუფალი დროის გატარების დაგეგმვის და სხვა საკითხების გადასაწყვეტად პარტნიორების ქცევა ბიუჯეტის მართვაში ხასიათდება მეუღლეთა სოლიდარობით. აქ თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ტენდენცია, რაც ნაკლებშემოსავლიანია ოჯახი, მით მაღალია სოლიდარობის დონე მეუღლეთა შორის ოჯახის მატერიალური რესურსების მართვაში.

ეგალიტარული ტიპის ოჯახებში, ოჯახის ბიუჯეტში შემოსავლის წვლილის მიუხედავად, მეუღლეები სოლიდარობას იჩენენ მატერიალური რესურსების და სხვა

ხარჯების გადაწყვეტილების საქმეში. ისეთ ოჯახებში, რომელთა ეკონომიკური სტატუსი შედარებით მაღალია, ქალთა როლი გადაწყვეტილებების მიღების საქმეში შედარებით მნიშვნელოვანია. ასეთი ტენდენცია უფრო მეტად საქალაქო ტიპის დასახლებებში და თბილისში შეინიშნება.

ოჯახში გადაწყვეტილების მიღების კულტურული მოდელი ცვლილებებს განიცდის ახალგაზრდა მოსახლეობაში. რაც უფრო ახალგაზრდაა ოჯახი, მით უფრო სოლიდარულია და ქალიც უფრო დაწინაურებულია საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების საქმეში და, შესაბამისად, უფრო მაღალია მისი დამოუკიდებლობის ხარისხი.

ზემოთ მიღებული შედეგების მიუხედავად, კვლევის შედეგები კვლავ აფიქსირებს ქართულ ტრადიციულ აღქმას და ჩვეულებებს, რომელიც ქალს ხატავს, როგორც მორჩილ ცოლს, დიასახლისს და დედას. ქალისთვის კარიერა მეორეხარისხოვნად ითვლება, ის უნდა იყოს შეთავსებული მეუღლის და დედის როლთან. კაცის შემთხვევაში პირიქითაა, კარიერას დიდი მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად, სოციალურ დონეზე ქალს მოეთხოვა, რომ კაცის მორჩილი იყოს და თავისი სოციალური რეალიზაცია მოახდინოს კაცის სურვილების შესაბამისად.

“კარგი ცოლი უნდა დაემორჩილოს მეუღლეს, მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმება მას”- ასე თვლის გამოკითხულთა უმრავლესობა, მამაკაცების (78 %) და ქალების (58 %).

ასევე, რესპონდენტების დიდი ნაწილი (48 %) ეთანხმება დებულებას, რომლის თანახმად “მნიშვნელოვანია, კაცმა აჩვენოს ცოლს, ვინ არის სახლში უფროსი”. ამ შემთხვევაშიც კაცების უმრავლესობის (58 %) აზრით, ქალების ხვედრითი წილი კი შედარებით დაბალია (44 %).

ერთია, რომ ოჯახის შიგნით არსებული იერარქია პრობლემურია, მეორე, რაც მთავარია, ესაა თავად ქალთა პოზიტიური დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, მაგალითად, ეს კარგად გამოიხატა ქალთა დიდი ნაწილის (75 %) დაბალი თვითშეფასებით და მორჩილებისაკენ მიდრეკილებით.

როგორც ვხედავთ, ქალის დაქვემდებარებული როლი და ნებისმიერი შეზღუდვა უარყოფითად აისახება ქალის თვითშეფასებაზე. ამან შეიძლება განაპირობოს მისი დაქვემდებარებული ქცევა ოჯახის გარეთაც. დაბალი თვითშეფასება განაპირობებს

დაბალ ამბიციურობას: ნაკლები ამბიციის მქონე პიროვნება სამსახურის ძიების პროცესში ხშირად თანხმდება დაქვემდებარებულ და არაპრესტიჟულ, მისი პროფესიული გამოცდილებისათვის არამისაღებ პირობებზეც.

საინტერესოა გამოკითხულთა მოსაზრება მეუღლეთა შორის იმ უთანხმოების შესახებ, რომლებიც ეხება: საოჯახო საქმეებს, მშობლებთან ურთიერთობებს, ფინანსურ საკითხებს, ბავშვთა აღზრდას, მეგობრებთან ურთიერთობებს, თავისუფალი დროის გატარებას, ინტიმურ ურთიერთობებს და სხვა.

ყველაზე ხშირი უთანხმოების შემთხვევები გამოკითხულთა შორის გამოიკვეთა რესპონდენტთა 76 %-ს შორის. ეს ეხება საოჯახო საქმეებს, ფინანსურ საკითხებს და მშობლებთან ურთიერთობებს.

კითხვაზე, როგორ წყდება თქვენს მეუღლესთან წარმოქმნილი უთანხმოება: რესპონდენტთა უმრავლესობაში, ქალები მიდიან დათმობაზე, ან ჩუმდებიან და არ გამოთქვამენ საკუთარ აზრს (42 %), მამაკაცების მხოლოდ 12 % თმობს პოზიციებს. კონფლიქტის შედეგად ძალადობა ოჯახში აღნიშნა რესპონდენტთა მხოლოდ 4 %-მა.

კვლევის პროგრამის თანახმად, ყველა რესპონდენტს ეთხოვა შეეფასებინათ მეუღლე 10-ქულიანი შკალით. შედეგებმა გვიჩვენა, რომ ზოგადად რესპონდენტები კმაყოფილნი არიან მეუღლესთან ურთიერთობით. რასაკვირველია აზრთა სხვაობა შეინიშნება ასაკის მიხედვით, შედარებით უარესდება ასაკის მომატებასთან ერთად.

საინტერესო იყო გამოკითხულთა მოსაზრება განქორწინებასთან დაკავშირებით. “განქორწინება საუკეთესო გამოსავლად მიაჩნია, როდესაც წყვილი ვერ აგვარებს ოჯახურ პრობლემებს და ხშირად აქვთ უთანხმოება” რესპონდენტების 59 %-ს; ოჯახის გადარჩენაში მონაწილეთა როლების შეფასებაში განსხვავებულია გენდერული ასპექტით. კითხვაზე - “იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ოჯახი ქმარმა უნდა მოითმინოს გარკვეული შეურაწყოფა მეუღლისაგან” პოზიტიურად უპასუხა რესპონდენტების 32 %-მა; კითხვაზე - “იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ოჯახი, ცოლმა უნდა მოითმინოს გარკვეული შეურაწყოფა მეუღლისაგან”, დადებითად უპასუხა რესპონდენტების თითქმის ნახევარმა (48 %-მა). ე.ი. რესპონდენტთა აზრით, ოჯახის გადარჩენაზე ქალმა მეტად უნდა იზრუნოს და მეტ დათმობებზე უნდა წავიდეს.

როგორც თვისებრივი კვლევის მონაცემები აჩვენებს, მონაწილე ქალების აზრით,

განქორწინების სიხშირემ იმატა წინა პერიოდებთან შედარებით. განქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემები ქალებისათვის უფრო მეტად სერიოზულად დგას, ვიდრე მამაკაცებისათვის. ყველა აღნიშნული დისკრიმინაციული შეფასება აძლიერებს ქალის მეორეხარისხოვან და დამმორჩილებულ პოზიციას ქართულ საზოგადოებაში და ბარიერად გვევლინება ქალის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

რესპონდენტთა რეპროდუქციული ქცევის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არასასურველი ორსულობის დონე ორსულ რესპონდენტებში 24 % შეადგენდა. მეუღლეებს შორის ორსულობის დაგეგმვის თაობაზე თანხმობის დონე მაღალია (82 %), ანუ მათი რეპროდუქციული ორიენტაციები საკმარისად ახლოსაა ერთმანეთთან.

ბავშვის ყოლასთან დაკავშირებული განზრახვების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია ოჯახის დაგეგმვის პროგრამების წარმატებით განხორციელებისათვის. რესპონდენტების განზრახვა ბავშვის ყოლასთან დაკავშირებით განპირობებული იყო შვილების ფაქტობრივი რაოდენობით. ორ და სამშვილიან ოჯახებში ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება თითქმის ნულის ტოლია. უახლოეს 3 წელიწადში ბავშვთა ყოლის განზრახვა გააჩნია ყველა უშვილო ოჯახს. ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებაზე გავლენას ახდენს ოჯახის ეკონომიკური სტატუსი, ღარიბ ოჯახებში ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება ძალზე დაბალია მატერიალური სიდუხჭირის გამო, გარდა ამისა, როგორც კვლევამ გვიჩვენა რეპროდუქციულ ორიენტაციებზე გავლენას ახდენს განათლება და ქალის ოჯახის გარეთ დასაქმება. კაცის მშობიარობაზე დასწრებასთან დაკავშირებით რესპონდენტთა უმრავლესობა 65 % უარყოფით პასუხს იძლევა, უფრო მეტ უარყოფით დამოკიდებულებას (73 %) მამაკაცები აფიქსირებენ.

ოჯახის დაგეგმავსთან დაკავშირებული საკითხების კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ არასასურველი ორსულობის პრობლემა ძირითადად ქალის გადასაწყვეტი პრობლემაა. ყოველმა მეოთხე მამაკაცმა არ იცოდა თუ რა მეთოდს იყენებდა მისი მეუღლე ორსულობის თავიდან ასაცილებლად. კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებს ფართოდ იყენებენ ქალაქის მოსახლეობაში; აქ დიდი მნიშვნელობა აქვს განათლების დონეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (64 %)

იყენებს კონტრაცეფციის ტრადიციულ მეთოდებს. ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე დიდ გავლენას ახდენს აბორტი. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ ქალთა (18-49 წწ.) შორის 68 %-ს ერთი აბორტი მაინც აქვს გაკეთებული. კვლევამ გვიჩვენა, რომ ხელოვნური აბორტის რაოდენობა მეტია 2 და მეტ შვილიან დედებთან, ამასთანავე, რაც მაღალია ქალის განათლების დონე, მით უფრო კლებულობს ხელოვნური აბორტის რაოდენობა; ამასთანავე ქალის დასაქმების სტატუსი გვევლინება აბორტის ერთ-ერთ მიზეზად. აღსანიშნავია სელექციური აბორტების რაოდენობა: რესპონდენტთა 3.1 % -მა ხელოვნურად შეწყვიტა ორსულობა მისთვის ნაყოფის არასასურველი სქესის გამო (ძირითადად, მდედრობითის). ოჯახში ბავშვის სქესის მიმართ არსებული პრევენციები აშკარად მეტყველებს მამაკაცის პრივილიგირებულ პოზიციაზე. აბორტი, როგორც შობადობის კონტროლის საშუალება, ხშირად უშვილობის მიზეზიც ხდება. აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც უშვილობაზე მკურნალობდნენ, ყოველ მე-5-ს ერთი აბორტი მაინც ჰქონდა გაკეთებული. უშვილობაზე მკურნალობა აღნიშნული კატეგორიის რესპონდენტთა უმრავლესობამ შეუღლებიდან ერთი წლის შემდეგ დაიწყო.

დასაქმების შესახებ შეკითხვა ეძლეოდა ოჯახის 18 წელზე უფროს ყველა წევრს. საკუთარი დასაქმების სტატუსს რესპონდენტი თავად განსაზღვრავდა (ხშირ შემთხვევაში იგი არ თვლიდა თავს დასაქმებულად, თუ პროფესიით არ მუშაობდა), ამიტომ პასუხები ხშირად უარყოფითი იყო. კვლევის შედეგებით, მოსახლეობის 63 % დაუსაქმებელი აღმოჩნდა, მამაკაცების 75 %-მა და ქალების 52 %-მა ვერ იშოვა სამსახური: ამ კატეგორიის მოსახლეობის 55 %-ზე მეტი სამსახურის ძიებაშია. აღმოჩნდა, რომ სამსახურის ძებნას ქალაქის მოსახლეობა სოფლის მოსახლეობაზე მეტად ცდილობს. ქალები მეტად უჩივიან სამუშაოს ძებნის უპერსპექტივობას და ამას სამსახურის არძებნის მიზეზად ასახელებენ.

ჩვენი კვლევის შედეგები ადასტურებს მამაკაცების წარმატებულ პროფესიულ კარიერას ქალებთან შედარებით; ხელმძღვანელ თანამდებობებზე მამაკაცების სიჭარბეს განაპირობებს ანაზღაურებაში გენდერული ასიმეტრია მათ სასარგებლოდ. მამაკაცის საშუალო ხელფასი თითქმის ორჯერ აღემატება შესაბამის მაჩვენებელს

ქალებისათვის, როგორც თვითდასამებულებს, ასევე დაქირავებულებებს შორის.

ოჯახების 54 %-ს შემოსავლის ძირითად წყაროდ ასახელებს ოჯახის წევრის გამომუშავებულ ანაზღაურებას, ხელფასს, ოჯახების 23 % - საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით მიღებულ ანაზღაურებას; ოჯახების შედარებით მცირე რაოდენობა (15 %) არსებობს ოჯახიდან დროებით წასული წევრებისგან მიღებული ფულადი გზავნილებით.

ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობისთვის (99.3 %) საკვებზე დანახარჯები მათი ფულადი დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. კომუნალური გადასახადები, რომლებსაც ოჯახის დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილად თვლის ოჯახების 83 %-ია. დასვენებისთვის (გართობისთვის) მთელი ოჯახების 6.3 % შეუძლია ხარჯების გამოყოფა. ბიზნესის განვითარებისთვის ფინანსების დახარჯვა შეუძლია მხოლოდ ოჯახების 2.3 %-ს (სოფლის მოსახლეობაზე ეს მაჩვენებელი 0.2 %-ს შეადგენდა).

როგორც ვხედავთ, ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა გაჭირვებულია. სიღარიბის დონის გასაზომად ყველაზე გავრცელებული მეთოდია - ოჯახის სამომხმარებლო ხარჯების შედარება საარსებო მინიმუმთან. მოცემული კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ სიღარიბის დონის გაზომვა ოჯახის მთლიან დანახარჯებში საკვებზე დანახარჯების წილის მიხედვით. რაც უფრო დაბალია ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, მით უფრო მეტი წილი უჭირავს საკვებზე დანახარჯებს მის მთლიან დანახარჯებში; როცა ეს წილი გადააჭარბებს 70 %-ს, თვლიან, რომ ეს ოჯახი ღარიბია. აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით გამოდის, რომ ჩვენი საკვლევი რაიონების ოჯახების 40 %-ზე მეტი სიღარიბეში ცხოვრობს. სიღარიბის დონე განსაკუთრებით მაღალია შემდეგ რაიონებში: გურია, კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, მთიანი აჭარა.

რესპონდენტების ნახევარზე მეტი თავისი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც ცუდს. საშუალო და საშუალოზე მაღალ მდგომარეობაში საკუთარ თავს თვლის ოჯახების 25 %.

რაიონების შორის შედარებით უკეთესი თვითშეფასება საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, აღმოჩნდა დიდ ქალაქებში: თბილისში, ბათუმსა და

ქუთაისში (გამოკითხული ოჯახების 58 %).

ჩვენი კვლევის პროგრამაში შევიტანეთ ინფრასტრუქტურის განვითარების შესწავლა, რადგან ინფრასტრუქტურის პროექტების განხორციელებამ გარკვეული გავლენა მოახდინა ოჯახების დასაქმების, კეთილმოწყობისა და სოციალურ ბენეფიტებზე. შეფასება ხდებოდა 3 ბალიან შკალაზე, სადაც 3 ნიშნავდა - "სრულიად განხორციელდა", 2 – "ნაწილობრივ განხორციელდა" და 1 – "არ განხორციელდა". შედეგები ნათელყოფს, რომ რესპონდენტები ყველაზე მაღალ შეფასებებს აძლევენ ელექტროენერგიით მომარაგებას, გაზმომარაგებას და წყალმომარაგებას, ასევე რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების მშენებლობას. შემდეგ დონეზეა (შედარებით ნაკლებზე) სკოლების რემონტი, შიდა გზები (სოფლებს შორის). და ყველაზე დაბალ შეფასებას იღებს საბავშვო ბაღებით უზრუნველყოფა (არ არის ნორმალური სანიტარული პირობები, არ ყოფნით ფართი, არ ყავთ საკმარისი რაოდენობის პედაგოგ-მასწავლებლები).

მრავალ რაიონულ ცენტრში და ყველა სასოფლო დასახლებულ პუნქტში არ ფუნქციონირებს საკანალიზაციო სისტემები, სამელიორაციო არხები, არ ხდება მუდმივად ნაგვის გატანა, არ მუშაობს გართობის ცენტრები (კინო, თეატრი), შემეცნებითი დაწესებულებანი (ბიბლიოთეკა, მუზეუმი) და სხვა.

საბინაო პირობების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ოჯახების (შიდამეურნეობების) დიდი უმრავლესობა - 79 %-ზე მეტი ბინის მესაკუთრეა, ოჯახების 12 % ნათესავის მიერ უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადაცენულ ბინაში ცხოვრობდა, 2 %-მდე ნაქირავებ ბინაში, რესპონდენტთა 0.1% გირაოს საშუალებით დროებით შეძენილ ბინაში ცხოვრობდა. მოსახლეობის უმრავლესობა 3 და მეტ ოთახიან ბინაში ცხოვრობს (ოჯახების 48 %), ოჯახების 31 % ცხოვრობს 2-ოთახიანში, 18 % ცხოვრობს 5 და მეტ ოთახიან ბინაში, 3 %-მდე ცხოვრობს 1-ოთახიან ბინაში. საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემებიდან, რესპონდენტებმა დაასახელეს შემდეგი პრობლემები: ბინა სარემონტოა (68 %-მა), არ აქვთ წყლის გაცხელებისა და დაბანის საშუალება (48 %-მა), ბინას ვერ ათბობენ (48 %), ბინაში არის სასმელი წყლის პრობლემა (38.2 %), ბინა ავარიულ მდგომარეობაშია (21 %), ბინა საცხოვრებლად უვარგისია (19.2 %), ბინის საბუთები მოუგვარებელია (11 %), ბინაში აქვთ ძალიან

ძველი ელექტროგაყვანილობა (3.8 %).

განათლების სფეროს კვლევა სკოლამდელი საგანმანათლებლო პროგრამის კვლევით დავიწყეთ. აღმოჩნდა, რომ ასეთი პროგრამის განხორციელება სათანადო დონეზე არ ხდება, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობაში, რაც იწვევს სკოლამდელი ასაკის ბავშვების დაბალ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. დამაბრკოლებელი ფაქტორები დაჯგუფდა:

ა) სოციალურად - მოსახლეობის დაბალი ეკონომიკური შემოსავლები და ზოგან - ენობრივი ბარიერი;

ბ) სტრუქტურულად - საბავშვო ბაღების ასარაკმარისი რაოდენობა, მათი სიშორე (სოფლად და მთიან რაიონებში).

საკვლევი ოჯახების სასკოლო განათლებაში ჩართულობასთან მიმართებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ რესპონდენტებმა აქაც დაასახელეს შემდეგი პრობლემები:

ა) მატერიალური ფაქტორი - მშობლების უმრავლესობას არ შეუძლია შეიძინოს სასკოლო ნივთები შვილისათვის;

ბ) მნიშვნელოვანი ფაქტორია სწავლის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი;

გ) სკოლის სიშორე.

კვლევის შედეგების მიხედვით ოჯახთა აბსოლუტურ უმრავლესობაში სასკოლო ასაკის ოჯახის წევრები ჩართულნი არიან სასკოლო-საგანმანათლებლო პროგრამაში. მხოლოდ მოზარდების 3.2 % არაა ჩართული სასწავლო პროცესებში. მათ დაასახელეს სხვადასხვა მიზეზი: “იძულებული იყო ემუშავა”, “სკოლა შორსაა”, “დაოჯახდა”, “ოჯახს არ შეუძლია სასწავლო ნივთების შეძენა”, “ავადმყოფობს” და ა.შ. კვლევის შედეგად გამოიკვეთა სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები: სკოლის სიშორე (2 % -17 % მდე სხვადასხვა რაიონების მიხედვით); სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია (0.3 %-დან 10.6 %-მდე); გვიჭირს სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთების შეძენა (34 %-დან - 62 %-მდე); ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმძღვანელოები არ არის მშობლიურ ენაზე (0.9 %-დან 10 %-მდე).

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ოჯახების უმრავლესობაში ხელს

უშლის სასწავლებლის სიძვირე (გადასახადი) - ოჯახების 82 %; სასწავლებლის სიშორე - 4%; საცხოვრებლის და სატრანსპორტო ხარჯები - 4%; სწავლების არადამაკმაყოფილებელი დონე - 6%. სტუდენტთა უმრავლესობა თბილისში იღებს განათლებას, ეთნიქური უმცირესობები ხშირად მეზობელ ქვეყნებში (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი) მიდიან სასწავლებლად.

გამოკითხვაში მონაწილე ოჯახების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ოჯახების 76 % მინიმუმ ერთი წევრი მაინც არის ჯანმრთელი; ყოველ მეხუთე ოჯახში არც ერთი წევრი არაა პრაქტიკულად ჯანმრთელი. აღმოჩნდა, რომ მაღალია ჯანმრთელი წევრების რაოდენობა ისეთ ოჯახებში, რომელსაც აქვს სამედიცინო დაზღვევა. ასეთ ოჯახებში ნაკლებად გვხვდება ავადმყოფები ქრონიკული დაავადებებით, რომლებიც ხანგრძლივ და რეგულარულ მკურნალობას საჭიროებენ.

ჯანდაცვის ხარჯების დაფარვა ყველაზე მტკივნეული პრობლემაა დაბალ შემოსავლიანი ოჯახებისათვის და ხშირად მათ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს. აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ხარჯებმა ოჯახების (22 %) გაღარიბება (ოჯახების თვითშეფასებიდან გამომდინარე) გამოიწვია და საკმაოდ მძიმე ტვირთი აღმოჩნდა ოჯახების თითქმის ნახევრისთვის (48 %), რაც მნიშვნელოვნად დაეტყო მათ ბიუჯეტს. სამედიცინო მომსახურების მიღების ბარიერებს შორის მომსახურების ღირებულების გარდა, სამედიცინო დაწესებულების სიშორე მნიშვნელოვან ბარიერად გვევლინება რაიონების უმრავლესობაში, თუმცა რესპონდენტების 62 %-მა განაცხადა, რომ მანძილის პრობლემა მოიხსნებოდა, ეკონომიკური რესურსი საკმარისი რომ ჰქონოდათ. კერძო სამედიცინო დაზღვევა გამოკითხული ოჯახების მეხუთედზე ნაკლებს გააჩნია, რადგან რესპონდენტების უმრავლესობა ამ სახის სამედიცინო დაზღვევისთვის საჭირო ფინანსების არქონას ასახელებს, ისინი ძირითადად სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში ორიენტირდებიან.

სამედიცინო მომსახურების პრაქტიკის კვლევის შედეგებიდან აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 4/5-ზე მეტი არ სარგებლობს ოჯახის ექიმის მომსახურებით.

განსაკუთრებით დაბალია ეს მაჩვენებელი მთიან რაიონებში (დუშეთი, ხევი, თიანეთი, ახმეტა, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი), ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, მთიან აჭარაში. სოფლის მოსახლეობა ხშირად იყენებს ექიმი-სპეციალისტის მომსახურებას და ამბულატორიულ მკურნალობას. ქირურგიული ოპერაციით ისარგებლა (ბოლო ერთი წლის განმავლობაში) რესპონდენტების 3 %-მა. ჰოსპიტალიზაცია, ქირურგიული ოპერაციის გარეშე დასჭირდა მოსახლეობის 4 %-ს. სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა ოჯახების მეხუთედს. პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურების სარგებლობის მაჩვენებელი ძალზე დაბალია და 11%-ს შეადგენს. სტომატოლოგიური მომსახურებით გასული 12 თვის მანძილზე ისარგებლა ოჯახების 21 %-მა, გასული 12 თვის განმავლობაში მედიკამენტები შეიძინა გამოკითხული ოჯახების 84 %-მა.

გამოკითხვის პროგრამაში შედიოდა შეგვესწავლა ოჯახების მიკროსესხებით სარგებლობის საკითხი. აღმოჩნდა, რომ ოჯახების თითქმის ნახევარმა (44 %) არ იცის მიკრო საფინანსო ორგანიზაციების არსებობის შესახებ. რესპონდენტთა იმ ნახევრიდან, რომელსაც სმენია მიკრო ბიზნეს სესხების შესახებ, ასეთი ოჯახების 21 %-ს უცდია მიკროსაფინანსო სესხის აღება, მაღალია ეს მაჩვენებელი ქალაქებში - თბილისში, ბათუმში, რუსთავში, ქუთაისში, ზუგდიდში. ძალზე დაბალი აღმოჩნდა ქვემო ქართლის რაიონებში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, თიანეთში, გურჯაანში, ყაზბეგში.

რესპონდენტებმა, რომელთა ოჯახსაც უცდია მიკრო საფინანსო სესხის აღება უპასუხეს შეკითხვას, თუ რა მიზნით უნდოდათ სესხის აღება. ბიზნესის გაფართოების მიზნით მიკრო საფინანსო სესხის აღება უნდოდა 18.5 %-ს, ხოლო ახალი ბიზნესის წამოწყების მიზნით 29 %-ს. რესპონდენტთა 58 %-მა განაცხადა, რომ მიკრო სესხის აღება საყოფაცხოვრებო პირობების (სახლი, ავეჯი, ტექნიკა და სხვ.) გაუმჯობესების მიზნად სურდათ. რესპონდენტების 38 %-ს უარი ეთქვათ სესხის მიღებაზე, რადგან მათ არ გააჩნიათ საგარანტიო კაპიტალი ან მუდმივი სამუშაო. სესხის აღებამ პოზიტიური შედეგები მოუტანა ოჯახების 38 %-ს, ნაწილობრივ დაეხმარა - ოჯახთა 25 %-ს, არ დაეხმარა გამოკითხულთა 11 %-ს.

ჩატარებული კვლევის მიხედვით, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ოჯახების

25 %-დან ოჯახის ერთი წევრი მაინც იმყოფებოდა მიგრაციაში. საკვლევი ოჯახების 15 %-სათვის მიგრანტთა მიერ ფულადი გზავნილები შეადგენს ოჯახის ერთადერთ შემოსავალს. სასწავლებლად მიგრაციაში იმყოფება მხოლოდ ერთ-ერთი წევრი ოჯახების 13 %-ში. მიგრანტთა უმრავლესობას შეადგენენ ქალები (58 %), თუმცა ქვემო ქართლიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, მთიანი აჭარიდან მიგრაციაში წასულთა შორის სჭარბობს მამაკაცები, მომავალი წლის განმავლობაში ოჯახთა მხოლოდ 0.8 % აპირებს საცხოვრებლის შეცვლას.

პოსტ-საბჭოთა პერიოდში საზოგადოების და ოჯახების ლიბერალიზაციის ერთ-ერთ ხელშემწყობ ელემენტად ითვლება სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. როგორც ექსპერტთა უმრავლესობა მიუთითებს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ჯერჯერობით არ შემდგარა.[153]

კვლევის რაოდენობრივ ეტაპზე შევეცადეთ გაგვერკვია საკვლევ რაიონებში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობადობა და მათი საქმიანობა შეგვეფასებინა ადგილობრივი რეზიდენტების მიერ. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი (62 %) არასამთავრობო სექტორის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს ან ფლობს არაადეკვატურ ინფორმაციას. ის ნაწილი კი, რომელიც შედარებით ინფორმირებულია არასამთავრობო სექტორის გავლენას დადებითად ან ნეიტრალურად აფასებს.

დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი მაჩვენებელი საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ პროცესებში საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობაა. საზოგადოებრივი ჩართულობის მაჩვენებლად გამოვიყენეთ სხვადასხვა ინდიკატორი; არასამთავრობო სექტორში მონაწილეობა, პოლიტიკით დაინტერესების ხარისხი, მმართველობითი სტრუქტურების შესახებ ინფორმირებულობა, მოსახლეობასა და მმართველობითი სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის დიალოგი და სხვადასხვა მმართველობითი სტრუქტურის მიმართ ნდობა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი ინდიფერენტულადაა განწყობილი აღნიშნული საკითხების მიმართ. ისინი ხშირად

[153] გაეროს განვითარების პროგრამა, 2011. მშვიდობისა და განვითარების პროგრამა: დემოკრატიზაციის პროცესი, კულტურა და ღირებულებები (ანალიტიკური ანგარიში)

თავს იკავებენ მმართველობითი თუ ბიზნეს-სტრუქტურების, მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებისაგან. ყველაზე პოზიტიურად რელიგიურ ინსტიტუტებს აფასებენ. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის უმრავლესობა რელიგიურ ცენტრიზმს ამჟღავნებს და ნეგატიურად აფასებს სხვა რელიგიურ ინსტიტუტებს.

5.3. რეგიონალური თავისებურებანი

კვლევამ გამოავლინა ოჯახის განვითარებასთან დაკავშირებით გარკვეული საკითხები, რომლებიც საქართველოს რეგიონებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი:

კახეთის რეგიონს დღეს შეგვიძლია ვუწოდოთ "ახალი ღარიბი ოჯახების" განსახლების რეგიონი. გამოკითხული ოჯახების (60%-მდე) შემოსავლები არ აღემატებოდა 300 ლარს. რესპონდენტების მიერ დასახელებული იყო მრავალი მიზეზები: ერთ-ერთი გახლდათ ის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩართულია სოფლის მეურნეობაში, რომელიც ძალიან დაბალპროდუქტიულია და საკმაოდ რთულია მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზება. ოფიციალური სტატისტიკის და ემპირიული კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ გაღარიბებული ოჯახების უფროსების 37%-მდე უმაღლესი განათლებითაა. ეს უპირატესად ბოლო ორ ათწლეულში საჯარო სამსახურებიდან განთავისუფლებული კონტიგენტია. უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანაში გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიუხედავად, სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე ფაქტიურად არ შეცვლილა, ამიტომაც სიღარიბე ამ რეგიონის ოჯახების უმთავრეს პრობლემად რჩება. უმუშევრობა მეორე მთავარი პრობლემაა კახეთის ოჯახების უმრავლესობისათვის.

"ჩემი მეუღლე ღვინის ქარხანაში მუშაობდა, ინჟინერ-ტექნოლოგად, 2001 წელს დაიხურა, მას შემდეგ უმუშევარია. მე მასწავლებელი ვარ, ჩემი ხელფასით და მშობლების პენსიით ვცხოვრობთ. ორივე შვილი სტუდენტია და მათ ხარჯებს ვერ ვფარავთ. რისი გაყიდვაც შეგვეძლო ოჯახიდან, ყველაფერი გავყიდეთ. საზღვარგარეთ გვინდა წავიდეთ სამუშაოდ და წასვლის ხარჯებიც არ გაგვაჩნია." (ელენე, 55 წლის, თელავი)

რაიონულ ცენტრებთან შედარებით, სიღარიბის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას კახეთის სოფლებში, რომლებიც ფაქტიურად ცარიელდება, ან მხოლოდ მოხუცები და ბავშვები რჩებიან.

"ჩვენს ოჯახს მევენახეობიდან საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდა. 5 წელია ვენახის ნახევარი გავჩეხეთ და ბაღჩეულის მოყვანა დავიწყეთ. სარწყავი წყლის უქონლობის გამო ესეც შევაჩერეთ. ამჟამად ქუჩაში წვრილი ვაჭრობით ვირჩენთ თავს. საქორწინო ბიჭი მყავს და ვერ დაგვიქორწინებია. საშუალება არ გვაქვს" (ილია, 54 წლის, თელავი)

ჩვენი კვლევის შედეგად, გამოკითხულთა უმრავლესობა (71%) განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამდა შვილების განათლებასა და ჯანმრთელობაზე ადგილობრივი თვითმმართველობიდან გამოყოფილ მიზერულ თანხებზე, აგრეთვე მოხუცთა, ავადმყოფთა და ინვალიდთა სოციალური დაცვის ხარჯებზე.

როგორც გარე, ისე შიდა მიგრაციის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ახმეტის რაიონი. ზემო და ქვემო ალვანის ოჯახების უმრავლესობა, რომელიც საბჭოთა პერიოდში ძალზე მაღალშემოსავლიანი იყო, დღეს ძალიან გაჭირვებულია. ამ ოჯახების უმრავლესობა მეცხოველეობას მისდევდა. სეზონური მიგრაცია ბარიდან-მთაში (ზაფხულში) და მთიდან-ბარში (ზამთარში) დღესაც ამ ოჯახებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა.

"ჩვენი მარჩენალი, ჩემი მამა-პაპადან მოყოლებული, ცხვარია. კომუნისტების დროს ყიზლარში გადავდიოდით. ახლა ყველაფერი დაიკეტა. შირაქში ჩაგვყავს, მაგრამ ამ ათი წლის მანძილზე ბევრი დავკარგეთ. იცით, რა მდგომარეობაც იყო. ნელ-ნელა ფეხზე ვდგებით..." (ალექსანდრე, 62 წლის, ზემო ალვანი)

ამ სოფლებში ქალები მისდევენ საოჯახო წარმოებას: ქსოვას, ნაბდის, თექის წარმოებას, პროდუქციას ყიდიან ადგილობრივ და თბილისის ბაზარზე. ორ ოჯახში გვითხრეს, რომ ზაფხულში თუშეთში მისდევენ საოჯახო ტურიზმს (სასტუმრო მეურნეობას).

თელავში და გურჯაანში შეგვხვდა ოჯახები, რომელთაც ჰქონდა საოჯახო სასტუმრო; თელავში გამოკითხულთა შორის წვრილ ბიზნესში დასაქმებული იყო 4 ოჯახი, მათ შორის სამს ბიზნეს საქმიანობისთვის აღებული ჰქონდა კრედიტი.

ახმეტაში, ქალაქ გურჯაანში და თელავის რაიონის სოფლებში შეგვხვდა დაკეტილი ეზოები და სახლები (17 ოჯახი). როგორც მეზობლებისგან შევიტყვეთ, მშობლები გარდაიცვალნენ, შვილები ზოგი თბილისშია, ზოგიერთი საზღვარგარეთ არის სამუშაოდ წასული.

კახეთში ოჯახი ინარჩუნებს კულტურულ-სტერეოტიპულ ფორმას და ფუნქციას მამაკაცის დომინანტურობით, მაგრამ ქალის აქტიური ფუნქციონალური როლით. თელავში ძირითადად ნუკლეარული ოჯახები შეგვხვდა, სოფლებში კი სამთაობიანი ოჯახები ჭარბობენ.

დაბალი შემოსავლები დიდ გავლენას ახდენენ მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაზე, ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება ძალზე დაბალია.

"შვილის გაზრდის საკმარისი თანხები უნდა გქონდეს. ადრე ყველაფერი იაფი იყო: საჭმელი, სასმელი, საბავშვო ბაღი, სკოლა და უმაღლესი უფასო იყო. ახლა ჩვენი საარსებო ფულიც კი არ გვაქვს. მესამე შვილი როგორ გავაჩინო? ..." (ნატო, 33 წლის, გურჯაანი).

საზოგადოებრივ აქტივობებში კახეთში მცხოვრები ოჯახები დიდი ჩართულობით არ ხასიათდებიან, მაგრამ ახლობლებთან ემოციურ და, თუ საჭიროა, ფინანსურ თანადგომას ყოველთვის გამოხატავენ შესაძლებლობისდაგვარად.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მცხოვრებ ოჯახების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს: ფიზგეოგრაფიული პირობები, დედაქალაქთან სიახლოვე, საქართველოს სამხედრო გზის მაგისტრალის არსებობა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

რეგიონი სიღარიბის დონის შკალაზე უღარიბეს რეგიონების (კახეთთან, აჭარასათან და ქვემო ქართლთან ერთად) რიცხვში შედის, სადაც სიღარიბის დონე 50 %-ს აჭარბებს. კვლევამ გვიჩვენა, რომ შიგა რეგიონული სხვაობანი აშკარად შეინიშნება: ყაზბეგის რაიონში გამოიკვეთა სასტუმრო მეურნეობასა და მის დამხმარე დარგებში დასაქმებული ოჯახები, თუმცა მათი საქმიანობა სეზონურ ხასიათს ატარებს, უმუშევრობა მწვავე პრობლემაა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

დედაქალაქთან სიახლოვე მცხეთის და დუშეთის რაიონის ზოგიერთ სოფელს საგარეუბნეო მეურნეობების განვითარების საშუალებას აძლევს. ამასთანავე დედაქალაქის მოსახლეობის სააგარაკე ნაკვეთების არსებობა იგივე დასახლებულ

პუნქტებში და არაგვის ხეობაში მასტიმულირებელ გავლენას ახდენს სოფლის მოსახლეობის საქმიანობაში. თუმცა თვითონ დასაქმებულები გამოთქვამენ წუხილს, რომ მხოლოდ საარსებო მინიმუმს იღებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით.

"ორი ძროხა გვყავს, რძეს, მაწონს და ყველს ზაფხულობით ვყიდით მოაგარაკეებზე, ზამთარში თბილისში მიგვაქვს. ბოსტნეულის მოყვანას დიდი შრომა და ხარჯები სჭირდება, ვერ ვყიდით შესაბამის ფასში იმიტომ, რომ ბაზრები გადავსებულია თურქული საქონლით. ამაზე არავინ ფიქრობს, რომ ჩვენ მოგვეხმარონ. ადგილობრივი ხილი და ბოსტნეული უფრო ჯანმრთელი არაა?"…. (ქეთევანი, 62 წლის, სოფ. მისაქციელი)

სიღარიბე შეეხო განათლებულ მოსახლეობასაც, ჩვენს მიერ შესწავლილი ოჯახებიდან "ახალმა ღარიბებმა" შეადგინა 13 %. რეგიონში ჩვენი კვლევის მიხედვით ღარიბი რაიონების რანგში აღმოჩნდა ძირითადად მთიანი რაიონები: თიანეთი, დუშეთის და ყაზბეგის რაიონები, მათი გეოგრაფიული მდებარეობა შედარებით უადვილებს ადგილობრივ მოსახლეობას გადაადგილებას. რუსეთთან საზღვრის დაკეტვით და სავიზო რეჟიმის შემოღებით განსაკუთრებით დაზარალდა ყაზბეგის რაიონი, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავალი ღია საზღვარზე და თავისუფალ გადაადგილებაზე იყო დამოკიდებული. ამ პროცესმა კიდევ უფრო დააჩქარა ამ რაიონის სეზონურად დაცარიელება. მოსახლეობის დიდი ნაწილი ზამთრის პერიოდში ტოვებს სოფლებს და დედაქალაქში ჩამოდის გამოსაზამთრებლად.

დუშეთი და თიანეთის რაიონები დღეს საგარეო მიგრაციების ძირითადი რაიონებია. ყოველ მეორე გამოკითხულ ოჯახში ერთი წევრი მაინც იყო წასული სამუშაოდ საზღვარგარეთ. აღსანიშნავია, რომ ამ რაიონებიდან წასული მიგრანტების უმრავლესობა ქალებია. მიგრაციის ფემინიზაცია საქართველოსთვის ახალი ფენომენია. პატრიარქალური საზოგადოებიდან "დედების მიგრაცია" ოჯახების გადასარჩენად ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია, დიდ ყურადღებას და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

"*ჩვენ ვშიმშილობდით და ჩვენი ქალიშვილი წავიდა საბერძნეთში, დაგვიტოვა*

პატარა ბავშვი და გადაგვარჩინა". (სერგო, 62 წლის, დაბა თიანეთი)

"ადრე კაცი მიდიოდა სამუშაოდ, ქალი ოჯახს და ბავშვებს უვლიდა. ახლა ყველაფერი ამოტრიალდა. დედები მიდიან და ტოვებენ შვილებს. მამა ვერ მიაქცევს ისეთ ყურადღებას, როგორიც საჭიროა. ბავშვები ფაქტიურად მარტო რჩებიან". (იაგო, 52 წლის, დუშეთის რ-ნი, სოფ. მლეთა)

"*კაცმა იცის, რომ ცოლი ოჯახის სარჩენადაა წასული, ის იტანჯება, თვითონ რომ ვერაფერს ვერ აკეთებს და ხდება დეგრადირებული. ადრე თუ ის ძალიან ამაყი იყო, ახლა სახლში ზის. რომ შეხედო, მაშინვე მიხვდები, რომ ის ძალზე იტანჯება.*" (თეონა, 39 წლის, დაბა თიანეთი)

უდედოდ დარჩენილი ბავშვების პრობლემა ძალზე სერიოზული საკითხია ჩვენი საზოგადოებისათვის, სადაც დედის კულტის ფენომენი დღესაც ძლიერად მუშაობს.

რეგიონის შესწავლილი ოჯახების 85% ძირითადად გაფართოებული 3-4 თაობიანი ტრადიციული ოჯახებია, სადაც კარგადაა დაცული პატრიარქალური ღირებულებები, გარდა ამისა, თაობათა შორის სუბორდინაცია.

განსაკუთრებით, მკაფიოდ ეს გამოხატულია სოფლად მაცხოვრებელ ოჯახებში. აქ პატივისცემა უფროსი თაობის მიმართ განსაკუთრებით თვალშისაცემია.

ქვემო ქართლის რეგიონში გავრცელებულია გაფართოებული ოჯახები, რომლებშიც რამდენიმე თაობა ერთ შიდამეურნეობაში ცხოვრობს, ამ რეგიონში შინამეურნეობის საშუალო სიდიდე აღემატება საქართველოში საშუალო ოჯახის ზომას.

მატერიალური დეპრივაციის კრიტერიუმის მიხედვით, ქვემო ქართლის ოჯახების 34.5% ღარიბია. ამ კუთხით, ქალაქში სიღარიბე (23.9%) გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სოფელში (41.3%). რაიონებს შორის ყველაზე დაბალია სიღარიბე წალკაში (11.4%), ხოლო ყველაზე მაღალია - ბოლნისში (62.1%).[154]

სიღარიბე და შრომითი მიგრაცია ქვემო ქართლის რეგიონის ოჯახების მნიშვნელოვანი პრობლემაა, თუმცა ბავშვების და ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის სიმცირე არ შეინიშნება (ამას ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს), ამიტომ ამ

[154] "ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და განწყობის შესწავლა", მომზადებულია სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დახმარებით, 2011 წ.

რეგიონის მოსახლეობას დაბერების ტენდენცია არ ახასიათებს.

გაფართოებული ოჯახი, ადრეული ქორწინება, ოჯახის უფროსის სტატუსის მამაკაცისთვის ან უხნესი ოჯახის წევრისთვის მიკუთვნება - მიუთითებს ქვემო ქართლის რეგიონში ოჯახის ტრადიციული მოდელის არსებობაზე.

"13 წლის გამათხოვეს, ჩემი ქმარი 25 წლის იყო, 8 შვილი გვყავს, ჩემი მოვალეობა იყო: შვილები, სახლის მოვლა, დედამთილთან ერთად ბაღში მუშაობა, წყლის მოტანა და კიდევ, რასაც დედამთილი დამავალებდა. სკოლიდან გამოვედი, მერე მინდოდა საღამოს სკოლაში მესწავლა, არ გამიშვეს, დედამთილმა თქვა, სწავლა ქალს არ სჭირდებაო. მე ჩემს ორ ქალიშვილს უმაღლესში უნდა ვასწავლო. ჩემი ქმარი მხარს მიჭერს". (ლეილა, 38 წლის, მარნეული)

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ქვემო ქართლი მრავალეროვანი რეგიონია, შემდეგი დომინანტური ეთნიკური ჯგუფებით: აზერბაიჯანელები - 45,1%, 44,7% - ქართველები, 6,4% - სომხები, ხოლო 3,8% - აფხაზები, ოსები, რუსები, ბერძნები, უკრაინელები და ქურთები. ქ. რუსთავსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ჭარბობენ ქართველები, წალკის რაიონში - სომხები და ბერძნები, ხოლო გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში - აზერბაიჯანელები. მათი ეთნიკური იდენტობა მჭიდრო კავშირშია რელიგიურ იდენტურობასა და ენასთან.

ამ რეგიონში სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არაქართული მოსახლეობის ორმესამედზე მეტმა არ იცის ქართული ენა. სახელმწიფო ენის ცოდნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობისათვის. ქართული ენის არცოდნა იწვევს არაქართული მოსახლეობის გაუცხოვებას და ხელს უშლის მათ ინტეგრირებაში, რაც შეიძლება გარკვეული აგრესიის მიზეზიც გახდეს.

ჩვენი კვლევის შედეგები სხვა არსებულ კვლევებთან ერთად ცხადყოფს, რომ არაქართველები ნაკლებად ინფორმირებულნი არიან ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებზე და სხვა პროექტებსა და სტრუქტურების საქმიანობის შესახებ.

ნიშანდობლივია, რომ ქართული ენის ცოდნის დონე დამოკიდებულია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების კომპაქტურ ჩასახლებებზე. თემში ურთიერთობებს

ძირითადად მშობლიურ ენაზე აწარმოებენ და სახელმწიფო ენის შესწავლის საჭიროებას ნაკლებად გრძნობენ. დისპერსიულად განსახლებული ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლები უკეთესად ფლობენ ქართულ ენას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ახლგაზრდა მოსახლეობა უკეთესად ფლობს ქართულ ენას.

"ჩემმა შვილებმა ყველამ კარგად იციან ქართული ენა, სკოლაშიც ისწავლეს და ქართველ მეზობლებთან. მე მინდოდა მესწავლა, მაგრამ უფასო კურსები ვერ ვნახე, არსად არაა, კერძოდ ვერ ვივლი, იმიტომ რომ ფული არ მაქვს, ისე ცოტას ვლაპარაკობ (ისმაილი 46 წლის, გარდაბანი)

ქვემო ქართლის ოჯახების დახასიათებისათვის დასაქმების მდგომარეობა არსებითი კრიტერიუმია. გამოკითხულთა 43,2%-მა გვიჩვენა, რომ დასაქმებულია. აქ არ შედიან უსასყიდლოდ დასაქმებულნი და დიასახლისები, რომელთაც მოყავთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ან მუშაობენ ოჯახში. თუ გავითვალისწინებთ ამ კატეგორიასაც დასაქმების მაჩვენებელი 62.6 %-მდე გაიზრდება.

ქვემო ქართლის ოჯახების ძირითად შემოსავალს ხელფასი, პენსია და სოფლის მეურნეობის რეალიზებული პროდუქციის ღირებულება შეადგენს. ოფიციალური თუ არაფორმალური (ნათესავების, მიგრანტების და სხვ.) დახმარებები შიდამეუნეობების მხოლოდ 8%-ისთვისაა შემოსავლის ძირითადი წყარო. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ოჯახების შემოსავალი ძირითადად კვებაზე, გადასახადებსა და მედიკამენტებზე იხარჯება.

სოციალური პრობლემებიდან მოსახლეობა უკმაყოფილოა სამედიცინო დაწესებულებების ხელმისაწვდომობით და შეკრებების ადგილის არ ქონით. რაც შეეხება საბინაო პირობებს, გამოკითხულთა 95 % თვითონაა ბინის მეპატრონე. ოჯახების 80% ცხოვრობს 50 კვ. მ-ზე მეტი ფართის მქონე ბინებში. საცხოვრებლებთან დაკავშირებით უმრავლესობას აქვს სასმელი წყლის, ცხელი წყლის და გათბობის პრობლემა. მარნეულის და გარდაბნის რაიონებში განსაკუთრებით მწვავედ დგას სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა; ძირითადად ქალს და ბავშვს ევალება ოჯახის სასმელი წყლით მომარაგება.

ქვემო ქართლის მოსახლეობა შიდა მიგრაციის სუსტ ტენდენციას ავლენს. საცხოვრებელი ადგილის შეცვლას თითქმის არავინ ფიქრობს უახლოეს 6 თვეში.

თეთრი-წყაროს რაიონში ბევრი ოჯახია სვანეთიდან ჩამოსახლებული, რომლებიც სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობას მიზდევენ. ისინი ყიდულობენ სახლებს ადგილობრივი ბერძნებისაგან და ოსებისაგან, რომლებიც სხვა ქვეყნებში (რუსეთი, საბერძნეთი) მიდიან საცხოვრებლად. აღსანიშნავია, რომ მათი ოჯახები გამოირჩევიან მრავალშვილიანობით სხვა აქ მაცხოვრებელ ქართულ ოჯახებთან შედარებით. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა ინტერვიუში აღნიშნა:

"აქ ძალიან კარგი მიწაა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, სვანეთში კი მწირეა და თან კლიმატური პირობები არ გვაძლევს საშუალებას. ჩვენ მშრომელი ხალხი ვართ და გვინდა შრომა. ჩვენ არ მიგვიტოვებია ჩვენი მამა-პაპათა სახლები, ხშირად ჩავდივართ ქორწილებსა და დაკრძალვებზე. აქ თბილისთან ახლოს ვართ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია უფრო ადვილია". (დოდო, 52 წლის, სოფ. ჭივჭავი)

ქვემო ქართლის რეგიონი გამოირჩევა მოსახლეობის მრავალეთნიკურობით. სხვა რაიონებთან შედარებით, აქ მაღალია შობადობა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს სოფლად, დასაქმებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით და მეცხოველეობით. მაღალია უმუშევრობის დონე, ქვემო ქართლის რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი რეგიონია საქართველოში. ოჯახები მეტწილად გაფართოებულია, რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს, ნაკლებად ვხვდებით ნუკლეარულ ოჯახებს, არ ხდება ოჯახის შიგნით მოვალეობების გადანაწილება. ქალებს ხშირად უწევთ მძიმე სამუშაოს შესრულება. ხშირია ადრეული ქორწინებები, გოგონები არ იღებენ უმაღლესს განათლებას, ისინი ხშირად ოჯახში მთავარ დამხმარე ძალას წარმოადგენენ.

იმერეთის რეგიონის ოჯახების მრავალფეროვნება, მათი განვითარების თავისებურებანი აიხსნება შემდეგი ფაქტორებით: საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქის - ქუთაისის, სამრეწველო სამკუთხედის: ჭიათურა-ზესტაფონი-ტყიბულის ამ რეგიონში მდებარეობით, რეკრეაციული რესურსების სიუხვით, სხვადასხვა ისტორიული პროვინციების არსებობით და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების და, შესაბამისად, განსახლების სისტემების თავისებურებებით.

პოსტსაბჭოთა პერიოდში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები ამ

რეგიონში შემდეგნაირად გამოიხატა: დაიხურა მრავალი სამრეწველო საწარმო, ან მოხდა მათი რეკონსტრუქცია; ადგილი ჰქონდა ინფრასტრუქტურის მრავალი დარგის სახეცვლილებას და საჯარო სამსახურების სტრუქტურულ ცვლილებებს. ამ ყველაფერმა ერთად ხელი შეუწყო სოციალური პრობლემების წარმოშობას და უმუშევრობის მკვეთრად გაზრდას.

იმერეთის რეგიონში მაღალია თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 60 % აღემატება. ეს განპირობებულია საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სექტორის მაღალი ხვედრითი წილით. ჩვენი კვლევისას აღმოჩნდა, რომ ის, რაც საერთოა საქართველოს ოჯახებისთვის: სიღარიბე, უმუშევრობა, საგარეო მიგრაცია, დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუარესება, პესიმისტური განწყობა და სხვა პრობლემები, იმერეთის რეგიონის ოჯახების განვითარებაზე ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს.

ოფიციალური მონაცემებით ეს რეგიონი შედარებით ნაკლებ ღარიბ რეგიონად მოიხსენიება (სიღარიბის დონე 31,1%-ს შეადგენს) სამცხე-ჯავახეთთან ერთად. ღარიბთა რაოდენობით (ქვეყანასთან მიმართებაში) კი 14,7 %-ს შეადგენს, უმუშევრობის დონე – 12,8 %-ია[155]. ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ სიღარიბის დონე აქ საკმაოდ მაღალია და გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა თავს ღარიბად თვლიდა.

რეგიონის დასაქმების სექტორული სტრუქტურა ასე გამოიყურება: სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს დასაქმების 65 %-ს, მეორე დამსაქმებლად გვევლინება მშენებლობა (12%), და სახელმწიფო მმართველობა (10%). სამთო-მომპოვებით მრეწველობაზე მოდის დასაქმებულთა 3,6 %, ელექტრო ენერგიის, წყლის და გაზის წარმოებაზე 3,4 %, სასტუმროების და რესტორნების ბიზნესში 6 %.[156]

დასაქმებული მოსახლეობის უმრავლესობა დაქირავებულ სამუშაოებს ასრულებს (მამაკაცების 51.2 %, ქალების 62.1 %), თვითდასაქმებულთა შორის მამაკაცთა

[155] საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია - "საქართველოს რეგიონული განვითარება, დიაგნოსტიკური მოხსენება", თბილისი, 2010, გვ. 55-61

[156] საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია - "საქართველოს რეგიონული განვითარება, დიაგნოსტიკური მოხსენება", თბილისი, 2010, გვ. 55-61

ხვედრითი წილი 46.0 %-ია, ქალების - 29.1 %, ოჯახურ ბიზნესში დამხმარე მამაკაცთა ხვედრითი წილი 7 %-ია, ქალების 15 %.[157]

ჩვენს მიერ გამოკითხულ ოჯახთა 54 % შემოსავლის ძირითად წყაროდ ასახელებს ოჯახის წევრის გამომუშავებულ ანაზღაურებას, ხელფასს ან პენსიას; ოჯახების 20 %-საკუთარი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებით მიღებულ ანაზღაურებას; ოჯახების 26 % არსებობს ოჯახიდან დროებით მიგრაციაში მყოფი წევრისაგან მიღებული გზავნილებით.

ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობისათვის (96 %) საკვებზე დანახარჯები მათი ფულადი დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. გადასახადები, რომლებსაც ოჯახის დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილად თვლის ოჯახების 83 %-ია. დასვენებისთვის (გართობისთვის) მთელი ოჯახების 2.3 % შეეძლო ხარჯების გამოყოფა. ბიზნესის განვითარებისთვის დახარჯვა შეეძლო მხოლოდ ოჯახების 2.3 %-ს (სოფლის მოსახლეობაზე ეს მაჩვენებელი 0.2 %-ს შეადგენდა).

უმუშევრობის დონე იმერეთის რეგიონში საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით არ არის მაღალი (12 %-ს შეადგენს), მაგრამ შეინიშნება დიდი შიდა სხვაობები, ზემო იმერეთის სოფლებში ის უფრო მაღალია.

რეგიონის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის საგარეო მიგრაცია. ყოველი მეხუთე გამოკითხული ოჯახის არსებობის მნიშვნელოვან ფინანსურ წყაროს შეადგენს ოჯახის წევრის მიერ გზავნილები. რესპონდენტების პასუხების მიხედვით რეგიონის მიგრანტებს შორის უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ (52,1%). მათი უმრავლესობა რუსეთში, საბერძნეთში, თურქეთში, ევროპის სხვა ქვეყნებსა და აშშ-ში მუშაობს. ქუთაისსა და ბაღდათში მიგრანტებში ჭარბობდნენ ქალები, რომელთა უმრავლესობა მუშაობს საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, თურქეთში და აშშ-ში.

რეგიონის მთიანი რაიონების ოჯახებისთვის დამახასიათებელია ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის მიგრაცია, ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა ხანდაზმულ ასაკში მყოფი წევრებითაა წარმოდგენილი, სოფლებში ხშირია მარტოხელა მოხუცები, რომლებიც მეზობლებთან და ახლობლებთან სოციალიზაციით არსებობენ.

---

[157] საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია - "საქართველოს რეგიონული განვითარება, დიაგნოსტიკური მოხსენება", თბილისი, 2010, გვ. 55-61

იმერეთის რეგიონის ოჯახები ტიპიური სტერეოტიპული ღირებულებების მქონე ოჯახებია. ძალაუფლების, სტატუს-როლების, ოჯახში დასაქმების პატრიარქალური პრაქტიკა რესპონდენტების მიერ არ არის გაცნობიერებული, როგორც უთანაბრო, დისკრიმინაციული. მამაკაცების და ქალების შეფასება ფაქტიურად იდენტურია. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ პატრიარქალური გენდერული სტერეოტიპები საქართველოს ყველა რეგიონში მყარია და რესპონდენტთა უმრავლესობაში არ არსებობს ამ სტერეოტიპებზე კრიტიკული ხედვა.

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონი გამოირჩევა რთული დემოგრაფიული ვითარებით, რაც განპირობებულია შობადობის დაბალი და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლებით, რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობის სიმცირით და დაუქორწინებელთა დიდი რაოდენობით, ასევე შიდა და გარე მიგრაციით, რომლის მაჩვენებლები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში განსაკუთრებით მაღალია. მიგრაციული პროცესები, ძირითადად, გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა სამუშაო ადგილების ნაკლებობა, რთული საყოფაცხოვრებო პირობები, სოფლის მეურნეობისთვის რთული სამუშაო გარემო და სუსტად განვითარებული სოციალური ინფრასტრუქტურა. შრომისუნარიანი მოსახლეობა სამუშაოს საძიებლად, ძირითადად, თბილისში, ქუთაისში და საზღვარგარეთ მიემგზავრება. მიგრაცია უარყოფითად აისახება რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე.

რეგიონში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნახევარზე მეტი (62 %) თვითდასაქმებულია. რეგიონში ძალზე მაღალია სიღარიბის მაჩვენებლები. 2012 წელს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო 12,3 ათასი ოჯახი, რომელთაგან შემწეობას იღებდა 7,2 ათასი ოჯახი.[158] ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობის პროცენტული მაჩვენებლით, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონი საქართველოს რეგიონებს შორის ბოლო ადგილს იკავებს. ღარიბ მოსახლეობას შორის, ყველაზე მეტია 40-60 წლებისა და 70 წელს ზევით ასაკობრივი ჯგუფის წილი. ამასთან, ამ უკანასკნელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს იმ შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობას, რომელიც საარსებო შემწეობას იღებს. ეს მაჩვენებლები ნათლად ასახავს

[158] სოციალური მომსახურების სააგენტო, წლიური ანგარიში, თბილისი, 2012

რეგიონში არსებულ რთულ ვითარებას, როგორც დასაქმების, ისე დემოგრაფიის მხრივ.

რეგიონში დიდია მიწისძვრით დაზარალებული ოჯახების რაოდენობა, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე არ დაკმაყოფილებულა საცხოვრებელი ფართით. ასევე სამასს ოჯახზე მეტი რეგიონში ცხოვრობს იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები, რომლებიც თავად დასახლდნენ რეგიონში.

რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე, რესპონდენტთა უმრავლესობის მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე საკმაოდ მაღალია. ამასთან, შემოსავლების სიმწირის გამო, მოსახლეობა მწვავედ განიცდის სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემას. საავადმყოფოები მდებარეობს მუნიციპალურ ცენტრებში და ზამთრის პერიოდში, ცუდი კლიმატური პირობების გამო, მუნიციპალური ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლების მოსახლეობას სამედიცინო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით პრობლემები ექმნება.

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ რეგიონში არ არსებობს ვერტმფრენი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, პაციენტების საავადმყოფოში გადაყვანას უზრუნველყოფდა. რეგიონის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები განიცდის მაღალკვალიფიციური კადრების უკმარისობას, განსაკუთრებით ვიწრო სპეციალობით, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამკურნალოდ გასვლას ქვეყნის სხვადასხვა კლინიკაში. მოსახლეობას, ძირითადად, აწუხებს გულსისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებები, რაც ძირითადად, გამოწვეულია რთული მატერიალური მდგომარეობით და, შესაბამისად, დაგვიანებული გამოკვლევებითა და მკურნალობით. რეგიონისთვის დამახასიათებელია სპეციფიური დაავადებების გავრცელება (მაგ. ენდემური ჩიყვი, დიაბეტი, უროლოგიური პრობლემები).

ქალთა ჩართულობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში, სხვა რეგიონების მსგავსად, ძალზე დაბალია. ადგილობრივი საკრებულოების 96 წევრს შორის მხოლოდ 16 ქალია. არ არის დაცული გენდერული თანაფარდობა კერძო სექტორშიც. ბიზნესსექტორში

დასაქმებული კაცების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჭარბობს ქალების რაოდენობას. 2012 წლის მონაცემებით, აღნიშნულ სექტორში დასაქმებული იყო 538 ქალი და 1428 კაცი. სხვაობა აღინიშნებოდა ქალებისა და მამაკაცების შრომის საშუალო თვიურ ანაზღაურებებს შორისაც. კერძოდ, 2009 წელს ქალის საშუალო თვიური ანაზღაურება 220,8 ლარს, ხოლო კაცისა - 275,2 ლარს შეადგენდა.[159]

რეგიონში მრეწველობა სუსტად არის განვითარებული, რაც, ძირითადად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ტრადიციული ბაზრებისა და სამეურნეო კავშირების დაკარგვამ, პრობლემურმა პოლიტიკურმა პროცესებმა, ქვეყანაში ეკონომიკის საერთო ვარდნამ, აგრეთვე მოსახლეობის მიგრაციამ და დაბერებამ განაპირობა.

რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, მიმზიდველი ბუნება, კლიმატური პირობები, მთის სუფთა ჰაერი, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეების სიხშირე, კულტურული ძეგლების სიმრავლე, მინერალური წყლებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების სიუხვე ქმნის უნიკალურ პირობებს სხვადასხვა სახის ტურიზმის (საავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავლო და სამონადირეოტურიზმი, ეკოტურიზმი და სხვ.) განვითარებისათვის. რეგიონში ტურიზმის განვითარებას ხელს უშლის ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა და ინვესტიციების ნაკლებობა. ამჟამად, რეგიონის კურორტების უმრავლესობის ინფრასტრუქტურა მთლიანად მოშლილია და სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს.

ამჟამად, რეგიონში ფუნქციონირებს რამდენიმე კომფორტული სასტუმრო (ამბროლაურში, ონში, ლენტეხსა და შოვში). რეგიონში ძალზე სუსტად არის განვითარებული კვების ობიექტები. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ქ. ამბროლაურში ფუნქციონირება დაიწყო ტურიზმის საინფორმაციო ცენტრმა, რომლის ძირითადი ამოცანა შესაბამისი ინვესტიციების მოძიება და სხვადასხვა სახის ტურისტული მარშრუტების შედგენაა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დეპოპულაცია, ნულოვანი კვლავწარმოება და მოსახლეობის დაბერება რაჭის, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ოჯახებისთვისაც უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს.

---

[159] რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის - www.government.gov.ge

ოფიციალური მონაცემებით **შიდა ქართლის** ოჯახები სიღარიბის უფრო ნაკლები დონით გამოირჩევიან (47,2%), [160] ვიდრე კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის რეგიონების, უმუშევრობის დონე აქ 20%-მდეა. ქვეყნის ღარიბი მოსახლეობის 8%-მდე აქ ცხოვრობს. მათ შორის დიდ პროცენტს შეადგენენ 2008 წლის რუსეთთან ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები. აქ მაცხოვრებელი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ის ობიექტური ფაქტორები, რომლებიც თან ახლდა ომის შედეგად გადაადგილებულ პირთა ტალღას, რამაც გამოიწვია სიღარიბის, უმუშევრობის, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება.

სიღარიბის დონის განსაზღვრისათვის, როგორც კვლევამ გვიჩვენა, ოჯახის მთლიან დანახარჯებში საკვებზე დანახარჯების წილი ძალზე მაღალია (70 %-ზე მეტი). დეპრივაციულ სიღარიბეს თუ გამოვიყენებთ ალტერნატიულ საზომად, ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, შიდა ქართლის ოჯახების 42 %-მდე დეპრივაციულად ღარიბია.

ოჯახები ეკონომიკურად შევაფასეთ რესპონდენტთა თვითშეფასების საფუძველზე. კვლევის პროცესში რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა შეაფასა, როგორც "ცუდი" ("შემოსავალი მხოლოდ კვებაზე გვყოფნის"—52 %), ოჯახების 12 %-მა საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობა შეაფასა როგორც "მძიმე" ("ხან ვინ გვეხმარება, ხან ვინ, რომ არ ვიშიმშილოთ"), 10 %-მა, როგორც ძალიან "მძიმე"("სისტემატიურად ვშიმშილობთ").

თუ მოცემულ შედეგებს შევადარებთ ობიექტურ კრიტერიუმებს, აღმოჩნდება, რომ მოსახლეობა უფრო მკაცრად აფასებს თავის მდგომარეობას. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ობიექტური კრიტერიუმებითაც შიდა ქართლის ოჯახების მესამედი ღარიბია.

სიღარიბის მაჩვენებლები გორში და სხვა ქალაქებში უფრო დაბალია, ვიდრე სასოფლო დასახლებებში. ეს იმით აიხსნება, რომ სოფლის მოსახლეობა დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე, რომლიდანაც შემოსავალი მცირეა, მაშინ,

[160] საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია - "საქართველოს რეგიონული განვითარება დიაგნოსტიკური მიმოხილვა", თბილისი, 2010, გვ. 56

როცა ქალაქში დასაქმებულებს აქვთ სტაბილური ანაზღაურება.

ოფიციალური მონაცემებით შიდა ქართლში 2004-2011 წლებში დაფიქსირდა დასაქმების შემცირება 15,1 %-ით. [161] ეს აიხსნება, უპირველეს ყოვლისა, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის და სამუშაო ადგილების შემცირებით, მიგრაციებით. არსებული მონაცემებით, დასაქმების სტრუქტურაში დაქირავებით მომუშავენი შეადგენენ -21,5%-ს, დამქირავებლები -1%-ს, 9 % -თვითდასაქმებულები (არა სოფლის მეურნეობაში), თვითდასაქმებულები სოფლის მეურნეობაში – 31,6%, უსასყიდლოდ მომუშავენი-36,3%, დამხმარეები -0,2%.[162]

მიგრაცია რეგიონისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მთლიანად ქვეყნისთვის. გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ გორიდან და სხვა ქალაქებიდან წასულებში სჭარბობს მამაკაცი, ხოლო სოფლებიდან ქალი მოსახლეობა.

გორიდან ელენეს შვილი გიორგი (30 წლის) წავიდა ესპანეთში ოჯახის გაჭირვებიდან გამოყვანის მოტივაციით. დედის აზრით:

"ჯერ ერთი, იმუშავებს და პიროვნება იქნება... სხვა ქვეყანაში ბევრ ახალ რამეს ისწავლის, გამოცდილებას მიიღებს და ოჯახსაც დაეხმარება, გაჭირვებიდან ამოგვიყვანს".

მოსახლეობა დადებითის გარდა, მიგრაციის უარყოფით მხარესაც რეალურად აფასებს, განსაკუთრებით ქალები, მათ იციან, რომ მიდიან პროფესიონალურად დაქვეითებულ პოზიციაზე, რთულ ფსიქოლოგიურ და, შესაძლებელია, ფიზიკურად გაუსაძლის პირობებში, მაგრამ ოჯახების გადარჩენის დიდი სურვილით ისინი მაინც მიდიან მიგრაციაში.

"ერთხელ ვიმუშავე 3 თვე თურქეთში თხილის მოკრეფაზე. მერე ორჯერ წავედი საბერძნეთში შინამოსამსახურედ.. ძალიან ძნელი იყო... მაგრამ კიდევ უნდა წავიდე.... ოჯახში არავინ მუშაობს... ვაჟიშვილი სკოლას ამთავრებს და სწავლა უნდა გააგრძელოს.. (ლია, 47 წლის, უმაღლესი განათლებით, ყოფილი მუნიციპალიტეტის მუშაკი, გორი)

აღნიშნული პრობლემების გარდა, რესპონდენტები ასახელებენ (განსაკუთრებით

---

[161] იხ. www.geostat.ge

[162] საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია - "საქართველოს რეგიონული განვითარება დიაგნოსტიკური მიმოხილვა", თბილისი, 2010

სოფლად მცხოვრებნი) ინფრასტრუქტურის სხვადასხვა დარგის - სასმელი წყლის, კანალიზაციის, გაზმომარაგების სისტემების, სკოლამდელი და საგანმანათლებლო – შემეცნებითი დაწესებულებების, ჯანდაცვის ობიექტების და სკოლების რემონტის, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის საჭიროებას.

გამოკითხული ოჯახების უმრავლესობა ქალაქ გორში ნუკლეარულია (56 %), სოფლებში ორთაობიანი და სამთაობიანი ოჯახებია ძირითადად. ღირებულებები, რომლებსაც ეს ოჯახები ასახელებენ არის ოჯახი, სამსახური, შვილის სწორად აღზრდა და განათლების მიცემა. ოჯახში როლები ტრადიციულადაა განაწილებული. დემოგრაფიული განწყობა არავითარ ოპტიმიზმს არ შეიცავს.

სამცხე-ჯავახეთი ძირითადად სასოფლო განსახლების რეგიონია და მისთვის დამახასიათებელია ტრადიციული, პატრიარქალური, გაფართოებული ტიპის ოჯახები. სასოფლო ცხოვრების წესის გარდა ოჯახის სიდიდეს, მის ტრადიციულ და კონსერვატიულ ხასიათს განაპირობებს ეთნიკური და რელიგიური იდენტურობა. გარდა ამისა, რეგიონი საქართველოში ყოველთვის გამოირჩეოდა კვლავწარმოების მაღალი ტემპებით.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, პატრიარქალური ღირებულებები ყველაზე კარგად თავს იჩენს ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რეალურად ოჯახის მართვის ბერკეტებს ფლობს მამაკაცი, რაც განპირობებულია მისი მატერიალური უპირატესობით და სხვა კულტურული თუ ფსიქო-სოციალური მემკვიდრეობით.

ჩვენი კვლევის შედეგები ცხადყოფს გენდერული უთანასწორობის არსებობას ოჯახის შიდა ძალაუფლების სტრუქტურაში. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა (69 %) თვლის, რომ უფროსი ოჯახში მამაკაცი უნდა იყოს და მას ეკუთვნის გადაწყვეტილების მიღებაში მთავარი ხმა.

ასეთი პატრიარქალური ტიპის ოჯახებში, სადაც გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად ხდება, ზოგიერთ საკითხზე, მაგალითად, როგორიცაა ბავშვის აღზრდის და განათლების, თავისუფალი დროის გატარების, დაგეგმვის და სხვა საკითხების გადასაწყვეტად პარტნიორების ქცევა ბიუჯეტის მართვაში ხასიათდება მეუღლეთა სოლიდარობით.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სამცხე – ჯავახეთის ოჯახებზე დიდ გავლენას ახდენს: სიღარიბე, უმუშევრობა, მიგრაცია, ასევე ოჯახთან უშუალოდ დაკავშირებული სოციალური სახის: ჯანმრთელობის, განათლების და სხვა პრობლემები.

ოფიციალური მონაცემებით სამცხე-ჯავახეთი სხვა რეგიონებთან შედარებით ნაკლებად ღარიბ რაიონად ითვლება იმერეთთან ერთად. ჩვენმა კვლევამ ცოტა განსხვავებული სურათი გვიჩვენა, გამოკითხულ ოჯახების უმრავლესობა (63 %) მათი შემოსავლის დიდ ნაწილს საკვებზე ხარჯავენ. ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროდ ყველაზე ხშირად ასახელებენ ოჯახის წევრის ხელფას (57 %), ოჯახების 37 %-თვის პენსია არის ერთ-ერთი ძირითადი შემოსავალი, ოჯახის მიერ ნაწარმოები სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ოჯახების 36 %-სთვის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა, ოჯახების მხოლოდ 4.2 % ცხოვრობს ოჯახის წევრის მიერ საზღვარგარეთიდან გზავნილი თანხებით.

გამოკითხული ოჯახების მხოლოდ 14 %-ს საკუთარი შემოსავლით შეუძლია, რომ იფიქროს ნივთების შეძენაზე, შვილების განათლებაზე, დასვენებაზე, ბიზნესსე ან სოფლის მეურნეობაში ინვესტირებაზე.

საკვლევ რეგიონში სიღარიბის მთავარ მიზეზად გვევლინება უმუშევრობა და დაბალშემოსავლიანი სოფლის მეურნეობა. ჩვენი რესპონდენტების 72% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული და, როგორც აღვნიშნეთ მხოლოდ ოჯახის გამოკვებას ხმარდება ეს შემოსავალი. რესპონდენტების 14% საჯარო სამსახურებში მუშაობს, 8% წვრილ ვაჭრობაშია ჩაბმული, 3% ტურისტულ მეურნეობაშია დასაქმებული, 1%-ზე ნაკლები უძღვება ბიზნესს.

რეგიონიდან დროებით წასული მიგრანტების დიდ ნაწილს (53%) მამაკაცები შეადგენენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში, ყაზახეთსა და ევროპის ქვეყნებშია; ქალები - თურქეთში და ევროპის ქვეყნებში მუშაობენ.

რეგიონში ინფრასტრუქტურის თითოეული დარგის აღდგენა/რეაბილიტაციაზე რესპონდენტები ყველაზე მეტად წყლის სისტემის გაყვანაზე, გაზმომარაგებაზე, სკოლების რემონტზე მიუთითებენ. ეს ძირითადად საქალაქო ცენტრებს ახალციხეს,

ასპინძას და ახალქალაქს ეხება. რეგიონში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესი ყველაზე ნაკლებად ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს, საბავშვო ბაღებსა და სამედიცინო დაწესებულებების რემონტსა და აღჭურვას შეეხო. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რეგიონის სოფლებში.

რეგიონის სომეხი და რუსული წარმოშობის რესპონდენტები უფრო ნაკლებ ინფორმირებულნი არიან და ნაკლებ სამოქალაქო აქტივობას ავლენენ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რეგიონის ოჯახების უმრავლესობა პოლიტიკის მიმართ ინდიფერენტულადაა განწყობილი და ინფორმირებულობის დაბალი ხარისხით გამოირჩევა. დიალოგის პროცესი მმართველობის, თვითმმართელობის სტრუქტურებსა და მოსახლეობის შორის არცთუ ისე წარმატებით მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა თავი შეიკავა მმართველობის, ბიზნეს სტრუქტურების, მასმედიის და არასამთავრობო სტრუქტურების შეფასებისგან.

პოსტსაბჭოთა პერიოდში **სამეგრელოს** ოჯახებზე დიდი გავლენა მოახდინა აფხაზეთის კონფლიქტმა. დიდი რაოდენობით დევნილთა ჩასახლებამ გამოიწვია სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გადატვირთვა და შესაბამისი კონიუქტურის გაუარესება. რეგიონის შიდა გეოგრაფიული მრავალფეროვნების გამო განსხვავებულია ოჯახების პრობლემები ბარში მდებარე რაიონების, მთიანი სამეგრელოს და სვანეთში მცხოვრებ ოჯახებს შორის.

სიღარიბის დონის მიხედვით (41%) რეგიონი საქართველოში შედარებით ნაკლებად ღარიბ რეგიონებს მიეკუთვნება. თუმცა, როგორც კვლევამ გვიჩვენა, გამოკითხული ოჯახების დიდი ხვედრითი წილი (58%) დაბალი შემოსავლითაა და თავს ღარიბებს მიაკუთვნებს. ღარიბი ოჯახების დიდი ნაწილი გაფართოებულია. ასეთი ტიპის ოჯახების უმრავლესობა განსახლებულია მესტიის, ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონებში.

განსაკუთრებული მოწყვლადობით ხასიათდება დევნილთა ოჯახები, რომლებიც ზუგდიდის და სხვა რაიონების კოლექტიური ჩასახლების ადგილებში ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ 20 წელი გავიდა კონფლიქტის შემდეგ, მათი უმრავლესობა არაა ინტეგრირებული ადგილობრივ მოსახლეობასთან, ეკონომიკურ და სოციალურ

სიძნელეებთან ერთად ფსიქოლოგიურად მეტად მძიმე მდგომარეობაში არიან.

დასაქმების თვალსაზრისით გამოკითხული ოჯახების წევრების 69,2 % დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში, 8 % - მშენებლობაში, 9 % - მმართველობის სფეროში, 7 % სოციალურ სფეროში, 6,8 % მომსახურეობის სფეროში.

დასაქმებულთა შორის შეადგენენ: 21.6% დაქირავებით მომუშავენი, 1% დამქირავებლები, 8,5 % არასასოფლო თვითდასაქმებულები, 36.3 % სასოფლო თვითდასაქმებულები, 32.5 % უსასყიდლოდ მომუშავენი.

უმუშევრობის დონე საშუალოდ შეადგენს 14,3% [163] . გამოკითხულთა შორის უმუშევართა დიდი ხვედრითი წილით გამოირჩეოდა მესტია, მარტვილი, სენაკი, აბაშა, სადაც ეს მაჩვენებელი მერყეობდა 34-43%-ს შორის.

როგორც ჩვენი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, ოჯახი საკვლევ რეგიონში ძალიან მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. როგორც ქალების, ისე მამაკაცების აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში, ოჯახი, რელიგია, ჯანმრთელობა, სახლი და სამუშაო აღმოჩნდა პირველ ადგილებზე ღირებულებათა იერარქიაში.

ჯანმრთელობა, ოჯახი და სახლი საყოველთაო ღირებულებებს წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვისაც.

ქ-ნი ნ. სუმბაძის აზრით, ტრადიციებისადმი ერთგულება, ოჯახური შეჭიდულობა და ბავშვის ისე გაზრდა, რომ იყოს დამჯერი, უფრო ღირებულია უფროსი თაობის ადამიანებისათვის, მაშინ როდესაც, ახალგაზრდა თაობა ხაზს უსვამს იმის მნიშვნელობას, რომ ადამიანი იყოს დამოუკიდებელი და მიზანსწრაფული. (ნ. სუმბაძე, 2012: 6-7)

ჩვენი კვლევის შედეგები ცალსახად მიუთითებენ ღირებულებათა უდიდეს ნაწილში თაობათა არსებულ განსხვავებაზე. ახალზარდები უფროს თაობაზე მეტად აფასებენ თავისუფალ დროს, მეგობრებს, რელიგიას, სამსახურს და განათლებას, უფროსი თაობისათვის კი პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად მნიშვნელოვანია.

რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავდა ქართული ტრადიციული ჩვეულებების მნიშვნელობას, რომელიც ქალს ხატავს, როგორც მორჩილ ცოლს, დიასახლისს და

[163] საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია - "საქართველოს რეგიონული განვითარება დიაგნოსტიკური მიმოხილვა", თბილისი, 2010

დედას. ისინი მიიჩნევდნენ, რომ კარიერა ქალისთვის მეორეხარისხოვანია და უნდა იყოს შეთავსებული მეუღლის და დედის როლთან. კაცის შემთხვევაში, მათი აზრი განსხვავდებოდა და ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ რამდენად მნიშვნელოვანია კაცისთვის კარიერა და "კარგი სამსახური". შესაბამისად, სოციალურ დონეზე "ქალს მოეთხოვება, რომ იყოს კაცის მორჩილი და თავისი რეალიზაცია მოახდინოს კაცის სურვილების შესაბამისად".

"კარგი ცოლი უნდა დაემორჩილოს მეუღლეს, მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმება მას" - ასე თვლის გამოკითხულთა უმრავლესობა: მამაკაცების (78 %) და ქალების (58 %).

ბავშვის ყოლასთან დაკავშირებული განზრახვების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია ოჯახის დაგეგმვის პროგრამების წარმატებით განხორციელებისათვის. რესპონდენტთა განზრახვა ბავშვის ყოლასთან დაკავშირებით განპირობებული იყო შვილების ფაქტობრივი რაოდენობით. ორ და სამშვილიან ოჯახებში ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება თითქმის ნულის ტოლია. უახლოეს 3 წელიწადში ბავშვის ყოლის განზრახვა გააჩნდა ყველა უშვილო ოჯახს. ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებაზე გავლენას ახდენს ოჯახის ეკონომიკური სტატუსი, ღარიბ ოჯახებში ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება ძალზე დაბალია მატერიალური სიდუხჭირის გამო, გარდა ამისა, როგორც კვლევამ გვიჩვენა რეპროდუქციულ ორიენტაციაზე გავლენას ახდენს განათლება და ქალის ოჯახის გარეთ დასაქმება.

საკუთარი დასაქმების სტატუსს რესპონდენტი თავად განსაზღვრავდა (ხშირ შემთხვევაში იგი არ თვლიდა თავს დასაქმებულად, თუ პროფესიით არ მუშაობდა), ამიტომ პასუხები ხშირად უარყოფითი იყო. აღმოჩნდა, რომ სამსახურის ძებნას ქალაქის მოსახლეობა სოფლის მოსახლეობაზე მეტად ცდილობს. ქალები მეტად უჩივიან სამუშაოს ძებნის უპესპექტივობას, ისინი მეტწილად თვითდასაქმებულნი არიან, ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ან გარე ვაჭრობას.

აჭარაში კვლევისას აღმოჩნდა, რომ ოჯახების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ფაქტორთა ორი ჯგუფი: ნაციონალური დონის (იგულისხმება ქვეყნის მასშტაბით არსებული), სოციალურ-ეკონომიკური: სიღარიბე, დასაქმება, უმუშევრობა, მიგრაცია და ლოკალური დონის: ისტორიული განვითარებისა და

გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებიდან გამომდინარე ფაქტორები.

ოფიციალური სტატისტიკით, სიღარიბის დონის მიხედვით (52%) აჭარა, კახეთთან და მცხეთა - მთიანეთთან ერთად საქართველოს ღარიბ რეგიონად ითვლება. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სიღარიბის დონე განსხვავებულია ზღვისპირა და მთიან აჭარას, ქალაქის და სოფლის ოჯახებს შორის. სიღარიბის ყველა ზღვრისა და ინდექსის გათვალისწინებით, სიღარიბის პრობლემა ძალზე მწვავედ დგას სოფლად. ყველაზე დაბალშემოსავლიანი ოჯახები ჩვენ შეგვხვდა ხულოს და ქედის რაიონის სოფლებში, სადაც გამოკითხულ ოჯახთა აბსოლუტური უმრავლესობა (68%) ტრადიციული, გაფართოებულია და საშუალო თვიური შემოსავალი ოჯახის ერთ წევრზე 20 ლარზე ნაკლებია.

ეკონომიკური გაჭირვების მთავარ მიზეზად გამოკითხულთა 88 % ასახელებს უმუშევრობას, 8 % ეკონომიკური კონიუქტურის შეცვლას, 4% დაბალ ანაზღაურებას.

კვლევამ გვიჩვენა, რომ მიგრაციულ პროცესებში მონაწილეთა უმრავლესობას (74 %) აჭარის გამოკითხულ ოჯახებში მამაკაცები შეადგენენ, 26%-ს ქალები. მამაკაცთა უმრავლესობა მუშაობდა რუსეთში (24%), უკრაინაში (17%), თურქეთში (15%), საბერძნეთში (10%), 20 % სხვადასხვა ქვეყნებში, 14 % საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მიგრანტი ქალების აბსოლუტური უმრავლესობა ბათუმიდან და ქობულეთიდან იყო. ისინი ძირითადად თურქეთში, საბერძნეთში, ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში არიან დასაქმებულნი. ამ ქალთა 80 %-ის ფულადი გზავნილები ოჯახების არსებობის მთავარი ფინანსური წყაროა.

რეგიონში დასაქმების პრობლემის გადაჭრას გარკვეულად ხელს უწყობს ბათუმში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, სადაც ძირითადად აჭარის მთიანი რაიონებიდან ჩამოსული მამაკაცი მოსახლეობაა დასაქმებული.

საერთაშორისო სატრნსპორტო მაგისტრალის გასწვრივ სასტუმრო ბიზნესში დასაქმებულთა უმრავლესობა ადგილობრივი ქალი მოსახლეობაა.

ანალოგიურად საზღვაო სანაპირო (რეკრეაციულ) ზონაში ფუნქციონირებად საოჯახო - სასტუმროების ბიზნესში, რომელიც სეზონურ ხასიათს ატარებს, ძირითადად ქალები მუშაობენ.

მთიან აჭარაში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ძირითადად მამაკაცები

აწარმოებენ. აჭარაში ოჯახების კვლევისას გამოიკვეთა მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური იდენტურობის პრობლემა. საქართველოს ეს უძველესი კუთხე საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნოკულტურების და რელიგიურ კონფესიათა შეხვედრის და ურთიერთგავლენის არეალს. რელიგიათა ურთიერთგავლენა სინკრეტული ფორმით აყალიბებდა თავისებურ წეს-ჩვეულებებს და სოციალური ქცევის ნორმებს. ადრეულ პერიოდში აჭარა ქრისტიანული საქართველოს მნიშვნელოვანი პროვინცია იყო, 300-წლიანი ოსმალეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში მოხდა მოსახლეობის გამაჰმადიანება, 1876 წლიდან რუსეთის იმპერიაში ყოფნამ ქრისტიანობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. საბჭოთა ათეისტურმა სახელმწიფომ რელიგიების საქმიანობა შეზღუდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართული ნაციონალიზმი დაუპირისპირდა ყველა რელიგიას მართლმადიდებლობის გარდა.

მოსახლეობას, განსაკუთრებით მთიან აჭარაში მცხოვრებ მუსლიმ ოჯახებს, ძალზე აწუხებთ, რომ საკუთარ ქვეყანაში უმრავლესობა მათ მიიჩნევს "სხვებად".

"მე გაორებული ვარ, არ ვიცი , რა გზა ავირჩიო.. მე მუსლიმი ვარ, ჩემი მშობლების და მათი მშობლების მსგავსად.. 5 შვილი მყავს.. ოჯახი რომ ვარჩინო, ბიზნესი დავიწყე.. საქმიან ურთიერთობებში მე ვიქცევი, როგორც არამუსლიმი, ვსვამ ალკოჰოლს და ა.შ. ქართველი ვარ და ქართული ქეიფიც მიყვარს". (ჯემალი, 47 წლის, ხულო)

ისლამმა აჭარაში ცვლილებები ვერ შეიტანა სამეურნეო ყოფაში და სოციალურ ურთიერთობებში. ძირითადი კორექტივები მან მოახდინა საოჯახო წეს–ჩვეულებებში (საქორწინო, დაკრძალვის, ნათლობის წესებში, ნათესაურ სისტემებში). ექპერტები ასეთ ისლამს "ხალხურ ისლამს", "სოფლის ისლამს" უწოდებენ.

ახალგაზრდა ხოჯას, რომელმაც თურქეთში მიიღო სპეციალური რელიგიური განათლება, აწუხებს, რომ "ისლამს საქართველოში არ გააჩნია ორგანიზაციული სტრუქტურა. ის კარგად მუშაობს მხოლოდ ოჯახსა და თემში". (ასლანი, 28 წლის, ხულო).

ხანდაზმულებს ძალიან აწუხებთ ახალგაზრდების ქცევა, ჩაცმულობა, განათლება, მედიასთან დამოკიდებულება.

“ჩემი შვილიშვილები სწავლობენ ყველაფერ იმას, რაც მიუღებელია ჩვენი ადათ-წესებისთვის”. (ჰასან, 64 წლის, ხულო)

ახალგაზრდები სოციალურ აქტივობებში წინა პლანზე აყენებენ სახელმწიფოებრივ იდეებს, ვიდრე რელიგიურს და რელიგიის მიმართ უფრო ლიბერალურნი არიან.

“ცხოვრება წინ მიდის, ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ მოძველებული რელიგიური წესებით, მითუმეტეს, რომ ჩვენი რელიგიური ლიდერები თვითნასწავლი, თავიანთი მშობლებისგან მემკვიდრეობით მიღებული ცოდნით მოქმედებენ. ნახეთ, როგორი პროგრესირებადია თურქეთი და ბევრი ისლამური ქვეყანა.. ინტერნეტის ეპოქაში სოფელში ვერ ჩაიკეტები...ყველა თავისუფალია რელიგიის არჩევაში... ამისთვის შესანიშნავი პირობებია ჩვენს ქვეყანაში”. (მურადი, 32 წლის, შუახევი)

“ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ჩვენი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ. დღესაც ვღებავთ კვერცხებს აღდგომაზე, საღმრთო შესაწირს ვასრულებთ ხოჯას ან მოლას მონაწილეობით, აღვნიშნავთ გზობის დღესასწაულს”. (ხატიჯე, 42 წლის, მასწავლებელი, გონიო)

აჭარის ოჯახების უმრავლესობა პატრიარქალურია. მუსლიმი ოჯახები ხასიათდება სტატუს-როლების ხისტი სტრუქტურით, სადაც სუბორდინაცია მკაცრად დაცულია. ოჯახის უფროსი არის მამაკაცი, ქალი თავსაბურავის გარეშე არ გვხვდება, უფროსები გარეთ ჩადრსაც ატარებენ. მამაკაცები მეჩეთში დადიან, ქალები ოჯახებში იკრიფებიან. მათ ნაკლები განათლება აქვთ. უფროსი ასაკის ქალებმა წერა-კითხვაც არ იციან. მაგრამ საუკუნეების მანძილზე ქალი იყო მთავარი წამყვანი ძალა თვითგადარჩენის პროცესში, იგი ემსახურებოდა ტრადიციული (ეთნიკური) ცხოვრების წესისა და მენტალობის, ეროვნული ფასეულობების დაცვისა და მომავალ თაობებისთვის გადაცემას. მშობლიური ენის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება ქალის დიდი დამსახურებაა.

საქართველოს ყველაზე ღარიბ რეგიონად **გურია** ითვლება. სიღარიბის დონის ოფიციალური მაჩვენებელი 47.8 %-ს შეადგენს. პირველი ეროვნული სასოფლო სამეურნეო აღწერის შედეგების მიხედვით, ოჯახების 70,8 % აღნიშნავს, რომ გარკვეული წლების განმავლობაში არ გააჩნდათ საკმარისი საკვები. ამ მაჩვენებლის სიდიდე გურიაში შეადგენდა 82 %-ს, შიდა ქართლში 85 %-ს, ქვემო ქართლში 45 %-

ს.[164]

ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ ოჯახთა 68 % თავს ღარიბად თვლის. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (53.8 %) მიუთითა, რომ ბოლო 3 თვის განმავლობაში არ ქონდა შემოსავალი. საშუალო თაობის წარმომადგენლები (44.3 %) უფრო მეტად არიან ეკონომიკურად აქტიური, ვიდრე ახალგაზრდა (42.3 %) და უფროსი თაობის წარმომადგენლები (36.4 %). სამივე თაობის შემთხვევაში დაბალია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინი. გამოკითხულთა ნახევარზე მეტის შემოსავალი საკუთარ ბიზნეს აქტიურობასთან არის დაკავშირებული, რაშიც საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია იგულისხმება. უფროსი თაობის წარმომადგენლები ძირითადად სახელმწიფოზე არიან დამოკიდებულნი და პენსია მათ ერთადერთ შემოსავალს წარმოადგენს.

თაობები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან სამუშაოს ასპექტების მნიშვნელობის შეფასების მიხედვით, უმრავლესობის მიერ მატერიალური ანაზღაურება სამუშაოს ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად არის მიჩნეული.

სიღარიბის დონე განსხვავდება ოჯახის უფროსების მიხედვით. ყოველი 100 ოჯახიდან 64 მამაკაცია, 36 - ქალია. ქალებს უფრო უჭირთ ოჯახის შენახვა, ვიდრე მამაკაცებს. ეს ფაქტი დადასტურდა ჩვენი კვლევის შედეგებითაც, შესწავლილი ღარიბი ოჯახებიდან 47 % ქალი იყო ოჯახის უფროსი. მათი უმრავლესობა ლანჩხუთის და ოზურგეთის რაიონებში ცხოვრობს.

ოჯახების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ მომუშავე ოჯახის წევრების ფულადი გზავნილებით არსებობს. მიგრანტებში გურიიდან წასულებიდან ჭარბობს ქალი მოსახლეობა. ქალები ძირითადად მუშაობენ თურქეთში, ისრაელში, საბერძნეთში, იტალიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში; მამაკაცები - რუსეთში, თურქეთში, უკრაინაში, ისრაელში, საბერძნეთში.

კვლევამ გვიჩვენა, რომ გურიაში მცხოვრები ოჯახები, თავისი პრობლემებით ბევრად არ განსხვავდებიან საქართველოს სხვა პროვინციების ოჯახებისაგან. ოჯახი არის ის ექსკლუზიური სფერო, რომლის შიგნითაც მოიაზრება ქალი-დიასახლისი და

[164] საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია - "საქართველოს რეგიონული განვითარება დიაგნოსტიკური მიმოხილვა", თბილისი, 2010

დედა, ოჯახის გარეთ საქმიანობა ითვლება მამაკაცის პრიორიტეტად: “ოჯახის მარჩენალის”, “ოჯახის უფროსის” “კანონიერი ძალაუფლებით”.

“კაცის საქმეა ოჯახის გარეთ სამსახური, პროფესიონალური წინსვლა და ოჯახის ფინანსურად უზრუნველყოფა, ხოლო ქალის მოვალეობაა ოჯახის მოვლა, ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვა”. “ქალი უფრო ბავშვის გაზრდითა და ოჯახის მოვლით უნდა იყოს დაკავებული”. *(ეს პასუხები მივიღეთ რესპონდენტთა 48 % მიერ)*

“ქალი უფრო მეტად ოჯახით ფასობს, ვიდრე სამსახურში წარმატებით” – (გამოკითხულთა 62 %). გამოკითხულთა უმრავლესობა (76 %) თვლის, რომ “კაცის საქმეა სახლის გარეთ მუშაობა და ოჯახის შემოსავლით უზრუნველყოფა, ხოლო ქალის მოვალეობაა სახლის და ოჯახის მოვლა”.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, საოჯახო საქმეები გენდერულად ჯგუფდება-სეგრეგირებულია: “კაცური საქმეებია” - საოჯახო ნივთების შეკეთება, პროდუქტებით მომარაგება, გადასახადებების გადახდა. “ქალურ საქმიანობად” ითვლება - ბავშვის და სხვა წევრების მოვლა.

ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ პატრიარქალური გენდერული სტერეოტიპები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მყარია და რესპონდენტთა უმრავლესობაში, როგორც კაცებში, ასევე ქალებში, არ არსებობს ამ სტერეოტიპზე კრიტიკული რეფლექსი.

საინტერესო იყო გამოკითხულთა მოსაზრება განქორწინებასთან დაკავშირებით. “განქორწინება საუკეთესო გამოსავლად მიაჩნია, როდესაც წყვილი ვერ აგვარებს ოჯახურ პრობლემებს და ხშირად აქვთ უთანხმოება” რესპონდენტების 69 %-ს. რესპონდენტთა აზრით, ოჯახის გადარჩენაზე ქალმა მეტად უნდა იზრუნოს და მეტ დათმობებზე უნდა წავიდეს.

როგორც თვისებრივი კვლევის მონაცემები აჩვენებს, მონაწილე ქალების აზრით, განქორწინების სიხშირემ იმატა წინა პერიოდებთან შედარებით. განქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემები ქალებისათვის უფრო მეტად სერიოზულად დგას, ვიდრე მამაკაცებისათვის. ყველა აღნიშნული დისკრიმინაციული შეფასება აძლიერებს ქალის მეორეხარისხოვან და დამმორჩილებულ პოზიციას ქართულ საზოგადოებაში და ბარიერად გვევლინება ქალის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

დედაქალაქის გამოკითხული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის ოჯახი უმთავრესს ღირებულებას წარმოადგენს.

შესწავლილი ოჯახების უმრავლესობა ნუკლეარულია. გაფართოებული ოჯახების რაოდენობით გამოირჩევა ნაძალადევის, ისნის, კრწანისის და სამგორის რაიონები. ეთნიკური ნიშნით თუ ვიმსჯელებთ, განსაკუთრებით, აზერბაიჯანულ, სომეხ და იეზიდ მოსახლეობაში გვხვდება მრავალთაობიანი ოჯახები.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, თბილისში, გამოკითხული ოჯახებიდან თავს ეკონომიკურად უზრუნველყოფილად თვლის ოჯახების 34 %. ოჯახების 43 % ნაწილობრივ უზრუნველყოფს საკუთარ თავს, მაგრამ ამავე დროს, სარგებლობს სხვა შემოსავლებით. რესპონდენტთა 19 % აღიქვამს, რომ ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებულია და ცხოვრობს მხოლოდ სოციალური დახმარებისგან მიღებული შემოსავლებით.

გამოკვლეული ოჯახების შემოსავლების უდიდესი ნაწილი (66.7 %) საკვები პროდუქტების შეძენაზე იხარჯება, 9 % - კომუნალურ გადასახადებზე, 12 % - ჯანდაცვის ხარჯებია, 6 %-მდე განათლებას, 4.3 % - საყოფაცხოვრებო და სხვა ხარჯებს ხმარდება.

მთავარ პრობლემად თბილისელ რესპონდენტებს შორის დასახელდა დასაქმების საკითხი. ოჯახების შემოსავლების უდიდესი ნაწილი (42 %) ძირითადად დაქირავებულ შრომას ემყარება. თვითდასაქმება უზრუნველყოფს შემოსავლების მეხუთედს, პენსიებსა და სხვა სოციალურ დახმარებაზე მოდის შემოსავლების მეოთხედი წილი. უცხოეთიდან მიღებული გზავნილები, ქონებიდან (გაქირავება, პროცენტი ანაბრიდან) და საჩუქრად მიღებული თანხები შემოსავლების 15 %-ზე მეტს შეადგენს.

გამოკითხული რესპონდენტების 18 % უმუშევარი არის. მათ შორის სამუშაოს ეძებს მხოლოდ 38 %, დანარჩენი უიმედოდ არის განწყობილი და არ ეძებს სამსახურს. ამ კატეგორიის მოსახლეობის მიერ დასაქმების საკითხთან დაკავშირებით დასახელდა: ასაკობრივი, გენდერული, პროფესიული და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია.

“ამ ქვეყანაში არავის ვჭირდებით 50 წელს გადაცილებული ასაკის ხალხი, ძალიან

გვიჭირს ეკონომიურად და, რაც მთავარია, მორალურად. მე ოჯახის საქმეებით თავს ვირთობ, ძალიან ვდარდობ ჩემს მეუღლეზე, რომელსაც ნერვიულობაზე ჯანმრთელობა შეერყა.." (ელენე, 56 წლის, სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი თანამშრომელი)

ხანშიშესული პროფესიონალები გულისწყრომას გამოხატავენ საჯარო სამსახურებიდან განთავისუფლების გამო. ახალგაზრდა რესპონდენტები კი სამსახურში მოწყობისას მრავალ დაბრკოლებებს ხვდებიან. ინგლისურის და კომპიუტერის ცოდნის მიუხედავად, მათთვის ძნელად მისაღწევია პრესტიჟული სამსახურის მიღება.

"ინტერნეტის სხვადასხვა საიტებზე გამოცხადებული ვაკანსიები ხშირად ისე ცხადდება, რომ უკვე დაკავებული არის. ინგლისურიც ვიცი, კომპიუტერის სპეციალისტი ვარ, ორი წლის განმავლობაში ვაგზავნიდი რეზიუმეს, მაგრამ უშედეგოდ". (გიორგი, 29 წლის, საბურთალოს რაიონი)

ქანქარისებური მიგრანტებით თბილისის შრომის ბაზრის გადატვირთულობის გამო, პროფესიონალები ხშირად უმუშევარი რჩებიან.

"პროფესიით მშენებელ-ინჟინერი ვარ, ჩემი სამსახური გაუქმდა და ოჯახი რომ მერჩინა, ოჯახებში კერძო სამუშაოების შესრულება დავიწყე (წყალგაყვანილობის და გათბობის სისტემების დამონტაჟება, ფილების დაგება და ა.შ.). ძალიან გაძნელებულია ასეთი სამუშაოს პოვნა იმიტომ, რომ ქალაქში მრავლადაა რაიონებიდან ჩამოსული უმუშევარი იაფი მუშახელი… კონკურენცია დიდია.." (ვაჟა, 47 წლის, ნაძალადევის რაიონი)

როგორც კვლევამ გვიჩვენა, გამოკითხული ოჯახების 60 %-ზე მეტმა აღნიშნა, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. სიღარიბე დედაქალაქის მოსახლეობისთვის მთავარ პრობლემად რჩება, განსაკუთრებით მოწყვლადია პენსიებზე და სოციალურ დახმარებაზე მყოფი რესპონდენტები.

"ჩემი პენსია წამლებში არ მყოფნის, შვილები რომ არ მეხმარებოდნენ, შიმშილით მოვკვდებოდით. 40 წელიწადი აბრეშუმის ფაბრიკაში ვიმუშავე. რას ვიფიქრებდი ასეთ გაჭირვებაში თუ აღმოვჩნდებოდი". (ირინე, 75 წლის, საბურთალოს რაიონი)

საზღვარგარეთიდან გზავნილებით მცხოვრებ ოჯახებში თავს იჩენს დედის ან

მამის მიერ მიტოვებულ მოზარდთა დევიალური ქცევის, ფსიქოლოგიური და სხვა პრობლემები.

ყოველივე ზემოთაღნიშნული და სხვა პრობლემები დედაქალაქის მოსახლეობის დემოგრაფიულ განწყობაზე დიდ გავლენას ახდენს. ჩვენმა კვლევამაც დაადასტურა, რომ ბავშვთა ყოლის გადავადება, განსაკუთრებით მეორე და მესამე შვილის ყოლა, სოციალურ -ეკონომიკურ ფაქტორებს უკავშირდება.

სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესებამ დემოგრაფიული ვითარების გამწვავება (ქორწინების მაჩვენებლების შემცირება, დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობა, განქორწინებათა კოეფიციენტების ზრდა, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესება) გამოიწვია.

თავი VI: რეკომენდაციები ოჯახის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარებისათვის საქართველოში

ოჯახის განვითარების პრობლემები დასავლეთის მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. ოჯახის სახელმწიფო პოლიტიკა მოიცავს ორგანიზაციულ ღონისძიებათა მთელ მიზნობრივ სისტემას, რომელიც მიმართულია ოჯახის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ და გულისხმობს ოჯახის განვითარების სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ და კულტურულ თავისებურებათა ფართო სპექტრს.

აქ წარმატებით მუშაობს მრავალი სახის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი სამართლებრივი, ეკონომიკურ-ფინანსური, გეოგრაფიული (ადმინისტრაციული ერთეულების ან განსახლების სისტემის იერარქიის მიხედვით) და შესაბამისი ინტელექტუალური ბაზით.

საქართველოში დღეისათვის არ არსებობს კომპლექსური საოჯახო პოლიტიკა, დიფერენცირებული დროსა და სივრცეში. ამიტომაც მისი სამართლებრივი ბაზა მეტად სუსტი და ქაოტურია. მიღებული კანონები და ნორმატიული აქტები ფრაგმენტულად ეხება ოჯახის განვითარების ამა თუ იმ პრობლემას.

იხილეთ პარლამენტის საიტი ოჯახთან დაკავშირებით, მიღებული კანონებისა და ნორმატიული აქტების შესახებ: http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/modzebne-kanonmdebloba

ოჯახის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციები:

- ოჯახის მმართვის ინსტიტუციური რგოლის შექმნა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში

ოჯახის ეკონომიკური აქტივობის გაძლიერების მიზნით საჭიროა:

- სახელმწიფო ბიუჯეტში საფინანსო ეკონომიკური ბაზის შექმნა, უცხოეთის ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ არასამთავრობო სტრუქტურებთან მოზიდულ თანხებთან და ადგილობრივ დონორების გაერთიანებით შემოწირული

ქველმოქმედების თანხებთან კოორდინირება და საერთო გამჭვირვალე ბიუჯეტის შექმნა;

- საოჯახო ბიზნესის საკრედიტო სამსახურების განვითარება და ინვესტიციების მობილიზება;
- ოჯახის ეკონომიკური მხარდაჭერის კონსულტაციური დახმარების ფორმა (საბაზრო ეკონომიკის თანმხვედრი კვალიფიკაციებისადმი ადაპტაციის პროგრამები), შრომითი მოწყობა, თვითდასაქმების მაკროპროექტების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდა ოჯახებისთვის ადგილობრივი მუნიციპალური პროგრამების განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით;
- სიღარიბის ზღვრის ქვემოთ არსებულ ოჯახთა დახმარება;
- სიღარიბის დაძლევის პროგრამები;
- ექსტრემალურ პირობებში მყოფ ოჯახთა დახმარება;
- ერთჯერადი დახმარებები;
- ბავშვებიანი ოჯახების მხარდაჭერა;
- ობოლ ბავშვთა, მოხუცთა და ინვალიდთა ეკონომიკური დახმარება;
- ახალგაზრდა ოჯახების პროფორიენტაციის პროგრამები.

სოციალურ სფეროში:

- სოციალური უსაფრთხოების და დახმარების პროგრამები;
- სოციალური დაზღვევა;
- ჯანდაცვის სპეციალური პროგრამები უმწეოთა გარკვეული კატეგორიისათვის: ობოლი ბავშვები, ინვალიდები, მოხუცები, მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი დედები. მათი გადასახადებისგან გათავისუფლება;
- სოციალური მომსახურეობა: იურიდიული, ეკონომიკური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური სამსახურების ქსელის შექმნა;
- სარეაბილიტაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნა;
- არასრულწლოვანთა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკური სამსახურების შექმნა;
- დევიალური ქცევის მოსახლეობისათვის (ნარკომანები, პროსტიტუციით

დაკავებულნი, ლოთები და სხვ.) სარეაბილიტაციო ცენტრები;

- გენდერული თანასწორობის პროგრამები;
- ეთნიკურ უმცირესობათა და სხვა მარგინალურ ფენებთან ურთიერთობის სრულყოფისაკენ მიმართული პროგრამები;
- მიგრაციების რეგულირების პროგრამები;
- ბინათმშენებლობის განვითარების პროგრამები;
- უმუშევართა სოციალური დაცვის მექანიზმის გაუმჯობესების პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამები.

დემოგრაფიული პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებანი:

- დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესებისაკენ, ოჯახის სტაბილურობისაკენ და ხელსაყრელი დემოგრაფიული გარემოს შექმნისკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავება;
- დემოგრაფუილი დაბერების შედეგების შეფასება;
- შობადობის მასტიმულირებელი პროგრამები;
- ქალის მიერ ოჯახში ბავშვთა შობადობის, მოვლის და აღზრდის პროცესთან დაკავშირებული საზოგადოებრივი და საოჯახო შრომის შეთავსების მხარდამჭერი პროგრამები;
- საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულ ქალთა დასაქმების ალტერნატიული ფორმების (არასრული სამუშაო დღე, კვირა, ოჯახში მუშაობის ფორმა, მცოცავი გრაფიკი), დეკრეტული შვებულების მხარდამჭერი პროგრამები;
- უმუშევარ და სოციალურად დაუცველ ქალთა (ორსულები, მცირეწლოვან ბავშვთა დედები, მარტოხელები, მრავალშვილიანები, ინვალიდები, დევნილები, ლტოლვილები) სოციალური დაცვის გაძლიერების და დასაქმების პროგრამები;
- განსაკუთრებული პროგრამები მრავალშვილიან დედათა დასაქმებასა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;
- ქალთა ჯანდაცვისთვის, მათი რეპროდუქციული უფლებების რეალიზაციის პროგრამები;
- დედათა და ბავშვთა სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამები;

- ოჯახის დაგეგმვის მეთოდების შესახებ განათლების პროგრამებით და ეფექტიანი კონტრაცეპტივებით უფასო უზრუნველყოფა;
- ახალგაზრდებში (სკოლის მოსწავლეებში) ბავშვთა ყოლის განწყობის – რეპროდუქციული ორიენტაციის ჩამოყალიბების ხელშემწყობი პროგრამები;
- დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირების პროგრამები
- ოჯახის ნებაყოფლობითი დაგეგმვის და უშვილობის თერაპიის პროგრამები;
- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული "ჯანმრთელი დედობის პროგრამის" რეალიზაცია;
- ქალების ჯანდაცვის პროგრამები
- ოჯახის სანიტარული კულტურისა და ჰიგიენური აღზრდის დონის ამაღლება;
- დედათა და ბავშვთა პათოლოგიისათვის პერინატალური და დღენაკლულ ბავშვთა სამკურნალო ცენტრების დაარსების პროგრამა;
- დედათა და ბავშვთა კვების გაუმჯობესების პროგრამა;
- სიცოცხლის საშუალო ხანგძლივობაში გენდერული უთანასწორობის დაძლევის პროგრამა;

გერონტოლოგიური ხასიათის პროგრამები

სახელმწიფოს და ოჯახის სამართლებრივი ურთიერთობის საკითხები პარტნიორობის დონეზე

- განათლების სისტემაში დანერგვის საკითხი, კადრების აღზრდა ამ მიმართულებით;
- სამოქალაქო საზოგადოების მუშაობა;
- მედიის როლის გაძლიერება ამ მიმართულებით;
- ერთობლივი მონიტორინგის საკითხი.

დასკვნა

ოჯახების რეგიონული ასპექტების კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ოჯახის ფუნქციონირებაზე დიდ გავლენას ახდენს საერთო (ნაციონალური დონის) და ლოკალური (რეგიონული დონის) ფაქტორები.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით დადასტურდა, რომ:

- საქართველოს ყველა რეგიონში ოჯახების უმრავლესობისთვის მთავარი პრობლემა სიღარიბეა, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდის სტრუქტურული გარდაქმნების და არასწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი შედეგია. წლების მანძილზე სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ, ქვეყნის მასშტაბით, უცვლელია და რესპონდენტების განათლება, სქესი, ასაკი, ეროვნული თუ რელიგიური კუთვნილება მასზე გავლენას ნაკლებად ახდენს. უღარიბეს რაიონებს მიეკუთვნება: კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, მთიანი აჭარა, გურია, ქვემო ქართლი;
- ინსტიტუციურმა და საკადრო ცვლილებებმა გამოიწვია ყველა რეგიონში დასაქმების მაჩვენებლების გაუარესება. ეკონომიკის არსებული სექტორული სტრუქტურა არ აძლევს საშუალებას დასაქმებულთა უმრავლესობას სტაბილურად მიიღოს ოფიციალურ საარსებო მინიმუმზე მაღალი შემოსავალი. ადგილობრივ დონეზე გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა სიღარიბის დაძლევასა და დასაქმებაზე უმნიშვნელოა, განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა სოფლად მცხოვრებ ოჯახებში;
- საგარეო მიგრაცია ყველა რეგიონში ოჯახების გარკვეული რაოდენობისთვის თვითგადარჩენის საშუალება აღმოჩნდა. გამოკითხული ოჯახების მეოთხედზე მეტი წასული წევრის ფულადი გზავნილებით ცხოვრობს. დადებითი (ეკონომიკური) მხარის გარდა გამოჩნდა მიგრაციის უარყოფითი გავლენა ოჯახების ფუნქციონირებაში (წლების განმავლობაში მიტოვებული ბავშვების და მოხუცების, დაკეტილი სახლების და ეზოების) და სხვა სახის პრობლემები;
- საქართველოში ადგილი აქვს რეგიონთაშორის მიგრაციებს. მუშახელის სეზონური დენადობა შეინიშნება მთიანი რეგიონებიდან (რაჭა-ლეჩხუმი, ზემო

იმერეთი, მთიანი აჭარა, მცხეთა-მთიანეთი) ბარის ზონისკენ (დედაქალაქი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი);

- რეგიონებში სოფლის ოჯახების უმრავლესობა უჩივის ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალური, სატრანსპორტო და საინფორმაციო - საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობას;
- რესპონდენტების სუსტი სამოქალაქო ცნობიერება პირდაპირ უკავშირდება მართვისა და განვითარების პროცესში ადგილობრივი საზოგადოების დაინტერესების და ჩართულობის ძალიან დაბალ დონეს;
- პატრიარქალური გენდერული სტერეოტიპები საქართველოს ოჯახებში მყარია და რესპონდენტთა უმრავლესობაში არ არსებობს არათუ ამ სტერეოტიპებზე კრიტიკული რეფლექსი, არამედ ამით გამოწვეული უთანასწორობა კარგად გაცნობიერებულიც კი არის;
- პატრიარქალური ღირებულებები ყველაზე კარგად თავს იჩენს ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქართულ სინამდვილეში ოჯახის მმართვის ბერკეტებს ფლობს მამაკაცი, რაც განპირობებულია მისი მატერიალური უპირატესობით და სხვა კულტურული თუ ფსიქო-სოციალური მემკვიდრეობით;
- ლოკალური ხასიათის პრობლემებიდან ოჯახების რეგიონულ გეოგრაფიაში გამოიკვეთა: ოჯახების (განსაკუთრებით სოფლის) ინფორმირების დაბალი დონე ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა სახის მოვლენების შესახებ, ასევე რელიგიური (აჭარა) და ეთნიკური (ქვემო ქართლი, ჯავახეთი) იდენტიფიკაციის, სახელმწიფო ენის არცოდნის (ქვემო ქართლი, ჯავახეთი), დევნილი ოჯახების ინტეგრაციის (შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო) და სხვა სახის პრობლემები.

გამოკითხვამ ნათლად აჩვენა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მყარია ტრადიციული შეხედულებები გენდერულ როლებზე: ქალის ფუნქციაა შვილების მოვლა და აღზრდა, საშინაო საქმეების კეთება; ხოლო კაცის - ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ოჯახის მარჩენალთა 30 % ქალია, მოსახლეობას მიაჩნია, რომ ეს არის იდეალური მდგომარეობა და თუ იქნება შესაძლებლობა, უმჯობესია ქალი არ მუშაობდეს ან ნაკლებად დატვირთული,

“ქალისთვის შესაფერისი” სამუშაო ჰქონდეს. ასევე, ქალი ქმრის მორჩილი უნდა იყოს და დაუთმოს კაცს ლიდერის პოზიცია სხვადასხვა ასპარეზზე.

საზოგადოებაში კვლავ ძლიერია ორმაგი მორალი. ის. რაც ეპატიება კაცს, არ ეპატიება ქალს, ქალის ქცევა კონტროლდება კაცის, და ზოგადად მთელი საზოგადოების მხრიდან მეტად, ვიდრე - კაცის.

ჩვენი კვლევის შედეგები ემთხვევა წინა წლებში ჩატარებული მსგავსი სხვა კვლევების შედეგებს და აჩვენებს, რომ საქართველო კვლავ პატრიარქალური ქვეყანაა, რომელშიც, დომინანტური პოზიცია კაცებს უჭირავთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჩუგბა თ., *ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში*, თბილისი, გამომცემლობა "მეცნიერება", 1990

2. ბადურაშვილი ი., ჭეიშვილი რ., კაპანაძე ე., წიკლაური შ., სირბილაძე მ. - *გენდერული ურთიერთობები თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში*, თბილისი, 2008

3. ბექაია, მ. - *ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში*, გამომცემლობა "საბჭოთა აჭარა", 1974

4. ბექაია მ., წულაძე გ., გოქაძე ზ., მელაძე გ. - *ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები*, თბილისი, 1998

5. ბექაია მ., *ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები*, "მეცნიერება", 1980

6. ბექაია მ., *საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის,* "მეცნიერება", 1981

7. გამრეკელი ვ., *აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის მიხედვით*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1976 წ

8. გაჩეჩილაძე რ., *საქართველო მსოფლიო კონტექსტში, XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები,* თბილისი, 2013

9. გაჩეჩილაძე რ., *მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები*, თბილისი, 1997

10. გუგუშვილი პ., *მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა*, თბილისი, 1985

11. გუგუშვილი პ., *უახლესი დემოგრაფიული სიტუაციის ზოგიერთი საკითხი*, "ეკონომისტი", 1981, # 4

12. დურგლიშვილი, ნ., *ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი*, თბილისი, 1997

13. თუშიშვილი, ნ. - *საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი ფრანგიშვილი-ობგაიძეს მოდელის გაზაზე*, თბილისი, 2011

14. იველაშვილი თ,, *საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში*, თბილისი, 1999

15. ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობების ისტორიიდან,

თბილისი, 1960

16. კვლევის ანგარიში - "საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში", მომზადებულია ეისითის მიერ გაეროს ერთობლივი პროგრამის "გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში" ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამა, 2013

17. ლოგუა გ. - *ოჯახის სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის საკითხებისათვის*; კრებულში - სოციოლოგიური გამოკვლევები, II, თბილისი, 1976

18. პადავიჩი, ი. & რესკინი, ბ. (2007) "ქალები და მამაკაცები", სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი

19. ჯავახიშვილი ივ., "თხზულებანი" ტ. V-VI, თბილისი, 1982

20. ჯავახიშვილი, ნ. – "თვითობის" და მასთან დაკავშირებული ტერმინების მიმოხილვა "ფსიქოლოგია", ტ. 18, თბილისი, 1998

21. ჯაოშვილი, ვ., *საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში*, გამომცემლობა "მეცნიერება", თბილისი, 1984

22. ჯაოშვილი, ვ., *საქართველოს მოსახლეობა, ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა,* თბილისი,"მეცნიერება", 1996

23. ჯაოშვილი, ვ., ცვლილებანი საქართველოს აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანი ზონის განსახლებაში, ჟურნალი - "საქართველოს სახალხო მეურნეობა", 1972, № 6

24. ჯაში ჩ. *გენდერული ეკონომიკის აქტუალური საკითხები*, თბილისი, 2005

25. ჯაში ჩ. & თოქმაზიშვილი მ., *საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილებები*, თბილისი, 2009

26. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, თბილისი, მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1963

27. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბილისი, 1965

28. სეფაშვილი ე., *დროის ბიუჯეტის სტრუქტურა და მოსახლეობის კეთილდღეობა საქართველოში*, თბილისი, 2008

29. სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, ავტორები: ა. დანელია, ი. კაჭკაჭიშვილი, ვ. მეგრელიშვილი, მ. ნადარეიშვილი, ა. ქათამაძე, თბილისი, 2011

30. სულაბერიძე ა., *ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე, თბილისი*, 2007

31. სულაბერიძე ვ., *დეპოპულაცია და საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება*, თბილისი, 2004 წ.

32. სუმბაძე ნ., *თაობები და ღირებულებები,* საზოგადეობრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2012

33. სუმბაძე ნ., გენდერი და საზოგადოება: საქართველო, თბილისი, 2008

34. თუშიშვილი, ნ. - *საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი ფრანგიშვილი-ობგაიძეს მოდელის გაზაზე*, თბილისი, 2011, გვ. 50

35. ფერაძე, გ., საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის აღწერის მიხედვით (დემოგრაფიული მიმოხილვა), საქართველოს სტატისტიკური მოამბე, № 1, 1921, გვ. 12-17

36. წერეთელი, მ. გენდერი-კულტურული და სოციალური კონსტრუქტი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006

37. წულაძე გ., დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი, 2000 წ.

38. წულაძე გ., მელაძე მ. - დემოგრაფიული გადასვლის შედეგი: სტაბილიზაცია თუ რეგრესი? საქართველო, 1998 წ., № 9

39. წულაძე გ., მელაძე გ., დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 1997, თბილისი, 1998

40. წულაძე, ლ. ახალგაზრდების დისკურსი: ევროპიზაცია ახალ ევროპულ ქვეყნებში და ევროპის საზღვრები, სოციალურ მესნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2012

41. Badashvili, M. & Dagargulia, T. (2009) – Maternal Health in Post-Soviet Georgia in "Safe Motherhood in a Globalized World", edited by Barbara Wejnert, Suzanne K. Steinmetz and Nipurama Prakash, Routledge, Volume 44

42. Badashvili, M. (2013) - "Post-Communism from Within: Social Justice, Mobilization, and Hegemony", edited by Jan Kubik and Any T. Linch, New York: SSRC/NYU Press

43. Bardis, Panos D. (1964) "Family Forms and Variations Historically Considered" in *Handbook of Marriage and the Family*, edited by H.T. Christensen, Chicago

44. Becker, G.S. (1981) A Treatize on the Family, Harvard University Press, Cambridge

45. Bell, Norman W. & Vogel, Ezva F. (1968) - A Modern Intrdocution to the Family

46. Bron B. Ingoldsby, "The History of the Euro-Western Family", in Families in Global and Multicultural Perspective, edited by Bron B. Ingoldsby & Suzanna D. Smith, Sage Publications, 2006

47. Boon, J. & Scneider, D. (1974) – Kinship vis-à-vis Myth Contrasts in Levi-Strauss' Approaches to Cross-Cultural Comparison, American Anthropologist, New Series, 76 (4): 799-817

48. Bowen, J.R. (2011) – Religions in Practice (An approach to the Anthropology of Religion), Prentice Hall

49. Chesnais, J.C. – "The Demographic Transition Theory", Population and Development: Challenges and Opportunities, Volume I, Edited by Anatoly G. Vishnevsky, Encyclopedia of Life Support Systems

50. Doja, A. (2008) "Claude Levi-Strauss at his Centennial: toward a future anthropology", Theory, Culture & Society, 25 (708): 321-340

51. Edgell, Penny (2006) – Religion and Family in a Changing Society

52. "Family Psychology", edited by William M. Pinsof & Jay L. Lebow, Oxford University Press, 2005

53. "Family theories and methods: A contextual approach", edited by Doherty, W., Boss, P. , Larossa, R., Schumam, W. & Steinmetz, S, New York, 1993

54. Fielding W.J. (1942) - *Strange Customs of Courtship and Marriage*

55. Gogsadze, George (2011) Civil Society Participation in the Parliamentary Law Making Process in Georgia, Central European University (CEU)

56. *Growth, Poverty, and Inequality: Eastern Europe and former Soviet Union*, 2005, World Bank, Washington, D.C.

57. IOM, *Tianeti Household Census and Tianeti Emigrants to Greece*, 2008

58. Hawkesworth, Mary - *Decmocratization: Reflections on gendered dislocations in the public spheres*, In: Holmstrom, N. Ed. The Socialist Feminist Project, 2002, p. 298-312. N.Y. Monthly review press

59. Herzfeld, M. (1992) – The Social Production of Indifference, Exploring the Symbolic Roots of Western Bureaucracy, The University of Chicago Press

60. Lesthaeghe, R. (1995). *The second demographic transition in Western countries: An interpretation*. In: Mason, K.O. and Jensen, A.M. (eds.). *Gender and family change in industrialized countries*. Oxford: Clarendon Press: 17-62.

61. McDonald, Peter (2000) – Gender Equity in Theories of Fertility Transition, *Population and Development Review,* Volume 26, Issue 3, pp. 427-439

62. Migration in Georgia: A Country Profile, 2008

63. Morgan, S. Philip (2003) – "Is low fertility a 21st century demography crisis?", Demography, Vol. 40 no.4

64. Murdock, George Peter (1949), *Social Structure*, The Macmillan Company, New York

65. Nye, Ivan F. & Berardo, Felix M. (1973) The Family: Its Structure and Interaction, Collier Macmillan Ltd.

66. "The Role of Remittances in Georgian Economy", report prepared by Economic Policy Research Center (EPRC), December, 2011

67. Reese, H. W., & Overton, W. F. (1970) - Models of development and theories of development, Life –span development psychology, New York

68. Reese, H.W. (1991) Contextualism and developmental psychology. Advances in Child Development and Behaviour

69. Regulska, Joanna (2006) "The Parameters of the Political: Does Meaning Matter for Participation in Public Life for Women in Poland and in Ukraine" in J.Lukic and D. Za-virsek (eds.) *Women and Citizenship in central and east Europe*. (Ashgate Publisher, UK.)

70. Regulska, Joanna (2004) "Gender and Family in Europe", Kobayashi, A., Essed, P. and Goldberg, D.T. (eds), Chapter in the Companion to Gender Studies, Blackwell, UK

71. Regulska, Joanna (2000) "Women's Participation in Public Life: Is Civil Society Enough?" in: Give and Take: A Journal on Civil Society in Eurasia

72. Rubin G. (1975) - "The Traffic in Women: Notes on the 'Political Economy' of Sex", in Rayna Reiter, ed., *Toward an Anthropology of Women*, New York, Monthly Review Press

73. Johnson, S., Hunsley, J., Greenberg, L. & Schindler, D. (1999), Emotionally Focused Couples Therapy: Status & challenges (a meta-analysis). Journal of Clinical Psychology: Science and Practice, 6, 67-79

74. Pepper, S.C. (1970) World hypothesis: A study in evidence, Berkeley: University of California Press

75. Selm, I. (2006) Georgia Looks West, But Faces Migration Challenges at Home, Migration Policy Institute. Georgia: The Tkibuli Region and Rural Migration

76. Sen, A. (1995) Gender and Cooperative Conflicts. In I. Tinker/ed/ Persistent Inequalities: Women and World Development, New-York

77. Sepashvili E. (2012) Economic Aspects of Gender Discrimination in the Georgian Labour Market: Myths and Realities, Tbilisi

78. Sourcebook of Family Theories and Methods: A Contextual Approach, edited by Pauline Boss, William J. Doherty, RalphLaRossa, Walter R. Schumm, Suzanne K. Steinmetz, 2009

79. Van Assche, Kristof, and Joseph Salukvadze (2012) Tbilisi: Urban Transformation and Role Transformation in Post-Soviet Metropolis. In Cook, Edward & Jesus Lara (eds.), Remaking Metropolis: Global Challenges to the Urban Landscape. Routledge

80. Van Assche, Kristof, and Joseph Salukvadze (2011) Tbilisi reinvented: planning, development and the unfinished project of democracy in Georgia. Planning Perspectives Vol. 27, No. 1, pp. 1–24

81. Van Asche, Kristof, Joseph Salukvadze & Nick Shavishvili (editors) (2009) Urban Culture and Urban Planning in Tbilisi: Where West and East Meet. Lewiston, Queenston & Lampeter: Edwin Mellen Press

82. Violence and Gender Relations, Theories and Interventions, edited by Barbara Fawcett, Brid Featherstone, Jeff Hearn, Christine Toft, Sage Publications, 1996

83. White, James M. & Klein, David M. (2002) "Family Theories", Understanding Families, London

84. William, M. Pinsof & Jay L. Lebow (2005) Family Psychology

85. "Women and Men in East European Transition", edited by M. Feischmidt, Cluj-Napoca, EFES, 1997

86. Zurikashvili, P. (2001) "Problems of gender inequality in Georgia", "Society and Geography", Proceedings of the first Georgian-Israeli Geographical Seminar, Tbilisi,pp. 74-80

87. Zurikashvili, P., Morton, A., Allen, S., Buck, T. – “Georgia in Transition: Women’s Organizations and Empowerment” , in the book – “Women and Civil War: imoact, organizations and action”, edited by Krishna Kumar, Lynne Riemer Publishers, Boulder, London, 2001

88. Zurikashvili, P. (1998) – The Socio-Economic Status of Women and Children Among Internally Displaced Persons in Contemporary Georgia, Tbilisi

89. Zurikahsvili, P. (2004) – *Motherhood: The Caucasus*, Encyclopedia of Women and Islamic Cultures

90. Бадашвили, М. (2002) Развитие гендерных исследований в Грузии, Кавказский Географический Журнал, Выпуск I

91. Бакрадзе, Дм. (1878) - Археологическое путешествие по Гурии и Аджарии, СПБ,

92. Гозман Л. Алешина Ю. (1985) Социально психологические исследование семьи, проблемы и перспективы . Вопросы психологии №2

93. Здравомыслова О. М. (2003) Семья и общество: гендерное измерение российской трансформации, Москва, УРСС

94. Мернет, К. (1959) Советский человек, Москва

95. Морган, Г. Л. (1936) - Древнее общество М.

96. Соловьев Н. (1972) Об определении понятия современной советской семьи, Проблема семьи, Тарту

97. Ольдерогге, Д. А. (1958) *Некоторые вопросы изучения системы родства*, Советская Энциклопедия, Т 1.

98. Френкель, А. (1879)- Очерки Чурук-су и Батума, Тбилиси

99. Черняк Е. М. (1998) - *Семья глазами студентов,* Российский журнал социальной работы, Москва, № 21

100. Штомпка П. (1996) *Социология социальных изменений*, М.: Аспект Пресс

101. Харчев А.Г., Мацковский М.С. (1979) Современная семья и ее проблемы, Москва

102. Хилл Р. (1972) Семейные решения и общественные мероприятия, Социологический аспект, Динамика изменения положения женщин и семья, Москва

103. Янкова А. (1979) Городская семья, Москва

ოჯახების განაწილება ეროვნების, ოჯახის წევრთა რიცხოვნობისა და სიდიდის მიხედვით (მოსახლეობის 2002-1989-1979წ. წ. აღწერით)

დანართი 1

	მოსახლეობის 2002* წლის აღწერით							მოსახლეობის 1989 წლის აღწერით							მოსახლეობის 1979 წლის აღწერით							მოსახლეობის 1970 წლის აღწერით						
	შინამეურ ნეობების (ოჯახის) რიცხვი	მათ შორის შინამეურნეობა (ოჯახი) შედგება კაცისაგან:					შინამეურნეობის (ოჯახის) საშ. სიდიდე	ოჯახის რიცხვი	მათ შორის ოჯახი შედგება კაცისაგან:					ოჯახის საშ.სიდიდე	ოჯახის რიცხვი	მათ შორის ოჯახი შედგება კაცისაგან:					ოჯახის საშ. სიდიდე	ოჯახის რიცხვი	მათ შორის ოჯახი შედგება კაცისაგან:					ოჯახის საშ. სიდიდე
		2	3	4	5	6 და მეტი			2	3	4	5	6 და მეტი			2	3	4	5	6 და მეტი			2	3	4	5	6 და მეტი	
საქართველო																												
ყველა ოჯახი	1040515	216569	212813	268513	172992	169628	4.0	1243677	264490	242576	313964	200272	222375	4.1	1150836	243199	228745	287510	192263	199119	4.0	1073881	219373	212596	258769	191691	191452	4.1
ოჯახი, სადაც ყველა წევრი ერთი ეროვნებისაა	971384	202107	198110	252158	161523	157486	4.0	1092349	235384	210935	275787	176634	193609	4.0	1030716	220101	201986	256698	173177	178754	4.0	966632	199017	187744	230358	173936	175577	4.1
მათ შორის:																												
ქართველი	837537	172532	174481	218905	137806	133813	4.0	817875	170615	158032	210869	132945	145414	4.1	750430	154618	146490	195342	129622	124358	4.0	693119	138230	135161	174711	129537	115480	4.0
აფხაზი	92	30	21	23	13	5	3.4	1659 0	3191	2911	3888	2832	3768	4.3	14985	2745	2733	3094	2550	3863	4.4	13679	2227	2415	2430	2198	4409	4.7
ოსი	4875	2161	1115	874	435	290	3.1	28533	7458	5959	6753	4466	3897	3.8	29736	6739	5605	7080	5606	4706	4.0	28031	5500	4724	6403	5626	5778	4.2
სომეხი	49229	11509	9008	12024	8703	7985	3.9	79662	16746	15077	19502	13599	14738	4.1	84234	16069	15581	20221	15783	16580	4.2	84256	14439	14141	18152	17974	19550	4.3
რუსი	8018	4137	2047	1142	449	243	2.9	56326	22669	14702	12530	4060	2365	3.1	70104	26973	19388	15457	5318	2968	3.1	72398	26836	20206	16127	6292	2937	3.2
აზერბაიჯანელი	60623	8293	9340	17003	12580	13407	4.4	56668	5867	7222	13263	13079	17237	4.9	44325	4572	5062	7100	8519	19072	5.2	36827	3748	3914	4757	5973	18435	5.5
ბერძენი	2918	1664	558	377	181	138	2.9	17916	3737	3266	4764	3184	2965	4.1	17533	3199	3006	4145	3407	3776	4.2	...	...	...	...	...	...	...
სხვა	8092	1781	1540	1810	1356	1605		18779	5101	3766	4218	2469	3225	4.0	19369	5186	4121	4259	2372	3431	3.7	38322	8037	7183	7778	6336	8988	4.3
ოჯახი, სადაც წევრები სხვადასხვა ეროვნებისაა	69131	14462	14703	16355	11469	12142	4.0	151328	29106	31641	38177	23638	28766	4.2	120120	23098	26759	30812	19086	20365	4.1	107249	20356	24852	28411	17755	15875	4.0
ქალაქად																												
